

114 /
1963/5



აგათანგო



3

1 9 6 3

გნათობი



საქართველოს მწიგნობართა კავშირის მხატვრული
და საზოგადოებრივი-კულტურული ჟურნალი

წელიწადი მე-40

№ 3

მარტი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

6546

ნ. ს. ხრუშჩოვი — შალაი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალა (სიტუვა, წარმოქმნილი პარტიისა და მოაჯრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან 1962 წლის 8 მარტს)

გიორგი ლეონიძე — ლექსები	3
ლალო მრეღაშვილი — ყაზახი, რომანი, ვაგრაქლევა	40
ტიციან ტაბიძე — ორი ლექსი	42
სერგო კლდიაშვილი — მოთხრობები	70
მურმან ლებანიძე — ლექსები	71
თამაზ ჭილაძე — ლექსები	76
შაქრო სამადაშვილი — ცხოვრების გზაზე, მოთხრობა	78
ქონ სტეინბეცი — ზამთარი ზეენი მღელვარებისა, რომანი, ვაგრაქლევა, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ჭელიძისა	80
	84

რუსთველოლოგია

პავლე ინგოროვა — რუსთველიანის ეპილოგი	110
---------------------------------------	-----

კრიტიკა

სარგის ციაშვილი — გიორგი ლეონიძის მოთხრობები	165
ფაშა ციაშვილი — მუხრან შიქავეარიანის ახალი ლექსები	171
ფენჯიჟ კეშელავა — სპარსული პროზის დიდოსტატი	175

(იხ. მეორე გვ.)



წიგნების მიმოხილვა



ამოღონ უორდანი — მწერალი, ოპი, ადამიანი	161
შალვა ამბულაშვილი — „მოკითხვამდე“	163
ირაკლი კენჭოშვილი — რიღის „ლეოპარდი“	165
მიხეილ კანიშვილი — პირველი მონოგრაფია რაფიელ ერისთავზე	166
ქსენია სიხარულიძე — შრომა და ლექსი	169
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე
პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
- ე. მაღრაძე, ბ. ელენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
- ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 68. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/111-63. ქაღალდის ზომა 70×108. ინაწეობის ზომა 7 1/4×12 1/2.
 ფეხიქორ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16, უე 03196
 ტირაჟი 6500 შეკვეთა 374.

საქ. კ. ცვ-ის გამოცემლობა, სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
 Типография № 1 Издательства ЦК КП Грузии,
 Тбилиси, ул. Ленина, № 14.

მალალი ილაურობა და მხაგვრული ოსგა- ზობა საბჭოთა ლიგერაგურისა და ხელოვნების ღიადი ქალაა

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პარტიისა და მთავროგის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე
ლიბერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან
1963 წლის 8 მარტს

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მეორედ ვხვდებით ერთმანეთს. და თუ გავითვალისწინებთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ საუბარს ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა მუშაკებთან, რომელიც იდეოლოგიურმა კომისიამ მოაწყო, ჩვენი დღევანდელი შეხვედრა უკვე მესამე იქნება.

მასალები ამ შეხვედრების შესახებ გამოქვეყნდა პრესაში და დიდი ინტერესი გამოიწვია. კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოზიციას ხელოვნების საკითხებში მხურვალედ დაუჭირეს მხარი შემოქმედებითა მუშაკებმა, პარტიამ და ხალხმა, ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა.

თავის სიტყვაში ამხ. ილიჩოვმა უკვე ილაპარაკა იმაზე, თუ რა ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის საზოგადოებრობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამოსვლამ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. მან სამართლიანად აღნიშნა, თუ როგორ გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში შემოქმედებითი მუშაკების აქტივობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში არსებულ არაჩანსად ტენდენციითა წინააღმდეგ ბრძოლაში.

საინტერესო მოსაზრებანი და მთელი რიგი საყურადღებო წინადადებანი გამოთქვა ამ თათბირზე გამოსულმა ბევრმა ამხანაგმა. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ საკითხებს, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, პრინციპული მნიშვნელობა აქვს სოციალისტური კულტურის, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის იმ მიმართულებით, რომელიც განსაზღვრულია კომუნისტური პარტიის პროგრამაში.

კომუნისტის მხანაგლოგა და მხატვრული შემოქმედების ამოცანები

მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, მოქანდაკეების, კინოსა და თეატრის მუშაკების — მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობა მუდამ პარტიისა და ხალხის თვალთახედვის არეშია. და ეს საგნებით ვასაგებია ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა იწინასწარმეტყველა, საერთო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილი გახდა.

საბჭოთა ხალხი თავისი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს. კომუნისტების მშენებლობაში ჩვენი მთავარი მიზანია, მე ხაზს ვუსვამ ამას, — შევქმნათ ყველა პირობა შრომის ადამიანთა უკეთესი ცხოვრებისათვის. კომუნისტური საზოგადოება კი სწორედ შრომის ადამიანთა საზოგადოება იქნება.

ადამიანისათვის ორგანულად დამახასიათებელია შრომის მოთხოვნილება. და მხოლოდ კაპიტალიზმში, რომელმაც არაადამიანური პირობები შეუქმნა შრომის ადამიანებს, ამახინჯებს მათ, გამხრწნელ ზემოქმედებას ახდენს ბევრი ადამიანის დამოკიდებულებაზე შრომისადმი. ისინი, ვინც ვერ ურიგდება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრას, შრომითი საქმიანობის პროცესში ავითარებენ თავიანთ კლასობრივ თვითშეგნებას და მშრომელთა ინტერესებისათვის, ექსპლოატატორთა წინააღმდეგ აქტიური მებრძოლები ხდებიან. სხვები, რომლებიც მხოლოდ პირადი, მესაკუთრული ინტერესებით ხელმძღვანელობენ, პასიური არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არ მონაწილეობენ კლასობრივ ბრძოლებაში ბურჟუაზიის დამხობისა და ახალი საზოგადოების აშენებისათვის. ზოგი სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს. ესენი ექსპლოატატორები, მშრომელთა მჩაგვრელები არიან.

კომუნისტები მილიონების შრომით და მხოლოდ შრომით შენდებიან. აი ამიტომ პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ კომუნისტების მშენებლობაში ერთიან შრომით მონოლითურ კოლექტივად აქტიურად მონაწილეობდეს მთელი საბჭოთა ხალხი — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, კონსტრუქტორები, ტექნიკოსები, მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მეცნიერები, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის მოღვაწეები.

ახლა ყველა ხედავს, რომ პარტიის ღონისძიებანი შესანიშნავ შედეგებს იძლევა, ჩვენმა ხალხმა მიაღწია დიდ წარმატებებს კომუნისტების გზაზე. მაგრამ ჩვენ თვალს ვერ ავარიდებთ იმ სიძნელეებს, რომლებიც უნდა დავძლიოთ ახალი საზოგადოების მშენებლობაში. ასეთ სიძნელეებს მიეკუთვნება წარსულის გადმონაშთები საზოგადოების ყველა ფენის ადამიანთა გარკვეული ნაწილის შეგნებაში. ეს გადმონაშთები უწინარეს ყოვლისა ვლინდება დაუდევარი დამოკიდებულებით შრომისადმი, საზოგადოებრივი ვალის, ხალხის წინაშე მოვალეობის შესრულებისადმი.

კომუნისტებისათვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანის აღზრდას კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით. და ეს შეადგენს ჩვენი პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მთავარ ამოცანას ამჟამად. ჩვენ საბრძოლო წესრიგში უნდა მოვიყვანოთ პარტიის იდეური იარაღის ყველა სახე, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება კომუნისტური აღზრდის ისეთი მძლავრი საშუალება, როგორც არის ლიტერატურა და ხელოვნება (ტაში).

ჩვენი შეხვედრები, რომლებიც ცხოვრების კარგ წესად გადაიქცა, არსებითად ლიტერატურისა და ხელოვნების ძალების, მათი შემოქმედებითი აქტივობისა და რევოლუციური მებრძოლურობის თავისებური დათვალიერებაა.

პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება წარმატებით ვითარდება და ძირითადად კარგად ასრულებს თავის ამოცანებს.

მაგრამ მეტად საზიანო იქნება, რომ გავაზვიადოთ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი და არ დავინახოთ სერიოზული ნაკლოვანებანი მწე-

რალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოსა და თეატრის მოღვაწეთა მუშაობაში. განსაკუთრებული ხასიათის რაიმე იდეურ-შემოქმედებით მარცხი ვერ მომხდარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქმე ეხება არსებითს ნაკლოვანებებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში შეცდომებსაც, რომლებსაც ვერ შევეურიგდებით.

ცხოვრებამ გვიჩვენა, ეს დადასტურდა ზოგიერთი ამხანაგის გამოსვლებშიც წარსული საუბრის დროს და დღეს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მუშაკს სწორად როდი ესმის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ამოცანები, რომლებიც პარტიის პროგრამაშია ჩამოყალიბებული. მაშასადამე, საჭიროა ერთხელ კიდევ განემარტოთ ჩვენი პარტიული თვალსაზრისი მხატვრული შემოქმედების ძირეულ საკითხებზე კომუნისტების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

რა მხატვრულ ნაწარმოებებს მოეღოს საბჭოთა ხალხი, რა ნაწარმოებებს აფასებს და მხარს უჭერს და რას უარყოფს?

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ და ხელოვნებამ მხატვრული შემოქმედების დიდ სიმალეებს მიაღწია, აქვს მდიდარი რევოლუციური ტრადიციები და სახელგანთქმულია მსოფლიოში. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილია შესანიშნავი ნაწარმოებები, დიდი სულიერი ფასეულობანი, რომლებითაც სამართლიანად ამაყოფენ ჩვენი ქვეყნის ხალხები.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედება მათი დიდი დამსახურებაა ხალხის წინაშე, სამშობლოსადმი ხელოვნის სამსახურის შთამავანებელი მაგალითია.

რამ შეიძლება მინიჭოს მეტი კმაყოფილება ხელოვანს, თუ არა იმის შეგნებამ, რომ მისი ტალანტი მთლიანად ეძღვნება ხალხის ბრძოლას კომუნისტების აშენებისათვის, რომ მისი ნაწარმოებები მიიღოს ხალხმა და მაღალი შეფასება მისცა.

გაისვენეთ, თუ თავის დროზე როგორ მიიღო ჩვენმა ხალხმა იარაღად დემიან ბედნის პოეზია. სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით მიდიოდნენ ბრძოლაში წითელგვარდიელებიც, წითელარმიელებიც, პარტიზანებიც. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, გასაგები იყო თვითულისათვის, უწიგნური გლეხებისთვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ.

იმ დროს ყველაზე პოპულარულ სიმღერაში „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“ აღბეჭდილია ხალხის ფიქრები. პოეტი რევოლუციისათვის მებრძოლთა საბრძოლო მწყობრში იყო და მთელი თავისი უდიდესი ნიჭი მოახმარა ექსპლუატატორთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს.

დემიან ბედნის ჰქონდა მშრომელი გლეხის სულში ჩაწვდომის გასაოცარი ნიჭი. მხატვრული ოსტატობის რა გაგებითა და ძალით დაგვანახვა მან გლეხის სულიერი ორჭოფობა. სამოქალაქო ომის პერიოდის ნაწარმოებებში პოეტმა დამაჭერებლად გვიჩვენა გლეხის ფსიქოლოგია მაშინ მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ერთი მხრივ, გლეხი მეტად კმაყოფილია, რომ ახალმა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მისცა მიწა, რომელზეც იგი ოცნებობდა და რომლისთვისაც წარმოებდა მაშინ შეიარაღებული ბრძოლა. მეორე მხრივ, ზოგიერთ გლეხს, რომლებმაც მიწა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, არ ესმოდა, რომ სახალხო ხელისუფლება, რევოლუციის მონაპოვარი იარაღით ხელში უნდა დაეცვა.



დემიან ბედნის ნაწარმოებთა უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ის არის, რომ პოეტი რევოლუციური პოზიციებიდან გულისწყრომით გამოხსნის მერყეობას და ამასთანავე განუმარტავს მას, რომ ეს მერყეობა დამღუპველია თვით გლეხობის ინტერესებისათვის. პოეტი ეხმარება გლეხს შეიგნოს, რომ მისი ინტერესებისათვის საჭიროა განუყოფელი კავშირი ჰქონდეს მუშათა კლასთან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ახლაც ჩემი თაობის ადამიანები, როცა ერთმანეთს ხვდებიან სადღესასწაულო ვითარებაში, კმაყოფილებით იგონებენ თავიანთ წარსულს სამოქალაქო ომის წლებში და მღერაიან დემიან ბედნის სიმღერებს იმიტომ, რომ ეს სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ეღერს. (ტაში). მათი სიმშვენიერე ის არის, რომ მოგვაგონებენ თუმცა ძნელ დროს, მაგრამ კარგ და ლამაზ დროს, იმათთვის სიამაყით აღგვივსებენ გულს, ვინც უძნელეს პირობებში გამირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შრომის ადამიანთა განთავისუფლებისათვის, ხალხისათვის, სოციალიზმისათვის და გაიმარჯვა ამ ბრძოლაში.

ავიღოთ სხვა მაგალითი, რომელიც დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა ძლიერ და კეთილშობილურ გრძნობებს იწვევს ადამიანებში ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები. ალბათ თქვენი უმრავლესობა იცნობს ბერლინში საბჭოთა მეომრების ძეგლს, რომლის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ე. ვ. ვუჩეტიჩი. ამ ცოტა ხნის წინათ მოძმე პარტიითა დელეგაციები, რომლებიც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შექვეყნების უწყობას ესწრებოდნენ, მონაწილეობდნენ როზა ლუქსემბურგის, კარლ ლიბკნეხტისა და მუშათა კლასის საქმისათვის დაღუპულ სხვა მებრძოლთა საფლავების გვირგვინებით შემკობაში.

შემდეგ გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების ძეგლი ბერლინში. ეს იყო გულშიამწყვდომი წუთები. მოვიდა ასობით ადამიანი, საზეიმოდ ეღერდა მუსიკა, ძეგლს უახლოვდებოდნენ დუმილით, არავის არ შეეძლო ხმამაღლა ლაპარაკი, თვითონ ვითარება ახდენდა გავლენას ადამიანებზე. დიდებული ქანდაკება იწვევს გმირი საბჭოთა მეომრებისადმი დიდი პატივისცემის, მადლობის გრძნობას, იმათადმი თავყვანისცემის გრძნობას, ვინც დაიღუპა ფაშისმის შავბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რამდენიმე ხნის წინათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და ცენტრალური კომიტეტის მდივნები გაეცნენ ფაშისმზე გამარჯვების იმ ძეგლის ესკიზებს, რომელიც აიგება მოსკოვში ამხ. ვუჩეტიჩის პროექტით. პროექტი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ; რომ შეიქმნება რეალისტური ხელოვნების დიდი ძალის ნაწარმოები, რომელიც აღიღებს გამარჯვებულ ხალხს და მოგვიწოდებს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და უძლეველობის განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებია კარლ მარქსის ძეგლი მოსკოვში, რომელიც ამხ. კერბელმა შექმნა, მოქანდაკემ მხატვრულად წარმოსახა მეცნიერული კომუნიზმის გენიალური ფუძემდებლის სიდიადე. შეუძლებელია ჩაიარო და არ გაჩერდე ამ მშვენიერ მონუმენტთან.

მხოლოდ დიდი რევოლუციური, შემოქმედებითი პაზოსით აღსავსე შესანიშნავი ნაწარმოები სწვდება ადამიანის სულის სიღრმესა და შეგნებას, უღვიძებს მას მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებსა და მტკიცე გადაწყვეტილებას — მთელი ძალღონე მოახმაროს ადამიანთა ბედნიერებისათვის ბრძოლას. ასეთ ნაწარმოებთა ავტორები ღირსეულად, დამსახურებულად სარგებლობენ ხალხის მადლობით. შექმნან ასეთი მაღალი იდეურობისა და ადამიანთა გონებასა და გრძნობაზე ზემოქმედების მხატვრული ძალის ნაწარმოები — აი რისკენ მოუწო-

დებს კომუნისტური პარტია მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინოსა და თეატრის მუშაკებს. (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენს ხალხს ესაჭიროება მეტროპოლი რევოლუციური ხელოვნება. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მოწოდებულია მკაფიო მხატვრული სურათებით წარმოსახოს კომუნისტური მშენებლობის დიადი და გამრული დრო, მართლად ასახოს ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება და გამარჯვება ჩვენს ცხოვრებაში. მხატვარს უნდა შეეძლოს დაინახოს დადებითი, მას უნდა ახარებდეს ეს დადებითი, რაც ჩვენი სინამდვილის არსია, მხარი დაუჭიროს მას და ამავე დროს, რა თქმა უნდა, გვერდი არ აუაროს უარყოფით მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ახლის წარმოშობას ცხოვრებაში.

თვითეულ, ყველაზე კარგ საქმესაც კი აქვს თავისი ჩრდილოვანი მხარეები. უღამაზეს კაცსაც კი შეიძლება ჰქონდეს ნაკლოვანებანი. მთელი საქმე ის არის, როგორ მივუდგებით ცხოვრების მოვლენებს და რა პოზიციებიდან შევაფასებთ მათ. როგორც იტყვიან, რასაც ეძებ, იმას ნახავ. უწინაზრახვო ადამიანი, ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის აქტიური მონაწილე, ობიექტურად ხედავს როგორც კარგს, ისე უარყოფითს ცხოვრებაში, სწორად ესმის და აფასებს ამ მოვლენებს, აქტიურად იბრძვის მოწინავეს, მთავრის დამკვიდრებისათვის, იმის დამკვიდრებისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ განვითარებაში.

მაგრამ მას, ვინც ჩვენს სინამდვილეს გარეშე მეთვალყურის პოზიციებიდან უყურებს, არ შეუძლია დაინახოს და წარმოსახოს ცხოვრების მართალი სურათი. სამწუხაროდ, ასეც ხდება, რომ ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელი სინამდვილეზე მსჯელობს მარტო ფეხსადგილების სუნის მიხედვით. ხატავს ადამიანებს განგებ დამახინჯებულად, თითხნის თავის სურათებს შავბნელი საღებავებით, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შეუქმნან ადამიანებს გულგატეხილობის, დარდისა და უსაშველობის განწყობილება, ხატავს სინამდვილეს მის შესახებ წინასწარ აკვიატებული, დამახინჯებული, სუბიექტივისტური შეხედულებით, გამონაგონი გამოფიტული სქემებით.

ამას წინათ ჩვენ ვნახეთ ერნსტ ნეიზვესტინის გულისამრევი ნათითხნი და აღუშფოთდით იმის გამო, რომ ეს ადამიანი, რომელსაც, როგორც ჩანს, აქვს მონაცემები და საბჭოთა უმაღლესი სასწავლებელი დაუმთავრებია, ასე უმაღურად უხდის სამაგიეროს ხალხს. კარგია, რომ ასეთი მხატვრები ჩვენში ცოტაა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მარტო როდია ხელოვნების მუშაკთა შორის. თქვენ ნახეთ აბსტრაქციონისტი მხატვრების ზოგიერთი სხვა ნაწარმოებიც. ჩვენ ვგმობთ და კვლავაც დავგმობთ ასეთ სიმახინჯეს აშკარად, მთელი შეურიგებლობით.

ამხანაგებო! ჩვენს პარტიას საბჭოთა კინოხელოვნება ხალხის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე დიდმნიშვნელოვან მხატვრულ საშუალებად მიაჩნია. ადამიანების გრძნობებსა და გონებაზე ზემოქმედების ძალითა და ხალხის უფართოეს მასებში გავრცელებით ვერაფერი ვერ შეედრება კინოხელოვნებას. კინო გასაგებია საზოგადოების ყველა ფენის ადამიანებისათვის და, შეიძლება ითქვას, ყველა ასაკისათვის, დაწყებული მოსწავლეებით და დამთავრებული მოხუცებით. იგი ვრცელდება ყველაზე შორეულ რაიონებსა და სოფლებში.

აი რატომ არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ასეთი ყურადღებითა და მომთხოვნელობით ეკიდება საბჭოთა კინოხელოვნების განვითარების საკითხებს.

ჩვენ ვხედავთ და დიდად ვაფასებთ მიღწევებს მხატვრული კინემატოგრაფიის დარგში. და, ამასთან ერთად, მიგვაჩნია, რომ მიღწეული არ შეუძლებლობებს ჩვენს ამოცანებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც კინოხელოვნების მოღვაწეებს აქვთ. ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილად მოვეკიდოთ კინოხელოვნების იდეურ მიზანდასახულობასა და ეკრანებზე გამოშვებული კინოფილმების მხატვრულ ოსტატობას. ამ მხრივ კინოს დარგში საქმე სრულიადაც არ არის ისე კარგად, როგორც ბევრ კინომუშაეს წარმოუდგენია.

დიდად გვაწუხებს ის გარემოება, რომ კინოთეატრებში აჩვენებენ შინაარსით უმწეო და ფორმით უძლურ მეტად მდარე კინოსურათებს, რომლებიც ან აღიზიანებენ, ან ძილის, მოწყენილობისა და სევდის მდგომარეობას უქმნიან მაყურებლებს.

ჩვენ წინასწარი წესით გვაჩვენეს მასალები კინოფილმისა, რომელსაც მეტად დამავალდებულებელი სათაური აქვს — „ილიჩის საგუშაგო“. სურათს დგამს რეჟისორი ანხ. მ. ხუციევი გორკის სახელობის კინოსტუდიაში, ცნობილი კინორეჟისორის ანხ. ს. გერასიმოვის მხატვრული ხელმძღვანელობით. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მასალებში არის შთამაგონებელი ადგილები. მაგრამ ისინი არსებითად ნიღაბია სურათის ჰეშმარიტი აზრისა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ დაამკვიდროს საბჭოთა ადამიანებისათვის მიუღებელი იდეები და საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებისათვის უცხო ნორმები. ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვილაშქრებთ დიდი და მნიშვნელოვანი თემის ასეთი გააზრების წინააღმდეგ.

ამაზე შეგვეძლო არც კი გველაპარაკა, რადგან მუშაობა ფილმზე ჯერ არ დამთავრებულა. მაგრამ, რადგანაც ჩვენს პრესასა და ლიტერატორებისა და კინოს მოღვაწეების ზოგიერთ საჯარო გამოსვლაში ყოველნაირად აქებენ ამ ფილმის „შესანიშნავ თვისებებს“, საჭიროა გამოვთქვათ ჩვენი აზრიც.

ფილმის სახელწოდება „ილიჩის საგუშაგო“ ალეგორიულია. თვით სიტყვა საგუშაგო წინათ ნიშნავდა გუშაგთა რაზმს. ახლაც კი ასე უწოდებენ ჩვენს სასაზღვრო ფორპოსტებს ჩვენი ჭვეყნის საზღვრებზე. ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილმის ძირითადი პერსონაჟები სწორედ საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე ფენებს წარმოადგენენ, რომლებიც ურყევად დგანან სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა, ილიჩის ანდერძის სადარაჯოზე.

მაგრამ ყოველი ადამიანი, ვინც ასეთ ფილმს ნახავს, იტყვის, რომ ეს ტყუილია. ფილმის ყველაზე დადებითი პერსონაჟებიც კი — სამი ახალგაზრდა მუშა ვერ განასახიერებს ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდობას. ისინი ნაჩვენები არიან ისე, რომ არ იციან, როგორ იცხოვრონ და რას უნდა ესწრაფოდნენ. და ეს ჩვენს დროში, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის დროში, რომელიც გაციკროვნებულია კომუნისტური პარტიის პროგრამის იდეებით.

განა ახლა ასეთი ახალგაზრდობა თავის მამებთან ერთად აშენებს კომუნისმს პარტიის ხელმძღვანელობით! განა შეუძლია ჩვენს ხალხს ასეთ ახალგაზრდებზე დაამყაროს მომავლის იმედი, დაიჯეროს, რომ ისინი იქნებიან უფროსი თაობების დიად მონაპოვართა მემკვიდრენი, თაობებისა, რომლებმაც მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია, ააშენეს სოციალიზმი, იარაღით ხელში დაიცივეს იგი ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში, შექმნეს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის მატერიალური და სულიერი წინამძღვრები!

არა, ვერ დაეყრდნობა საზოგადოება ასეთ ადამიანებს — ისინი არ არიან მებრძოლები და სამყაროს გარდამქმნელები. ესენი არიან მორალურად სუსტი,

ახალგაზრდობაში დაბერებული ადამიანები, რომლებსაც არა აქვთ მადლიერი მისწრაფებები და მოწოდება ცხოვრებაში.

სურათში განზრახულია უარყოფითად წარმოსახონ და გააკრიტიკონ უქნარები და ნახევრადგანზრდილი ტიპები, რომლებიც ვერ კიდევ გვხვდებიან ჩვენს ახალგაზრდობაში და რომლებსაც არავინ არ უყვართ და არავის არ სცემენ პატივს; უფროსებს ისინი არათუ არ ენდობიან, არამედ სძულთ კიდევაც. ისინი ყველაფრით უკმაყოფილო არიან, ყველაფერზე ბუზღუნებენ, ყოველივეს დასცილიან და ფეხებზე იყიდებენ, თავიანთ დღეებს ატარებენ უქმად, ხოლო საღამოებსა და ღამეებს — საეჭვო ქეიფში. ასეთი ტიპები ქედმაღლური ზიზღით ლაპარაკობენ შრომაზე. ხეთქავს ასეთი უქნარა საარსებო პურს, და აბუჩად იგდებს კიდევაც იმათ, ვინც ამ პურს თავისი გარჯით ქმნის.

თავიანთი განზრახვა — დაეგმოთ უქნარა ადამიანები, მუქთახორები, ფილმის დამდგმელებმა ვერ განახორციელეს. მათ არ ეყოთ მოქალაქეობრივი სიმაჰაცე და გულისწყრომა სამარცხვინო ბოძზე გაეკრათ ასეთი გადაგვარებულები და გარეწრები, ისინი მხოლოდ იმას დასჯერდნენ, რომ სუსტად გააწნეს სილა არამზადას. მაგრამ ასეთ ნაძირალებს სილის გარტყმით ვერ გამოასწორებ.

სურათის დამდგმელები ახალგაზრდობის სათანადო ფენებს როდი უჩვენებენ მყურებელს. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა თავის ცხოვრებაში, შრომასა და ბრძოლაში განაგრძობს და ამდიდრებს წინა თაობათა გმირულ ტრადიციებს, რომლებმაც დაადასტურეს თავიანთი დიდი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისადმი მშვიდობიანი მშენებლობის წლებშიც და სამამულო ომის ფრონტებზეც. კარგად არის ნაჩვენები ჩვენი ახალგაზრდობა ა. ფადეევის რომანში „ახალგაზრდა გვარდია“. ძალიან სამწუხაროა, რომ ს. გერასიმოვმა, რომელმაც დაღვა ფილმი ამ რომანის მიხედვით, რჩევა არ მისცა თავის მოწაფეს მ. ხუციავს ეჩვენებინა თავის სურათში, როგორ ცოცხლობს და ვითარდება ჩვენს ახალგაზრდობაში ახალგაზრდაგვარდიელთა შესანიშნავი ტრადიციები.

მე გუშინ უკვე ვთქვი, რომ სერიოზულ, პრინციპულ საწინააღმდეგო აზრს იწვევს ეპიზოდი, როცა ფილმის გმირი ხედება ომში დაღუპული მამის აჩრდილს. შვილის კითხვაზე, როგორ ვიცხოვრო, მამის აჩრდილი თავის მხრივ ეკითხება შვილს — რამდენი წლისა ხარო. და როცა შვილი უპასუხებს, ოცდასამი წლისა ვარო, მამა მიუხედავს — მე კი ოცდაერთისა... და გაუჩინარდება. და თქვენ გინდათ, რომ დაევიწროთ ასეთი ეპიზოდის სიმართლე? არავინ არ დაიჭერებს! ყველამ იცის, რომ ცხოველებიც კი არ ტოვებენ თავიანთ ნაშიერს. თუ ლევეს წაართმევენ ძალს და წყალში გადააგდებენ, იგი უმაღვე თავგანწირვით მიეშველება მას.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მამამ არ უპასუხოს შვილის კითხვაზე და არ დაეხმაროს მას რჩევით, როგორ გამოინახოს ცხოვრების სწორი გზა?

ასე კი ტყუილბრალოდ როდია გაკეთებული. აქ ჩაქსოვილია გარკვეული აზრი. სურთ შვილებს, ჩაავნონ, რომ მათი მამები არ შეიძლება იყვნენ მასწავლებელი ცხოვრებაში და არ არის საჭირო რჩევა-დარიგებისათვის მიმართოთ მათ. დამდგმელთა აზრით, ახალგაზრდობამ თვითონ, უფროსთა რჩევა-დარიგებისა და დახმარების მიუღებლად, უნდა გადაწყვიტოს, თუ როგორ იცხოვროს.

აქ საკმაოდ ნათლად არის გამოხატული კინოფილმის დამდგმელთა პოზიცია. მაგრამ მეტიმეტი ხომ არ მოუვიდათ? თქვენ რა, გინდათ წააქნოთ ახალგაზრდობა უფროსი თაობების წინააღმდეგ, წააჩხუბოთ ისინი ერთმანეთთან, შუილი ჩამოაგდოთ ერთსულოვან საბჭოთა ოჯახში, რომელიც ახალგაზრდებსაც და მოხუცებსაც აერთიანებს კომუნისმისათვის ერთობლივ ბრძოლაში?

შეგვიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვუცხადოთ ასეთ ადამიანებს არაფერი არ გამოგივათ! (მჭუხარე ტაში).

ჩვენს დროში მამებისა და შვილების პრობლემა როდი დგას ისე, როგორც ტურგენევის დროს იყო, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ სულ სხვა ისტორიულ ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ადამიანთა სხვა ურთიერთობაც. საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის თაობათა წინააღმდეგობანი. არ არსებობს „მამებისა და შვილების“ პრობლემა ძველი გაგებით. იგი გამოიგონეს ფილმის დამდგმელებმა და ხელოვნურად აღვივებენ არც თუ ისე კარგი განზრახვით.

ასე გვესმის ადამიანთა ურთიერთობა ჩვენს საზოგადოებაში და გვინდა, რომ ეს ურთიერთობა მართლად აისახოს ლიტერატურის ნაწარმოებებში, პიესებში, კინოფილმებში, მუსიკაში, ფერწერაში — ყველა სახეობის ხელოვნებაში. ვისაც ეს ჯერ კიდევ არ აქვს შეგნებული, ჩაუფიქრდეს, ჩვენ კი დავეხმარებით დაიკავოს სწორი პოზიცია.

შეიძლება ვკითხოთ ფილმის რეჟისორს ამხანაგ ხუციევესა და მის შესვლამდე ამხანაგ გერასიმოვს, როგორ წარმოეშვათ ასეთი სურათის იდეა.

ფილმის სერიოზული შეცდომები აშკარაა. თითქოს კინოს მოღვაწეებს, რომლებმაც იგი ნახეს, გულახდილად და პირდაპირ უნდა ეთქვათ ეს რეჟისორისათვის. სურათის გამო კი რაღაც წარმოდგენელი რამ ხდებოდა. ჯერ კიდევ არავის არ ენახა ფილმი, ხოლო უკვე გაჩაღდა ფართო სარეკლამო კამპანია საერთაშორისო მასშტაბით, როგორც ყველაზე შესანიშნავი, „ჩვენი ხელოვნების რაღაც განსაკუთრებული მოვლენის“ შესახებ. რა საჭიროა ეს? არ შეიძლება ასე მოვქცეთ, ამხანაგებო, არ შეიძლება!

პარტიულობა და ხალხურობა ჩვენი ხელოვნების უმნიშვნელოვანესი პრინციპია

ამ უკანასკნელ წლებში ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი თავიანთ შემოქმედებაში დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების იმ პერიოდს, რომელიც დაკავშირებულია სტალინის პიროვნების კულტთან. ყოველივე ეს საეგზეთი გასაგები და კანონზომიერია. გამოჩნდა ნაწარმოებები, რომლებშიც მართლად, პარტიული პოზიციებიდან არის გაშუქებული იმ წლების საბჭოთა სინამდვილე. შეიძლება მოგვეყვანა, როგორც მაგალითი, ა. ტვარდოვსკის პოემა — „შორეთს იქით შორეთი“, ა. სოლჟენიცინის მოთხრობა — „აქან დენისოვიჩის ერთი დღე“, ე. ვეტუშენკოს „ზოგიერთი ლექსი, გ. ჩუხრაის კინოფილმი „მოწმენდილი ცა“ და სხვა ნაწარმოებები.

პარტია მხარს უჭერს ჭეშმარიტად მართალ მხატვრულ ნაწარმოებებს, ცხოვრების რა უარყოფით მხარეებსაც უნდა ეხებოდნენ ისინი, თუ კი ისინი ეხმარებიან ხალხს ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლაში, რაზმავენ და განამტკიცებენ ხალხის ძალებს.

ყველამ იცის, რა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს სატირა, კერძოდ იგავარაკი. ამ ქანრში ხშირად გამოდის, მაგალითად, ამხანაგი მიხალკოვი, სატირა ბასრი სამართებელივით არის; გამოაჩენს ხორცმეტს ადამიანის სხეულზე და მაშინვე, კარგი ჭირურგივით, მოკვეთს. მაგრამ სატირის იარაღის ხმარება უნდა გემარჯვებოდეს, როგორც ჭირურგი ხმარობს თავის დანას და ჰკვეთს მანვე ხორცმეტს, ისე რომ არ აზიანებს ორგანიზმს, არაფერს ავნებს მას. აქ საჭიროა ოსტატობა. თუ არა ხარ დაუფლებული ამ ოსტატობას, მაშინ ნურც მოჰკიდებ ხელს, იმიტომ რომ სხვასაც მიაყენებ ზიანს და თვითონაც შეაჭრი ხელს. სწორად იქცევიან დედები, როცა უმაღავენ ბავშვებს მკრელ საგნებს, სანამ ისინი

ისწავლიდნენ მჭრელი საგნების ხმარებას. (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).
 ყოველივე ამასთან ერთად ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყველა შემოქმედებით
 თი მუშაყის ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ მცდარ მოტივსა და ტენდენციას,
 რაც თავს იჩენს ხოლმე ცალკეული ავტორების ნაწარმოებებში. მცდარი ტენ-
 დენციები უმთავრესად ის არის, რომ მთელი ყურადღება ცალმხრივად ეთმობა
 უკანონობის, თვითნებობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.
 მართლაც, პიროვნების კულტის წლებმა მძიმე შედეგები დატოვა. ჩვენმა პარტი-
 ამ ამის შესახებ მთელი სიმართლე უთხრა ხალხს. ამავე დროს მხედველობაში
 უნდა გვქონდეს და გვახსოვდეს, რომ ის წლები საბჭოთა საზოგადოების განვითარ-
 ებაში უძრავობის პერიოდი როდი იყო, როგორც ეს ჩვენს მტრებს წარმოუდ-
 გენიათ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ლენინის დროშით
 და ანდერძით ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებდა და ააშენა სოციალიზმი. საბ-
 ჭოთა კავშირი პარტიისა და ხალხის ღონისძიებებით გადაიქცა მძლავრ სოცია-
 ლისტურ სახელმწიფოდ, რომელმაც გაუძლო ომის უმძიმეს განსაცდელს და
 ძლიერამოსილად დაამთავრა ისტორიაში უმაგალითო ბრძოლები, მთლიანად გა-
 ანადგურა ფაშისტთა ურდოები. (მკუხარე ტაში).

ამიტომ ვამბობთ, რომ არასწორად იქცევიან მწერლები, რომლებიც მეტად
 ცალმხრივად უდგებიან ჩვენი ქვეყნის ცხოვრების იმ ეტაპის შეფასებას, ცდი-
 ლობენ თითქმის ყველა მოვლენა ბნელ ფონზე უჩვენონ, შავი საღებავებით და-
 ხატონ. ჯერ კიდევ არიან ლიტერატორები, რომლებსაც ურჩევნიათ ნაგვის ორ-
 მოში ამოქექონ მასალა და სურთ ასეთი ნაწარმოებები ხალხის ცხოვრების მა-
 რთალ ასახვად გაასაღონ. ამ თვალსაზრისის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ყველა
 ნაწარმოები, რომლებშიც ლაპარაკია ჩვენი ხალხის მიღწევებზე, ცხოვრების
 დადებით მხარეებზე, „შემლამაზებელი“ ნაწარმოებია. ასეთ მტკიცებას არ შეი-
 ძლება დავეთანხმოთ. ცნობილია, რომ ზოგიერთ ნაწარმოებში მართლაც იყო
 შელამაზება და პარტიამ გამოთქვა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ
 მოვლენისადმი. მაგრამ ყველაფერი ხომ ცუდი არ ყოფილა იმ პერიოდში,
 ხალხი სოციალიზმის მშენებლობის იმ პერიოდშიც იჩენდა გამირობას, და ამი-
 ტომ არ შეიძლება ყველაფერი კუპრით ეთხუპნოთ.

საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ იმათ, ვისაც სჩვევია „შემლამაზებლის“
 იარლიყი მიაკრას მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც ასახვევენ
 ჩვენი ცხოვრების დადებით მხარეებს. რალა ეუწოდოთ მაშინ იმათ, ვინც მხო-
 ლოდ ცუდს ეძებს ცხოვრებაში, ყველაფერს შავი საღებავებით ხატავს? რო-
 გორც ჩანს, მათ კუპრით მოხუპნელები უნდა ვუწოდოთ. ის, რაც კარგია ცხოვ-
 რებაში, შესაფერისად უნდა აისახოს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა უფრო ღრმად უნდა შეის-
 წავლონ ცხოვრების მოვლენები და უფრო სწორად ვააშუქონ ისინი თავიანთ
 ნაწარმოებებში. თვითეული თავისი იარაღით უნდა ემსახურობოდეს ხალხს,
 ჩვენი საერთო საქმეს. მე მხედველობაში მყავს თვითეული მწერალი, მოქანდაკე,
 კომპოზიტორი, კინოსა და თეატრის მოღვაწე. და ხელოვნების თვითეული სა-
 ხეობის იარაღი უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ხალხის სასარგებლოდ, რათა ვურტ-
 ყათ მტერს და გავკაფოთ გზა ნათელი მომავლისაკენ — კომუნისტური საზოგა-
 დოებისაკენ.

მუდამ უნდა გვახსოვდეს ეს. საჭირო არ არის მყვირალა ფრაზები. თვითე-
 ულ შემოქმედებითს მუშაკზე ხალხი მსჯელობს იმის მიხედვით, თუ რა შექმნა
 მან. აი ზოგიერთი გმობს ყველა იმას, ვინც წერდა ნაწარმოებებს იმ ხანებში და
 ჩვენი ცხოვრების დადებით მხარეებსაც ხედავდა. არ უნდა ვაუბარიბროთ ხე-



ლალბით ყველაფერი, რაც იმ დროს დაიწერა. იტყვიან ეს XX და XXII უკანა-
ლობებიდან უკანდახევათ. არა, ეს XX და XXII ყრილობების კურსის დასკე-
დრებაა. (მკუხარე ტაში).

როცა ი. გ. ერენბურგის მემუარებს კითხულობ, ყურადღებას აქცევ იმას,
რომ იგი ყველაფერს შავი ფერებით ხატავს. თვითონ ამხ. ერენბურგს პიროვნე-
ბის კულტის პერიოდში არ განუცდია დევნა ან შეზღუდვა. სულ სხვაგვარად
წარმოართა, მაგალითად, ისეთი მწერლის ბედი, როგორიც არის გალინა სერგე-
რაიკოვა, რომელიც დიდხანს იყო დაპატიმრებული. მაგრამ მან, მიუხედავად
ამისა, შეინარჩუნა მხნეობა, ერთგულება პარტიის საქმისადმი და რეაბილიტა-
ციისთანავე ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელში აიღო თავისი იარაღი და
ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც საჭიროა ხალხისა და პარტიისათვის.
(მკუხარე ტაში).

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი საწარმოო ძალები, განხორციელდა კულ-
ტურული რევოლუცია. მთელი მსოფლიო ხედავს ახლა, რომ საბჭოთა ხალხის
ამ თვალსაჩინო გამარჯვებათა შესანიშნავი ნაყოფია ჩვენი ქვეყნის ძლევამოსი-
ლი წინსვლა კომუნისტური, მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი აღმოჩენები,
კოსმოსის დაპყრობა. არ შეიძლება ჩვენი დღევანდელი გამარჯვებანი არ დავეუ-
კავშიროთ იმ წლების ეკონომიკისა და კულტურის მიღწევებს.

ახლა არც თუ იშვიათად აყენებენ კითხვას, სტალინის სიცოცხლეშივე რა-
ტომ არ გამოაშკარავდა და არ აღიკვეთა კანონიერების დარღვევა და ძალაუფ-
ლების ბოროტად გამოყენება და შეიძლებოდა თუ არა ეს მაშინ გვექნა? პარ-
ტიულ დოკუმენტებში ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხზე არაერთხელ გავაშუქეთ
მთელი სისრულითა და საკმაო სიცხადით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისე-
თი ადამიანები, კერძოდ ხელაყნების მუშაკთა შორის, რომლებიც ცდილობენ
დამახინჯებულად გააშუქონ მოვლენები. ამიტომ დღესაც გვიხდება კვლავ შე-
ვებით სტალინის პიროვნების კულტის საკითხს.

ისმება კითხვა, იცოდნენ თუ არა პარტიის ხელმძღვანელმა კადრებმა მა-
შინდელ დაპატიმრებათა ამბავი? დიახ, იცოდნენ, მაგრამ იცოდნენ თუ არა
მათ, რომ აპატიმრებდნენ სრულიად უდანაშაულო ადამიანებს? არა. ეს მათ არ
იცოდნენ. მათ სჯეროდათ სტალინისა და ფიქრადაც არ მოსდიოდათ, რომ შე-
იძლებოდა რეპრესიები გამოეყენებინათ პატიოსანი, ჩვენი საქმის ერთგული
ადამიანების წინააღმდეგ.

საბჭოთა საზოგადოება ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდან
მოყოლებული და ქვეყნის შიგნით ექსპლოატატორული კლასების საბოლოო
ლიკვიდაციამდე უდარესად მწვავე კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში იყო.
კლასობრივი მტრები დამარცხებულ იქნენ პირდაპირ ბრძოლაში სამოქალაქო
ომის დროს, მაგრამ ფიზიკურად არ განადგურებულან და ხელი არ აუღიათ ვე-
რაგულ ზრახვებზე ზიანი მიეყენებინათ საბჭოთა წყობილებისათვის. მათ შეეცა-
ლეს ბრძოლის ფორმები და იყენებდნენ ისეთ მეთოდებს, როგორიც არის სა-
ბოტაჟი, მავნებლობა, ფარული მკვლელობა, ტერორისტული აქტები, ამბოხე-
ბანი.

უნდა დაეცვა თუ არა რევოლუციის თავისი მონაპოვრები? დიახ, უნდა და-
ეცვა და მთელი სიმკაცრით იცავდა კიდევაც პირველი დღეებიდანვე. ცნობილია,
რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველ თვეებში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის
დეკრეტით შეიქმნა რევოლუციის მტრებისათვის ისეთი მრისხანე ორგანო
პროლეტარული დიქტატურისა, როგორიც იყო სრულიად რუსეთის სივანგებო
კომისია კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. როცა გამოაშკარავ-

და შეთქმულებანი რევოლუციის წინააღმდეგ, სტალინი, როგორც ცენტრალური კომიტეტის მდივანი, აწარმოებდა ბრძოლას, რათა ჩვენი ქვეყანა გაეფხინებინა შეთქმულთაგან, და აწარმოებდა ხალხის მტრებთან ბრძოლის ლოზუნგით. სჯეროდათ მისი ამ საქმეში, და მხარს უჭერდნენ. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. წარსულში ხომ ჩვენი პარტიის ისტორიაში არაერთხელ იყო რევოლუციის საქმის გამცემლობისა და ღალატის შემთხვევები, მაგალითად, მალინოვსკის — სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკური ფრაქციის წევრის პროვოკატორობა.

რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მტრების წინააღმდეგ პარტიის ბრძოლას მაშინ მეთაურობდა სტალინი. ამან განამტკიცა მისი ავტორიტეტი. ყველასათვის ცნობილი იყო აგრეთვე სტალინის წვლილი რევოლუციურ ბრძოლაში ოქტომბრის რევოლუციამდე, რევოლუციის მსვლელობასა და სოციალისტური მშენებლობის მომდევნო წლებში. სტალინის ავტორიტეტი განსაკუთრებით გაიზარდა პარტიის შიგნით ანტილენინურ მიმდინარეობათა და ოპოზიციურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, პარტიის რიგებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის, პარტიის შიგნით ლენინიზმისადმი ისეთი მტრული მიმდინარეობებისა და ოპოზიციური ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში, როგორც იყვნენ ტროცისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენე ოპორტუნისტები და ბურჟუაზიული ნაციონალისტები.

ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ პარტიამ მოაწყო დისკუსია ტროცისტებთან და ზინოვიეველებთან სოციალისტური მშენებლობისა და შინაპარტიული მდგომარეობის ძირეულ საკითხებზე. ამ დისკუსიაში გამოაშკარავებულ და მხილებულ იქნა ტროცის, ზინოვიევისა და მათი დამქაშების ანტილენინური, სოციალიზმისადმი მტრული შეხედულებანი და მოქმედება, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ჩვენს ქვეყანაში ჩაეშალათ ლენინური კურსი სოციალიზმის მშენებლობისა კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში.

ტროცისტების შემდეგ პარტიის ლენინური კურსის — ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის კურსის წინააღმდეგ გამოვიდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის მეთაურობით. მათი შეხედულებანი, ცხოვრებაში რომ დამკვიდრებულიყო, გარდუვალად გამოიწვევდა იმას, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკა კაპიტალისტურ ქვეყნებზე დამოკიდებული გახდებოდა, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა კაპიტალიზმის რესტავრაცია ჩვენს ქვეყანაში. მემარჯვენე ოპორტუნისტების ხაზი იქით მიდიოდა, რომ ჩვენი ქვეყანა სამხედრო თვალსაზრისით უმწიფო ყოფილიყო ჩვენდამი მტრული აგრესიული კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე.

ჩვენი პარტიის კურსი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა ლენინური კურსი იყო, რომელსაც მხარს უჭერდა მთელი პარტია, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. ჩვენ ათ წელიწადში უნდა გავველო ეკონომიური განვითარების ისეთი ისტორიული გზა, როგორც დასავლეთმა ევროპამ გაიარა ასი წლის მანძილზე. ტროცისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში სტალინი ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ პირველ წლებში იცავდა ლენინურ პოზიციებს და ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ამიტომ პარტიასა და მასებს სჯეროდათ მისი, და მხარს უჭერდნენ.

მაგრამ სტალინს ჰქონდა დიდი ნაკლოვანებები და შეცდომები, რომლებ-



ზეც თავის დროზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მიაპყრო პარტიის ყურადღება.

დიდი ლენინი აღნიშნავდა იმ საშიშროებას, რომ სტალინი, რომელმაც მთლიანად თავის ხელში აიღო დიდი ძალაუფლება, ვერ შეძლებს სწორად გამოიყენოს ეს თავისი დიდი პირადი ნაკლოვანებების გამო. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი რჩევას იძლეოდა შეეცვალათ სტალინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამდებობაზე, ამასთანავე მიაჩნდა, რომ ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ისეთი მოღვაწე, „რომელიც ყველა სხვა მხრივ განსხვავდება ამხ. სტალინისაგან მხოლოდ ერთი უპირატესობით, სახელდობრ, უფრო შემწყნარებელია, უფრო ლოიალურია, უფრო თავაზიანი და უფრო ყურადღებიანია ამხანაგებისადმი, ნაკლებ პირვეულია და ა. შ“.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს სტალინი მიაჩნდა მარქსისტად, ჩვენი პარტიის თვალსაჩინო მოღვაწედ, რევოლუციის ერთგულ მოღვაწედ. თავისი მოსაზრებანი ვ. ი. ლენინმა გამოთქვა წერილში პარტიის მორიგი ყრილობისადმი, რომელიც განიხილეს კიდევაც დელეგაციებმა პარტიის XIII ყრილობაზე. ამ საკითხს რომ წყვეტდა, პარტია ითვალისწინებდა ცენტრალური კომიტეტის შიგნით მაშინდელ ძალთა რეალურ თანაფარდობას და მხედველობაში იღებდა სტალინის, როგორც მოღვაწის, დადებით მხარეებს, დაიჭერა მისი განცხადებანი, რომ შეძლებს დაძლიოს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ აღნიშნა. სტალინმა შემდეგ გატეხა თავისი სიტყვა და ბოროტად გამოიყენა პარტიის ნდობა. ამან მძიმე შედეგი გამოიწვია, რაც გავრცელდა პიროვნების კულტის პერიოდში.

პარტიამ მთელი შეურიგებლობით დაგმო და გმობს სტალინის მიერ პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების უხეშ დარღვევებს, თვითნებობას და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენა კომუნისტების საქმეს. და ყოველივე ამასთან პარტია ჭეშოვნად აფასებს სტალინის დამსახურებას პარტიისა და კომუნისტური მოძრაობის წინაშე. ჩვენ ახლაც მიგვაჩნია, რომ სტალინი კომუნისტების ერთგული იყო, იგი მარქსისტი იყო, ამის უარყოფა არ შეიძლება და არც უნდა უარგყოთ. მისი ბრალი ის არის, რომ მან ჩაიდინა თეორიული და პოლიტიკური ხასიათის უხეში შეცდომები, არღვევდა სახელმწიფო და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, ბოროტად იყენებდა ძალაუფლებას, რომელიც მას პარტიამ და ხალხმა ანდეს.

სტალინის დაკრძალვის დროს ბევრნი, მათ შორის მეც, თვალტრემლიანი ვიყავით. ეს გულწრფელი ცრემლები იყო. თუმცა ვიცოდით სტალინის ზოგიერთი პირადი ნაკლი, მაგრამ გვჭეროდა მისი.

უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, რაოდენ დიდი იყო რწმენა სტალინისა და მისი ავტორიტეტისადმი, მოვიყვან ასეთ მაგალითს. ბევრს ახსოვს ამხანაგი იაკირი. ეს იყო თვალსაჩინო მხედართმთავარი და კრისტალური სიწმინდის ბოლშევიკი, რომელიც ტრაგიკულად, უდანაშაულოდ დაიღუპა იმ წლებში. მას, სიკვდილმისჯილს, სწამდა, რომ სტალინი გარეული არ იყო ამაში, და დახვრეტის წინ შექმნა: „გაუმარჯოს სტალინს!“ დაკითხვებზე ამხანაგი იაკირი გამოძიებლებს ეუბნებოდა, რომ მისი დაპატიმრება და მის წინააღმდეგ ბრალდება პროვოკაციაა, რომ პარტია და სტალინი შეცდომაში შეიყვანეს, ისინი გაერკვევიან ყოველივე ამაში, გაერკვევიან იმაში, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც თვითონ არის, იღუპებიან პროვოკაციების შედეგად. და ასე ფიქრობდა არა მარტო ამხანაგი იაკირი, არამედ ასე ფიქრობდა ბევრი სხვაც, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც უდანაშაულოდ დაიღუპნენ.

სტალინი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ძალიან ავადმყოფი იყო და ავადმყოფი იყო ექვიანობით, დევნილობის მანით. პარტიამ ფარულად დაიწყო ხალხს, თუ როგორ შექმნა სტალინი ისეთი „საქმეები“, როგორც იყო „ლენინგრადის საქმე“, „ექიმთა საქმე“ და სხვები. მაგრამ, ამხანაგებო, ასეთი „საქმეები“ ხომ მნიშვნელოვნად მტრი იქნებოდა, რომ ყველა, ვინც სტალინის გვერდით მუშაობდა იმ პერიოდში, ყველაფერში დათანხმებოდა მას. ერთ-ერთ ზემს გამოსვლაში მე ვთქვი, როგორ აპირებდა სტალინი გაეხერხებინა ევრეთწოდებული „მოსკოვის კონტრარევილუციური ცენტრის“ საქმე. მაგრამ, როგორც ცნობილია, მას კვერი არ დაუტრეს, და მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის კადრებს ახალი მასობრივი რეპრესიები არ განუცდიათ.

აგრეთვე ცნობილია, რომ სტალინს განზრახული ჰქონდა გაენადგურებინა საბჭოთა უკრაინის შემოქმედებითი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ჩანს, ბერიასა და კავანოვიჩის დაბეზღებით მან ექვი მიიტანა, რომ ომის შემდგომი საბჭოთა უკრაინის შემოქმედებით ინტელიგენციაში მწიფდებოდა რაღაც ნაციონალისტური ტენდენციები, განწყობილებანი მწიფდებოდა, და მან დაიწყო მოვლენების იმ მიმართულებით წარმართვა, რომ გასწორებოდა უკრაინის გამოჩენილ მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს. უკრაინელი ბოლშევიკები რომ მაშინ სტალინის განწყობილებებს აყოლოდნენ, როგორც ჩანს, უკრაინის ინტელიგენცია დიდად დაზარალდებოდა და, ალბათ, შეიქმნებოდა „საქმე“ უკრაინელი ნაციონალისტების შესახებ.

სტალინის ავადმყოფური ექვიანობა და უნდობლობა რომ იცოდნენ, იმპერიალისტური ქვეყნების დაზვერვები მას „აჩჩებდნენ“ ისეთ საქმეებსა და ისეთ „დოკუმენტებს“, რომლებიც მეტად ჰგავდა სიმართლეს, და უქმნიდნენ იმის სრულ რწმენას, რომ ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ სამხედრო სპეციალისტთა ჯგუფები, იხლართებოდა სხვადასხვა დამნაშავე დაჯგუფებათა შეთქმულებანი.

მეშუარული ლიტერატურის მოყვარულნი ხშირად თითქოს საზღვარგარეთული შორეთიდან აღწერენ იმ დროის ამბებს, თანაც აღწერენ ისეთ ამბებს რომლებიც მართლაც შორს იყო მათგან როგორც არსებითად, ისე იმ შედეგებით, რომლებსაც ეს მოვლენები იწვევდა.

მაგრამ ჩვენში არიან ისეთი ამხანაგები და ისეთი ძალიან ცნობილი მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზე გამოსცადეს სტალინური თვითნებობის მოქმედება და რომლებიც იმ განსაკუთრებით მძიმე დროშიც კი ვერ ურიგდებოდნენ ასეთ მოვლენებს, გამოთქამდნენ პროტესტს და მიმართავენ უშუალოდ სტალინს გულახდილი განცხადებებით.

ჩვენმა პატივემულმა მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვმა 1933 წლის გაზაფხულზე პროტესტის ხმა აღიმაღლა იმ თვითნებობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ დონზე ხდებოდა. ამას წინათ არქივებში იპოვნეს მიხეილ ალექსანდრეს-ძის ორი წერილი სტალინისადმი და სტალინის პასუხი ამ წერილებზე. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო შოლოხოვის ეს მართალი სისხლით დაწერილი სიტყვები იმ ადამიანთა აღმაშფოთებელი მოქმედების შესახებ, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ვეშენსკაიასა და დონის სხვა რაიონებში.

1933 წლის 16 აპრილის წერილში მიხეილ ალექსანდრეს-ძე სწერდა სტალინს: „ეს მაგალითები უსასრულოდ შეიძლება ჩამოითვალოს. ეს გადახრების ცალკეული შემთხვევები როდია, ეს არის პურის დამზადების რაიონული მასშტა-



ბით დაკანონებული „მეთოდი“. ამ ფაქტებზე მე შესაუბრენ ან, კომუნისტების ან თვით კოლმეურნენი, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ყველა ეს „მეთოდი“ და შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ და მოხოვდნენ „გახეთში გამეწერა ეს“.

ვახსოვთ თუ არა, იოსებ ბესარიონის-ძევე, კოროლენკოს ნარკვევი „დამშვიდებულ სოფელში“? აი სწორედ ასე „გააქრეს“ არა სამი გლეხი, რომლებზეც ეკვი მიიტანეს, რომ მათ კულაი გაქურდეს, არამედ ათეულ ათასობით კოლმეურნე. ამასთან, როგორც ხედავთ, ტექნიკის საშუალებათა უფრო ფართოდ გამოყენებით და მეტი გამომგონებლობით“.

შემდეგ შოლოხოვი სტალინს სთხოვდა დაჰკვირვებოდა იმას, რაც რაიონებში ხდებოდა. „საჭიროა არა მარტო იმათი საქმის გამოძიება, ვინც აბუჩად იგდებდა კოლმეურნეებსა და საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ იმათიც, ვისი ხელიც წარმართავდა მათ“.

„თუ ყოველივე ის, რაც მე აღვწერე, ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ღირსია, მაშინ გაგზავნეთ ვეშენსკაიას რაიონში ნამდვილი კომუნისტები, რომლებსაც ეყოფათ გამბედაობა პიროვნების განურჩევლად ამხილონ ყველა, ვინც სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ვეშენსკაიას რაიონის საკოლმეურნეო მეურნეობას, კომუნისტები, რომლებიც ნამდვილად გამოიძიებენ და გამოამჟღავნებენ არა მარტო იმათ, ვინც კოლმეურნეების მიმართ იყენებდა წამების, ცემატყევისა და დამკირების საზიზღარ „მეთოდებს“, არამედ იმათაც, ვინც ამ ამბების სულისჩამდგმელი იყო“.

შეიძლებოდა სხვა ნაწყვეტებიც მოგვეყვანა ამხ. შოლოხოვის წერილიდან, პირდაპირი, გულახდილი და გაბედული წერილიდან, რომელიც, სხვათა შორის, არ გამოქვეყნებულა არც მის თხზულებებში, არც მის მოგონებებში.

მაგრამ მე მინდა შეეჩერდე სხვა რამეზე — რა უპასუხა სტალინმა წერილზე მწერალ შოლოხოვს? მან მიხეილ ალექსანდრეს-ძეს მისწერა, „თქვენი წერილები რამდენადმე ცალმხრივ შთაბეჭდილებას ახდენსო“. სტალინის წერილში ნათქვამია:

„მე მადლობა გადაგიხადებ წერილებისათვის, ვინაიდან ისინი ამხილებენ ჩვენი პარტიული და საბჭოთა მუშაობის მტკივნეულ მხარეებს, ამხილებენ იმას, თუ როგორ ურტყამენ უნებურად ხანდახან მეგობრებს და საღიზმაძღე მიდიან ჩვენი მუშაკები, რომლებსაც მტრის ალაგმვა სურთ. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ყველაფერში გეთანხმები. თქვენ ხედავთ ერთ მხარეს, ხედავთ არცთუ ცუდად. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. პოლიტიკაში რომ არ შეცდეთ (თქვენი წერილები ბელეტრისტიკა კი არ არის, თავიდან ბოლომდე პოლიტიკაა), უნდა განიხილოთ, უნდა შეგეძლოთ საქმის მეორე მხარის დანახვაც. მეორე მხარე კი ის არის, რომ თქვენი რაიონის პარტიკომული მხენელ-მეთესველნი (და არა მარტო თქვენი რაიონისა) აწყობდნენ „იტალიანკას“ (საბოტაჟს!) და სიამოვნებით დასტოვებდნენ მუშებს, წითელ არმიას უპუროდ. ის ფაქტი, ძვირფასო აშხ. შოლოხოვ, რომ საბოტაჟი ჩუმი და გარეგნულად უწყინარი (უსისხლო) იყო, — ეს ფაქტი როდი ცვლის იმას, რომ პარტიკომული მხენელ-მეთესველნი არსებითად „ჩუმ“, დამუქლურებელ ომს აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ...“

რა თქმა უნდა, ეს გარემოება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებს იმ უმსგავსოებას, რაც, როგორც თქვენ ირწმუნებით, ჩვენმა მუშაკებმა ჩაიდინეს. — სწერდა შემდეგ სტალინი. — და ამ უმსგავსოებაში დამნაშავენი ჯეროვნად უნდა დაისაჯონ. და მაინც დღესაც ნათელია, რომ პარტიკომული მხენელ-

მთესველნი არც ისე უწყინარი ადამიანები არიან, როგორც ეს შორიდან მოეჩვენებოდა კაცს“.

აი, ხედავთ, თურმე მწერალი მიხილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი, რომელიც სტალინის სიგნალებს აძლევდა აღმამფთოთებელი უკანონობის შესახებ, მოვლენებს ისე ხედავდა, „როგორც ეს შორიდან მოეჩვენებოდა კაცს“. და ეს უთხრეს მწერალს, რომელიც ხალხის უზაგულში ტრიალებდა და შექმნა საუკეთესო, მართალი პარტიული წიგნი კოლექტივიზაციის შესახებ — „გატეხილი ყამირი“. (ხანგრძლივი ტაში).

როგორც ნამდვილი ბოლშევიკი მწერალი, მ. შოლოხოვი ვერ ურიგდებოდა აღმამფთოთებელ უსამართლობას, იგი აღდგა უკანონობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ სჩადიდონენ, მაგრამ სტალინმა ყურად არ იღო შოლოხოვის ეს სიგნალები, ისევე, როგორც სხვა გაბედული კომუნისტების მრავალი მსგავსი სიგნალი.

სტალინის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და თვითნებობის ფაქტები, რასაც იგი სჩადიდოდა, ჩვენ შევიტყვეთ მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ და მას შემდეგ, რაც მხილებულ იქნა ბერია — პარტიისა და ხალხის ეს დაუძინებელი მტერი, ჯაშუში და ბილწი პროვოკატორი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბერია, ეს საზიზღარი ადამიანი, რომელიც საკბროდ არც კი თვლიდა დაეფარა თავისი სიხარული სტალინის კუბოსთან, გაცოფებული ისწრაფოდა ძალაუფლებისაკენ, პარტიაში ლიდერობისაკენ. და ეს საშიშროება მაშინ რეალურად არსებობდა. ეს დიდ საფრთხეს უქმნიდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრებს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმესა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის წარმატებებს.

ბერია მსტალინის სიკვდილის პირველი დღეებიდანვე დაიწყო ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებმაც დეზორგანიზაცია შეიტანეს პარტიის მუშაობაში და რომელთა მიზანი იყო ძირის გამოთხრა საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობისათვის სოციალისტური ბანაკის მოძმე ქვეყნებთან. მაგალითად, მალენკოვთან ერთად მან შემოიტანა პროვოკაციული წინადადება მოგვეხდინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს ლიკვიდაცია, რჩევა მიგვეცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისათვის უარი ეთქვა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის ლოზუნგზე. მაშინვე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღმფთოთებით უარყო ეს მოღალატური წინადადებანი და გამანადგურებელი პასუხი გასცა პროვოკატორებს.

ლონისძიებებმა, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა, იხსნეს პარტია და ჩვენი ქვეყანა ბერიას, იმპერიალისტთა ამ პირწავარდნილი აგენტის საზიზღარი ზრახვებისაგან.

ამხანაგებო, იმას, ვინც ქმნის ნაწარმოებებს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შესახებ, მისი აწმყოსა და წარსულის შესახებ, ყველაფერი ეს კარგად უნდა ახსოვდეს, უნდა შეეძლოს ღრმად გაერკვეს ისტორიულ მოვლენებში. საბჭოთა ხალხმა დიდი და სახელოვანი გზა განვლო ძველი ბურჟუაზიული სამყაროს დანგრევიდან ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებამდე, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. (ხანგრძლივი ტაში).

ეს გზა იოლი როდი იყო; სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში ჩვენი ხალხი გმირულად ძლევდა ყველა სიძნელესა და გაქირვებას, რომლებიც მის გზაზე იქმნებოდა. სიძნელეთა გადალახვაში ყალიბდებოდა საბჭოთა ადამიანის, ახალი საზოგადოების ადამიანის, მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის მებრძოლის ხასიათი. მაღალი ლენინური იდეურობა, უდრევი ნებისყოფა, კო-



შენისტური იდეალების გამარჯვების მისაღწევად თავგანწირვისათვის (შხაიძე) ფნა, შესანიშნავი თვისებებია საბჭოთა ადამიანების იმ თაობებისა, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა. საბჭოთა ადამიანებისათვის უცხოა სკეპტიციზმი, უნებისყოფობა და მოდუნება, პესიმიზმი და სინამდვილისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება.

გაკვირვებას იწვევს, როცა ლიტერატურის ზოგიერთ ნაწარმოებში, კინოფილმსა თუ სპექტაკლში ათასნაირად აღწერენ ადამიანების უხალისო და მოსაწყენ განცდებს, მათი ცხოვრების სიძნელეთა გამო. ცხოვრების სურათების ასე დახატვა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც თვითონ არ მონაწილეობენ ხალხის შემოქმედებითს საქმიანობაში, გატაცებული არ არიან მისი შრომის პოეზიით და ყველაფერს შორიდან უცქერიან. პირადი გამოცდილებით შემიძლია ვითხრათ, როგორც იმ წლების მოვლენათა მონაწილე, რომლებსაც ხანდახან მეტი საღებავებითა და უფერული ტონებით ხატავენ, რომ ეს იყო ბედნიერი, სასიხარულო წლები, ბრძოლისა და გამარჯვებების, კომუნისტური იდეების ზეიმის წლები. (ხანგრძლივი ტაში).

ამას წინათ ამხ. ვალტერ ულბრიხტმა გვიჩვენა დოკუმენტალური კინოფილმი „რუსული სასწაული“, რომელიც გერმანელმა კინომწევეებმა ანელი და ანდრე ტორნდაიკებმა შექმნეს. ეს შესანიშნავი ფილმია. როცა ამ ფილმს ვუყურებდით, ჩვენს თვალწინ ჩაიარა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მართალმა სურათებმა. როცა ამას ვუყურებდით, სამოქალაქო ომის მონაწილეთა მასაში მე თითქოს საკუთარ თავს ვხედავდი, ასეთები იყვნენ იმ დღეების წითელი არმიის ნებრძოლები. ფილმი ჩვენი დოკუმენტალური მასალების მიხედვით არის გაკეთებული. როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, რომ ჩვენმა კინომწევეებმა რაც შეიძლება მეტი ასეთი კარგი, მართალი ფილმი შექმნან. ფილმი „რუსული სასწაული“ გვიჩვენებს ჩვენს გუშინდელ დღეს დღევანდელობასთან დაპირისპირებით. უყურებ ამ ფილმს და ფიქრობ — აი რამდენად წინ წავიდა ჩვენი ქვეყანა! (ტაში).

და ჩვენ გვინდა ვერჩიოთ ჩვენს ახალგაზრდებს: ისწავლეთ რევოლუციის ისტორიით, იმ ბრძოლის ისტორიით, რომლის მონაწილენი იყვნენ თქვენი მამები და დედები, წმინდად შეინახეთ იმათი ხსოვნა, ვინც აღარ არის, და პატივისცემით მოექცეთ იმათ, ვინც ცოცხალია, და ყველაფერი გადმოიღეთ მათგან, რომ ღირსეული ადამიანები, მამათა საქმის ღირსეული განმგრძობნი იყოთ. (მქუხარე ტაში). თუ ღირსება არ შეინარჩუნეთ, თავს შეირცხვენთ.

ჩვენ ღრმად გვწამს ჩვენი ხალხი, მისი ძალა, მისი შემოქმედებითი რევოლუციური სულისკვეთება. გვწამს, რომ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობა განაგრძობს თავისი მამების საქმეს, მუდამ ივლის ხალხის მხარდამხარ.

გამარჯვებისადმი დიდი მისწრაფებით აღფრთოვანებული მეგრძოლი ვერ ამჩნევს ლაშქრობათა და ბრძოლათა სიძნელეებს, რა მძიმეც უნდა იყოს ისინი. იგი სიცოცხლეს სწირავს იდეას, იმიტომ რომ უღარესად მწვავე ბრძოლის მომენტში იდეა დგას მისთვის ყოველ სიძნელეზე მაღლა, ყველაფერზე მაღლა.

ადამიანის მიერ ცხოვრების მოვლენებისა და ისტორიული ამბების შეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იდეურ პოზიციებზე იდგა და დგას თვითონ იგი თავის დამოკიდებულებაში ამ მოვლენებისა და ამბებისადმი. არის წიგნები ჩვენი რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ, რომლებიც დაუწერიათ ისეთ ადამიანებს, ვინც „თითქოს სხვენის სარკმლებიდან“ ადევნებდა თვალს რევოლუციას და ხალხის გარდამქმნელ საქმიანობას.

რევოლუციაზე, საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და საქმეებზე წიგნებს წერ-

დნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც რევოლუციამ გამოარეკა შეჩვეული თბილისელი ბუდეებიდან, რომლებმაც ვერ გაიგეს და არ მიიღეს რევოლუციის მოვლენა. თა ტალღები ისროდა მათ ერთი მხრიდან მეორეში — მოსკოვიდან ყირიმში, ყირიმიდან თბილისში, ხოლო იქედან მთელ მსოფლიოში. მოთხრობებში, რომანებსა და მეშუარეობებში ისინი ქექავენ თავიანთ განცდებს იმ სიძნელეთა გამო, რომლებიც თავს დაატყდა მათ და მათს მსგავსთ, წერენ იმაზე, თუ როგორ იკვებებოდნენ აყროლებული თევზითა და სხვა მსგავსით. ჩვენი საბჭოთა ადამიანები მაშინ ამარცხებდნენ მტრებს, ცუდად ჩაცმულნი და ნახევრადმშვიდნი, ზოგჯერ აყროლებული თევზიც რომ არ ჰქონდათ, მაგრამ კი არ წუწუნებდნენ და არ კენსოდნენ, არამედ მედგრადა იბრძოდნენ, თავდადებით იცავდნენ რევოლუციის მონაპოვრებს. (მქუხარე ტაში).

ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა პარტიულობას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. იგი მიესალმება ყველას — ლიტერატურისა და ხელოვნების როგორც მოხუც, ისე ახალგაზრდა მოღვაწეებს, პარტიულებსა და უპარტიოებს, რომლებიც მტკიცედ ადგანან კომუნისტური იდეურობის პოზიციებს მხატვრულ-შემოქმედების საკითხებში. ისინი პარტიის დასაყრდენი, მისი ერთგული ჯარისკაცები არიან. (ტაში).

ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ და მხარს დავუჭერთ, ვზრუნავთ და ვიზრუნებთ იმისათვის, რომ იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ჩვენი შემოქმედებითი ძალები, ირაზმებოდნენ რევოლუციონერ მხატვართა ერთიან, მებრძოლ ოჯახად, რომლებიც თანამიმდევრულად იცავენ თავიანთ შემოქმედებაში მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევაშის იდეებს, შეუირგებელნი არიან ყოველივე დამყაყებულის, უცხოის, მტრულისადმი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი. (ტაში).

აქ გამოვიდა პოეტი რ. როყდესტვენსკი. მან საპაექროდ გახადა ნ. გრიბაჩოვის ლექსი „არა ბიჭებო!...“ ამხ. როყდესტვენსკის გამოსვლაში ის აზრი გამოსქვიოდა, თითქოს მხოლოდ ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფი გამოთქვამდეს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის განწყობილებებს, რომ ისინი არიან ახალგაზრდობის დამრიგებელნი. ეს სრულებითაც არ არის ასე. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიამ აღზარდა, იგი პარტიას მიჰყვება, პარტია მიაჩნია თავის აღმზრდელად და ბელადად. (მქუხარე ტაში).

ახალგაზრდა პოეტს რ. როყდესტვენსკის მინდა მაგალითად მოეყვანო პოეტი ჯარისკაცი, რომელსაც მახვილი თვალი აქვს და რომელიც ზუსტად, აუცდენლად ურტყამს იდეურ მტერს. ეს არის კომუნისტური პოეტი ა. გრიბაჩოვი. (ტაში). ჩვენ ვცხოვრობთ მწვავე იდეური ბრძოლის პერიოდში, გონებისათვის, ადამიანთა ხელახალი აღზრდისათვის ბრძოლის პერიოდში. ეს რთული პროცესია, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე ჩარხებისა და ქარხნების გადაკეთება. თქვენ — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, — ხატონად რომ ეთქვა, — მჭედლები ხართ ადამიანთა ფსიქოლოგიის ხელახლა გამოსაჭედად. თქვენ გაქვთ ძლიერი იარაღი, და ეს თქვენი იარაღი ყოველთვის ხალხის ინტერესებისათვის უნდა მოქმედებდეს. (ტაში).

ზუსტად რომ ითქვას, უპარტიობა, არსებითად, არც არის საზოგადოებაში. და ის, ვინც საქვეყნოდ აცხადებს თავის უპარტიობას, ამას იმიტომ სჩადის, რომ დაფაროს, რომ არ ეთანხმება პარტიის შეხედულებებსა და იდეებს, რომ შეაგროვოს მომხრეები. ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა, როცა ყველაზე აშკარა რეაქციონერები და კონტრარევოლუციონერები გამოდიოდნენ უპარტიობის ლოზუნგით და მხოლოდ შემდეგ ვლინდებოდა მათი ბურჟუაზიული პარტიულობა. ასეთი მაგალითი ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ საბჭოთა ხელისუფლების



განმტკიცებდა: თვის ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლის ისტორიიდან. სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა პერიოდში მუშათა და გლეხთა მტრები სხვადასხვანაირად იყენებდნენ კომუნისტების წინააღმდეგ, სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს, ინიღბებოდნენ უპარტიობით.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ესერები, ანარქისტები, მენშევიკები, კადეტები და სხვა უწმინდურნი, რომლებიც ექსპლოატატორთა და ინტერვენტთა ნებას გამოხატავდნენ და მათი აგენტურა და მსახურნი იყვნენ, აშკარად და პირდაპირ გამოდიოდნენ რევოლუციის წინააღმდეგ, ლენინის წინააღმდეგ, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის მტრების ბანაკში იყვნენ კაპიტალისტები და მემამულეები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ უცხოელ ინტერვენტებთან. მთელი მენშევიკი, ესერი, ანარქისტი ნაძირალები კონტრრევოლუციის ემსახურებოდნენ, მისი შინაშესახური გახდნენ.

კონტრრევოლუციისა და ინტერვენციის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების ცეცხლში ჩვენი ქვეყნის მშრომელები გადიოდნენ პოლიტიკური აღზრდის სკოლას, თვითონ შეიძენეს პოლიტიკონა და წყვეტდნენ, ვის გაპყოლოდნენ, ვის მიმხრობოდნენ, ხდებოდნენ ბოლშევიკები.

ეს მეტად კარგად და დამაჯერებლად ნაჩვენებია დ. ფურმანოვის მოთხრობაში და კინოფილმ „ჩაპაევში“, ა. სერაფიმოვიჩის რომანში „რკინის ნაკადი“, ა. ფადეევის რომანში „განადგურება“, ნ. ოსტროვსკის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და ჩვენი საბჭოთა რევოლუციონერი მწერლების სხვა მხატვრულ ნაწარმოებებში. მათი ნაწარმოებები, გამსკვალული პარტიულობის იდეებით, ახლაც დიდ როლს ასრულებენ, ჩვენი პარტიის იარაღია მის იდეოლოგიურ მუშაობაში. შემთხვევითი როდია, რომ კუბასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, რომლებიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

იმის კვალობაზე, თუ როგორ უფრო მეტად და მეტად ეუფლებოდა ლენინის იდეები მუშათა და გლეხთა გონებას და მტკიცდებოდა კომუნისტების გავლენა ხალხში, იზრდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი, რევოლუციის მტრებმა სცადეს განედევნათ ბოლშევიკები და ხელთ ეგდოთ საბჭოები, მათ წამოაყენეს ლოზუნგი: „საბჭოები უკომუნისტებოდ“.

რა არის საბჭოები უკომუნისტებოდ? ეს არის რევოლუციურ შინაარსს მოკლებული ცარიელი ფორმა. კონტრრევოლუციონერებს კარგად ესმოდათ ეს და, რომ წამოაყენეს ლოზუნგი „საბჭოები უკომუნისტებოდ“, ფიქრობდნენ გადაექციათ საბჭოები — რევოლუციური ხელისუფლების ორგანოები მასებზე თავიანთი გავლენის გამაჯრელებლად, გამოეყენებინათ საბჭოების ავტორიტეტი თავიანთი ანტიხალხური ზრახვების განხორციელებისათვის.

საქმე ის როდია, თუ რა ეწოდება ამა თუ იმ ორგანიზაციას, არამედ ის, თუ რა პოლიტიკას ახორციელებს იგი, რომელი კლასის ინტერესებს იცავს.

მეგალითად, საფრანგეთში, დიდი ხანია არსებობს კომუნები. როგორც ხედავთ, მმართველობის ამ ორგანოებს რევოლუციური სახელი ეწოდება, მათი არსი კი კაპიტალისტურია და იცავენ მონოპოლისტთა ინტერესებს. რევოლუციური სიტყვა „კომუნა“ სრულებითაც არ აშინებს ბურჟუაზიას, იმიტომ რომ ეს სიტყვა ეწოდება მის მმართველობის ორგანოებს.

რამდენია ახლა სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიული მოღვაწე, რომლებიც სოციალისტური ფრაზეოლოგიით ფარავენ თავიანთ ბურჟუაზიულ პოლიტიკას.

ისინი აცხადებენ, რომ სოციალიზმს აშენებენ, და ამავე დროს საპარტიო წესდებებში სვამენ კომუნისტებს, სიკვდილით სჯიან, იატაკქვეშეთში ერეკებიან კომუნისტურ პარტიებს და ამბობენ, რომ იბრძვიან სოციალიზმისათვის. ამას იმიტომ სჩადიან, რომ სოციალიზმის იდეები სულ უფრო პოპულარული ხდება ყველა ქვეყნის ხალხთა მასებში, სწვდება მათს შეგნებას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მაგალითი რევოლუციური შუქურაა ხალხებისათვის. სწორედ ამიტომ ბურჟუაზიული მოღვაწეები, განსაკუთრებით მემარცხენე ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ფართოდ იყენებენ სოციალიზმის მშენებლობის ღოზუნგს მშრომელთა მოსატყუებლად.

ჩვენ იდეოლოგიის დარგი მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგი ვართ

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ ბრძოლაში არ შეიძლება მივედნოთ სიტყვებსა და დეკლარაციებს, უნდა შეგვეძლოს გამოვიცნოთ ვინ და რისთვის წამოაყენა ისინი. ამისათვის კი უწინარეს ყოვლისა საჭიროა იყო მარქსისტ-ლენინელი, მტკიცე კომუნისტი და შენს სიცოცხლეს, შენს ნიჟს ახმარდე ბრძოლას შრომის ადამიანთა ბედნიერებისათვის დედამიწაზე.

არ შეიძლება მიგაჩნდეს თავი მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლად, იდეგ მებრძოლ მხარეთა შორის გზაჯვარედინზე, და „გულგრილად ეკიდებოდე კეთილსა და ბოროტს“.

კლასობრივ ბრძოლაში ებმება საზოგადოების ყველა ფენა, ამ ბრძოლას ოჯახებშიც კი შეაქვს განხეთქილება. ხდება ისეც, რომ ერთი და იმავე ოჯახის წევრები ერთმანეთის წინააღმდეგ დგანან ბარიკადების სხვადასხვა მხარეს.

არის ადამიანთა კატეგორია, რომლებიც რევოლუციაში მონაწილეობის მიუღებლობას ხსნიან, ასე ვთქვათ, „ჰუმანური“ მოსაზრებებით; თურმე ნუ იტყვი, მათ არ შეუძლიათ აღმართონ ხელი ადამიანის წინააღმდეგ, მაგრამ ვინდა ხოცავს ადამიანებს, თუ არა ადამიანი?

რევოლუციებს ახდენენ საზოგადოებრივი კლასები. მუშებისა და გლეხების რევოლუცია კაპიტალისტური კლასის დასამხოვად ყველაზე ჰუმანური, ყველაზე ადამიანური საქმეა. ასეთ რევოლუციაში მონაწილეობა მუშებისა და გლეხების მხარეზე ჰუმანიზმის უმაღლესი გამოვლინებაა. ექსპლოატატორთა წყობილების დაუმხოვლად შეუძლებელია მშრომელთა განთავისუფლება და მათთვის ბედნიერი ცხოვრების შექმნა. განა ძნელია მიხვდე, რომ ისინი, ვინც მშრომელთა მხარეზე არ იბრძვის, არსებითად ბურჟუაზიას ეხმარებიან. ვინც მუშებისა და გლეხების მხარდამხარ არ მიდის, ის გარდუვალად მათი მოწინააღმდეგეა. ეს კარგად უნდა დაეხსოვოთ, ამხანაგებო! (ტაში).

გვხვდებოდნენ და ახლაც გვხვდებიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ეთანხმებიან კომუნისმის იდეას, ზოგჯერ კიდევაც იცავენ მას, მაგრამ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ. ფეხებში ებანდებიან მებრძოლებს, თავგზა ებნევათ და სხვებსაც თავგზას ურევენ.

რევოლუცია კეთილ-კეთილი სურვილები როდია, ეს მკაცრი და მწვავე ბრძოლაა. რევოლუციისათვის ბრძოლა საჭიროა არა მარტო რევოლუციის მსვლელობაში, არამედ მის მონაპოვართა განმტკიცების პერიოდშიც კომუნისმის საბოლოო აშენებამდე. აქ არ კმარა მარტოოდენ რეფერატები, ლექციები, მოხსენებები, საჭიროა სროლაში მონაწილეობაც. როცა ამას გარემოება მოითხოვს.



მერყევი ადამიანები კლასთა ბრძოლის რთულ პირობებში, ზეგვერდით ვისდაუნებურად, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. გაგონებთ ასეთ შემთხვევას, რომელიც ა. ვ. ლუნაჩარსკის გადახდა. იმით შეშინებული, რომ შეიარაღებული მუშების მიერ მტრისათვის დაშენილი ტყვია ისტორიულ ძეგლებს მოხვდებოდა და დააზიანებდა, იგი ვ. ი. ლენინთან მივიდა, საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოთქვა და კიდევაც იმუქრებოდა საბჭოთა მთავრობის შემადგენლობიდან გამოვალო. ვლადიმერ ილიას-ძემ სასაცილოდ აიგდო ეს ობივატელური წარმოდგენა რევოლუციაზე. შემდეგ ლუნაჩარსკი ამას თვითონაც მიხვდა.

ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამხანაგ ერენბურგზე. იყო დრო, როცა ამხანაგი ერენბურგი პარიზში ჩავიდა ვ. ი. ლენინთან. ლენინმა, როგორც თვითონ ერენბურგი წერს, თანაგრძნობით მიიღო იგი. ამხანაგი ერენბურგი პარტიაშიც კი შევიდა, ხოლო შემდეგ ჩამოსცილდა მას. უშუალო მონაწილეობა სოციალისტურ რევოლუციაში მას არ მიუღია და, როგორც ჩანს, გარეშე მყოფრების პოზიცია ეკავა. ვფიქრობ, სიმატლეს არ დავამახინებ, თუ ვიტყვი, რომ ასეთივე პოზიციებიდან აფასებს ამხანაგი ერენბურგი ჩვენს რევოლუციას და სოციალისტური მშენებლობის მთელ შემდგომ პერიოდს თავის მემუარებში: „ადამიანები, წლები, ცხოვრება“.

საბჭოთა მწერლის, მხატვრის, კომპოზიტორის, თვითელი შემოქმედებითი მუშაის უმაღლესი მოვალეობაა იყოს კომუნისმის მშენებელთა რიგებში, ემსახუროს თავისი ნიჭით ჩვენი პარტიის დიად საქმეს, იბრძოდეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა ორ შეურიგებელ იდეოლოგიას შორის — სოციალისტურსა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის.

ხელოვნის ამოცანაა აქტიურად შეუწყოს ხელი თავისი ნაწარმოებებით კომუნისტური იდეების დამკვიდრებას, გამანადგურებელ ლახვარს სცემდეს სოციალიზმისა და კომუნისმის მტრებს, იბრძოდეს იმპერიალისტების, კოლონიზატორების წინააღმდეგ.

ხელოვნების ამოცანების პატრიოტული, პარტიული გაგების შესანიშნავი მაგალითია ჩვენი გამოჩენილი მწერლის, მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვის შემოქმედება. ავიღოთ მისი რომანები „წყნარი დონი“ და „გატეხილი ყამირი“, მოთხრობა „ბედი კაცისა“, თავები რომანიდან „ისინი საშუალოლასათვის იბრძოდნენ“. ეს არის უდიდესი ძალის მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც გამსჭვალულია რევოლუციური პათოსით, კომუნისტური პარტიულობითა და რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით. ამხანაგი შოლოხოვი თვითონ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ბრძოლაში სამოქალაქო ომის დროს, კულაკობის, როგორც უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასის, ლიკვიდაციის პერიოდში, და ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში. იგი ამ ბრძოლებში მონაწილეობდა არა როგორც მეთვალყურე, არამედ როგორც მეთამარი, და მშვიდობიან დროს იგი ასეთივე მებრძოლია მშრომელთა ბედნიერებისათვის. (მქუხარე ტაში).

მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვს აქვს უდიდესი ნიჭი ღრმად ჩასწვდეს საზოგადოებრივი მოვლენებისა და ამბების არსს, კარგად ხედავდეს მეგობრებს, გამოიცნოს მტრები და ნიჭიერად, პარტიული პოზიციებიდან ასახოს რეალური ცხოვრების შთამბეჭდავი სურათები. დიდი სიყვარულით გვიხატავს იგი თავის ნაწარმოებებში კომუნისტებს, შრომის ადამიანებს.

შეურიგებელი კლასობრივი სიძულვილით ამხილებს და ურტყავს (განსაკუთრებით) საზოგადოებრივი წყობილების მტრებს. რა მკაფიოდ და დამაჯერებლად ხატავს ფიცხელი ბრძოლების სურათებს! თუ ხმალდახმალ ბრძოლაა, იბრძვიან ისე, რომ ხმლებს ნაპერწკლები სცვივა, იბრძვიან სამართლიანი სახალხო საქმისათვის, და ეს საქმე იმარჯვებს.

მიხეილ ალექსანდრეს-მე შოლოხოვის შემოქმედების მაგალითით ყველა ხედავს, რომ მწერლის კომუნისტური პარტიულობა არა მარტო არ ბოჭავს მისი მხატვრული ინდივიდუალობის გამოვლინებას, არამედ, პირიქით, აქტიურად უწყობს ხელს ტალანტის გაფურჩქვნას და აპყავს მისი ნაწარმოებები უმაღლესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დონემდე.

ჩვენ ხელოვნებაში კლასობრივ პოზიციებზე ვდგავართ და გადაჭრით გამოვდივართ სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის თანაარსებობის წინააღმდეგ. ხელოვნება იდეოლოგიის სფეროს ეკუთვნის. და ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საბჭოთა ხელოვნებაში შეიძლება ერთმანეთს შეეგუოს სოციალისტური რეალიზმიც, ფორმალისტური, აბსტრაქციონისტული მიმდინარებებიც, გარდუვალად ეშვებიან იდეოლოგიის დარგში მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენთვის უცხო პოზიციებზე. ასეთ განწყობილებებს წაუწყდით ამ უკანასკნელ ხანებში. ამ ანკესს, სამწუხაროდ, წამოეგო ზოგიერთი კომუნისტები — მწერლები და მხატვრები, ასე გასინჯეთ, შემოქმედებითი ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწეც კი. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი უპარტიოები, როგორც არის, მაგალითად, ამხ. ლ. სობოლევი, მტკიცედ იცავენ პარტიულ ხაზს ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ამას წინათ ამხ. ი. ერენბურგი ამბობდა, თანაარსებობის იდეა წერილში ზემორობის სახით არის გამოთქმული. ვთქვათ, რომ ასეც არის. მაგრამ მაშინ ეს ბოროტი ზემორობაა. იდეოლოგიის დარგში ასე ზემორობა არ შეიძლება. მოდით, გავერკვეთ, რა მოხდებოდა ნამდვილად საბჭოთა ხელოვნებაში, გამარჯვება რომ დარჩენოდათ ლიტერატურასა და ხელოვნებაში სხვადასხვა იდეური მიმართულების მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეებს. უწინარეს ყოვლისა იერიშს მიიტანდნენ ჩვენს რევოლუციურ მონაპოვრებზე სოციალისტური ხელოვნების დარგში. ბრძოლის ლოგიკით საეჭვოა, რომ საქმე ამით დამთავრებულიყო. გამორიცხული არ არის, რომ ეს ადამიანები, როცა ძალებს მოიკრებდნენ, შეეცდებოდნენ რევოლუციურ მონაპოვართა წინააღმდეგ გამოსვლას.

მე ერთხელ უკვე ვთქვი, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იდეოლოგიის დარგში მარქსიზმ-ლენინიზმისადმი ღალატია, მუშათა და გლეხთა საქმისადმი ღალატია. საბჭოთა საზოგადოება აბლა ისეთ ეტაპზეა, როცა მიღწეულია სრული, მონოლითური ერთიანობა ჩვენი ქვეყნის ყველა სოციალისტური ერისა, ხალხის ყველა ფენის—მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციისა, რომლებიც წარმატებით აშენებენ კომუნისტურ ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენი ხალხი და პარტია არ შეურიგდებიან ამ მონოლითური ერთიანობის რაიმე ხელყოფას. ასეთი ხელყოფის ერთ-ერთი გამოვლინებაა იმის ცდა, რომ თავს მოგვახვიონ იდეოლოგიათა მშვიდობიანი თანაარსებობა. აი რატომ ვუშენთ ცეცხლს ამ გამხრწნელ იდეებსაც და ამ იდეების მატარებლებსაც, და ამაში, იმედი მაქვს, ჩვენ ყველანი ერთსულოვანი ვართ. **(ხანგრძლივი ტაში).**

ხოლო იმათ, ვინც ჯერ კიდევ ცდება, ჩვენ მოვუწოდებთ ჩაფიქრდნენ, გაერკვნენ თავიანთ შეცდომებში, გაიგონ ამ შეცდომების ბუნება და სათავეები, დაძლიონ თავიანთი შეცდომები და პარტიასთან ერთად, საერთო მწყობრში, მარქსიზმ-ლენინიზმის წითელი დროშით აქტიურად მიიღონ მონაწილეობა



კომუნისმის მშენებლობაში, ამრავლონ სოციალისტური კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებანი.

აბსტრაქციონიზმი, ფორმალიზმი, სოციალისტურ ხელოვნებაში, რომლის არსებობის უფლებისათვისაც იბრძვიან ცალკეული მისი ქომაგნი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ფორმაა. სამწუხაროა, რომ ეს არ ესმის ზოგიერთ, მათ შორის ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულ შემოქმედებითს მუშაკს.

ამხანაგ ერენბურგის მემუარებში არის ასეთი ადგილი. მომყავს იგი: „იყო უამრავი ლიტერატურული სკოლა: კომფუტები, იმაინისტები, პროლეტულტელები, ექსპრესიონისტები, ფუისტები, უსაგურობის მიმდევარნი, პრეზენტისტები. აქციდენტისტები და არაფრელებიც კი. რა თქმა უნდა, ცოტა სისულელეს როდი ამბობდა ზოგიერთი თეორეტიკოსი... მაგრამ მე მინდა დავიცვა ის შორეული დრო“.

როგორც ჩანს, მემუარების ავტორი დიდი სიმპათიით ეპყრობა ეგრეთწოდებული „მემარცხენე“ ხელოვნების წარმომადგენლებს და ამოცანად ისახავს ამ ხელოვნების დაცვას. საკითხავია — ვისგან იცავს? ჩანს, ჩვენი მარქსისტულენინური კრიტიკისაგან. რისთვის შერება ამას? ეტყობა, იმისათვის, რომ დაიცვას ჩვენს თანამედროვე ხელოვნებაში ასეთ ან მსგავს მოვლენათა არსებობის შესაძლებლობა. ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ გვეცნო სოციალისტური რეალიზმისა და ფორმალიზმის თანაარსებობა. ამხანაგი ერენბურგი უხეშ იდეოლოგიურ შეცდომას სჩადის, და ჩვენი მოვალეობაა დავებმართ მას. რომ ეს შეიგნოს.

ჩვენს ამასწინანდელ შეხვედრაზე გამოვიდა და აბსტრაქციონიზმი დაიცვა ამხანაგმა ეტუშენკომ. იგი ცდილობდა თავისი პოზიცია იმით დაესაბუთებინა, რომ კარგი ადამიანები არიან რეალისტებს შორისაც და ფორმალისტებს შორისაც. ამასთან დაიმოწმა მაგალითი ორი კუბელი მხატვრის ცხოვრებიდან, რომლებსაც სრულიად სხვადასხვა შეხედულება ჰქონდათ ხელოვნებაზე, მაგრამ შემდეგ დაიღუპნენ ერთ სანგარში, როცა რევოლუციისათვის იბრძოდნენ. ასეთი ფაქტი ცხოვრებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, როგორც კერძო შემთხვევა.

შეიძლება მოვიყვანოთ სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის მაგალითი. სამოქალაქო ომის შემდეგ ჭალაკ არტემოვსკში, უკრაინაში, აშენდა მახინჯი ფორმალისტური ძეგლი, რომლის ავტორი იყო მოქანდაკე კუბისტი კავალერიძე. ეს საშინელი სანახაობა იყო, კუბისტები კი ალტაცებულნი იყვნენ (ომის წლებში ძეგლი დაინგრა). ფორმალისტური ძეგლის ავტორი ფაშისტების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩა და უღირსად იქცეოდა. ასე რომ ამხ. ეტუშენკოს მიერ მოყვანილი მაგალითი მის შეხედულებათა სერიოზულ არგუმენტად არ გამოდგება.

ამხ. ეტუშენკოს პოზიცია აბსტრაქციონიზმის მიმართ არსებითად ემთხვევა შეხედულებებს, რომლებსაც ამხ. ერენბურგი იცავს. პოეტს, ჯერ ახალგაზრდა კაცს, ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ არ ესმის ჩვენი პარტიის პოლიტიკაში, მერყევი და ცვალებადი შეხედულებები აქვს ხელოვნების საკითხებზე. მაგრამ მისი გამოსვლა იდეოლოგიური კომისიის სხდომაზე გვარწმუნებს, რომ იგი შეძლებს გადალახოს ეს მერყეობა. მინდა ვურჩიო ამხ. ეტუშენკოს და სხვა ახალგაზრდა ლიტერატორებს გაუფრთხილდნენ მასების ნდობას, ნუ გამოეკიდებიან იაფფასიან სენსაციას. ნუ შეეგუებიან ობიგატელთა განწყობილებებსა და გემოვნებს. **(ხანგრძლივი ტაში)**. ნუ შეერცხვებით, ამხ. ეტუშენკო, აღიაროთ თქვენი შეცდომები. ნუ შეშინდებით იმის გამო, თუ რას იტყვიან თქვენ-

ზე მტრები. თქვენ ნათლად უნდა შეიგნოთ, რომ თუ ჩვენ გააკრიტიკებთ პრინციპული პოზიციებიდან გადახვევისათვის, მოწინააღმდეგენი თქვენს შეხედულებებს ებრძვიან. თუ ჩვენი საქმის მოწინააღმდეგენი გაქვებ-გადიდებენ მათთვის სასურველი ნაწარმოებებისათვის, ხალხი სამართლიანად გაგაკრიტიკებთ. მაშ აირჩიეთ, რა გირჩევნათ. (ტაში).

კომუნისტური პარტია იბრძვის და იბრძოლებს აბსტრაქციონიზმისა და ყოველგვარი სხვა ფორმალისტური სიმახინჯის წინააღმდეგ ხელოვნებაში. ჩვენ ნეიტრალური ვერ ვიქნებით ფორმალისმის მიმართ. როცა ამერიკაში ვიყავი, ვილაყა მხატვრებმა — არ ვიცი, ცნობილი არიან თუ არაცნობილი, — მაჩუქეს სურათი. გუშინ გაჩვენეთ ეს ნათხუპნი. როგორც ჩანს, ეს ხალხი ჩემი მტრები არ არიან, თორემ არ მომიძღვნიდნენ თავიანთი შრომის ნაყოფს. მაგრამ მე ამ პირობებშიც კი ვერ ვიტყვი, რომ მოძღვნილი საჩუქარი სახვითი ხელოვნების უმაღლესი შედეგია ან საერთოდ შედეგია იყოს.

მითხარით, რა არის აქ გამოსახული? ამბობენ, ხიდიდან ქალაქის ხედი დახატულიო. როგორც უნდა დააყვირდე, ვერაფერს დაინახავ, გარდა სხვადასხვა ფერის ზოლებისა. და ამ ნათხუპნს სურათს უწოდებენ!

კიდევ ერთი ასეთი „შედეგია“. ჩანს ოთხი თვალი, შეიძლება მეტიც იყოს. ამბობენ, ეს სურათი საშინელებას, შიშს გამოხატავსო. რა სიმახინჯემდე მიჰყავთ ხელოვნება აბსტრაქციონისტებს! ეს ამერიკული ფერწერის ნიმუშებია.

აი რამდენიმე შემთხვევა ჩვენი არქიტექტურული ხელოვნების დარგიდან. მოსკოვში, სოკოლნიკში, არის რუსაკოვის სახელობის კლუბი, რომელიც აშენებულია არქიტექტორის ამხანაგ მელნიკოვის პროექტით. ეს მახინჯი, მოუხერხებელი, რალაც ეშმაკეული ნაგებობაა. (გამოცოცხლება დარბაზში). მაგრამ თავის დროზე მას გვთავაზობდნენ როგორც პროგრესულ სიახლეს.

არქიტექტურაში ფორმით უგუნური გატაცების ნიმუშია მოსკოვის საბჭოთა არმიის თეატრიც, რომელიც აგებულია არქიტექტორების ალაბიანისა და სიმბირცევის პროექტით. კაჯანოვიჩმა არქიტექტორებს თავს მოახვია სულელური იდეა აშენებინათ თეატრი ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით. ერთი ხუთქიმიანი ვარსკვლავი როგორც სიმბოლო, როგორც ემბლემა, სხვა რამეა პრაქტიკული დანიშნულების შენობა, რომელიც აგებულია ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით. რამდენია აქ უმაქნისი კუთხე, უსარგებლო ფართობი!

საბჭოთა არმიის თეატრი, როგორც ჩანს, ყველაზე უგუნურად აშენებული ნაგებობაა. საქმე ასე იყო: კაჯანოვიჩმა თავისი იდეა სტალინს გააცნო, იგი მას მოეწონა და გადაწყდა ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახის შენობის აგება. ამ ვარსკვლავს ვერაჯინ ვერ ხედავს და ვერც დაინახავს: მას უნდა ციდან შეხედოთ. (სიცხილი დარბაზში). სულელური იდეაა, ეს ხელოვნებასა და ცხოვრებაში სილამაზის და გონიერების უმწიფარი წარმოდგენების ნაყოფია.

ყოვლად გაუგებარია, რატომ, რისთვის სულელობენ, იმანქებიან გონიერი, განათლებული ადამიანები და ხელოვნების ნაწარმოებად ასაღებენ უაზრო ნაკეთობებს. მათი გარემო ცხოვრება კი აღსავსეა ბუნებრივი, მომხიბლავი სილამაზით.

ახალი წლის წინა დღეს ქალაქგარეთ ვიყავი და მოსკოვში ვბრუნდებოდი. 31 დეკემბერს დილიდან მთელი დღე ტყეში გავატარე. ეს პოეტური დღე, რუსული ზამთრის ულამაზესი დღე იყო, სწორედ რუსული ზამთრისა, იმიტომ რომ ყველგან როდი იცის ისეთი ზამთარი, როგორიც ჩვენში, რუსეთში. ეს, რა თქმა უნდა, ეროვნული კი არა, კლიმატური, ბუნებრივი მოვლენაა, ისე რომ გთხოვთ სწორად გაიგოთ ჩემი სიტყვები. (სიცხილი დარბაზში. ტაში).

ძალიან ლამაზი იყო იმ დღეს ტყე. მის სილამაზეს ის შეადგენდა, რომ ტყე დათრთვილული იყო. მახსოვს, სიჭაბუკეში ჟურნალ „ოგონიერება“ წვეულებზე რაღაც მოთხრობა, ვერ გავიხსენე ამ მოთხრობის ავტორი, მოთხრობაში იყო ასეთი სიტყვები: „მშვენიერი ვერცხლისფრად მზზინავი ჩრდილები“. ავტორი აღწერდა ზამთრის სამკაულით შემოსილ ბაღს. მოთხრობა, ეტყობა, კარგად იყო დაწერილი, ან შეიძლება მაშინ მე უფრო ნაკლებად მომთხოვნელი ვიყავი ლიტერატურისადმი. მაგრამ მოთხრობა მომეწონა და ახლაც კარგად მახსოვს შთაბეჭდილება, რაც მან ჩემზე მოახდინა. განსაკუთრებით მომეწონა დათოვლილი ხეების აღწერა.

ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ზამთრის ტყემ ახალი წლის წინა დღეს, იმდენად მშვენიერი იყო იგი. შეიძლება, ჩრდილები ვერცხლისფრად არც კი ბზინავდა, მე სიტყვები არ მყოფნის, რომ გამოვთქვა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ტყემ მოახდინა. მე ვხედავდი მზის ამოსვლას, თრთვილით დაფარულ ტყეს. ამ სილამაზეს მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ტყეში და უნახავს ასეთი ცოცხალი სურათები. მხატვრის უპირატესობა სწორედ ის არის, რომ მას შეუძლია თვითონ წარმოსახოს მომხიბლავი სურათები, მაგრამ ეს ნიჭი ყველას როდი აქვს მომადლებული.

მე თანამგზავრებს ვუთხარი: შეხედეთ ამ ნაძვებს, მათს სამკაულს, ამ ფიფქებს, რომლებიც ციმციმებენ და ბრჭყვიალებენ მზის სხივებზე, რა საოცრად ლამაზია! და აი მოდერნისტებს, აბსტრაქციონისტებს სურთ ეს ნაძვები თავდაყირა დახატონ და ამბობენ, ეს ხელოვნებაში ახალი პროგრესული მოვლენააო.

შეუძლებელია, რომ ასეთი ხელოვნება ოდესმე აღიარონ ნორმალურმა ადამიანებმა, რომ ადამიანები მოკლებული იყონ შესაძლებლობას დატყნენ ბუნების წარმტაცი სურათებით, რომლებიც წარმოსახულია მხატვართა ქმნილებებში, ჩვენს კლუბებს, კულტურის სახლებსა და ბინებს რომ ამშვენებენ.

შეიძლება ზოგიერთმა თქვას, ხრუშჩოვი ხელოვნებაში ფორტოგრაფიზმისაკენ, ნატურალიზმისაკენ მოგვიწოდებსო. არა, ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ მკაფიო მხატვრული შემოქმედებისაკენ, რომელიც სიმართლით წარმოსახავს რეალურ სამყაროს, მთელ მის მრავალფეროვნებას. მხოლოდ ასეთი ხელოვნება გაახარებს და დაატყობს ადამიანებს. ადამიანი არასოდეს არ დაკარგავს მშვენიერების შეგრძნების უნარს და არ შეურიგდება, რომ ხელოვნების ნაწარმოებად შეატყუონ ბინძური ნათხუპნი, რომელიც ყოველს ვირს შეუძლია შეითხნოს თავისი კუდილი. **ტაშვი.**

უეჭველია, ხალხი თავის წიაღში ჰპოვებს ძალას საკადრისი პასუხი გასცეს ამგვარ „ნოვატორებს“. და ისინი მათგან, ვისაც გონება არ დაუკარგავს, ჭკუაზე მოვლენ და ხალხისადმი სამსახურის გზას დაადგებიან, შექმნიან სიხარულით აღსავსე მხატვრულ ტილოებს, რომლებიც შრომისათვის მოგვიწოდებენ.

გაუგებარია, რატომ ნათლავენ ფორმალიზმის, აბსტრაქციონიზმის მომხრენი კონსერვატორებად ხელოვნების იმ მუშაკებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგანან, ხოლო რატომ მიაჩნიათ აბსტრაქციონისტები ხელოვნებაში მოწინავეს წარმომადგენლებად. არის თუ არა ამის საფუძველი? ვფიქრობ, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არის, და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან ფორმალიზმი და აბსტრაქციონისტული ჯამბაზობა უცხო და გაუგებარია ხალხისათვის. ხოლო ყველაფერი, რაც უცხოა ხალხისათვის, რასაც მხარს არ უჭერს ხალხი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მოწინავე იყოს!

ამას წინათ მხატვარმა ა. ი. ლაქტიონოვმა „პრავდაში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გამოხატა თავისი შეურიგებელი დამოკიდებულება აბსტრაქციონისტული ხელოვნებისადმი. აბსტრაქციონისტებმა და მათმა მფარველებმა გა-

ლანძღეს ეს სტატია იმისათვის, რომ ფითქოს იგი მიძღვნილია კონსერვატიული მიმართულებისადმი ხელოვნებაში. და ეს ადამიანები აბუნად ივდებენ ამ სტატიათა თვითონის ფერწერას, როგორც ნატურალისტურს.

მოდით შევადაროთ ფერწერის ორი ნაწარმოები—ა. ლაქტიონოვის ავტოპორტრეტი და ბ. ქუტოვსკის ავტოპორტრეტი. რასაც უნდა ფიქრობდნენ და რასაც უნდა ამბობდნენ ზოგნი ამის შესახებ, ყოველი სალად მოაზროვნე ადამიანისათვის, რომელსაც გაფუჭებული არა აქვს გემოვნება, ცხადია, რომ მხატვარ ლაქტიონოვის სურათი გვიზიდავს თავისი ადამიანურობით და იწვევს პატივისცემას ადამიანისადმი. ამ სურათს რომ უყურობ, მზერით ტკბები და ხარობ ადამიანისათვის.

ხოლო ვინ წარმოსახა ბ. ქუტოვსკიმ? მახინჯი! ამ ავტოპორტრეტს რომ ნახვთ, შეიძლება შეშინდეთ. როგორ არ რცხვენია ადამიანს ხარჯოს თავისი ძალღონე ასეთი უმსგავსოებისათვის! ეს როგორ, ადამიანმა დაამთავრა საბჭოთა საშუალო სკოლა, ინსტიტუტი, მასზე ხალხის ფული დაიხარჯა, იგი ხალხის პურს ქაშს. მერე რით უხდის სამაგიეროს ხალხს, მუშებსა და გლეხებს იმ სახსრებისათვის, რაც მათ დახარჯეს მისი განათლებისათვის, იმ სიკეთისათვის, რასაც ისინი აძლევენ მას ამჟამად, — აი ასეთი ავტოპორტრეტით, ამ სისაძაგლითა და საშინელებით? ზიზღს იწვევს ასეთი ბინძური ნათხუნი და ზიზღს იწვევენ ისინი, ვინც ამას იცავს.

რა საგინებელი სიტყვითაც უნდა იხსენიებდნენ იმ მხატვართა შემოქმედებას, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დგანან, და როგორადაც უნდა აქებ-ადიდებდნენ აბსტრაქციონისტებსა და ყველა სხვა ფორმალისტებს, — ყველა სალად მოაზროვნე ადამიანს ნათლად ესმის, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ნამდვილ მხატვრებთან, ნამდვილ ხელოვნებასთან, მეორე შემთხვევაში კი — დამახინჯებულ ადამიანებთან, რომლებსაც, როგორც იტყვიან, ტვინი აქვთ ნაღრძობი, უხამს ხალტურასთან, რომელიც შეურაცხყოფს ადამიანთა გრძნობებს. (ტაში).

საბჭოთა საზოგადოება იშორებს ყოველივე მკვდრადშობილს ხელოვნებაში, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმი იშორებს ხოლმე გაქვავებულ, მკვდარ უჯრედებს.

ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, იდეოლოგიურ მუშაობაში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება მუსიკალური შემოქმედების მიზანდასახულობის შესახებ. ჩვენ არ გვინდა ვიყოთ რაიმე განმსჯელნი ან ვიდგეთ პულტთან და ვდირიჯორობდეთ კომპოზიტორებს.

მუსიკაში, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგებში. ბევრი სხვადასხვა ჟანრი, სტილი, ფორმაა. არავინ სრულებითაც არ კრძალავს რომელიმე ამ სტილს და ჟანრს. მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ჩამოვყალიბოთ ჩვენი დამოკიდებულილება მუსიკისადმი, მისი ამოცანებისადმი და მუსიკალური შემოქმედების მიზანდასახულობისადმი.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა მელოდიური, შინაარსიანი მუსიკა, რომელიც აღაფრთოვანებს ადამიანებს, წარმოშობს მძლავრ გრძნობებს, და ვიბრძვით ყოველგვარი კაკოფონიის წინააღმდეგ.

ვინ არ იცის სიმღერები ბუდიონის არმიანზე! ბევრი კარგი სიმღერა დაწერეს კომპოზიტორებმა — ძმებმა პოკრასებმა. მე ძალიან მომწონს მათი სიმღერა მოსკოვზე, რომელიც, ვაღიარებ, დაწერილია ჩვენი შეკვეთით, როცა მე პარტიის მოსკოვის კომიტეტის მდივანი ვიყავი. მახსოვს, შევიკრიბეთ მოსკოვის



კომიტეტში, და ერთერთმა მათგანმა პირველად გვიმღერა ეს სიმღერა, იგი კარგი მომღერალი ვერ არის, მაგრამ მუსიკა ძმებმა პოკრასებმა კარგად დაწერეს.

ანდა როგორ გვადღელებს ძველი რევოლუციური სიმღერები, ისეთები, როგორიც არის „Замучен тяжелой неволей“, „ვარშავიანკა“! ვინ არ არის „ინტერნაციონალი“? რამდენი წელია ვმღერით ამ სიმღერას, იგი მუშათა კლასის საერთაშორისო ჰიმნი გახდა. რა რევოლუციურ აზრებსა და გრძნობებს გვიღვიძებს იგი, აღანთებს ადამიანს, რაზმავს მას მშრომელთა მტრების წინააღმდეგ!

როცა გლინიკას მუსიკას ვუსმენ, ყოველთვის სიხარულის ცრემლები მომდის თვალებზე.

შეიძლება, ეს არ არის მოდური, ძველებურია, მე კი ასაკით ახალგაზრდა აღარა ვარ, მაგრამ მომწონს, როცა დავით ოსტრახი უკრავს ვიოლინოს; ძალიან მომწონს აგრეთვე, როცა გამოდის დიდი თეატრის მევიოლინეთა კოლექტივი, მე არ ვიცი, რა ჰქვია ამ კოლექტივს პროფესიულ ენაზე. ბევრჯერ მომისმენია მისი გამოსვლები და ყოველთვის დიდი სიამოვნება მიგრძენია.

რასაკვირველია, არა მაქვს იმის პრეტენზია, რომ მუსიკის ჩემეული აღქმა რაიმე ნორმა გახდეს ყველასათვის. მაგრამ ხომ არ შეგვიძლია წავაქვზოთ ის, ვინც ბევრების კავოფონიას ნამდვილ მუსიკად ასაღებს ხალხის საყვარელ მუსიკას კი ზოგნი აბუჩად იგდებენ, როგორც მოძველებულს.

ყოველ ხალხს აქვს თავისი ტრადიცია მუსიკაში და უყვარს თავისი ეროვნული, ხალხური მელოდიები და სიმღერები. მე რუსულ სოფელში დავიბადე, რუსულ და უკრაინულ ხალხურ მუსიკაზე, მის მელოდიებსა და ხალხურ სიმღერებზე აღვიზარდე. დიდ სიამოვნებას ვიანიციდი, როცა ვისმენ სოლოვიოვ-სედოის სიმღერებს, კომპოზიტორ კოლმანოვსკის სიმღერას „უნდათ თუ არა რუსებს ომი“, რომლის ტექსტი პოეტ ვეტუშენკოს ეკუთვნის. ძალიან მომწონს უკრაინული სიმღერებიც: მიყვარს სიმღერა „რუშნიჩოკი“, რომელიც ანდრია მალიშკოს ტექსტის მიხედვით დაწერა კომპოზიტორმა პ. მაიბოროდამ. ისმენ ამ სიმღერას და გინდა კიდევ მოისმინო. ჩვენში ბევრია კარგი კომპოზიტორი, და ბევრი კარგი სიმღერა დაგვიწერეს, მაგრამ მე, როგორც გამოცემთ, არ შემძლია ყველა ჩამოვთვალო ჩემს გამოსვლაში.

მუსიკალურ შემოქმედებაში სერიოზული ნაკლოვანებებიც არის. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ ჯახური მუსიკითა და ჯახებით გატაცება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი მუსიკისა ჯახებისათვის. სხვადასხვაგვარი არის ხოლმე ჯახები და სხვადასხვაგვარია მათი მუსიკა. დუნაევსკი ჯახებისთვისაც კარგ მუსიკას წერდა. მე მომწონს ზოგიერთი სიმღერა იმ ჯახის შესრულებით, რომელსაც ლეონიდე უტიოსოვი ხელმძღვანელობს. მაგრამ არის ისეთი მუსიკაც, რომელიც გულღვიძლს გირეცს.

რუსეთის სფსრ კომპოზიტორთა კავშირის პლენუმის შემდეგ ამხანაგმა შოსტაკოვიჩმა მიგვიწვია კონცერტზე კრემლის თეატრში. თუმცა ჩვენ ძალიან მოუტყეველი ვიყავით, მაგრამ წავედით მუსიკის მოსასმენად, გვითხრეს, კონცერტი საინტერესო იქნებაო. და იქ მართლაც, როგორც დაერწმუნდით, იყო საინტერესო ნომრები. მაგრამ შემდეგ რატომღაც გამოუშვეს ერთი ჯახი, მეორე, მესამე, შემდეგ სამივე ერთად. ჯერ კარგიც რომ იყოს, თუ ბევრია, ძნელი მოსასმენი ხდება, ხოლო ჯახური მუსიკის ასეთი ნიაღვარი მთლად აუტანელი იყო. დიამალბოდი, მაგრამ სად.

მუსიკა, რომელშიც არ არის მელოდიები, გაბრაზების გარდა არაფერს არ იწვევს. ამბობენ, ეს იმიტომ ხდება, რომ არ გესმითო. მართლაც, არის ხოლმე

საზოგადოებრივი
საბჭოთაო

ისეთი ვაზუური მუსიკა, რომ მისი გაგება არ შეიძლება და მოსასმენადაც საზოგადოებრივად არაა.

აღსფოთების გრძნობას იწვევს ზოგიერთი ეგრეთწოდებული თანამედროვე ცეკვა, რომელიც დასავლეთიდან შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში. ბევრი მომღვაურია ჩვენს ქვეყანაში. მინახავს რუსული, უკრაინული, ყაზახური, უზბეკური, სომხური, ქართული და სხვა ცეკვები. ეს ლამაზი ცეკვებია, სასიამოვნოა მათი ყურება. ის კი, რასაც თანამედროვე მოღურ ცეკვებს უწოდებენ, პირდაპირ რაღაც უხამსობა, გაშმაგებაა, ეშმაკმა უწყის, რა არის! ამბობენ, ასეთ უხამსობას მარტო ტრიასუნების სექტებში თუ ნახავო. არ შემოიძლია დაედასტურო, ვინაიდან თვითონ არასოდეს არ ვყოფილვარ ტრიასუნების თავყრილობაზე. (სიცოლი დარბაზში).

თურმე, შემოქმედებით მუშაკთა შორის არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც საგულდაგულოდ ასაბუთებენ, თითქოს მელოდიამ მუსიკაშიც არ სებობის უფლება დაკარგა და იგი უნდა შეცვალოს „ახალმა“ მუსიკამ — „დოდეკაფონიამ“, ჩქამების მუსიკამ. ნორმალური ადამიანისათვის ძნელია გაიგოს, რას გულისხმობენ სიტყვა „დოდეკაფონიით“, მაგრამ ალბათ ეს იმასვე ნიშნავს, რასაც სიტყვა „კაკოფონია“. აი სწორედ ამ კაკოფონიას მუსიკაში პირწმინდად უარყოფთ. ჩვენს ხალხს არ შეუძლია გამოიყენოს ეს ნაგავი თავისი იდეური შეიარაღებისათვის.

შეძახილები: სწორია! (ტაში).

ჩვენ გვინდა შთამაგონებელი მუსიკა, რომელიც მოგვიწოდებს მხედრული გმირობისა და შრომისათვის. ჟარისკაცი, როცა საბრძოლველად მიდის, იღებს იმას, რაც სჭირდება, და ორკესტრს არასოდეს არ ტოვებს. ლაშქრობაში ორკესტრი აღაფრთოვანებს ადამიანებს. ასეთი ორკესტრებისათვის მუსიკის შექმნა შეუძლიათ და კიდევაც ქმნიან კომპოზიტორები, რომლებიც დგანან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე, არ სწყყებიან ცხოვრებას, ხალხის ბრძოლას, და რომლებსაც მხარს უჭერს ხალხი.

ჩვენი პოლიტიკა ხელოვნებაში, პოლიტიკა შეურიგებლობისა აბსტრაქციონიზმისადმი, ფორმალიზმისა და ყველა სხვა ბურჟუაზიული დამახინჯებისადმი ლენინური პოლიტიკაა, რომელსაც ჩვენ განუხრებლად ვაბორციელებდით, ვაბორციელებთ და განვაბორციელებთ. (ტაში).

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამტკიცებდა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება უნდა ემსახურებოდეს მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ხალხის ინტერესებს.

ეგრეთწოდებულ მემარცხენე ხელოვნებას, რომელსაც ზოგიერთნი ხობას ასხამენ, ვლადიმერ ილიას-ძე ყოველად უაზრო მანქვა-გარებსას, ზებუნებრივსა და შეუსაბამოს უწოდებდა. ახლა ვრცელდება მითი, ვითომ ლენინი შეწყნარებოდა და თანაგრძნობითაც კი ეკიდებოდა ფორმალისტურ ვარჯიშს ხელოვნებაში. ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებათა შესახებ სიცრუის გავრცელების მონაწილეა, სამწუხაროდ, ამხ. ერენბურგიც. თავის მემუარებში იგი წერს: „ა. ვ. ლენინისკი მიამბობდა, რომ, როცა მან ჰკითხა ლენინს, შეიძლება თუ არა მივანდოთ „მემარცხენე“ მხატვრებს წითელი მოედნის მორთვა საპირველმისოდო, ვლადიმერ ილიას-ძემ უპასუხა: „მე ამის სპეციალისტი არა ვარ, არ მინდა თავს მოვახვიო სხვებს ჩემი გემოვნება“.

აქ ამხ. ერენბურგი აგრძნობინებს მკითხველს, თითქოს ლენინს შესაძლებლად მიაჩნდა სხვადასხვა იდეური მიმართულების თანაარსებობა საბჭოთა ხელოვნებაში.

სწორი არ არის ეს, ამხანაგო ერენბურგო! თქვენ კარგად იცით, რომ სწო-



რედ ლენინმა წამოაყენა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურებზე და პარტიულობის პრინციპი. შემდეგ ამას მხურვალედ დაუჭირეს მხარეში მხარე და სხვა მწერლებმა, რომლებიც მტკიცედ დადგნენ საბჭოთა ხელისუფლების პოზიციებზე. მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლის პოზიციებზე, კომუნის გამარჯვებისათვის ბრძოლის პოზიციებზე.

პარტიულობისათვის, იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის ვლადიმერ ილიას-მე ლენინი დიდად აფასებდა მაქსიმ გორკის მოთხრობა „დედას“.

მხატვრულ ნაწარმოებთა ძალა მხატვრული ოსტატობა, იდეური პოზიციების სიციხადე და გარკვეულობა, მაგრამ თურმე ეს ყველას როდი მოსწონს. ზოგჯერ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა იდეურ სიციხადეზე იერში მიაქვთ რიტორიკულობისა და დამრიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მომიზეზებით. ყველაზე, აშკარა ფორმით ასეთი განწყობილებანი გამოვლინდა ნეკრასოვის წერილებში „ოკეანის ორივე მხარეს“, რომლებიც ეურნალ „ნოვი მირში“ დაიბეჭდა. აფასებს რა ფილმ „ილიის საგულშაგოს“, რომელიც ეკრანზე ჯერ კიდევ არ გამოსულა, იგი წერს: „უსაზღვროდ მადლობელი ვარ ხუციევის და შპალიკოვისა, რომ მათ ჭაღარა უღვაშით არ გამოათრიეს ეკრანზე ყოვლისმცოდნე, ყველაფერზე ზუსტი, გარკვეული პასუხის გამცემი ძველი მუშა. ის რომ ასეთი ჭკუისდამრიგებელი სიტყვებით გამოჩენილიყო, სურათი დაილუპებოდა“.

შემახილები: სირცხვილია!

და ამას წერს საბჭოთა მწერალი საბჭოთა ეურნალში! არ შეიძლება აღუშფოთებლად წაიკითხოთ ძველ მუშაზე ასეთი რამ, რაც დაწერილია ბატონ-კაციური აგდებულ ტონით. ვფიქრობ, რომ ამგვარი საუბრის ტონი სრულიად დაუშვებელია საბჭოთა მწერლისათვის.

თანაც ჩემს მიერ დასახელებულ წერილებში გამოხატულია დამოკიდებულება არა მარტო ხელოვნების კერძო შემთხვევისადმი, არამედ გამოცხადებულია ჩვენი ხელოვნებისათვის სრულიად მიუღებელი პრინციპი. და არ შეიძლება გადაჭრით არ უარყვოთ ეს.

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობა ყველა ჩვენი

წარმატების საწინდარი

ცალკეულ მუშაკებს შორის შეიძლება გაიგონოთ ლაპარაკი პიროვნების რაღაც აბსოლუტურ თავისუფლებაზე. არ ვიცი, რას გულისხმობენ აქ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პიროვნების აბსოლუტური თავისუფლება არასოდეს, კომუნის დროსაც კი არ იქნება. „ჩვენ „აბსოლუტები“ არა გვწამს“, — უპასუხებდა თავის დროზე ვლადიმერ ილიას-მე ლენინი „აბსოლუტური თავისუფლების“ მომხრეებს (თხზ., ტომი 32, გვ. 644). კომუნის დროსაც ერთი ადამიანის ნება უნდა ემორჩილებოდეს მთელი კოლექტივის ნებას. თუ ეს არ იქნა, მაშინ ანარქული თავნებობა არეგდარევისა და დეზორგანიზაციის შეიტანის საზოგადოების ცხოვრებაში. თუ არ არის ორგანიზაციული, წარმმართველი საწყისი, ისე ვერ იარსებებს არა მარტო სოციალისტური საზოგადოება, არამედ ვერაერთარი საზოგადოებაც, ვერაერთარი საზოგადოებრივი სისტემა, ადამიანთა თუნდაც სულ მცირე კოლექტივი.

მტკიცება არ ესაჭიროება იმას, რომ საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე, პირველყოფილი მდგომარეობით დაწყებული, ადამიანები, ცხოვრების სახსრები რომ ეშვონათ, კოლექტივებად ერთიანდებოდნენ. ჩვენს

დროში კი, ატომის, ელექტრონიკისა და კიბერნეტიკის, ავტომატიკის, ნაკადუ-
რი ხაზების დროში, მით უფრო საჭიროა საზოგადოებრივი სისტემის სრულყოფილი
რგოლის სიზუსტე, იდეალური გამართულობა და ორგანიზებულობა როგორც
მატერიალური წარმოების სფეროში, ისე სულიერი ცხოვრების დარგში. მხო-
ლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ვსარგებლობდეთ მეცნიერების ყველა სიკე-
თით, რომლებიც ადამიანს შეუქმნია, და ჩავაყენოთ ისინი ჩვენს სამსახურში.

შეიძლება თუ არა ხდებოდეს კომუნიზმის დროს საზოგადოებრივი წეს-
რიგის დარღვევა, კოლექტივის ნებისაგან გადახვევა? შეიძლება. მაგრამ ალბათ
როგორც ერთეული ფაქტები. არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამორიცხული
იქნება ფსიქიური დაავადების შემთხვევები და რომ სულით ავადმყოფი ადამი-
ანები არ შეიძლება გახდნენ საერთო ცხოვრების წესების დამრღვევენი. არ
ვიცი, როგორი, მაგრამ ალბათ რაღაც საშუალებები იქნება გიყვების საქციელის
წინააღმდეგ. ახლაც ხომ არსებობს დამამშვიდებელი პერანგი, რომელსაც გი-
ყებს აცმევენ და ამით უსპობენ მათ საშუალებას შფოთი ატეხონ და ზიანი
მიაყენონ თავიანთ თავსა და გარშემო მყოფთ.

თანამედროვე პირობებში ჩვენ გვიხდება შეუბოვარი ბრძოლა ვაწარმო-
თ წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით და ვიგე-
რივდეთ ორგანიზებული კლასობრივი მტრის იერიშებს საერთაშორისო ას-
პარეზზე. ჩვენ უფლება არა გვაქვს თუნდაც ერთი წუთით დავივიწყოთ ეს.
ზოგი ვინმე კი ცდილობს დაგვაყენოს მშვიდობიანი იდეოლოგიური თანაარსე-
ბობის გზაზე, მოგვიგდოს „აბსოლუტური თავისუფლების“ დამყაყებელი
იდეა. თვითეულმა ადამიანმა საზოგადოებას ყველასათვის სავალდებულო წესად
რომ მოაზიოს თავს თავისი სუბიექტივისტური შეხედულებანი და ეცადოს
განახორციელოს ისინი სოციალისტური საზოგადოების საერთოდ მიღებული
ნორმების საწინააღმდეგოდ, ეს გარდუვალად გამოიწვევს ადამიანთა ნორმალუ-
რი ცხოვრების, საზოგადოების საქმიანობის დეზორგანიზაციას. საზოგადოება
ვერ დაუშვებს ანარქიასა და თავნებობას ვის მხრივაც უნდა იყოს.

სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელი ძალაა საბჭოთა კავშირის
კომუნისტური პარტია. იგი მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, და
ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლა მისი საქმიანობის მიზანს შეად-
გენს. პარტია სარგებლობს ხალხის ნდობით, რომელიც მან თავისი ბრძოლით,
თავისი სისხლით მოიხვეჭა და იხვეჭს. და ყველაფერს, რაც ხელს უშლის ხალ-
ხის ინტერესებს, პარტია მოიშორებს კომუნიზმის მშენებლობის გზაზე. (ხანგ-
რძლივი ტაში).

საჭიროა გავერკვეთ ჰუმანიზმის საკითხში, იმაში, თუ ვისთვის რაა კარგი
და ვისთვის რაა ცუდი. აქ, ისევე როგორც ყველაფერში, ჩვენ საქმეს ვუდგე-
ვით კლასობრივი თვალსაზრისით, მშრომელთა ინტერესების დაცვის პოზიცი-
ებიდან. ცხოვრებაში არაფერია აბსოლუტურად კარგი, სანამ დედამიწაზე არ
სებობენ კლასები. რაც კარგია ბურჟუაზიისათვის, იმპერიალიზმისათვის, ის
უბედურებაა მუშათა კლასისათვის და, პირიქით, რაც კარგია მშრომელები-
სათვის, მას იმპერიალისტები, ბურჟუაზია არ ცნობენ.

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი პრინციპები კარგად ესმოდეს ყველას, განსაკუთ-
რებით იმათ, ვინც ცდილობს თავს მოგვაზიოს მშვიდობიანი თანაარსებობა
იდეოლოგიის დარგში. პოლიტიკაში ხუმრობა არ შეიძლება. ვინც იდეოლოგიაში
მშვიდობიანი თანაარსებობის იდეას ქადაგებს, ის ობიექტურად ეშვება ანტი-
კომუნიზმის პოზიციებზე. კომუნიზმის მტრებს სურთ იდეურად განგვადიარალონ.
და ამ თავიანთი ვერაგული მიზნის მიღწევას ისინი ცდილობენ იდეოლოგიათა



შეიღობიანი თანაარსებობის პროპაგანდის მეშვეობით, ამ „ტრფადეს ცეხენის“ დახმარებით, რომელსაც სიამოვნებით შემოგვაპარებდნენ. სიხალისეობა

ჩვენი დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმისა და კომუნიზმის მტრების ყოველგვარი ცდები, რომლებიც მიმართულია ჩვენი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის წინააღმდეგ, დაიმსხვრევა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის მონოლითურ იდეურ და პოლიტიკურ ერთიანობაზე. (მკუხარე ტაში).

პრესა და რადიო, ლიტერატურა, ფერწერა, მუსიკა, კინო, თეატრი ჩვენი პარტიის ბასრი იდეური იარაღია. და პარტია ზრუნავს იმისათვის, რომ მისი ეს იარაღი მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იყოს, მარჯვედ მუსრავდეს მტრებს. პარტია არავის არ დაანებებს დააჩლუნგოს იგი, შეასუსტოს მისი ზემოქმედების ძალა.

საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით ვითარდება. პარტიამ აღზარდა მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, კინოსა და თეატრის მუშაკთა შესანიშნავი, ნიჭიერი კადრები, რომლებმაც განუყრელად დაუკავშირეს თავიანთი ცხოვრება, თავიანთი შემოქმედება ლენინურ პარტიას და ხალხს.

პარტია, ხალხი, ლენინი განუყოფელი არიან. ლენინის საქმე პარტიის და ხალხის საქმეა. ეს კარგად თქვა შესანიშნავმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ:

„ჩვენი პარტია და ლენინი

ტყუპნი არიან, —

ვის ამჯობინებს

ისტორია

სიმართლის მჩენი?

ჩვენ ვამბობთ — ლენინ,

და ვგულისხმობთ

მუდამ პარტიას,

ვამბობთ —

პარტია,

და ვგულისხმობთ —

ლენინი ჩვენი“.

ლენინური პარტია ხალხის მოწინავე ნაწილია, მისი მებრძოლი ნაცადი ავანგარდია.

ჩვენი ქვეყნის თვითეულ მოქალაქეს, ვინც უნდა იყოს იგი: მუშა თუ კოლმეურნე. მეცნიერი თუ მწერალი, მხატვარი თუ კომპოზიტორი — თავიანთი ხალხის შეილებს თავი ვერ წარმოუდგენიათ ხალხის ცხოვრების გარეშე, მისი შემოქმედებითი საქმიანობის გარეშე. პარტიულობა და ხალხურობა ხელოვნებაში ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენენ!

იმ შემოქმედებითს მუშაკებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ასე ვერ გაუგიათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში, უნდა დავეხმაროთ, რომ კარგად გაიაზრონ ეს.

როგორც დირიჟორი ორკესტრში თვალყურს ადევნებს იმას, რომ ყველა საკრავი შეწყობილად და შეხმატკბილებულად ეღერდეს, ისე პარტიაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა საბჭოთა ადამიანის ღონისძიებებს წარმართავს ერთიანი მიზნის მისაღწევად.

სოციალისტური საზოგადოება პარტიის, როგორც ხელმძღვანელი ძალის მეშვეობით იზორებს დაბრკოლებებს, რომლებიც ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებას არღვევენ, და ქმნის საჭირო მატერიალურ-კულტურულ, იდეურ წინაპირობებს კომუნიზმის აშენებისათვის.

ფორმალისტურ დამახინჯებათა პარტიული კრიტიკა ხორციელდება ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში პარტია მხარს უჭერს მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ხალხს შთაგონებენ და მის ძალებს რაზმადვენ. საზოგადოებას უფლება აქვს დაგმოს ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ ყველანი ხალხის მიერ შექმნილი სახსრებით ვცხოვრობთ, და ამისათვის მოვალენი ვართ მივუზღოთ ხალხს ჩვენი შრომით. თვითეული ადამიანი, როგორც ფუტყარი სკას, თავისი წვლილით უნდა შეავსებდეს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს. შეიძლება აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ არ ეთანხმებიან ამას, რომ ეს პიროვნების მიმართ ძალადობაა, წარსულ დროებაზე დაბრუნებაა. ამაზე მე ვუპასუხებ: ჩვენ ვცხოვრობთ ორგანიზებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც პიროვნების ინტერესები საზოგადოების ინტერესებს ეთანხმება, მათთან წინააღმდეგობაში არ იმყოფება.

პარტიის პოლიტიკა გამოხატავს საერთოდ მთელი საზოგადოების და, მაშასადამე, აგრეთვე ყოველი ცალკეული პიროვნების ინტერესებს, პარტიის პოლიტიკას კი ახორციელებს ცენტრალური კომიტეტი, რომელიც აღჭურვილია პარტიის ნდობით, არჩეულია მისი რწმუნებით პარტიული ყრილობის მიერ. (მქუხარ ტაში).

მხატვრული შემოქმედების საკითხებში პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს ყველასაგან — ლიტერატურისა და ხელოვნების ყველაზე დამსახურებულნი, ყველაზე ცნობილი მოღვაწისგანაც და ახალგაზრდა, დამწყები შემოქმედებითი მუშაისგანაც — განუხრელად ახორციელებდეს პარტიულ ხაზს.

უკანასკნელ ხანს სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალებში დაიბეჭდა, აგრეთვე გამოცემობებმა გამოუშვეს საქმაოდ ბევრი ნაწარმოები საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაზე პიროვნების კულტის პერიოდში და ჩვენს დროს. მწერლების მისწრაფება გაერკვნენ წარსულის ძნელ და რთულ მოვლენებში, სავსებით კანონზომიერია, ცნობილია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა მთელ რიგ უაღრესად მწვავე კრიტიკულ ნაწარმოებებს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამოდის ისეთი წიგნებიც, რომლებშიც, ჩვენი აზრით, სულ ცოტა რომ ვთქვათ, არაუხსტად, ბოლო უფრო სწორად თუ ვიტყვით, არასწორად, ცალმხრივად არის გაშუქებული პიროვნების კულტთან დაკავშირებული მოვლენები და ამბებიც და იმ პრინციპულ, ძირეულ ცვლილებათა არსიც, რომლებიც მოხდა და ხდება ხალხის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაში პარტიის XX ყრილობის შემდეგ. ასეთი წიგნების რიცხვს მე მივაკეთებდი ამხ. ერენბურგის მოთხრობა „დათბობას“.

დათბობის ცნებასთან დაკავშირებულია წარმოდგენა მერყეობის, ცვალებადობის, დაუმთავრებლობის, ბუნებაში ტემპერატურული რყევის დროზე, როცა ძნელია გაითვალისწინო, როგორ და რა მიმართულებით წარიმართება ამინდი. ასეთი ლიტერატურული სახის საშუალებით სწორ აზრს ვერ შეადგენ იმ პრინციპულ ცვლილებათა არსზე, რომლებიც სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხდა საბჭოთა საზოგადოების საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, საწარმოო და სულიერ ცხოვრებაში.

ჩვენი ხალხის წინაშე გადაიშალა კომუნისტური მომავლის ნათელი, გასხივოსნებული პერსპექტივა. იმის შეგნება, რომ უკვე ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისმის დროს, საბჭოთა ადამიანების გულს ადავსებს თავიანთი ქვეყ-



ნისათვის სიამაყის გრძნობით, აღაფრთოვანებს მათ შრომით, მჭიდრობს მათ, კომუნის განსახორციელებლად. ახლა ჩვენს ქვეყანაში ყველა-სამსახურად სუნთქავს, ნდობით, უეჭვოდ ეკიდება ერთმანეთს, დამშვიდებულია თავისი აწმყოთა და მომავლისათვის, რომელიც მათთვის გარანტირებულია ცხოვრების მთელი წყობით.

სტალინის პიროვნების კულტის შედეგების ლიკვიდაცია რომ მოახდინა, კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა ყველა დაბრკოლება, რომლებიც მშრომელთა ინიციატივასა და აქტივობას ბოკავდა, და შექმნა ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარების ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

დადგა ახალი პერიოდი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. ძლევს რა პიროვნების კულტის მავნე შედეგებს, პარტია ახორციელებდა და ახორციელებს პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და კომუნის გაშლილი მშენებლობის საწარმოებლად მთელი ძალების მობილიზაციის მტკიცე კურსს. **(ხანგრძლივი ტაში).**

მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ახლა პიროვნების კულტის დაგმობის შემდეგ დადგა თვითღინების ხანა, რომ თითქოს შესუსტებულია პარტიის სადავეები, საზოგადოებრივი ხომალდი ტალღების ნებაზე მიდის და თვითელს შეუძლია თავნებობდეს, ისე იქცეოდეს, როგორც მოეპრიანება. არა, პარტია ახორციელებდა და კვლავაც თანმიმდევრულად და მტკიცედ განახორციელებს მის მიერ შემუშავებულ ლენინურ კურსს. შეურიგებლად გაილაშქრებს ყოველგვარი იდეური მერყეობის წინააღმდეგ, იმის ცდების წინააღმდეგ, რომ დაარღვიონ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ნორმები.

მინდა შევეხო კიდევ ერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ლიტერატურაში პიროვნების კულტის პერიოდის გაშუქებასთან. ამბობენ, რომ ქურნალებსა და გამომცემლებს მიაწყდა ხელნაწერები გადასახლებაში, საპრობოლებში, ბანაკებში ადამიანთა ცხოვრებაზე.

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს ძალიან საშიში თემაა და ძნელი მასალაა. რაც უფრო ნაკლებია ადამიანის პასუხისმგებლობა ჩვენი დღევანდელი დღისათვის და ჩვენი ქვეყნისა და პარტიის მომავლისათვის, მით უფრო ადვილად ეტანებიან ამ მასალას სენსაციების მოყვარულნი, „შემწვარ-მოხრაკულის“ მოყვარულნი.

შეძახილები: სწორია! (ტაში).

თქვენ შეთხზავთ სენსაციას, დაამზადებთ ამ „შემწვარ-მოხრაკულებს“, მაგრამ ვინ მიაწყდება მას? ასეთ „შემწვარ-მოხრაკულს“, როგორც ლეშს, მიესევებიან ბუზები, უზარმაზარი მსუქანი ბუზები, აფუთფუთდება ყოველნაირი ბურჯუაზიული სიბილწე საზღვარგარეთიდან.

ვისაც სურს აამოს ჩვენს შტრებს, მას შეუძლია ადვილად გაუწიოს მათ საშხაბური. ვისაც სურს ეშახბუროს ჩვენი ხალხის საქმეს, ჩვენი პარტიის საქმეს, — იგი აიღებს ასეთ თემას, დახედავს, აწონ-დაწონის მას და თუ გრძნობს ძალას, რომ ამ მასალას დაძლევს, დაწერს ხალხისათვის საჭირო ნაწარმოებს. ისე მოგვაწვდის მასალას, რომ იგი ძალებს განუმტკიცებს ხალხს, დაეხმარება ჩვენს პარტიას. დარაზმოს ხალხი და დააჩქაროს მისი წინსვლა დიადი მიზნისაკენ. მაგრამ ყველას როდი შეუძლია დაძლიოს ასეთი ამოცანა, თუმცა როგორც ჩანს, ბევრნი ეტანებიან ამ მასალას.

აქ ზომია საჭირო. ყველა მწერალმა რომ მარტო ამ თემებზე დაიწყოს წერა, ეს რა ლიტერატურა იქნება!

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოდის წერილები, რომლებშიც ნათქვამია მოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ ლიტერატურის, მუსიკის, ხელოვნების ნაწარმოებში და ცალკეულ სპექტაკლებში დამახინჯებულად არის ასახული ებრაელთა მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. ბურჟუაზიულ პრესაში, როგორც ინგლისელ ფილოსოფოს რასელსა და ჩემ შორის წერილების გაცვლიდან იცით, ცილისმწამებლური კამპანია ცი წარმოებს ჩვენს წინააღმდეგ.

დეკემბერში ჩვენი შეხვედრის დროს უკვე შევეხეთ ამ საკითხს ეგვენი ევტუშენკოს ლექსის „ბაბი იარის“ და დიმიტრი დიმიტრის-ძე შოსტაკოვიჩის ახალი სიმფონიის გამო, რომელშიც გამოყენებულია ეს ლექსი. გარემოებები მოითხოვს დაეუბრუნდეთ ამ საკითხს.

რისთვის აკრიტიკებენ ამხანაგ ევტუშენკოს ამ ლექსს? იმისათვის, რომ ავტორმა ვერ შეძლო „ბაბი იარში“ სიმართლით ეჩვენებინა და დაეგმო ფაშისტი დამნაშავენი, სწორედ ფაშისტი დამნაშავენი მათ მიერ ჩადენილ მასობრივ მკვლელობათათვის. ლექსში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ ფაშისტების ბოროტმოქმედებათა მსხვერპლი მხოლოდ ებრაელი მოსახლეობა იყო, მაშინ როცა პიტლერელი ჯალათების ხელით იქ დაიღუპა ბევრი რუსი, უკრაინელი და სხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანი. ამ ლექსიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა პოლიტიკური სიმწიფე ვერ გამოიჩინა და ისტორიული ფაქტების უცოდინარობა გამოამჟღავნა.

ვის და რისთვის დასჭირდა ისე წარმოედგინა საქმე თითქოს ებრაელი ეროვნების მოსახლეობას ჩვენს ქვეყანაში ვიღაც ჩაგრავეს. ეს მართალი არ არის. ოქტომბრის რევოლუციის დღიდან ჩვენს ქვეყანაში ებრაელები სსრკ-ში არიან ყველა სხვა ხალხთან ყოველმხრივ თანასწორ მდგომარეობაში არიან. ჩვენში ებრაელთა საკითხი არ არსებობს, ხოლო ის, ვინც მას იგონებს, სხვის ჰანგებს აპყობს.

რაც შეეხება რუსეთის მუშათა კლასს, იგი რევოლუციამდე შეურიგებელი მტერი იყო ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრისა, მათ შორის ანტისემიტისმისაც.

რევოლუციამდე დროს მე მეშახტეთა შორის ვცხოვრობდი. მუშები გმობდნენ იმით, ვინც ებრაელთა რბევაში მონაწილეობდა. რბევის შთამაგონებლები თვითმპყრობელი მთავრობა, კაპიტალისტები, მემაჟულეები და ბურჟუაზია იყვნენ. მათ რბევა სჭირდებოდათ როგორც იმის საშუალება, რომ მშრომელები ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლისათვის. რბევის ორგანიზატორები იყვნენ პოლიცია, ქანდარმერია, შავრაზმელები, რომლებიც ღამრბევეებს აგროვებდნენ საზოგადოების ნაძირალებში, დეკლასირებულ ელემენტებში. ქალაქებში მათი აგენტურა ბევრი მეგზოვე იყო.

აი, მაგალითად, ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი ამხ. ბაუმანი, რომელიც ებრაელი არ ყოფილა, მოსკოვში მოკლა მეგზოვემ ქანდარმერიის დავალებით.

გორკის შესანიშნავ მოთხრობა „დედაში“ ჩინებულად ნაჩვენებია რუსეთის მუშათა კლასის ინტერნაციონალიზმი. რევოლუციონერი მუშების რიგებში არიან სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლები. გაიხსენეთ თუნდაც რუსი პუშკინი პავლე ვლასოვი და უკრაინელი ანდრია ნახოდა.

მე ბავშვობა და ყრმობა გავატარე იუზოვკაში, რომელშიც მაშინ ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. ქარხანაში ერთხანს ვმუშაობდი ზეინკალ იაკობ ისაკის-ძე კუტიკოვის თანაშემწედ. იგი კვალიფიციური მუშა იყო. ქარხნის მუშებს შორის სხვა ებრაელებიც იყვნენ. მახსოვს, რომ სპილენძის მსხმელად მუშაობდა

ებრაელი, ეს კი მაშინ ძალიან მაღალ კვალიფიკაციად ითვლებოდა. მე ხშირად ვხედავდი ამ მსხმელს, ის ალბათ მორწმუნე ადამიანი იყო და შებათობრივად მუშაობდა, მაგრამ რადგან ყველა უკრაინელი, რუსი და სხვები მუშაობდნენ, ისიც მოდიოდა სამსხმელოში და იქ მთელ დღეს ატარებდა, თუმცა მონაწილეობას არ იღებდა მუშაობაში. (სიცილი დარბაზში).

ქარხანაში მუშაობდნენ რუსები, უკრაინელები, ებრაელები, პოლონელები, ლატვიელები, ესტონელები და სხვები. ზოგჯერ არავინაც არ იცოდა, რა ეროვნებისა იყო ესა თუ ის მუშა. ყველა ეროვნების მუშებს შორის ურთიერთობა ამხანაგური იყო.

აი სწორედ ეს არის კლასობრივი ერთიანობა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმი.

როცა მე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიყავი და მანქანით ლოს-ანჯელოსში მივდიოდი, მანქანაში ჩავევიდა, როგორც თვითონ გაგვეცნო, ქალაქის მერის მოადგილე. იგი რუსულად ლაპარაკობდა, თუმცა მთლად ვერა. მაგრამ საკმაოდ თავისუფლად. მე მას შევხედე და ვკითხე:

— საიდან იცით რუსული ენა?

— როგორ არ უნდა ვიცოდე, როსტოვში ვცხოვრობდი, მამაჩემი მეორე გილდიის ვაჭარი იყო.

ასეთები პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ყველგანაც, სადაც უნდოდათ.

როგორც ხედავთ, თურმე ებრაელ კუტიკოვს, რომელთანაც მე ქარხანაში ვმუშაობდი, მეფის დროს არ შეეძლო ეცხოვრა იქ, სადაც უნდოდა, ისეთ ებრაელს კი, როგორც ქალაქ ლოს-ანჯელოსის მერის მოადგილის მამა იყო, შეეძლო ეცხოვრა, სადაც უნდოდა.

მეფის მთავრობა ასე უყურებდა ეროვნულ ხაკითხს; ისიც კლასობრივი თვალსაზრისით უდგებოდა მას. ამიტომ ებრაელებს — მსხვილ ვაჭრებს, კაპიტალისტებს უფლება ჰქონდათ ეცხოვრათ ყველგან, ღარიბი ებრაელების ხვედრი კი ისეთივე იყო, როგორც რუსი, უკრაინელი და სხვა მუშებისა; მათ უნდა ეშრომათ, ეცხოვრათ ქოხმახებში და უზიდათ მონური შრომის ტვირთი, როგორც მეფის რუსეთის ყველა ხალხს.

სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვანაირად იქცეოდნენ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომის პერიოდშიც. იმ ხანებში ადამიანები საკმაოდ ბევრ გმირობას იჩენდნენ, მათ შორის ებრაელებიც. მათ შორის დამსახურებულებს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ბევრი დაჭილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით. მაგალითისათვის დავასახელებ საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ კრეიზერს. იგი იყო მეორე გვარდიული არმიის სარდლის მოადგილე ვოლგაზე დიდი ბრძოლის დროს, მონაწილეობდა დონბასის და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ახლა გენერალი კრეიზერი ჯარების სარდალია შორეულ აღმოსავლეთში.

იყო სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მხრივ გამცემლობის შემთხვევებიც შემიძლია მოვიყვანო ასეთი ფაქტი. როცა პაულიუსის დაჯგუფება ვარშემორტყმულ და შემდეგ განადგურებულ იქნა, — პაულიუსის შტაბის დატყვევებაში მონაწილეობას იღებდა 64-ე არმია, რომელსაც სარდლობდა გენერალი შუმლოვი, ხოლო სამხედრო საბჭოს წევრი იყო გენერალი სერდიუკი. მან დამირეკა და მითხრა, პაულიუსის შტაბთან ერთად ხელში ჩაგდებულ ტყვეებს შორის კიევის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ყოფილი ინსტრუქტორი კოვანი აღმოჩნდაო. ვეკითხები:

— როგორ შეეძლო იქ მოხვედრილიყო, ხომ არ შეცდით?

— არა, არ შევმცდარვარ, — მითხრა ამხ. სერდიუკმა. — ეს კოგანი თარჯიმნად იყო პაულიუსის შტაბთან.

პაულიუსის დატყვევებაში მონაწილეობდა მექანიზებული ბრიგადა, რომლის მეთაური იყო პოლკოვნიკი ბურმაკოვი, ხოლო ამ ბრიგადის კომისარი იყო ამხ. ვინოკური, ეროვნებით ებრაელი. ვინოკურს ვიცნობდი ჯერ კიდევ 1931 წლიდან, როცა პარტიის მოსკოვის ბაუმანის რაიკომის მდივნად ვმუშაობდი, ის კი პარტიული უჯრედის მდივანი იყო კარაქ-რძის ქარხანაში.

გამოდის ასე: ერთი ებრაელი მსახურობს თარჯიმნად პაულიუსის შტაბთან, მეორე ებრაელი კი ჩვენი ჯარების შემადგენლობაში მონაწილეობს პაულიუსისა და მისი თარჯიმნის დატყვევებაში.

ადამიანთა საქციელს აფასებენ არა ეროვნული, არამედ კლასობრივი თვალსაზრისით.

ჩვენი საქმის ინტერესს როდი შეადგენს ვეტებდეთ წარსულის სანაგვე ორმოებში სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის უთანხმოების მაგალითებს. მათ როდი აქისრიათ პასუხისმგებლობა ეროვნული შუღლის გაღვივებისა და ეროვნული ჩაგვრისათვის. ეს ექსპლოატატორული კლასების ნახელავია. ხოლო რაც შეეხება რევოლუციის ინტერესების გამცემლებს, ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის დაქირავებული მსახურნი ყველგან აგროვებდნენ მათ და პოულობდნენ მოლაღატეებს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შორის.

უაზრობაა ბრალად დავდოთ რუს ხალხს შავრამელთა ბინძური პროვოკაციები, მაგრამ აგრეთვე უაზრობა იქნებოდა მთელი ებრაელი ხალხისათვის დაგვეკისრებინა პასუხისმგებლობა „ბუნდის“ ნაციონალიზმისა და სიონიზმისათვის, აზფისა და ეიტომირსკის („ოტკოვის“) პროვოკატორობისათვის, ებრაელთა სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავის დროზე დაკავშირებული იყვნენ „ზუბატოველებთან“ და მეფის ოხრანასთან.

ჩვენი ლენინური პარტია თანმიმდევრულად ახორციელებს ყველა ხალხს შორის მეგობრობის პოლიტიკას, ზრდის საბჭოთა ადამიანებს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, რასობრივი დისკრიმინაციის, ეროვნული შუღლის ყველა და ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეუჩივებლობის სულისკვეთებით. ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მშობის მალალ და კეთილშობილურ იდეალებს ამკვიდრებს ჩვენი ხელოვნება.

დიდმნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი შემოქმედებითი მუშაების გამგზავრება საზღვარგარეთის ქვეყნებში. პარტიის ცენტრალურ კომიტეტი ასეთ გამგზავრებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საჭიროა, რომ საბჭოთა მწერლებს შეეძლოთ თავიანთი თვალით ნახონ სხვადასხვა ქვეყნის ხალხების ცხოვრება, რომ ისინი ქმნიდნენ ნაწარმოებებს მშრომელთა ცხოვრებისა და ბრძოლის შესახებ, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებნი, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულნი, სიმართლით აშუქებდნენ სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრებასა და ბრძოლას.

მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა საზღვარგარეთის ქვეყნებში ლიტერატორების გამგზავრებას არათუ სარგებლობა არ მოაქვს, არამედ ჩვენი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ შებრუნდება ხოლმე.

ეცნობი მასალებს საზღვარგარეთ ზოგიერთი საბჭოთა მწერლის გამოსვლის შესახებ და ვერ ვაგვიგია, რაზე ზრუნავენ ისინი, იმაზე, რომ სიმართლე უამბონ საბჭოთა ხალხის წარმატებებზე, თუ იმაზე, რომ თავი მოაწონონ საზღ-



ვარგარეთის ბურჟუაზიულ საზოგადოებას რაღაც უნდა დაუჯდეთ, რადგან მარქსისტები მარჯვნივ და მარცხნივ ურიგებენ თავიანთ ინტერველს ბურჟუაზიულ, მათ შორის აგრეთვე ყველაზე რეაქციულ გაზეთებს, ჟურნალებსა და საინფორმაციო სააგენტოებს, რომლებშიც საოცარი უბასუხისმგებლობით ავრცელებენ ზღაპრებს მშობლიური ქვეყნის ცხოვრების შესახებ.

არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მწერლების ვ. ნეკრასოვის, კ. პაულტოვსკისა და ა. ვოზნესენსკის საფრანგეთში მგზავრობამ. წინდაუბედავი იყო თავის განცხადებებში ვ. კატაევი ამერიკაში მოგზაურობის დროს.

საზღვარგარეთ შეაქებენ მერყევ ადამიანს, უწოდებენ მას „ახალი ეპოქის სიმბოლოს“ ან კიდევ სხვა რამ ამის მსგავსს, და მას დაევიწყდება, საიდან, სად და რატომ ჩავიდა, და მოჰყვება აბდაუბდის როშვას.

ამ ცოტა ხნის წინათ პოეტმა ევგენი ევტუშენკომ იმოგზაურა დასავლეთ გერმანიასა და საფრანგეთში. იგი ეს არის დაბრუნდა პარიზიდან, სადაც გამოვიდა მუშათა, სტუდენტთა, საბჭოთა კავშირის მეგობართა მრავალათასიანი აუდიტორიების წინაშე. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამხ. ევტუშენკოს ამ მოგზაურობის დროს ღირსეულად ექირა თავი. მაგრამ იმანაც, თუ დავუჯერებთ ჟურნალ „ლეტრ ფრანსეზს“ ვერ გაუძლო ცდუნებას დაემსახურებინა ბურჟუაზიული საზოგადოების ქება.

პოეტმა უცნაური ინფორმაცია მისცა თავის მსმენელებს იმის შესახებ, თუ როგორ ეცილებიან ჩვენს ქვეყანაში მის ლექსს „ბაბი იარს“, და განუცხადა, რომ ხალხმა მიიღო მისი ლექსი, ხოლო გააკრიტიკეს დოგმატიკოსებმა. მაგრამ ხომ ფართოდ არის ცნობილი, რომ ამხ. ევტუშენკოს ლექსი გააკრიტიკეს კომუნისტებმა. როგორ შეიძლება დაგავიწყდეს ეს და აქედან შენთვის დასკვნები არ გააკეთო?

ბურჟუაზიული პრესა ზოგჯერ აქებს ზოგიერთ ჩვენს ხელოვნების მუშაკს იმისათვის, რომ ისინი არ ცდილობენ, როგორც ეს პრესა ამტკიცებს, „დიპლმატიკური ფანდების ცეცხლს ამოფარებით დაიწყონ უკანდახვევა“, როცა მათი დაკვირვებანი „პარტიულ დოქტრინას“ არ შეესაბამება.

ასეთი ქება საწყენია საბჭოთა ადამიანისათვის. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს უყვარდა მოყვანა პოეტ ნეკრასოვის შესანიშნავი სიტყვებისა:

არა ხოტბათა მოტეხო დრტვინვაში, —

იგი პოულობს მოწონების ხმას

გაბოროტების ველურ ძახილში.

ეს დაწერა ამხანაგმა ნეკრასოვმა, მაგრამ არა ამ ნეკრასოვმა, არამედ იმ ნეკრასოვმა, რომელსაც ყველა იცნობს. (სიცილი დარბაზში. ტაში).

საჭიროა ყველას ესმოდეს დრო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. ახლა სოციალიზმის საზღვრები ფართოდ არის გაწეული. სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებელთა არმია თავის რიგებში მილიარდზე მეტ კაცს ითვლის. დედამიწაზე კი სამ მილიარდზე მეტი კაცი ცხოვრობს.

თუ ჩვენი ძალები იზრდება, მტერსაც არა სძინავს. სოციალიზმის მზარდი ძალის წინაშე შიშით შეპყრობილი, იგი გაბოროტებით ლესავს თავის იარაღს სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ ომისათვის, რომელსაც ამზადებს. კომუნისმის მტრები იმედს სოციალისტურ ქვეყნებში ამყარებენ იდეოლოგიურ დივერსიებზე. მუდამ განსოვდეთ ეს, ამხანაგებო, და თქვენი იარაღი სავსებით წესიერად, ბრძოლებისათვის მზად გქონდეთ. (ხანგრძლივი ტაში.)

ამხანაგებო! ჩვენ განვიხილეთ ჩვენი სახელმწიფოსათვის, პარტიის იდეოლოგიური მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხთა დიდი წრე. იმით, რომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით ამხანაგურ წრეში, ერთად განვიხილავთ ყველა პრობლემას, რომლებიც ჩვენ გვაღელვებს, — გამოხატულებას პოულობს ახალი ვითარება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში შეიქმნა.

ხალხი და პარტია უაღრესად დაინტერესებული არიან იმით, რომ მხატვრული შემოქმედება ჩვენში სწორი მიმართულებით ვითარდებოდეს. ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ხაზი განსაზღვრულია პარტიის პროგრამით, რომელიც საყოველთაო-სახალხოდ იქნა განხილული და რომელმაც მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის საყოველთაო მხარდაჭერა და მოწონება პოვა.

ხოლო უფრო კარგად და სწორად როგორ უნდა განხორციელდეს ეს ხაზი მხატვრულ შემოქმედებაში, ამას წყვეტს თვითეული თქვენგანი ხალხის წინაშე თავისი მოვალეობის შეგნებისა და თავისი ნიჭის, თავისი მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებათა შესაბამისად.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, ნაკლოვანებათა კრიტიკა, იმ ამოცანების ურთიერთ განსაზღვრა, რომლებსაც ცხოვრება აყენებს, გულახდილი საუბრები, რომლებიც ასეთ შეხვედრათა დროს ხდება, — ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ერთსულოვანი ვართ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატებათა და ნაკლოვანებათა შეფასებაში. ვფიქრობ, რომ აზრთა დღევანდელ გაცვლასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენ მოვეუწოდებთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, პარტიის ერთგულ თანამშრომლებს, კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები და ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით წარმართონ თავიანთი ღონისძიებანი კომუნიზმის მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

სად არიან მერცხლები...



სად არიან მერცხლები,
ჩემი ყრმობის გვერდს მხლები?
ან ის ლურჯი ღრუბლები
პითხარი, სად არიან?

რომელ ცას დაეჭსოვნენ,
სად გამჭრალან უკლებლივ,
ან ეს გიგი გრიგალი,
ვისი საზანდარია?

ბომყეფს ქარი გრიალით:
— ჰე, ხარ თავნამჭრიანი!
— სიჭაბუკის აჩრდილი
ჯერ არ დამიწვენია.
ეს ცრემლი ხომ არ ტირის,
გაზაფხულის წვენია!

ისევ ქარი ქანართი,
მიჯახუნებს ფანჯარას...
ჩემი ოქროს ქამარი,
სადაც, მთაზე დამრჩალა!

სიყვარულის აღმური,
შენს ლოყებზეც გამჭრალა;
შენი წარბი ნამგალა,
აგანგალა-აგანგალა!

ვით პური უმარილოდ,
მე უშენოდ ვერ ვძლებდი...
ისე, ვით მარმარილო,
რისაგან ივერცხლები?

ლექსმა ვერცხლი თავისი,
შენს კულულში დასტოვა...
ეჰ, მაგ თმებში გიფობდა
ჩემი ახალგაზრდობა!..

თ ო ვ ლ ა *

(ძველი ჩვეულებიდან)

რა ეთქვი, იმავე წამით,
თუ არ იყო, შენდა?
გახსოვს, წინანდალში,
ბალი შერაშენდა?
მთვარის მინანქარში,
წარბს რომ ჰხრიდი შეილდად?
გახსოვს, წინანდალში,
ტუჩი აგეშენდა?

არ შენელდა
ელდა,
არც შმაგური ლტოლვა;
სად ხარ,
კოცნის კათხავ,
თოვლა,
თოვლა,
თოვლა!..

ღამე მარტო

ყ ა ბ ა ხ ი *

— მე კარგად ვიცი, რომ რაც კოლმეურნობა დაარსდა, შენ გეკუთვნის ეგ მიწები. მაგრამ უნდა გაგახსენო, რომ ათას ცხრაას ორმოცდაორი წლიდან, — დინჯად, გაქიანურებითა, ტყენითა და გარკვევით მარცვლავდა რევაზი თარიღს, — ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წლამდე, — და უცებ მოსჭრა, — შენ არჩეული იყავი ნაფარეულის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ.

დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს, ნიშნად გაუგებრობისა.

ნიკომ გაკვირვება ვეღარ დამალა.

— მერე ეგ რა შუაშია?

— შუაშია, თუ ნაპირზეა, ახლავე მოგახსენებთ: მაშასადამე, ამ ხუთი წლის განმავლობაში შენ იქეცი მოსამსახურედ, არ ითვლებოდი კოლმეურნედ და მთავრობა გიხდიდა ხელფასს, რითაც ნახლავრდებოდა შენი ნაშრომი ყოველთვიურად. წესდებაში კი სწერია, რომ მუშა-მოსამსახურეს, თუ ის სოფლად არის, მხოლოდ ხუთმეტრი მეასედი მიწის ფლობის უფლება ეძლევა. მაშასადამე, შენ, რომელსაც ოჯახში მხოლოდ ორი სული გეთვლებოდა და იქიდან არც ერთი არ ღებულობდა კოლმეურნობაში შრომითი მონაწილეობას, მაინც გქონდა ორმოცდათექვსმეტრი მეასედი მიწა და სურვილისამებრ ამუშავებდი მას. უნდა კი გქონოდა შენ, როგორც სოფლად კანონების პირველ დამცველს, ხუთმეტრი მეასედი.

რევაზი თვალმოუშორებლად უცქეროდა გამტკნარებულ სოფლის თავ-

კაცს და არც კი უცდია შეეხედა დანარჩენთა განცვიფრებული სახეებისათვის. მხოლოდ ერთხელ გაკვრით წააწყდა თედოს ცუდად დაფარული სიხარულით აპარბალეზულ თვალებს და მერე ისეთივე დინჯი ტონით განაგრძო, როგორითაც დაიწყო.

— ათას ცხრაას ორმოცდაშვიდ წელს, ხუთი წლის შემდეგ, ნაფარეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეობის შემდეგ, როცა ისევ დაუბრუნდი კოლმეურნობას, შენ, როგორც ახლადმიღებულ წევრს და კოლმეურნეს, ის ხუთმეტრი მეასედი მიწის ნაკვეთი ოცდახუთ მეასედამდე უნდა შეგსრულებოდა. და ახლა, ეს შენც იცი, სულ ერთია, თავმჯდომარე იქნები თუ რიგითი კოლმეურნე, უნდა გქონდეს პირად საკუთრებაში მიწის ოცდახუთი მეასედი ნაკვეთი.

ნიკო ნაღვლიანად უმზერდა ფანჯრიდან ეზოში ჩუმად მოშრიალე ცაცხვს. მიხვდა, ნაღვერდალი ისე იყო გაღვლილი, რომ ზედ ნაცარი აღარ წაეყრებოდა. დიდი უგუნურება იქნებოდა თავდაცვა და სცადა, მოხერხებულად დაეხია უკან.

— ეს კაცი მართალია, — ბუღალტრიდან თვალი დანარჩენებზე და ერესტოზე გადაიტანა თავმჯდომარემ, — მართალია, რას ერჩით. მთელი ამ ხუთი წლის განმავლობაში იმ მიწებს მე ვხმარობდი და არც მაშინდელ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უთქვამს რაიმე სწორი ვითხრათ, ის წლები ისეთი არეულდარეული წლები იყო, რომ კაცს თავი აღარ ახსოვდა და მიწას ვინ დაგი-

დღედა. დღე და დამე გარჩეული არა გვექონდა და არც ვიცოდით, რა დროს გვედგოდა და რა დროს გვეძინა. მას მერე გადამათქმევდა და არც კი დაგვეცხვებოდა რიგისადა. აქამდის იგრე მახსოვდა, რომ რაცა მაქვს, ამდენი მეკუთხნოდა. აჰა, აი, ესლა თუკი არ მეკუთხნის და ზედმეტია, ჩამომავერით, კაცო. ლომივით ბიჭები დევარგეთ ოშში და მე მიწის დაკარგვას ვერ შევეგუები? მაგ მიწას ჩემისთანები ბევრი გამოუხრავს და ვინ იცის, კიდევ რამდენს გამოხრავს.

— იმ საწყალი დედაკაცის მიწა რაღა იგეთი უნათო ნახე, რომ ან თავის გამოხვრა დაეზაროს და ან ვერ შეძლოს? ეფრემას ხელში მოხვედრის შემდეგ დაიღესავედა კბილებს?

— ერთი ალილუია დედელსაც შეცდებოა. რა ვუყოთ, შვილო, ეგრე ვიცოდით, რომ მეტი ჰქონდა. მავის გულასთვის ხომ არ ჩამომახრჩობ. ცხენს ოთხი ფეხი აქვს, მაგრამ ხანდახან ისიც წაიფორხილებს ხოლმე. ანდე, ეგ მიწა აქ არი და თქვენც აქა ხართ, — გინდა თუ ვში დადგით კარავი და გინდა ბოლოში.

„წაქეულს აღარა სცემენ“, — გაასვენდა რევაზს. პირისპირ მკდომს თვლიდან სადგისივით გაყრილი მხერა ამოუღო და ისევ ბლოკნოტს დაუბრუნდა.

2

— ალყათზე ვაკაქუნე, ვაკაქუნე, არავინ ვამაგონა, კიშკარი ღია დამხვდა და შემოვედი.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით. ქალი მსხალზე მიყუდებული კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოქდა და წიგნი მუხლებზე დაიდო.

მოსული შედგა და მიიხედ-მოიხედა.

— სკამი ხომ არ გინდა, ჩამოგიტანო, არჩილ.

— აჰ, არა, რუსუდან. აქ ვსჯივარ, გი მწვანეა. თუმცა ეს გოდორდისავე ძელივით რბილი იქნება. — არჩილმა ეჭვე დამხოზილი გოდორი გადააბრუნა, რომელიც ალბათ, ნერგს იცავდა ქათმების კლანჭებისაგან და ზედ ჩამოქდა.

მზე ბახტრიონს იქით მთის უნაგირაზე დაეანებულებოდა და იქიდან უბაქუნებდა თვალს ჭალისპირს. დაისის შუქით შეფერილ ღრუბელთა ოქროვანი ყაითანი გასდევდა ზემო აღვანიდან მოკიდებული ახმეტის თავამდის. იქიდან წამოსულ სხივთა კონებს ხეთა ჩრდილები დაეგრძელებინა გენერლისეულ ბაღში. საღამოს ნიავს საგრძელე მოქქონდა პირიშისიდან და დროდადრო ბერხევიდან ამოდიოდა წყნარი სულ წყნარი, ჩხრიალი.

არჩილმა თვალი მოსწყვიტა ცის კიდურს და ძირს დაიხედა. ფეხსაცმელს მსხალქვეშ მოსუნსულე ლეკვი უყნოსავდა. გაიღიმა, დაეწოდა, მსუქან წელზე ხელი დაადო და შეაქანქყარა.

— ეს ჩამოდენა გაზრდილა, რუსუდან.

ლეკვმა წერილი კბილები დაკრიჭა, თვალები ბორბოტად აანთო და ყრულ წაიღრინა.

— გაუშვი, თორემ გიკბენს. არჩილმა კიდევ შეაქანქყარა ლეკვი. ახლა კი შუბლის ქვემოთ ცხვირის დასაწყისთან მურა ნაოკი გაუჩნდა ლეკვს, ერთიც წაიღრინა და მერე ისეთი სწრაფად სტაცა პირი, რომ არჩილმა ხელის აღება ძლივს მოასწრო.

— ო, როგორი ავია, ბოთვერაზე ანხილი იქნება. რას ეძახით?

— მურა დეარქვი.

— ზედგამოჭრილია. მხოლოდ სიფრთხილით კი უნდა შენახვა.

ქალი მიხვდა გადაკრულ ნათქვამს და გაეღიმა.

— ახლა ისე ვწერთნი, რომ თითონ მოუძღვეს ღამის სტუმარს.

— მე მხოლოდ ვიხუმრე, რუსუდან, საწყენად არ მიიღო.

— საწყენი რა არის. სიმაართლეს ვერ-სად დავმალევი. კარგ ძაღლს ყოველთ-ვის კი ვერ იშოვი.

ლევკი ჯერ კიდევ გაუმართავ, მრუდე ფეხებზე გაძუნძულდა და ფუმფულა ყელზე შებმული გრძელი, წვრილი ჯაჭვი ბალახებში მსუბუქად გაათრია.

— ღონიერი ჩანს. წვრთნა აუცილებელია. აი, საწყალ ბოთვერას ჭიდაობა რომ სცოდნოდა...

— რატომ დაადგი ასე კბილი იმ საბრალო ზაჭროს, რატომ გგონია, რომ ცუდი ბიჭია?

არჩილისთვის ისეთი მოულოდნელი იყო ნათქვამი, რომ კარგა ხანს ხმა ვერ დასძრა.

— მხოლოდ ღვინოს თუ დაბრალდება და, საერთოდ, რას აკეთებს ცუდს?

— უფრო შეუყვთა ქალმა.

— ღმერთმა მშვიდობა მისცეს ყველას თავის გზაზე.

— ამინ, შენს მადლსა, ხევისბერო! — დაუმატა ქალმა და გაიციანა. იგი ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა ჰაბუკის მშვენიერ სახეზე ქალიშვილივით გადაკალმულ წარბებსა და შავ კულულებად დაყრილ გრძელ თმას.

ბიჭი დუმდა თეთრი კბილებით ნერვიულად ღეჭავდა სამყურის ღეროს და გაშტერებით უცქეროდა ბალახებში გულადმა დაცემულ და მოსხმარტალე ხოჭოს, რომელსაც ლევკი ეშმაკური თვლების კუბტვით უვლიდა გარშემო. ეს ერთი ხანია, რაც ნებას აძლევდა აგრონომი, ასე თამამად ელაპარაკნა მასთან. სათქმელი კი ვერაფრით ვერ სცდებოდა ხორხსა და უკანვე ბრუნდებოდა ტუჩების შეუშინეველ კენეტაში და განზე ნალვლიან მხერაში. სწყევლიდა თავის გაუბედაობასა და ამ გულქვა ქალის მიუხევედრელობას. ჩუმჩუმად ნატრობდა ბეჭის სივანეს და ზაქროსავით წარბთა შუა და შუბლზე მიყრილ სამიოდე ნაოჭს.

ბიჭმა თავი აიღო, თვალი ველარ მოსწყვიტა და ისის მიბნედილი შუქით გა-

ნათებულ ქალის სახეს დაქოლავდა ამოდერდა.

— მივდივარ, რუსუდან.

— ასე მალე? ან მოსვლა რა იყო და ან წასვლა რა არი?

— არა, რუსუდან, შენ ვერ გამიგებ. თბილისში მივდივარ ამაღამ და გამოსამშვიდობებლად შემოვივარე.

— ოჰო, კეთილი მგზავრობა მისურვებია. როდის იწყება გამოცდები?

— პირველში, მინდოდა დაესწრებოდი იმ შენი დატოტვილი ყანის აღებას, მაგრამ ველარ მოვასწრებ.

— მაგაზე არ იდარდო, არჩილ, თორემ იქნება გამოცდები ვერც ჩააბარო. ყანა უკვე აიღეს და ახლა თავთავს ითვლიან.

— როგორ, შეიდი ჰექტრის მოსავალს ითვლიან?

— ითვლიან. ერთი საათის წინ მილიონ ოთხასი ათასამდე საუკეთესო თავთავი იყო გადარჩეული.

— ზღაპარია. კიდევ ბევრს აპირებენ?

— არა მგონია. ეგეც საქმარისია და, ვინ იცის, მეტიც.

— სულითა და გულით გისურვებ წარმატებას, რუსუდან, სულითა და გულით.

— გმადლობთ, არჩილ, მეც მისურვებია შენთვის წარმატება გამოცდებზე.

— ახლა რას უზამენ იმ გადარჩეულ თავთავს?

— ცალკე გალენავენ და მერე ცალკე დათესავენ. ეჰ, დავანებოთ მაგას თავი, არჩილ, და შენს საქმეზე ვილაპარაკოთ. გყავს ვინმე იქ დამხმარე?

— არავინ, რუსუდან, ვინ უნდა მყავდეს? აქამდის რაღაცას გავაკეთებდი, მაგრამ საბჭოს ეზოში მოთარეშე ბიჭბუჭებს არ მინდა ვათქმევინო, რომ უთავოდ გაეიტანე.

— მე კი გირჩევდი, ვილაც გეშოვა. სულ ერთია, აქ მაინც იტყვიან, რომ მამაშენმა შენი წონა ფული დახარჯა.

— დაე, იყბედონ. მე ხომ საკუთარ თავთან პირნათლად ვიქნები. — აქ ცოტა ხანს გაჩუმდა თბილისში მიმა-

ვალი და რის ვაი-ვაგლახით დაუმატა, — შენ ხომ მაინც გეცოდინება, რომ უპატიოსნოდ არ მოვიქეცი და დანარჩენთ არც დავეძებ.

ქალი ერთ ხანს სერიოზულად უცქეროდა ბიჭის არამამაკაცურ კოპწია ტუჩებს და მერე უთხრა.

— ერთი მეგობარი ქალი მყავს, თბილისში, ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი. მისი მამა პროფესორია, ბიოლოგიის კათედრაზე უნივერსიტეტში. წერილს მიგიწერ და დაგეხმარება. ამ ზაფხულს აპირებდა ჩემთან ჩამოსვლას სტუმრად და არ ვიცი, რა დაემართა, არც ბარათი მოუწერია, აუცილებლად მიდი და დაგეხმარება.

— არა, რუსუდან, საჭირო არ არი.

— ძალიან ლამაზი ქალია ფლორა, მოგეწონება.

— რატომ დამცინი, რუსუდან.

— არ დაგცინი, მართლს გეუბნები.

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ არ შემიძლია სიყვარულში მყარი ვიყო.

— მეოთხე წელია, პერანგის საყულოსავით იცვლი შეყვარებულებს.

— ეგრე ნუ იცინი, რუსუდან. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, როცა ციალა მიყვარდა. მაშინ რა ვიციოდი სიყვარულისა?

— ოპო-პო-პო! ახლა დაბრძენდი უკვე? თამარს რაღას ერჩოდო, რატომ გადაიყვარე? ის ხომ ისეთია, თვალში რომ ჩაუვარდეს კაცს, ხელს არ ამოისვამს?

— ნეტა მეც მარტო თვალში ჩამვარდნოდა. მთელი ორი წელი განვიცდიდი მაგის ფბილისში წასვლას.

— ახლა ხომ აქ არი, რატომ არაფერს ეუბნები?

— რატომ მაწვალე, რუსუდან, რატომ მიღირღიტებ გულში ხანჯალს? განა შენ არ იცი, რომ თამარს სხვა უყვარს?

— რაო, თამარს უყვარსო? რას ამბობ, არჩილ, ნუთუ მართლა უყვარს ვინმე?

— ეკ, რუსუდან, უყვარს და ეგრე?

— შენ იმ პატარა ეშმაკს უყულებ?! ახლა ვისზე გაქვს საარტილერიო ცეცხლი გადატანილი?

ბალს შემოვლებული ყორის გაყოლებით ტყიდან მომავალ გზაზე გაისმა შრიალი და ბავშვის წიკვინა ხმით დამღერებელი ლექსი.

ცნობისმოყვარეობამ წასძლია მოსაუბრეთ და ფეხზე წამოდგნენ.

ზევით თავადერილი მოდიოდა ფიჩხის უზარმაზარი გუდურა და ძირს ათრეული, გაფარჩხული წვეროებით მთელ გზას მოჰგვიდა. ზედ შემომჭდარი შამრელანთ თედოს შვილიშვილი, თამაზი, სახელდახელოდ გამოთქმულ ლექსს დამღეროდა და თან გრძელი წიკვლის ქნევით კვეთავდა უკან დაღვენებული მტვრის კორიანტელს.

გაშტერებული იცქირებოდნენ ბალში მყოფნი, რადგან არც ცხენის ფლოქვის ცემა ისმოდა ქვიან გზაზე და არც თუ გოდერძი მოჩანდა სადმე.

უცრად გუდურა შედგა, თავით ყორის თავზე გაბმულ მავთულებს მიეყუდა, ორი წვერო მავთული გაგლიჯა, ყორეს გადმოეყუდა და გარინდდა.

— ეე, ამ ცხენს დღეს რიგინად ვერ ვაჭამე ქერი და დამივარდა... — უკმაყოფილოდ გადმობობლდა ფიჩხიდან თამაზი.

— მოიცა სულელო, მხარი გამიჩეროტა გადანაჭერმა.

გუდურის ქვევიდან ვილაც ვეება გამოძვრა და განიერი მხრები შეიბერტყა.

— ხომ გითხარი, ხალათს ნუ გაიხდიმეთქი? ჩემოდენა კაცს სიზმარს დაუჯერებენ.

— რო არ გამეხადა, დამეხეოდა.

— შევლევო ყოფილა, — იცნო არჩილმა და აგრონომს მოუხედა. — რა იყო, რუსუდან, რა დაგემართა? — შემფოთდა ბიჭი და სცადა უფრო უკეთ შეეხედა გაფითრებული ქალისათვის.

— არაფერი, არჩილ, არაფერი. წავიდეთ. წერილს დაგიწერ ფლორასთან. ნელი, თანაბარი ნაბიჯით მიდიოდა ბალახებში თავჩაღუნული ქალი და თან

მხრებზე ჩამოშლილი თმის ერთ ბლუჯას კბილებით წიწვნიდა.

— აი, სულელი, ეს სულ შენი ბრაღია, რომ ბაღის პატრონს მავთულები გავუვლიყვით.

— ახლა, პაპაჩემივით შენც მე დამბრალებ სუყველაფერს.

— სახლში გამახსენე, ამოვალ და გაეკეთებ.

— აფსუს, რა გემრიელად ვიჭეკი! მოდი, წადი, მზიურ ჩავიდეთ შინ. სულ ერთია, ეხლა ვერაფერს მოასწრებ და უგაზ-ჩაქუჩოდ ვერც რამეს გახდები. მაგას ხუთიოდე ლურსმანიც უნდა.

— კარგი, დაჭეკი, რაში გენანება ჩემი ზურგი.

— შენ ეს სახლი რომ წამოგვიდო თავის ავრონომიანად, იმას წაიღებ და მე ვერ მატარებ?

— ჩუმად, სულელი, ბაღში არავინ იყოს, თორემ ვერც გავასწრებთ აქედან.

— შენ მიდი, გაუტეე, ნუ გეშინიან, აქ არა ვარ?

ქვებმა გაიჩხრიალეს, მოისმა გათრეული ფიჩხის შრიალი და უკან კისერმოღრეცილმა არჩილმა თვალი მოჭკრა, კვლავ როგორ ავარდა ყორეს იქით მტერის ბოლქვები.

— რა იყო, რუსუდან, რა დაგემართა, რატომ არ ამბობ?

— არაფერი, არჩილ, არაფერი. რატომღაც არ მიყვარს მაგ კაცის დანახვა.

არჩილმა ერთი გახედა ყორეს და ეზოსკენ წასულ ქალს მიჰყვა.

რუსუდანს ჯაჭვის ბოლო აედო ხელში და ძაღლს ალერსით უწრებუნებდა, რათა ბაღიდან გაეყვანა.

— არც მამაჩემს უყვარს. სოფლის ავარებს დასდევსო. უმაღლესი კი დამუშავებია.

ქალი ხმას არ იღებდა. ნელა მიდიოდა და ცდილობდა ლეკვი აიენის ქვეშ შეეტყუებინა.

— აბა, მოუსვი, მურა. — მიეხმარა არჩილი და გავაზე ხელი მოუტყაპუნა.

ლეკვმა ღრენით აუწყებდა წვესივით წერილი კბილები და საკუნად გაიწია.

— მაგას, რუსუდან, კოლექტივის საწყობიდან შეხებურთის ფორმა წაუღია. დღეს დაბარებული იყო საბჭოში და არ გამოცხადდა. ჩასაბერი ამბობს, მომცა და წამოვიღეო.

ქალმა ნამჯა გაშალა დერეფნის კედელში დატანებულ ბუხრის კალთაზე და ზედ ლეკვი დააწვინა.

— ცოტა ხანს იყავ და მერე საღაფესაც ვაქმევე. ჩასაბერი რა შუაშია. თუ საწყობიდან მაგან გაიტანა?

— ეგვეც იქა ყოფილა. ილო-პაპაანთ ქვევით ნარცხალი რომ არი, ის გაუწმენდიან ჯაგებისა და ქვეებისაგან და სტალიონს აწყობენ. ჩემი თვალით ვნახე: პატარძლისაგან დაგვიღო ეზოსავით არი დაკრიალებული იქაურობა. ბიჭები სიხარულით ტლინჯაობენ.

— ადრე მოსვლიათ ზეიმი. დღეს ძია ნიკომ დაჰხედა. მიტოს უთხრა, და ხვალ, სადაც რა მანქანა-იარაღები ყრია, კოლმეურნეობის ეზოში თუ საშრობთან, ყველას იქ ჩაზიდავენ უკლებლოვ.

— გარაყის აშენებას ამბობენ.

— ოპო, მაშ კარგი დარი არ დაუდგებათ ჩვენს ბიჭებს. ერთი ვნახოთ, ეგ როგორღა აიტანს მაგ ამბავს, ამაყია თავის პაპასავით. ფიჩხს კი რამოდენას მიათრევდა, ერთ ღრუჭუნაზე ვერ დაუდებდნენ. თანაც ძმისწული დაესვა ზედ. ღმერთმანი, რა თოხსა და ბარზე ეჭხება ჯანი გაწყალეებული.

ქალს ხმა არ ამოუღია, გაბრუნდა, ბაღში წაქცეული ვოდორი ისევ ნერგს დაამხო და ეზოში გამოსვლისას კარი გამოკეტა.

ბიჭმა უგუნებობა შეატყო და აჩქარდა.

— მე წავალ, რუსუდან, არ მინდა დაეგვიანო სადგურზე.

— წერილს არ წაიღებ?

— გმადლობთ, რუსუდან, მინდა უწერილოდ გავხდე რასმე.

— მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

კიშკრამდე მიაცილა სტუმარი ქალმა და გამოშვებდობებისას ხელი გაუწოდა.

არჩილი აენთო, ძლივს ასწია დამძიმებული მარჯვენა და ჩამოართვა.

ოპ, ნეტარებაე, ბიჭს ხელში ეკურა უძვირფასესი ქალის რბილი, თბილი და ნაზი ხელი. გრძელი, მშვენიერი თითები ეხებოდნენ მის თითებს და რაღაც საოცარ ძალასა და ნიშანს უღვრიდნენ მთელ სხეულში. ნეტარების ბურუსში გახვეული ბიჭი ბოლოს მიხვდა, რომ თითქმის საკმარისზე დიდხანს ეკურა, მიბინდული თვალებით დაახვდა ოდნავ მზემოკიდებულ, მაგრამ ატლასივით რბილსა და გლუვ ხელის ზურგს, რომელსაც თითების სახსრებთან პაწაწინა, სულ პაწაწინა ფოსოები ეტყობოდა და უცებ, მხალის გამბედაობით, ცხელი ტუჩები დააკრა ზედ.

და გაიქცა.
რუსულანამ ნაკოცნ აღგილს დახვდა, მეორე ხელის გული გადაუსვა, თავი უგუნებოდ გაიქნია და ქიშკარი მიიმედ მიხურა.

3

აივანთან გატრუნული კაცი უხმაუროდ გაბრუნდა უკან. კარგა ხანია, რაც პანტის ქვეშ ამდენი ბიჭი ერთად არ ენახა თავშეყრილი.

მახარე გაოცდა:
— რამ დააქცივინა ეგრე, ძია გივლა?

— ეტყობა, ჯერ ძილს არ აპირებს.
— ძალიან ადრეა, რა დროს ძილია.
— ერმანამ ჩაჩაჩული წინდა აიწია და შაქრიას გაულრიჭა. — ამოგისვეს დღეს ნიშადური, ჩასაბერო?

— ვის ამოუსვეს? დედა ვუტორე ტოროლანთ ნიკუსა, დორბლიანს, როგორც ასპირინი, იგრე ვადინე ოფლი.

— ხო-ხო-ხო-ხო! იმათ რაღა ვიქნეს?

ბიჭები დღეს ბედნიერად გრძნობდნენ თავს. სულ საათნახევრის წინ მოა-

თავეს ბურთის თამაში და გაშრობოდათ თმა, რომელიც წყაროს ოფლიანი ტან-პირის დაბანისას დაუსველდათ. დღეს პირველად იყო, რომ გუნდისათვის საჭირო შემადგენლობით ორ გოლში ითამაშეს.

ჯერაც არავინ იცოდა, მთელ საათს გუშინ საღამოს რას ელაპარაკებოდა შავლეგო ერმანას. დღეს კი მორეკათავისი ბიჭები და შაქრიას გუნდს შეაჯიბრა. ოპ, რა ისიამოვნეს ბიჭებმა! მართალია ათით რვაზე წააგო „ბიჭები“, მაგრამ ერმანა მაინც გულს არ იტეხდა: ბიჭები — ყოველ დღე მუშაობენ, დალილები იყვნენ და დასვენებულ ხალხთან რას გახდებოდნენო. შაქრია ნეტარებით იზადრებოდა, კრეკდა მეჩხერ კბილებს და ენაძლევებოდა: „თუ გინდა, ამათ მთელ დღეს ქვას ეამტრევივინებ, მაინც გაჯობებთო“. ერმანა არ იჯერებდა და კისერ დაღურსული შოთა იზღვირებოდა: მსაჯი თქვენ გემზრობათ, ის ერთი ბურთი არ უნდა ჩაეთვალა ჯიმშერს, შევხტი და ხელი ვერ ავუწვდინეო.

— ნამდვილი კარები უნდა გავაკეთოთ, ბიჭებო. ბოძები ჩავსვათ და მალლიდან თითო ლატანი დაჯაქრათ, იმას რა დიდი რამე უნდა? მაშინ აღარაფერი იქნება სადაო და აღარც ფირუზა იეშმაკებს, — რჩევას იძლეოდა ტიტა.

— ახლა ისევ ფირუზას გაუკვირბით.

— თორემ ტყუილია, — უცებ მობრუნდა დათა. — გესმის, ერმან, მომხედე. აი, ეს ხომ ნაჯაგარია, — პატარა ამონათხარზე მიუთითა, — აი, აქ კი ნიშნად ქვა დევს. ვხედავ ეს ქვა, ამ ნაჯაგარიდან თანდათან იქით იწევს. გადავხომე: ათის მაგიერ შვიდი ნაბიჯი გამოდის კარი. მაშინ ვთქვი: ეე, აქ სხვანაირად არი საქმე მეთქი. მინდოდა ერთი ჩამუფარებინა სიფათში, მაგრამ ვერ შევწვდი და ქვალა გავასწორე მართო.

— მართალია, ფირუზ?
— ეე, მიჰქარავს, კაცო. რის ქვა.

თითონ ვერ არტყამენ გოლში და მე რა ვქნა?

ჩასაბერი გაბრაზდა.

— შე შობელძაღლო, კაცი იმ სი-
მალღე ხარ, დილით რო ხელი გკრან,
სალამოთი ძლივს წაიქცევი, რალა კა-
რის დავიწროება გინდოდა?

სიცილის ტალღა ეზოს გარეთ გა-
ვარდა და ბერხევას გაღმა გააღწია.

ერმანას მაინც ინტერესი სწევდა:

— მაინც რა გითხრეს საბჭოში, ჩა-
საბერო?

— უნდა დაგვიპიროთო.

— ოჰო!

— საწყობის გამგე შეაშინეთ და
ფორმა ბურთიანად გაიტაცეთო.

— შენ უყურე მაგ დორბლიანს!

— მომადგა ორივე თავმჯდომარე,
მოიხმარეს მდივანი და როგორც დათე-
ზე მისეული ძაღლები, ხან აქედან მიე-
ლიან, ხან იქიდან. მაგრამ აი, — ხელი
იქვე ნავდებ ქვას დაკრა გამეტებით,
— ეს ამბობს რამეს? ჩვენი სულელი
გუგულა მიკუჭუნულა კუთხეში და
კედლებს სიცილით. მეუბნებიან: გინდა
თუ არა, უნდა თქვა, სად არი ფორმაო.
ვეუბნები: თუ რამე იცის ვინმემ მაგ
ფორმისა, იმ კაცმა იცის მეთქი. საწყო-
ბიდან რათ წამოიღეო? ეხლა შენ რომ
აქედან ეს წითელი სუფრა და შენი
ჩექმებიც გამატანო, არც იმაზე დაგ-
ზარდები, წავიღებ-მეთქი. აბა-აბა! სა-
ხეზე იგრე გაშავდა, როგორც ყარაჯ-
ლური ბადრიჯანი. ხვალ გამოძიებელი
უნდა გადმოვიყვანო და ორივე დაგი-
პიროთო. მეც ვუთხარი: აბა, შენ იცი,
რა განსხვავებაა, ვითომ იღრისა დაგი-
ჭერია და ვითომ მე-მეთქი.

— მე ვიცი, რაზედაც არიან კუდღამ-
წერები.

— რაო, სოსო, აბა ერთი პატარა
ინფორმაცია გვიქენი.

— დღეს რევანამ მიწათმომწყობი
გადმოუყვანა თელავიდან და რაც მა-
გათ ზედმეტი მიწები ჰქონდათ, სულ
ჩამოაჭრეინა.

— ჰოოოოოო, აი, თურმე სად ყო-

ფილა კინკარი ამოსულეყუფეგულა
იპარპაშონ ბალამწარიანს.

— ნუ გეშინიან, შალიკო, მამაშენ-
საც კი მსუქანი ლუკმა აართვეს
სუფრიდან.

— მამაჩემს რა ჰქონდა? განცხადე-
ბა დაწერა, თითონ მიიტანა კოლექტივ-
ში და უთხრა: ზედმეტი მაქვს და ჩა-
მომაჭერიოთ.

— როდის დაწერა, გენაცვალე, როცა
გაიგო, რომ კაცი გადმოღის თელავი-
დანო?

— მამაჩემი მკითხავი ფეფენა კი არ
არი, რა იცოდა წინასწარ?

— დაიცა, ოთარ. ჩასაბერო, რას
აჯაჯლანებ ამ ბიჭებს. შენ არ დაგკონ-
და რულეტკა ვენახებში? — წამოჯდა
ნოდარი.

— რაო? ჩასაბერს დაჰქონდაო? აბა,
დაგვიტუბე წამხდარი სმენა, შაქრი.

— როცა ერესტო გადმოვიდა, ბერ-
ხევაზე მივიდიოდი ჩემთვის. ეფიქრობ-
დი: ერთი გავუვლი ჭოპელას ვენახს
და მსხალს დახედავ, კარგად დამ-
წიფდა თუ არა მეთქი.

— რაო, უკვე შწიფს?

— დაიცა, ტიტავ.

— დააცადე კაცს.

— სული ნუ წაგძლევს ხოლმე

— საბჭომდე მოვედი და ვხედავ.
ხილზე გადმოვიდა აეტობუსი, გაჩერდა,
ერესტო და რევანა გადმოყარა იქიდან
და მერე ისევ ფშავლისკენ გასწია ქმუ-
ტუნით. ერესტო ეუბნება: საიდან და-
ვიწყეთო. მე ვთქვი: რის დაწყებას ამი-
რებენ ეს ჭვილები მეთქი? ერესტოს
ვიცნობდი, მამიდაჩემის მეზობლად
ცხოვრობს თელავში. მერე დავფიქრდი
და მივხვდი. აბა, ჩასაბერო, ეხლავე
დაბრუნდი და დორბლიანი ნასყილა
ბოლმანზე გახეთქე მეთქი. წავედი და
ავეტორღილავ. იმდენი ვუტრიალავ,
რომ ვათქმეინე: რულეტკის დაჭერა
მიშველო.

— მერე?

— მერე არაფერი. ზუსტად ოცდა-
ხუთი მეასედი გამოუვიდა მაგ ხლარ-

ხოანს. მაგრამ გაეზარდიან, ძია ნიკო გაწურეს მხლის გუნდასავეთ.

— საიდან იცი, ხომ სთქვი, რომ კა ბინეტიდან ჰიტლაყით გამომაგდესო?

— პირში ეცა ტიტა.

— ბრიყვო, ის გითხარით, გამომაგდეს მეთქი, თორემ ის კი არ მოთქვამს, რომ იქიდან სულ წამოვედი. ჯერ კიბე ხმაურით ჩამოვიარე, მერე ჩუმად ავბრუნდი და აივნის კედელს მივეხუტე. ფანჯარა ღია იყო და იგრე ისმოდა, როგორც ეხლა მე და შენ ვლაპარაკობთ.

— მერე?

— მერე რა, თურმე იგრეა არეულდარეული ამ მიწების წონა-ზომა, რომ ვისი დანა ვის ჯიბეში დევს, ვერ გაიგებ.

— მაგას თავი დაანებე, შაქრი, შენ ის გვითხარი, სასადილოში მწვადს როგორ უთლიდი ბუფშე ძია ნიკოს და მერე ისევ შენა სკამდი?

— ოპო-პო-პო!

— ვაპა-პა-პა!

— გაგიყდებოდა ძია ნიკო.

— რა ვიცი, კუპრაჰამ განგებ გააკეთა თუ დააეწედა, თეფში არ მომიტანა. მე ვთქვი: ეშმაკზე სამი დლით აღრე ხარ დაბადებული, კუპრაჰ, მაგრამ ჩასაბერთან ფეხი არ ჩაგვრტევა მეთქი. ავდექი და ორი მწვადი (სულ სამი მოიტანეს სუფრაზე) ჩემს გვერდში მჭდარ ძია ნიკოს დავეუქერი თეფშზე. ნიკო გაოცდა და იმ ჰრუტა თვალეზით იგრე მომაცქერდა, მეგონა რენტგენით ეფეფში გამოიარა მეთქი. ჯერ, ეტყობოდა, ზრდილობის გულისთვის მადლობის თქმა დააპირა, მაგრამ მერე ის თეფში აქეთ რომ გამოეწე და მე და ნიკოს შუაში ჩავდგი, ჩანგალი დადო და პირი აღარც დაუკარებია.

ბიჭები სიცილით იფხრიწებიან.

ჩასაბერი განავრძობს.

— მიყურებს ერესტო, ნდომისაგან პირიდან დორბლი ჩამოსდის და ვერა უთქვამს რა. სახე უცინის, მაგრამ ვიცი, გული ცხარე ცრემლით უტირის.

მე კი ვიღებ ჰიქას და ერესტოს წარმატებას ვუსურვებ დღევანდელ საქმიანობაში.

— პო, რას გააგიყებდი ბალამწარიანთ ბიჭებს!

— სულ კაკალი ვამტვრინე, მაგრამ რა უნდა ექნათ? მარტო თვალეზითა მბურღავდნენ და, ცქერას რომ კაცის მოკლა შეეძლოს, ეხლა თქვენ გვირგვინებში ჩაფლულს უნდა დამტიროდეთ თავზე.

— ოხ, მე მაგათი... საღმის მოცემაც არ იციან რიგიანად, იგრე ჩაგივილიან დაბლვერილები.

— მამაშენიც კაი ჩიტია, შალვაბატონო, მაგრამ კაი ვალიაშიცა ზის. ნიკოსთან წინანდელივით ველარ აფხლავუნებს ფეხებს.

— შენ რას გადაეკიდე მამაჩემს?

— არ არი კაი კაცი და იმიტომ.

— მე მამაშენს...

— დეგდე შენთვის შე ჰირიანო, — ჩაავლო მხრებში მეზობელს ხელები ერმანამ და იქვე ჩაკეცა, საიდანაც წამოღდა.

— არა, გამიშვი, მე მაგას...

— ერთი გამიშვით, ღოღნოშოები დავახატო სახეზე, — წამოხტა დათა.

— ღოღნოშოები, თორემ შენც შევლეგოსავით თითო ღარტყმაზე თითო კაცს წააქეცე.

— მართლა, კაცო, რა ჯნა იმ დღეს აღაზანზე, ნახეთ როგორ დააწყო ერთმანეთზე ბიჭები?

— პირველად მე დაეინახე, ვალერიანს რომ აჰმა.

— შენ, ნოდარ, ბოლოს ამოხვედი წყლიდან. ვალერიანამდე კუპრაჰას სტუმარს ასიამოვნა.

— მე კი გული გამისიკდა, ამათ რომ მოათავებეს, ახლა ჩვენცენ არ გადმოინაცვლოს-მეთქი.

— კურდღლის ბულავ, შენზე ხელს ვინ გაისერის?

— რატომ, ჩასაბერო, — იწყინა ტიტამ, — ფირუხაზე ნაკლები ბიჭი ვარ?

საქმე სიმალღეში კი არა, საქმე წვენი-
შია. მკლავში წვენი უნდა გედგეს.

— ახლა ისევ ფირუზას გაუკვნიტეთ.

— ზაქრომ კი არ იჩხუბა.

— ჰო, არ იჩხუბა.

— რომ ეჩხუბნათ, ნეტა რომელი
მოერეოდა?

— ზაქრო შეიძლება ჭიდაობაში მოე-
რიოს.

— ვერც ჭიდაობაში მოერევა —
ისიც ჭალისპირელია.

— მე მიკვირს, იმ საწყალმა ლეომ
ფორმას რატომ თავისი შარვალ-პერან-
გიც არ დაუშატა როცა, საწყობში შე-
სული შავლეგო დაინახა.

— მართლა, ხო იცი! ციება ჯერაც არ
ექნება გავლილი.

— კაცი ეგა ყოფილა, ძმაო. მე მე-
გონა, თავს არც კი გაგვიყადრებს მეთ-
ქი და ნახე, ჩასაბერო, იმ თქვენ ნაფეტ-
ვარში რამოდენა ლოდებს ეწეოდა?

— ყოველდღე მოდიოდა დილიდან-
ვე, სანამ პირწმინდად არ გავასუფთა-
ვეთ.

— საიდან გაიგო, რომ ფორმა ჰქონ-
და კოლმეურნეობას?

— აბა, რა ვიცი. დილით იმათი თა-
მაზა ჩამოსულიყო ჩვენთან. მე სახლში
არ ვიყავ. დაებარებინა, აქ ამოვიდესო.
მეორე დღეს ავედი და მაშინვე სა-
წყობში წავედი. დეკეული გადავარდ-
ნოდით კლდეზე, მწყემსებს ჩამოეტა-
ნათ და იმის ხორცს უნაწილებდა ლეო
შრომადღებზე. ფანჯრიდან ვუყურებ:
რაც კი ნაჭრებია, მაგიდის ქვეშ ინა-
ხავს, დანარჩენს კი ხალხს აძლევს. აყ-
ვირდა ვარდუანთ იოსებას ცოლი, ხომ
იცი, მამალი დედაკაცია, გინდა თუ
არა, დამალული მოგვეციო. უყურებს
შავლეგო, უყურებს, მერე რა ვიცი,
ალბათ, გუნებაში არ მოეწონა, წაართ-
ვა ნაჯახი ლეოს, თავისი ხელით გამოა-
წყობინა დამალული ხორცი, მაგიდას-
თან თითონ დადგა არსენაშავით და ყვე-
ლას თანაბრად გაუნაწილა კარგიცა და
უვარგისიც.

— ბულალტერიაში გადარეულები

იყვნენ, ხორცი ყველას ერთ მსხვედრია!
— შენ ძალიან დაუძვედრებია მსა-
ბერო.

— კაცს იცნობენ.

ერმანა წამოდგა.

— წავიდეთ, ეხლა შინ, თორემ ხვალ
აღრე ვართ ასადგომნი.

მალე ბიჭების ნახევარმა საბჭოს
ეზოში თბილი მიწა და მოთელილი ბა-
ლახი დატოვა.

— მე მაგისი... — შარავზისაკენ მუ-
ქარით გაიხედა შალვამ.

— კარგი ჰო, დაჯჭვი. დერეფნიდან
ახლა იყეფები ძალივით, როცა მგელი
წავიდა?

— რა უნდოდა მამაჩემისაგან?

— რატომ არ გაჩუმდები? — გაბ-
რაზდა შაქრია. — მე ხომ მაინც ვიცი,
რაც არი მამაშენი?

— აბა, რა არი, ჩასაბერო, აბა, რა
არი?

— კარგად ვერც გაუგებ. რაც მი-
წაზე დადის, ერთი იმოდენა შიწის ქვე
შაა.

— მერე რად დადის?

— რა ვიცი, გეტყვის? დადის კი
და.

— არ დადის.

— დადის მეთქი. მაგრამ ეს იცოდე-
ეხლა არქეოლოგია იგრეა განვითარე-
ბული, რომ მალე ამოთხრიან და იმ
მეორე ნახევარსაც აღმოაჩენენ.

მურთაზს არ უნდოდა ჩხუბამდე მი-
სულიყო საქმე და წამოდგა.

— წავალ, რუს მივხედავ, თორემ
იქნებ ვინმემ სადმე სხვაგან დაუქალა
პოტოს. არ მოხვალ იქით, შალვა?

— წამოვალ.

— რუ, თორემ შენც ეხლა ჰოპელა
სავით ღამეებს უთევ ნაპირზე.

— ჰო, მართლა, — ყური ცქვიტა
ტიტამ, — წელან ჰოპელას მსხალი ახ-
სენე და კი აღარ დაგაცადეს. მწიფს?

— მწიფს და ეგრე? ზედ აღნება.

შალვა და მურთაზი ეზოდან გავიდ-
ნენ.

— მერე? არ ვესტუმროთ?

— არც კი გაივლოთ გუნებაში.
 — რატომ, ოთარ?
 — ჭოპელა ყოველ ღამე ყარაულობს.
 — მერე უყარაულოს, რას გაგვიგებს, ძილად ავდია, მგონი, მთელი ღამე.
 — არც ძინავს და თავისი ძაღლიც თანა ჰყავს.
 — ფხიზელი ძაღლია.
 — ანჩხლია, ეგ ოხერი.
 — მაშ მია ნიკო როგორ ეპარება ღამე მართასთან?
 — ნუ სულელობ, ტყუილად სახელს რაზე უტეხთ იმ დედაკაცს? ვინ ვითხრა, რომ ეპარება?
 — ხალხი ამბობს.
 — ხალხი იმასაც ამბობს...
 — დაიცათ, რა დროს ხალხია. მაშ ძაღლიც თანა ჰყავს?
 — თანა ჰყავს.
 — შენ უყურე, ამას უკვე მოუყენოსია.
 — მაშ რა ექნათ?
 — რა ექნათ, ჩასაბერო?
 — ხედავ, შაქრი, ძაღლიც თანა ჰყოლია.
 ჩასაბერი ერთ ხანს გაჩუმებული წევს, მერე თავს იღებს და თვალზე მოჭურტებით ამბობს.
 — მე დიდი ხანია, რაც ვიცი, რომ ღამე ძაღლითა ჰყარაულობს. ეგ უკეთესიც არი.
 — რას მიჰქარავ, ჩასაბერო, ცეცხლივით ძაღლია. თუ გეცა, ბარკალს აგახვეს.
 — მე იმ მსხალს იგრე მოვპარავ, რომ ჭოპელას შორიდან ეყურებიანებ.
 ბიჭებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.
 — ურეე, ჩასაბერო?
 — ეტყობა, კარგად შეგციეთა დღეს ნასყიდამ.
 — აი, თუ ურეე, თქვენი თვალით გაჩვენებთ ამაღამ.
 — ამაღამ? ამაღამ აპირებ წასვლას?

— ამაღამ, თორემ ხვალ ჭოპელა რეფსა და გაყიდვას აპირებს.
 — მაშ ამაღამ სჯობია, მაგრამ როგორ ფიქრობ მოპარვას?
 ჩასაბერი მუხლებზე წამოდგა, საგულდაგულოდ მოათვალიერა საბჭოს ეზო გიგლას ბაღია და შარავნა.
 არსად არავინ ჰაჰანებდა. მხოლოდ ორიოდ მანქანამ გაიქროლა ხილზე. წყაროს აუხთან ავშარის რგოლის წყარუნითა და ფრთქვენივით ხერეპავდა წყალს ვიდაცის ცხენი.
 ჩასაბერი ისევ წამოწვა ბალახზე და ჩურჩულად იქცა.
 — ორი საათისთვის კონდახასეული ვენახის თავში რომ კვეის ხეებია, შუაში რომ თელაა გადმოხრილი ბერხევაზე, იქ მოდიო და თითომ თითო ზეწარი და თითო სანთელი მოიტანეთ.
 — რად გინდა, ჩასაბერო?
 — გამბარად უნდა დავგრიხო. რადაც მინდა, იქ გაიგებთ.
 — მაშ, წავიდეთ, ბიჭებო?
 — წავიდეთ.
 — მაშინ ეხლავე უნდა მოვემზადოთ.
 — ეხლავე სჯობია, აბა აიწიე, ფირუხ.
 — ადე, მოკლე!
 ბიჭებმა დანანებით დაიწყეს ტანსაცმლის ბლერტვა.
 — ღამის ორ საათზე, ბერხევაზე რომ თელაა გადმოხრილი, კვეის ხეებში.
 — კარგი, ჰო, ნუ გააჯამბარე. ვიცით, სადაც არი.
 პანტის იქით, ბნელ აივანზე გიგლამ თავისუფლად ამოისუნთქა.
 4
 თინა მამიღამ სურა კედლის ძირას მიდგა და დიდად გაოცდა, თამარი რომ მამის მუხლებზე ჩამომჯდარი დაინახა.
 — განალა პატარა ხარ, ქაა, რაღა დროს შენი კალთაში ჩაჯდომია. უიმე, უიმე. ოცი წლის გოგოს ეგრე გასულელება?
 თამარი იღიმებოდა და ლოყით უფ-

რო ესტუბოდა მამის გაფუტულ ლოყას. მარცხენა ხელი სქელ კისერზე მოეხვეინა, ხოლო მარჯვენათი ბოლქვა უღვაშებს უწეწავდა, როგორც ოდესღაც ბავშვობისას.

ძია ნიკო ზავერდგადაკრულ განიერ სავარძელში ჩამჯდარიყო (იგი ერთი გადამდგარი მაიორისაგან შეიძინა, ბერლინიდან დავლად ჩამოტანილი), ჩასხმული ბეჭებით რბილ საზურგეს მიჰყუდებოდა და ტკებოდა შვილის ალერსით. მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ შეამჩნევდა წარბების შესაყართან ორი ნაოკი როგორ ნელ-ნელა იშლებოდა და კვლავ იკეტებოდა. ხანდახან ყვითლად აჯაგრული წარბები ისე ირხეოდნენ, როგორც ტბისპირა ლელი აედრის წინ. ხოლო ლელიანიდან გატრუნული სალამანდრებივით იმზირებოდნენ ხაფისფერი თვალები. დროდადრო შვილის გრძელ ნაწნაუებს წამოკრეფდა ხელში, ყელსა და სახეზე ისეამდა და მერე გაშლილ წვეროებს უღვაშებში ურევდა. თამარი გრძნობდა, რომ ჩუმად კოცნიდა მის თმებს და გული სინახით ევსებოდა. რაც დაქალიშვილდა, მას აქეთ ასე ალერსიანი არ ენახა მამა.

— შენ რაღამ გადაგვრია, ბიჭო, განა-ლა ბაღლია, სადაც არი, უნდა გავათხოვოთ.

წარბთაშუა ნაოკი უცბად შეტყუბდა, ლელიანი ჩაიხუფრა და სალამანდრები წუთით სადღაც მიიუფენენ. ერთხანად არ გამოჩენილან. მერე კი დინჯად, ფრთხილად, ჩუმად კვლავ გამოუვეს თავები და მზერა მოპირდაპირე კედელს იქით გაიტანეს.

— აბა, შვილო, ცივი წყალი მოუტანე მამაშენს.

თამარმა შეხედა ჯერ კიდევ სველ სურას და მამის მუხლებიდან ჩამოხტა.

ნიკომ თვალი გააყოლა ნაწნაუების რხევით მიმავალ შვილსა და, თითქოს ახლა შენიშნა პირველად სრული ტანაყრილობაო, შუბლი უარესად მოედ-

რებლა: უკვე დაქალიშვილებულიყო მისი პირში და პირველი ყვანდობის იერი ედო. ქალაქის შემდეგ სოფლის პაერს თავისი გაეტანა და გაცრეცილი ლაწვები მოეხორბლისფერებინა. ხორცი მოემატა და თვალებში მზე და ელვა ჩასახლებოდა, რომელიც განწყობილებისდა მიხედვით, ქრებოდა და იბინდებოდა.

უთქმელობა არ შეიძლება, მაშასადამე, დასაკლავ ხარს ყურება აღარ უნდა. მაგრამ საიდან დაიწყოს? იქნება სკობია, სხვა დროისთვის გადადოს? მაგრამ რამდენი კარგი ლამე შეიძლება მოჰყვეს ივლისის დღეებს და ვინ იცის, რომელი მათგანი იქცევა მისი ერთსთვის საბედისწეროდ?

ნიკომ წყლიანი ჭიქა გამოცალა და შვილი გვერდით მოისვა. იგი თბილად უცქეროდა მის თავზე შუა გამავალ თეთრ ზოლს, რომელიც ორი ნაწნაუის, — ორი შავი მდინარის დელტებს ყოფდა.

— შენ რას იტყვი, შვილო, ბაღში ის დიდი წაბლის ხე რომ მოვჭრა?

— რატომ მამი? — გაოცდა ქალი,

— შეშა გაავითავადა და, იცი, იქიდან რამდენი გამოვა?

— რას ამბობ, მამი, შეშის გულისთვის? ამ შუა ზაფხულში შეშა რად გვიწინდა?

— ზამთრამდე კარგად გახმება შენ-ლო.

— როგორ, განა ზამთარში ტყიდან ვერ მოიტან? შარშან ზომ არ შემოვკლებია, წელს რაღა დაგვემართება?

— ყოველი წელი თავისებურია, წელს რაღაც კაი პირი არ უჩანს.

— ნუ მოსჭრი, მამი.

— რატომ, შვილო, შეიძლება სხვათ დარჩეს.

— როგორ თუ სხვას? რატომ სხვას?

— მეტი გვქონია მიწა და უნდა ჩამოგვაჭრან.

— რას ამბობ, მამი, ვინა თქვა ეგა? რაც თავი მახსოვს, სულ ჩვენი იყო ეგ წაბლი და ბაღი.

— თქვეს, შვილო, დღეს თქვეს: ზედმეტი გაქვითო.

— ვინა თქვა, მამი, რატომ წინათ არა გექონდა?

— არც ეხლა გვაქვს ზედმეტი, მაგრამ ზოგიერთებს ეგრე ეპრიანებათ, ბევრს ისიც კი შურთ, ცოცხლები რომ ვართ.

— არა მგონია, სოფელში ასეთი კაცი იყოს.

— თუ იქნა?

— არა მგონია.

— თუ იქნა?

— არ იქნება, მამი, კარგის მეტი შენ არავისთვის არა გიქნია რა.

ნიკომ მწარედ ჩაიღიმა, ქუთუთოები დაუფიწროვდა და თავი ჩაიქნია.

— ზოგს არც ეგ მოსწონს, შვილო. აბა, შენ თუ ვაგახსენდება, ავი რა მიქნია ენუქაანთ რევანსათვის.

— რევანსისთვის?

ნიკომ ირიბად ვახედა პირმშოს და თვალი ჰკიდა, ყვრიმალეებიც კი როგორ დაუფარა სიწითლემ. ნარინჯისფერი კაბის საყელოდან აწვდილ თეთრ ყელზე, კანქვეშ მფეთქავი ძარღვი უფრო დაიკიმა და ისე აჩქარდა, თითქოს გაბმულ ბაგირზე ერთ ადგილას მოცეკვავე ჯამბაზმა ხტუნვას უმატაო. თვალები სიციხიანივით დაებინდა და ლოყებზე პურისმცხობელი დედაკაცივით ალი ავარდა.

— რა ქნა, მამი, რევანსმა? — ძლივს გაიგონა თავმჯდომარემ შვილის ჩურჩული.

— კარგს ხომ არაფერს იზამდა, შვილო. მიწვანში უჩივლია, თითქოს რაცა გვაქვს, არ გვეკუთვნოდეს და ზედმეტი გვექიროს.

ქალი მაგიდის კიდეზე დამჯდარ ბუხს მისჩერებოდა, რომელიც წინა ფეხებით ხორთუმს იწმენდდა დიდი ამბით. დროდადრო გამოჩნდებოდა წაწყვეტაზე გაწვდილი ზეწვზე უწვრილესი შავი კისერი.

— მერე რევანსმა ხომ იცის რომ ჩვენ ზედმეტი არ გვაქვს.

— როგორ არ იცის.

— მაშ რატომ ჩაიღინა ეს?

— აბა, რას გაიგებ გულღრძო კაცი-სას. თუ შარი გინდა, საშაროც გამოიძებნება.

ქალი გაჩუმდა და ხმა არ დაუძრავს კარგა ხანს.

ისმოდა როგორ ბზუოდა ცარიელ გრაფინში, ვინ იცის საიდან მოხვედრილი ბუზი. ერთსა და იმავეს ერთფეროვანი, ცივი ხმით აჩხაკუნებდა კედლის საათი და ორივე მხარეს უდარდელად იქნევედა გრძელ ენას. საათის ზემოთ ჩარჩოში კლდე მოექობებინათ, რომელსაც გვერდით წყალი ჩაუდიოდა. წყლის პირას სახედარივით გრძელყურება ცხენი იდგა გამოთავყვანებული სახით. ცხენთან დამწუხრებული კაცი ჩამომჯდარიყო, ვეფხვის ტყავმოსხმული, რომელსაც ზოლები ფქვილივით ჰქონდა შეყრილ-შეგლესილი. ასევე დაფქვილული იყო ქუდი. მისი, ხოლო თითონ ფეხებმოღრეცილი კაცი უსაფქვოდ დარჩენილ მეწისქვილეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ქაჯთა მრისხანე მშუსვრელ ტარიელს.

ეს სურათი ომის დროს ჰქია ღვინოდ, ერთ ნაჭერ ყველადა და ერთ შოთის პურად დაახატვინა ძია ნიკომ საიდანღაც გადმოხვეწილ ვიღაც რუს „მატყარს“. თამარს დანახვაც კი ეზარებოდა მისი, მაგრამ მამის ხათრით საათის თავითი ეკიდა წინა ოთახში.

— და ყველაფერი ეს რევანსმა გააკეთა? — ძლივს მივიდა ნიკოს მახვილყურამდის.

— აბა, მაშ სხვა რომელი ჰქვათამყოფელი იზამდა მაგას?

— კარგი, მამი. მე თითონ ენახე რევანსა და ვეტყვი.

ქალი ადგა, მძიმე ნაბიჯებით გავიდა მერე ოთახში და კარები ნელა მიიხურა.

ნიკო კარგახანს იჯდა სავარძელში დაფიქრებული. მერე ცერი და საჩვე-

ნებელი თითოთ უღვაშები შუა გაიყო, წამოდგა და შეილთან შევიდა.

თამარი ფანჯარასთან მიდგმულ სკამზე მოკრუნჩხულიყო, მარჯვენა ხელის იდაყვი რაფაზე ჩამოედვა, დამუშტული ხელი ნიკაბისთვის შეეყუვნებინა და ნაღვლიანი მზერით ბაღში იცქირებოდა.

ფანჯრიდან კარგად მოჩანდა ვეება ტოტებგაბარჯული უხარამზარი წაბლის ხე.

ნიკომ რამდენიმე ბოლთა დაარტყა წიგნების კარადიდან ხის საწოლამდე და მერე ისიც ფანჯარასთან გაჩერდა. დიდი, მძიმე ხელი შეიღს სიფრთხილით დაადო თავზე და მერე მძიმე მძიმედ ძირს ჩამოაცურა თითები ლოყაზე: დაწვის თავები მშრალ ჰქონდა ქალს.

— რაზე ფიქრობ, შვილო?

ქალმა ერთბაშად არ უპასუხა. მერე მოტრიალდა უცებ და პირდაპირ შეხედდა მამას თვალეში.

— იქნებ ნამდვილად არ გვეკუთვნის, მამი, ამდენი მიწა?

თავმჯდომარის თვალეები უცებ დავიწროვდნენ და კარგა ხანს დარჩნენ ასე.

— ვთქვათ ეგრეც იყოს. ვის ეკითხება ჩემი ბედლის ამბავი?

ერთ ხანს გატრუნულმა ქალმა კვლავ ფანჯრისაკენ გაიხედა და თითქოს თავისთვის წაილაპარაკა:

— მე ვიცი, რატომ გააკეთებდა მამას.

ნიკოს შუბლი გარმონივით შეეკეცა და ქვედა ტუჩი კბილებშუა მოჰყვა.

— შენ საიდან იცი?

— ვიცი, — დაბეჭითებით ამბობდა ქალი.

— ეგრეე, — ნიკომ კვლავ ორიოდ ბოლთა დაარტყა კედლის გასწვრივ უკან ხელებდაწყობილი ერთბაშად შედგა და ფეხის წვერებზე რამდენიმეჯერ აიწ-დაიწია.

— ეგრეეე.

მერე ტუჩები მშრალად გაამწკლატუნა და პირდაპირ მოსჭრა:

— აი, რა შეილო, შენ რა გეცხრამე, მეც ვიცი ცოტაოდენი რაღაც შენებია იმაზე მეტიც კი, რამდენიც არ უნდა ვიცოდე... შენ ჰკვიანი გოგო ხარ და ყველაფერს დაუყვირდები. მე გადასაგდები შვილი ვერ არ გამიზრდია. ეს ოჯახი აქამდე მშვიერი კბილებითა და შიშველი ფეხებით მომიტანია. ფიცრისთვის ფიცარი მიმიმატებია, აგურისთვის აგური და იგრე მომიქონებია. და ეხლა მხამზარულად გამართული ოჯახი ვილაც გათახსირებულს ჩაუვუგდო ხელში? ეგ არ იფიქრო, შვილო, ეგ არ იფიქრო და, სახლში თუ გინდა ყარაჯლელი თათარი ჩამისახლე. შენ ჰკვიანი გოგო ხარ, დაუყვირდი, მიიხედ-მოიხედე, ქვეყანაზე კაცები დაილიენენ? რა მჭირს სამაგისო, რომ ენუქანთ დაბდური სახლში შემოვიყვანო?

ქალი აღმურმოდებული სახითა და დიდრონი თვალეებით მისჩერებოდა მამას და უკვე მიმხედარი, რომ მშობელმა საკმარისზე მეტი იცოდა, გაოგნებული ცდილობდა აზრის მოკრებას პასუხისათვის. იგი შიშით ატყობდა, როგორ დევდებოდნენ თანდათან ჰრუტა თვალეები და როგორ იბმებოდნენ ბუწყნარსავით ერთმანეთში წარბთა ჯაგრები, — უტყუარი ნიშანი გაბრაზებისა.

— ხვალ ჯავახიანთ ია ძეძვს მოიტანს და იმ ბროწეულის ბუჩქს ჩაღობავს კარგად. ხოლო თუ მართლა წაბლის მოჭრა არ გინდა, აღარ დაგინახოთ მშის ჩასვლის შემდეგ ბაღში ჩასული. მამიდაშენს კი იგრე გავლანძლავ, რომ ალაზანმაც ვერ გარეცხოს.

ქალმა რაღაცის თქმა დააპირა და წამოდგა, მაგრამ თავმჯდომარე მძიმედ შემოტრიალდა, სარჩოლად დაღირებულ ბუღასავით თავდახრილი წავიდა კარიწკენ და წინა ოთახში გასულმა კარი მჭიდროდ გაიკეტა.

ეს ერთი ხანია, რაც ღმერთი აღარა სწყალობს მიხას. სად არ იყო, სად არ

დაუნთო სანთელი. წმინდა გიორგი და ალავერდი მოილოცა, ბოჭორმის გალანთან მუხლი მოიყარა, მაგრამ არ იქნა და არ ჩამოეხსნა ეშმაკი.

ჭერ იყო და რუს ნაპირთან გამოუხტა ჭაგებიდან პრანქვა-გრეხით, ახლა კიდევ ორჯერ შეასწრო თვალი, როგორ მიძვრებოდა მის საკუთარ სახლში ფანჯრიდან. აი, წმინდა ელიამ დასცეს თავისი მეზი და მშვილდ-ბოძალი:

როგორც იყო გამოიგლოვა ყლორტიანთან დაკარგული თოხი, ბინდიას ახალი გააკეთებინა და უფაზე ჭვარი დაასმევინა. სახლის კარებზე რძლისაგან ჩამოგლეჯილი ნალი ისევ მიაკრა და ცხენის თავის ქალას საძებნელად წავიდა. მთელი დღის ნახეტილებს საღამოთილა გაახსენდა, რომ შარშან ვარდუანთ იოსებას ცხენი გადაუვარდა ბერხევაში ჩაბრიალას ზემოთ, ჩაეიდა, მოძებნა, მზე-წვიმაში დამდნარი ძვლები და ათიოდე ადგილას დაბზარული, გაცრეცილი და კბილებდაკრეცილი თავის ქალა სახლში წამოიღო.

მაგრამ საქმეში ხარ? მესამე დღესვე შეღამისას თავისი თვალით დაინახა, როგორ გაიღო უხმაუროდ ბოსტნის მხარეს ფანჯარა და შავი ხელი როგორ ფრთხილად გადმოცოცდა ჩარჩოზე.

მიხას ხელის პატრონის გამოჩენისთვის აღარც დაუცდია, იშვირა ფეხი, გავარდა გარეთ და ის ღამე ენახში გაათია.

ვენახი აქვს მიხას და რა ვენახი! ავ თვალს არ ენახება. მართალია, სიმინდს ტარო კარგი არ უჩანს წელსა, რადგან წყალს ეშმაკი დაეპატრონა და ჩვეულებრივ ღამღამობით ველარ უგდებს თავის ნაკვეთში, მაგრამ ვენახი ხომ აქ არი? ვენახი კი არა, მსხალი უდგას მიხას ვენახში ისეთი, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ყველა ხილი იმასთან. სულ თაფლი და ერბო მოწვეთავს იქიდან, როგორც კი მწიფობაში შევა.

მიხას ვენახში წალმით გადახურული ქობია, მსხლიდან ორმოც-ორმოცდა-

ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დასასწრაფი აქ ათევს ღამეებს, რადგან სახლში... ღმერთმა დასწყევლოს დედაკაცი, ამბობენ: ცალი გვერდი ეშმაკისა აქვსო... თანაც დღეს ხვალ უნდა დაკრიფოს მიხამ მსხალი და ბევრი ბიჭი უკრაქუნებს კბილებს! ღამე ყარაულობა აუცილებელია, თორემ ის დასალუპი ჩასაბერი იგრე დასტრიალებს მის ვენახს, როგორც ძერა დედაბრის კრუხ-წიწილას.

სალამობით აიღებს მიხა კომბალს, წაიყვანს თავის ერთგულ ქედანას თანა. წამოწება ქოხში ძირს გაშლილ ძველ ფარაჯზე და უცდის გათენებას.

დღესაც არ დააყოვნა მიხამ და როგორც კი შებინდა, მაშინვე მიაშურა თავის ქოხს ძაღლიანად. გადაიწერა პირჯვარი, წამოწვა, ცალი ხელი იქვე გამოტილ ძაღლს გადახვია, პირი მსხლისკენა ქნა და ფიქრებს მისცა თავი.

და განა ცოტა აქვს საფიქრებელი მიხას? განა სავალალო არ არის ეს უხანო და გაუტანელი სოფელი? სოფელი. აი, დალახვროს წმინდა გიორგიმ ეს სოფელი! მთელი სოფლიდან ერთი პატროსანი კაციღაა შემორჩენილი და ისიც ამ უკანასკნელ დღეებში საღდაც გადაიკარგა. ეს როგორ, განა სხვა დროს უჭოპელოდ საღმე წასულა ვანკა? რა დაემართა ამ ბოლო დროს? ქორწილია, ქელები თუ ნათლობა, ერთად გადააქვთ ადამის ეამინდელი ხურჯინით, ეხლა კი, ღმერთმა მუდამ კეთილ გზაზე ატაროს. საღ და რომელ ტაბლაზე აკმევს საქმეველს? მაგრამ არა უშავს, სადაც არი, მარიამობაც დადგება, ღმერთმა გაახანგრძლივოს, სამი სწორი მაინც აქვს და წინასწარ ხომ რამდენი ღამის მთევური და მლოცავი მიდის საკლაგითა და პურ-მარილით. ვინ იცის ეხლა უკვე ასულებიც არიან, ვინ იცის. პაი-და ბიჭო! რას დაიპოხავს მიხა ულვაშებს! თვალებს ბლეტავს მიხა და ჩუმად, თავისთვის, სიამოვნებით ქირქილებს. თეთრი წვერი, თავი და მსუქანი მხრები ერთნაირად უტანცარებს.

მიხას თითქოს უკვე ცხვირში უღიტინებს აორთქლებული ხაშლამიანი ხონჩა, პამიდორის მამარაბში ამოვლებული ცხვირის კანჭი და თხლად დათლილ ხახვწყარილი დეკულის შიშხინა მწვადები. მიხას მეძებარეგით უტოკავს ჩაიდანის ტუჩივით მოხრილი ცხვირის ნესტოები და ვერ გაუგია, თითონ მიწას ასდის ეს სუნი, ვენახიდან მოაქვს ნიავს, თუ მსხლიდან უბერავს. და რა სუნი! ახ, ერთი აქ იყოს ეხლავანკა. ნეტა რას იტყოდა ამ გახსენებაზე? — ფიქრობს მიხა და, ღმერთო, შენ უშველე, ეს რა სასწაულია, ეს რა მოევლინა? ეჩვენება თუ ცხადად ხედავს? მიწიდან ამოქრნენ თუ ციდან ჩამოფრინდნენ? ღმერთო, შენს ძლიერებას ენაცვალოს მიხა! ანგელოზებია, ნამდვილად ანგელოზები! აუ, რამდენია! ერთი, ორი, სამი!... — ითვლის მიხა და პირჯვარს იწერს.

მიყუჩებული, წინ გამოტილ თათებზე ცხვირდადებული ძალი წამოვარდა ყვეით, მაგრამ მიხამ მოასწრო და საყელურში ხელი სტაცა.

— ჩუმად, ქედან! — ჩურჩულით აფრთხილებს ძალს მიხა, — არ დააფრთხო, მაგათ მადლსა და ძალს ვენაცვალე, ნახე მსხალს როგორ ბარაქას მისცემენ, — მიხა ცხვირ-პირზე ხელს უჭერს, რომ აი დაიყვფოს და თან საყელურით ძლივს იმაგრებს. ძალი ზმუის და იწევს გახელებული.

— ღმერთო, ძლიერო! სულ თეთრად არიან გამოწყობილი ფავით ფეხამდე!

მხოლოდ ვერ გაურკვევია მიხას: თავზე ნათელი გადასდით, თუ შებლზე სანთლები აქვთ მიკრული. იმ ერთ მაღალს კი ცალ ხელში კელაპტარი უჭირავს და ცალითაც საცეცხლურს იქნევს (მთავარანგელოზი ნამდვილად ეგი იქნება!) აგე, ბოლი როგორ ადის მაღლა და ტოტებს ეკმევა. რა ხმატუბილად გალობენ! დაშაქრდება მსხალი, მა რას იზამს! წულს ვერც კი ჩამოლევს.

— ღმერთო, შენს ძლიერებას უენაცვალე! — ცალი ხელით პირჯვარს იწერს მიხა და ცალითაც აყეფებულ ძალს იჭერს.

ანგელოზები მსხალს ირგვლივ უვლიან, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის, ზოგი ღობეს იქით წაყუხული გადად-გადმოდის.. მაღლო და ძალო ცისაო, შენ მოუმართე მიხას ხელი. მამა-ღმერთმა პირი იბრუნა მიხასკენ და ეხლა ეშმაკის მაგივრად ანგელოზები გამოუგზავნა. მაშ, ვანა ტყუილად ჩაუვლიდა ბოქორმაში ასვლა?

უეცრად ძალი ხელიდან გაუსხლტა პატრონს, გაქანდა მსხლისკენ და ანგელოზების ღვთაებრივ დუმილში ისეთი გნისი შეიტანა, რომ მიხა ადგილზევე გააშრო. ერთი ბლლარქა-ბლლურძით ეცნენ ღობეს არამიწიერი არსებანი და ეცადნენ გაესწროთ ერთმანეთისთვის.

წამოეწია მთავარ-ანგელოზს ძალი, გააფთრებული ღრენით შეუტია, ეცა და თეთრი სამოსელი სულ შემოახია ტანზე. ანგელოზმა საცეცხლური უთაქა ძალს, მაგრამ, რაკი ვერ მოიშორა, ისევ ღობისკენ იბრუნა პირი. სანამ ღობეზე გადაფრინდებოდა ისევ, წამოეწია ძალი და ტიტველა კანჭზე დასწვდა.

დაკბენილი და აყვირებული ანგელოზი ძლივს გადაფოფხდა ღობეზე და თვალთავან მიეფარა.

თვალბდაქყვტილ, აცახცახებულ და გაოგნებულ მიხას პირჯვრის წერა არ შეუწყვეტია, სანამ ყველა ანგელოზი ღობეს იქით არ გაქრა. /

მეორე დღით მიხა თავჩაქინდრული იდგა მსხლის ქვეშ: ძირს ფოთლები და დამტკრეული ტოტები ეფინა, ხოლო ხეს აქა-იქ ქვით ჩამოსაგდები მსხალიდა ება.

და გაიკვირვა მიხამ: ეშმაკმა წყალი წაართვა, მაგრამ არც ანგელოზებმა დააყარეს ხეირი.

თავი მეთერთმეტი

1

ბინდიამ საქმე მოიმიზეზა, საყვე-
ლაწმინდო დალია და წავიდა.

დიდხანს გაპყურებდა თედო გახუ-
რულ კარს უნდო თვალებით და კურდ-
ლის ყურით უსმენდა კიბეზე ჩამავა-
ლის ფეხის ხმას. მერე მობრუნდა და
დაფიქრებული უბღვერდა ვეება ვაზაზე
მსხვილი ატმების კოკოლას, რომელ-
თაც ლოყებზე ალი ასდიოდათ. გადასწ-
ვდა ხელადას, ჩაის ჰქეა გაავსო, პეშეში
მოიქცია და ისევ გარინდდა.

გულუხვი მასპინძლით აღფრთოვანე-
ბული სტუმრები ვახელებულ მადას
იჩენდნენ და მაგარ კბილებში კვნესი-
თა და ოხერით გაჭკონდათ კნაწენი
ქათმისა და შინაური კურდღლის
ძელებს. ჯავახიანთ ია კომბანიებით მის-
დევდა სუფრას ნაპირიდან და სანამ
დანარჩენნი კარგად მიხედვ-მოხედვას
მოსაწრებდნენ, უკვე ერთი სევ ჰქონ-
და გატანილი. იგი შეუწყვეტლად ამ-
უშავებდა ყბებსა და წინ წამოწეული
და ზევით აბრილი მოკლე ნიკაპი გამო-
ზომილად და დროის თანაბარ მონაჯ-
ვეთებში მიჰქონდა გრძელ ცხვირთან.

ილუამ მხოლოდ ერთხელ აიღო ღვი-
ნით დამძიმებული თავი და გვერდით
მქდომს დანანებით უთხრა:

— კიდევ კარგი, ფოლადისა არა
გაქვს ეგ სახე, თორემ, საფერავის მად-
ლმა, სულ ნაპერწყლებით გექნებოდა
გარუჯული ტუჩ-პირი.

ბელურას მაგარი და მოქნილი ჯავ-
რცხილის სახრე მუხლებზე მიეყუდე-
ბინა და ჰროდა თვალებით გულკეთი-
ლად უღიმოდა ცივად მოხარშული
დედლის ბარკალს.

ეფრემას ქერა წარბები ზევით აე-
კიშნა, თვალები დაეხუჭა (როგორც ეს
ჩვეულებრივ იცოდა სიცილის დროს),
ხითხითებდა ჩუმად, თავისთვის და ზამ-
ბარასავით კისერზე თავს ისე აქანავებ-
და, როგორც შუადღისას ჩრდილში შე-
ფარებული და ბუხებისაგან შეწუხებუ-
ლი ცხენი.

თეთრი ხილაბანდით ლუკა კვდნის
მამის გვერდზე მჯდარ შეწუხებულ
ბანდსა და მარჯვენა ყბას შუა გახურე-
ბული მარლით გატენილი პარკი შეე-
ჩურთა და შურით შესცქეროდა მაგი-
დის მოპირდაპირე მხარეზე მჯდარს.

როხროხებდა შალვასა და ილო-პა-
პას შორის მოქცეული ძალაყინა, და-
ნის პირივით თხელი და გრძელი სახე კე-
ტივით გამხმარ ტან-კისერზე გაეშეშო-
და და შავი სატინის ხალათი ვიწრო, და-
ქანებულ მხრებზე ოდნავ ერხეოდა.
მსუქანი ჩახოხბილით გამოხილი კუპ-
რივით შავი უღვაშები ისე მოუჩანდა,
გეგონებოდათ, მერცხალი გადაუყლაპია
და ფრთები გარეთ დარჩენიაო.

წვერმოშვებული, დაფიქრებული სი-
ყო საესე ჰოქას ძირით მაგიდაზე ატ-
რიალებდა.

მარკოზა მიუხედა განწყობილებას
მასპინძელსა და ანუგეშა.

— გაუშვი, რაც ადრე წაეა, მით უკე-
თესი.

თედომ ატამს თვალბ მოსწყვიტა.
ტუჩები ეპვიანად დაბრიცა და მწითო-
რი წარბები ზევით აზიდა.

— რა ვიცი, რაც ეგ ნიკოს ავინებდა,
რომ ჩაგეწერნა, ზონარგაყრილ დავთარ-
შიც არ ჩაეტეოდა, ეხლა რალა ბუხალა-
კი შეუჯდა?

— ეხლა ახალი სამკედლო აუშენეს
და ჩვენთან რალა უნდა? მაგისთვის
სულ ერთია, ოდონდ ნახშირი და რკი-
ნა არ მოაკლო და თავმქდომარედ თუ
გინდა, ანდე ეგ ხელადა დასვი.

— მუშა კაცია, — თავის წვერსა და
სავსე ჰიქას უთხრა სიკომ.

— ზაფხულის დამე პატარაა. ბა-
ლიშზე თავის მიღებას ვერ მოასწრებ,
რომ მთებს იქიდან მზეს ყური აქვს
ამოყოფილი. უკვე დრო არი, ჩვენ რომ
დავიშალნეთ, თორემ მასპინძელი თი-
თონ კი არა გვერავს ხელსა, — მაგიდის
ბოლოს მქდარი თომა საგულისხმოდ
იწმენდდა ერთგულ წინსაფარზე ხე-
ლებს.

თედომ ქვემ-ქვეშ გახედა ბებერ მე-

ფუტკრეს და მერე სავესე ჭიქას თავი დაუტყრა.

— რამდენი წელიწადია, თომავ, რაც შენ ჩემს ოჯახში არა ჰყოფილხარ. რა გაჩქარებს, შე დალოცვილო, განა ის ბალი იქიდან გაგეცქევია.

— ბალი არ გაიქცევა, თედო, მაგრამ სამაგიეროდ დრო გარბის. ის კი, რამაც ჩაიარა, ალაზნის წყალივით აღარ მობრუნდება. დროს დაშურება უნდა. აი, ჭეილი ბიჭები არიან, დარჩნენ, სმაც შეუძლიათ და ჭამაც. შე ერთი ბერიკაცი ვარ, წავალ, დავეგდები. რაღა დროს ჩემი გაბმული სმია. დიდი მადლობელი პატივისცემისთვის.

— განა ილუას ბევრი ეკლდება შენამდე? არც ეფერებაა მაინც და მაინც პირტიტველა ბიჭი.

ილუამ თავი აიღო მისი სახელის ხსენებაზე და ამდვრეული თვალები მიატარა.

— აქა ვარ, თქვენი ჭირიმეთ, — ხელის ფათურით მოქმენა თავისი ჭიქა და ახლოს მიიქურა. — სიკვდილი იქნება, ერთად დაეხიოცნეთ, დალევია და ერთად დავლიოთ, — და თომამ წინსაფრით უღვაშების გაწმენდა ვერ მოასწრო, რომ ილოპაპამ ჭიქა გამოაშრო. მერე ეს ჭიქა შეაბრუნა, ძირზე მადიანად აკოცა და მაგიდაზე ბრახვანით დადგა: — ეგრე მტერი დაგეცალოთ! — და მარჯვენა ყური ისევ მაგიდაზე დალაგებულ მკლავებს დაადო.

შხოლოდ ლეომ მიჰბაძა მის მაგალითს და სასმისის დაკლის შემდეგ უკვე იგრძნო, როგორი ტკბილი ბურუსი, სიცარიელე და სიმძიმე იყო მის თავში. გადასწვდა ატამს, მადიანად ჩაქბიჩა და თქაფა-თქუფით დაუწყო ჭამა.

მარკოზამ პამიდორის მამარაბიანი ბოთლი მიუწია ახლოს და უთხრა, რომ ატამი მერე დაეყოლებინა.

— ღვინოს ველარ დალევ. ესა სჯობია. თუ ვერ მოითმენ, ღვინოში ჩააჭერი. შენ კი, ძია თომავ, კოჭებში გეტყობა, ჭკუაში არ მოგდის ჩვენი საუბარი.

თომამ თეფში გვერდზე მისწია და

მაგიდის კუთხე თავის წინ ნამცეცებისაგან გაწმინდა.

— შენ რომელ საუბარზე მოაჩვენებ? — იმ შენს ბალს რო ეფრემას ვენახივით „აბლაღაში“ მოაყოლებენ, შენ ალბათ, შხოლოდ მაშინ მიხვდები.

თომამ მოგროვილი ნამცეცები დიდრონ პეშეში მოიქცია, თავის თეფშზე საჭმლის ნამუსრევთან დაყარა და კვლავ ხელები გაიწმინდა წინსაფარზე.

— შენ, მარკოზ, ჩემ ბალს თავი დაანებე. ტყუილად უწრუბუნებ. ეგ იგეთი მიმინოა, რომელიც მარტო პატრონის ცერზე ჯდება. ადგილი ოხრად გატრალია, ხელი გაიქნიე და შენც გეჭენება ბალი.

— შე დალოცვილო, აგე. იმ დღეს მოვიდნენ რაიონიდან, აუზომეს და მიჯნა ჩაუგდეს, სადღა უნდა გააშენოს ბალი? — თედო დაფიქრებული უმხერდა მებაღეს.

— რატო მე არ მაქრიან? ალბათ, მეტი ჰქონდა და ჩამოაჭრეს. შენ გაგიგია ზოდისმე, რომ მოყვარული ცოლქმარი ცულის ტარზე იწვნენ? გაგიგია. მამასადამე, გამოდის, რომ თუ თავლია, ბუხი ბაღდადიდან მოვა. რა ადგილიც დარჩა, იმ ადგილში ჩემსაზე დიდი ბალი გამოვა. გაიქნიო! ხელი, ოფლი მოიწუროს და მეზობელი არა ვარ? მეც მივეხმარები და ბალი ექნება.

— მეზობელი ვარო? რის მეზობელი ხარ. ცხვირწინ საენიანი ტრიფოლიატის ლობე გამოიქმიე.

— თვალბიცი მოგთხარე. შენი ღორქათმები ჩემ ბაღში იზრდებოდნენ და ნერგი ვერ გამეხარებინა იმათი შიშით. რამდენჯერ ვითხარი, მაგრამ როდისმე ყური გაიბღერტე?

— შენ, ძია თომავ, გიცნობ რა კაციცა ხარ. ადამიანის გული ხომ ხარბია, მაგრამ შენი გაუმადარია. ერთი კაცი ხარ და ეგ ბალი ხუთ კომლს შეინახავს. შენ კი ეგეც არა გყოფნის და ტყუილად ედები გასაფართოებლად. შენ ხომ არა გგონია, რომ ქვეყრში ვზივარ და ვერაფერს ვხედავ? სულ ხუთი თი-

თვით ვიცი, სად რა გაგიფხაკუნებია. მთელი ყლორტიანი, თორღვას ტბასთან ტყე და ახლო-მახლო ჭაგინი შენი ნამყენებით არი საესე. რას ეპოტინები, სად ეპოტინები რომ ეპოტინები? არა გყოფნის ეგ შენი ბალი, კოლმეურნეობის ტყე-ნაკვეთებში არ შეიჭრა? ამ გაზაფხულის პირზე ჩემი თვალით გნახე, წარაფებში როგორა ჰყაფავდი კვრინჩხს ერთი ჭიანი პანტის გარშემო. მეორე დღესა ენახე და ზედ წყვილი ნამყენი ერჭო აუნთებელი სანთლებივით. შენ ხო არა გგონია, რო გაიზრდებდა, იქ ფეხს მიგადგმევინებ. ის ნაკვეთი ჩემი ბრიგადისაა და პატრონი უკეთ მოიხმარს.

— აბა, შევილო, ნეტა იგრე იყოს, რომ ჩვენმა თხამ მგელი დაიჭიროს. განა მე რა მინდა? ბევრი არაფერი, — დღეში ერთი პური და ყველის ნაჭერი მეყოფა. მემრე კი ოთხი ფიცარი და ორი ადლი მიწა. ეგ ბალი ისევ თქვენ არ დაგრჩებათ? სანამ ცოცხალი ვარ, არ გაგაფუტებინებთ და როცა აღარ ვიქნები, თავზედამც წამოგიცივიათ. ის ტყე-ღრე და წარაფები თან კი არ მიმაქვს, ისევ თქვენთვის მინდა. ტყეში უნაყოფოდ გდებას, ნაყოფს მოისხამს, შევილო, და ვინც შეჭამს, იქნება დამმყნო-პელიც გაიხსენოს. შენ კი დღემდის კაცათა გთვლიდი და ეხლა ვხედავ, ძალიან მიმიჭარნია. ტრიფოლიატის ღობე მაღალა, მაგრამ რამდენჯერ დამინახნია კოლმეურნეობის მინდვრიდან სახლში მიტანილი სიმინდი და ფუჩეჩი. ანდე, ბელურა მანდ გიზის და აბა, ჰკითხე, თუ ვტყუივარ.

მეურმეს დედლის ბარკლიდან აგლეჯილი ხორცი სასულეში გადასცდა. ერთ ხანს ახველა და მერე ძლივს მოითქვა სული. თვალზე მომდგარი ცრემლები ხალათის გაზინთული სახელოთი მოიწმინდა, მუხლიდან ხველების დროს ძირს ჩავარდნილი სახრე აიღო, ისევ მუხლზე მიიყუდა, ბავშვივით გაწითლდა და გულკეთილ სახეზე უმწყო ღიმილი გადაიკრა.

— მაგრამ მე ჯერ კაცი არ დამიბეზლებია და არც დავაბეზლებ. შენ ნუ გე-

წყინება, თედო. მე მაგ საქმისთვის ვერ გამოვდგები. რალა დროს ჩემი რწმინდა ბიწილოა. დიდი მადლობა პურ-მარჩილზე და მეც ამითივე ვაღამეხადოს. კარგათ იყავით, ამ ოჯახს ვაუმარჯოს, ჩემ წასვლასა და თქვენ აქ მშვიდობით დარჩენას.

მარჯოზამ ბელურას გადახედა და მერე კარში გამავალი ბერიკაცი გააცილა თვალებით.

საბრალო მეურმე მორჩილი ღიმილით ხან თავის ბრიგადირს შეხედავდა ნიშნად იმისა, რომ იმის პირიდან არაფერი ამოსულა იმისი მსგავსი, რაც აქ მეფუტკრემ წამოაყრანტალა და ხანაც ჯერაც გამოუწიწწნავ ბარკალს მიუხედავდა ლმობიერად.

— დაანებე თავი, ეგ კაცი მართალია. — კვლავ თავის ჭიქას უცქეროდა და ატრიალებდა სიკო. — მაგისტვის არც ერთი თავმჯდომარე არ არი სახარბიელო. არ უყვარს ეგენი. იმ დღეს „ზაგოტურნოში“ ვაყუე ლექსოს მანქანას, — დაჰკლებოდათ წონაში. დაეინტერესდი, ხომ არ იეშმაკეს გადმომცელემა ბიჭებმა მეთქი. ვანთიდან იყო ერთი მანქანა. მივეყთ-მოვეყთ ლაპარაკში და შოფერი მეუბნება:

„ყოველ წელს ვიცვლით თავმჯდომარესო. დაჯდება ერთი თავმჯდომარე, — აიშენებს ერთ წელიწადში მშვენიერ სახლს, გაბრაზდება ხალხი და წლის ბოლოს მოხსნის. აირჩევენ სხვას, აიშენებს სახლს და წლის ბოლოს ისიც მიდის. ჯერ რაც მე მახსოვს, ამ უკანასკნელ ხანებში თორმეტი თავმჯდომარე გამოვიცვალეთ. ვეუბნები ხალხს: რამ გაგაგიყათ, ხალხო, რამ შეგშალათ, რასა შერებით, რაზე ილუპავთ თავსა და კოლმეურნეობასაცა ჰლუპავთ. დააყენეთ ერთი კაცი, რომელიც უკვე გამძღარია და ითავმჯდომარეოს. მაგრამ ამ „პაკტიშებს“ ესმით? — ფეხი მიარტყა საბურავებს, — აქაო და უფლება გვაქვს და შეგვიძლიანო, მოუპრაინებათ და მოხსნიან. თქვენთან როგორ არი საქმე?“. —

— მეც ვუთხარი, კარგა ხანია, რაც არ გამოგვიცვლია-მეთქი.

ია უკვე მეორე სეზონი იყო გასული და აინუნშიაც არ მოსდიოდა, უგდებდათ არა ყურს ვინმე მის სადღეგრძელოებს. მხოლოდ დროდადრო გადახედავდა მეზობელს, რომელიც უკვე არხეინად ზვინავდა, და ისევ სუფრას მიუბრუნდებოდა. და მის ახლო-მახლო ისე იყო განადგურებული ყველაფერი, მკლავის მისაწვდენ მანძილზე, როგორც ახმეტის ბოლო შაჰ-ანასის შესვლის შემდეგ.

ეფრემა სუფთა ცისფერ თვალებს ავლებდა შეინახეებს და ჭერაც ვერ მიმხვდარიყო აქამდე ქენწი კაცის გულუზვობას.

— რაო, ჭურჭელი როგორაო, თედო. თედომ პასუხის გაუცემლად მოაჩივრა თვალი შემკითხველს და საწყობის გამოვეს დააკვირდა.

— იქნება შენც გეჩქარება, ლეო. ლეომ მაშარაბში გაწუწული ქათმის ჯურტში გამოივლო ქონისაგან, აბზინებულ ტუჩებში და აუჩქარებლად დახარა თვალები ძირს.

— ჭერ არ მეჩქარება, თედო. — რა ვიცი, კაცნი ვართ... იქნება შენც დილით ადრე გინდა ადგომა ბინდასავით.

მარკოზამ ყანწი მოითხოვა და ნახევიარი ბოთლი შიგ ჩაცალა.

— ეგ არ წაუა, თედო, მაგას იგრე შეუკეთა ძია ნიკომ, რომა ერთ წელიწადს მინც ეყოფა თავის საფხანად.

თედო გამოცოცხლდა. — მაინც რა უთხრა? იმ ფორმაზე ხომ არა, შამრელანთ თედოს ბიჭმა რომ გაიტანა?

— გადარგულია. გაგივდა, ამით ნაფეტვარში (თავით მიძინებულ ილო-პაპაზე აჩვენა) მობურთაღნი რომ დაინახა, გუშინწინ კი მთელი მანქანები, დაშლილი და დაუშლელი ხარა-ხურა და ნაყარ-ნუყარი იქ ჩააზიდინა მიტოსა და იმ გაწმენდილ ნარიყალაში დააყრვეინა.

— კარგად უქნია. ეგ მუქთახორები

იმ დღეს, საღამოთი მუშაობდნენ და თუ რამე მაგინებდნენ. შიგლიწინება

— შენ რალაზე ვითომ? — აბა, რა ვიცი, — თედომ ილო-პაპას ჭალარა ბეწვებს შეავლო თვალი, რომელნიც გამელოტებულ თავზე ოფლისაგან მიწებებულნი ზოლ-ზოლად ისე დაფანტულიყვნენ, როგორც განიერ კალაპოტზე ალაზნის ტოტები. — ამის ბიჭის ბიჭი კინაღამ დასტაკებია ჩვენ შალიკოს.

მარკოზა უგემურად გაიღრიჭა. — ჩასაბერმა ხო არ მოგადო?

შალვამ ბაიათის მთქმელი თათაროვით მარილის პარკიანი ყბა მარჯვენა ხელზე დაიდო და ოდნავ გახსნილი ტუჩებიდან უგემურადვე ძლივს გამოღეჯა:

— კბილი მტკიცია. მარკოზამ ილო-პაპას ერთ ხანს უცქირა, მერე თედოსკენ გადაიხარა ბელურას სკამს უკან და როცა მასპინძელიც საპასუხოდ გადაიწია, ჩურჩულით უთხრა:

— ამას რალას მოათრევედი, არ იცა. რომ ნიკოს კუდიან? ხვალ უკვე ყველაფერი ეცოდინება და დედას გვიტირებს. თედომ მუცელს ძალა დაატანა, ეცა და კიდევ უფრო ახლო მიეტანა პირი მარკოზას ყურთან და იმგვარადვე აჩურჩულდა:

— ვიცი, რაც არი. მინდა ჩვენკენ გამოვიბირო. ჩვენი კაცი გვეყოლება ნიკოსთან ახლო. დღეს უფალსა ჰყავს მიბარებული და ვერაფერს გაიგებს. გინდაც გაიგოს, არა მგონია, რომ ნიკოს უთხრას რამე, ბებერი ეშმაკია ღმერთძალი, მაგისთვის კარგი სუფრა ბარამოზა და ეცდება არ დაკარგოს. გარდა მაგისა, გახსოვს, რომ ნიკომ გამოგზავნა ფინაგენტები მაგასთან და ჭურჭლის ჭრახე ხელი ააღებინა? რა სჯობია „შენცა ჰამე და მეც მაჰამეს“ — როგორც კი დავჯდები თავმჯდომარედ, მაშინვე ეფრემასა და მაგას ნებაზე მიუშვებ.

მარკოზამ ხელზე სისველე იგრძნო და



მიხვდა, რომ ყანწში გადაყვირებდნენ. ისე გაასწორა და თითონაც გასწორდა ისე, რომ თედომ მის სახეზე მაინც ეკვიანიობა ამოიკითხა.

— ეხლა, სიტყვაზე. ჭურჭელი რო სთქვი, თედო.

ასოცდაშვიდ ვოლტიანი ნათურა მკრთალად ანათებდა ხორაგეულით დატვირთულ სუფრას. მსუყე სუნი იღვართანში კერძებისა. ამას ემატებოდა ღია ფანჯრიდან მონაბერი ახალმოთბული თივის მოტყბო, გამაბრუებლად სასიამოვნო სურნელი და ნუშისა და ატმის ნაზი არომატი.

სიკოს თავი აედო თავის ჭიქიდან, ხარბად ისუნთქავდა ჰაშიშივით დამათრობელი ჰაერის ნაზავს და დანანებით ამბობდა.

— არაფერი არ გამოგვივა, თედო მაგას რაიონში იგრე აქვს საქმე დაყუნებული, რომ რაიკომის მდივანი მხარს არ დაგვიჭერს. არც მაინცდამაინც ხალხს ეჯავრება ეგრე რიგად. საქმესაც სხვაზე ნაკლებ არ აკეთებს.

— საქმეს აკეთებს? რა საქმეს აკეთებს? იმას ხომ არა, საშრობის გაკეთების მაგიერად გომურის დამხალ ფიცრებზე რომ აგროვებს წვითა და დაგვით ნაშოვნ ხორბალს და მერე ნეხვში ჰყრის? ხალხს უყვარს? აბა, ეფრემას უთხარი, გულის რომელ კუნჭულში უნის. საწყალ კაცს კამერის ნეხვში ახელილი ხორბლის პური აჭამა. ან ვინ გითხრა, რომ რაიონში კარგადა აქვს საქმე? შენ ხომ არა გგონია, ლუარსაბ სოლომონიჩის მაგაზე ამოსდის მზე და მთვარე. ეგ იქ მოსაგლეჯი კბილივით ფაშტალეებს. ერთი ძაფის ჩაბმა და მოწევა უნდა, რომ ბუდიდან ამოვარდეს. რადა ჰფიქრობ, ეგრე რო არ გამოგვივა?

მარკოზამ ირიბი მხერა შეველო წვერგაუპარსავსა და აიმირნა.

— მაგას, თედო, ლუქმას დაპირდა ძია ნიკო და მალე მომავალი გამგეობის კრებაზე მიუგდებს.

თედომ ყური ცქერტა.

— რას შეპირდაო? სიკომ გაკვირებული და ყანწიანსა და წარბები და ყურები ერთად დაძვინდა.

— რევაზას ბრიგადას აძლევს მაგასა და მევენახეობაში გადაჰყავს.

— ოჰო, — გაოცდა თედო, — ეგ როგორ, ვითომ. რევაზა რას ამბობს?

— რა უნდა თქვას. უარზე იყო, მაგრამ დაიყოლიებს. რაიკომში იციან.

— რაიკომში ისიც იციან, რომ ევ ბრიგადირი და ბრიგადა საუკეთესოა.

— სწორეთ მაგისტვის. გეგმა გადაჭარბა ჩვენმა კოლმეურნეობამ, მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ჰექტარზე საშუალოდ 7,7 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ. მაგარი ხელი უნდა შემინდგრობას და რევაზას დასდეს ეგეთი პატივი. იმან უნდა ააყვავოს ჭალისპირის მინდორები. — ჭირჭილებდა მარკოზა.

სიკომ გაიკვირვა: ასე უცებ საიდან მივიდა ეს ამბავი ამ ბიჭის ყურამდგომო, ხოლო თქმით კი არაფერი უთქვამს.

თედო ქათმის ფეხს მიაცივდა და კარგა ხანს ღრღნიდა დაფიქრებული.

— მაშასადამე, პრემიების მიღებას ყავლი გაუვიდა რევაზასათვის?

— როგორც ეტყობა, გაუვიდა. პარტია ავალებს და უნდა წავიდეს შემინდგრობაში. მორჩა!

— ჰო, რა ეშმაკია, ნიკო! რა უნდა უქნას შემინდგრობას რევაზამ? სანამ რუსულად იმ დატოტვილს არ გაავრცელებს, ტყუბლია, ჩვენს მიწებზე მოსავლის აწევა. არ მოვა და ბრიგადირმა გულგრილობა გამოიჩინა საქმისადმი, არ მოუარა ნათესებს და მერე პანდური. — აი შენი რევაზა! — თედომ თეფშზე ისროლა გამოხრული ძვალი.

— შენ რა გენაღვლება? — ყანწი უკანა მხარეს გაიტანა ხელით მარკოზამ, ახლა წინ გადმოიხარა თედოსკენ და საწყალი ბელურა იძულებული გახდა, ქათმის თქმის მოშვებოდა დროებით და სკამის ზურგს მისწოლოდა მაგიდის კიდის მაგიერ. — შენ რა გენაღვლება? შენ იცი, რომ ნიკოს შემდეგ ყველაზე

საშიში რევანაა? არა, იცი? იგრე დაა-
პყიტე თვალეში, თითქოს აქამდე აზრა-
დაც არ მოგსვლოდეს. პოდა გამგეობა-
ზე მეცა და შენც ხმა უნდა მივცეთ მა-
გის მემინდვროებაში გადაყვანას. იცო-
დე: ეგ თუ თავიდან არ მოვიშორეთ, ან
კოლმეფურნეობაში დაჯდება და ან...
საბჭოში.

მარკოზამ ისეთი ყოყმანით ახსენა
უკანასკნელი სიტყვა, რომ ეტყობოდა,
ძლივს გაიმეტა პირიდან გარეთ გამოსა-
ტანად. მერე ფრთხილად გადახედა შეი-
ნახებებს. და სიკოს აუქნია თავი ეშმაკუ-
რი ღიმილით.

— ჰა, ძველო! რას ჩამოგიყრია ყუ-
რები იას ვირივით, აილე თავი ზევით,
ბედი კარზე გაქვს მომდგარი.

იამ მოკლე ნიკაბი ერთხელ კიდე
მიახალა ცხვირის წვერს და მობრუნდა.

— შენ, მარკოზ, რამდენჯერ უნდა
გითხრა, ჩემი ვირის უდიერად ხსენებას
მოეშვი-მეთქი? არა, რა აქვს ჩემ ვირს
შენი დასაციინი? ხმა არა გაქვს იმაზე
კარგი და თავპირი. არა, რა აქვს შენი
დასაციინი, რომ წარამარა მიხსენებ ხოლ-
მე? მე შენ, შე ძაღლის გეჭავში მონათ-
ლულო, გაჩვენებ, როგორც უნდა...

— აბა, აბა, ეგენი არ იყოს, ძია იავ.
დაანებე თავი, ხომ ხედავ, რომ მთვრა-
ლია და თითონაც არ ესმის რას ლაპა-
რაკობს?—სიკომ რის ვაივავლაზით და-
სვა წამომდგარი ია და ეცადა შეეკავე-
ბინა.

— არა, ცოტა ხანს გამიშვი, მე მაგას
უნდა ვასწავლო, როგორ უნდა ახსენოს
ჩემი ვირი. აფსუს, ჩემო კუღვარდავ!
მაგ ამყრალებული პირიდან შენ რო-
გორ... არა, ცოტა ხანს გამიშვი მე შენ
და...

ილო-პაპამ გაიღვიძა, ძლივს ასწია
თავი, თვალეში ვერც კი გაახილა რი-
ვიანად, შემოსძახა:

— გამიშვიი ქვეყნაად-ად-ად ვიაა-
არო-ო-ო...

და ისევ დაიძინა.

მარკოზამ ვირსა და იას ერთად მოუ-

ხადა ბოდიში და უფლებამოსილად მე-
ტად საჭირო საუბრის მტკიცებლობას.

ლეო წამოდგა და განაცხადა.

— მეტი არ შემიძლიან, თქვენი დე-
დაც... უნდა სახლში წავიდე...

ძლივს წამოდგა სკამიდან და გასა-
ლებით მოსამართ თოჯინასავით ძლივს
გადადგა იატაკზე რამდენიმე ნაბიჯი და
ბუყებულად ფეხებით.

ეფრემამ მაშარაბში მოსერილი სან-
კუნებელი და ცერა თითი გუნებიერად
გაილოკა და ღვინისაგან ჯერ კიდეც აუ-
პღვრეველი თვალეში ფეხზე წამომ-
დგარ მასპინძელს ააყოლა.

— მაინც როგორაო, სიტყვაზე, კუ-
რველი, თედო.

თედო მივიდა საწყობის გამგესთან
და კარებთან ხელი შეაშველა.

— ნელა, კიბე მარცხნივ არი.

კარში გამავალი საწყობის გამგე უც-
ხად მოტრიალდა და გამცილებელს მოე-
ხვია.

— საცა გინდა, მახსენე და ჩემი თა-
ვი... შენ გენაცვალოს. შექსპირმა თქო...
შექსპირმა თქო... ეჰ, წადი შენი დე-
დაც... — ხელი ჰკრა და თითონაც კე-
დელს მიაწყდა. ერთ ხანს ძლივს გამაგ-
რდა ფეხებზე, მერე მკერდზე ჩამოგდე-
ბული თავი ძლივს აიღო და მასპინ-
ძელს შეხედა.

ცხვირს აქეთიქით შორიშორს ჩამ-
ჯდარი თვალეში ნახევრად გახსნილი
ჭუთუთოებიდან გადმოკუსოდა. სქელი,
მოლიბრო ნერწყვისაგან სველი ტუჩე-
ბი მზედაკრულ თუნუქივით უზხინავდა
და თავს ჭიდაობისაგან დაოსებული ყო-
ჩივით აცანცარებდა.

თედომ დიდი წვალეებით ჩააქილა
კიბეზე, გზაზე გაიყვანა და შემობრუნ-
და.

იგი ერთ ხანს შედგა კარებში, თვალი
შეუმჩნევლად შოავლო ოთახს და იგრძ-
ნო, როგორ ნელ-ნელა ეფანტებოდა
ხალხი სუფრას და სათქმელი კი ჯერ
საღდაც. ტვინის უწერილეს კუნძულს
იქით იმალებოდა. ორი წელი, ორი
გრძელი წელი იდო მის წინ. როგორც



უწვრთნელი ცხენის წინ მაღალი ბარიერი და ჭერაც ვერ აეღო. რამდენჯერ შეეხალა ფარულად მის კედლებს, რამდენჯერ მოსინჯა მათი გამძლეობა, მაგრამ დღემდის ვერც გადალახა და ვერც გაანგრია. მაგრამ თედო ვგრე ადვილად არ არი დაჩვეული უკანდახევას. ვერც ვგრე ადვილად შეეჩვევა დამარცხებას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დროებითია და როგორც სურდო ისე გაივლის. მთავარია, ცდა არ დააკლოს, მოსავლის მოქა ადვილია, თესლი, თესლი უნდა ჩაყაროს თედომ, თორემ უცხვროდ მატყლი ვინ ნახა სადმე? აი, აქ არიან, მაგრამ საიმედონი არიან? ამთ უნდა გაიტანონ მისი სიტყვა ხალხში ცნადლივ თუ შალვით და სახნავი მოამზადონ თესლისთვის. მარკოზა საბჭოს თავმჯდომარეობას უმიზნებს და საიმედოა, — ჩემი დახმარების იმედი აქვს. თუმცა ნასყიდას ფესვი კარგადა აქვს გადგმული და, საეჭვოა, ადვილად დასთმოს, მაგრამ ადვილად დავათმობინებთ. ეს საწყალი ბელურა მარკოზაზეა გამობმული. ძალაყინა ნახევრად სულელია და ადრიდანვე ჩემ კარზე ნავდები. ეფრემა და ილუა თიხაში თავიანთ მშობელ მამას გასცვლიან, ხოლო ია, ჭავა ხიანთ ია...

და აქ სანუკვარ ფიჭრთა დენას, ძალაყინას როხროხი გაებლანდა და შერე მთლიანდაც ისე დაფარა, როგორც მოვარდნილმა ალაზანმა გვალვისას გაჩენილი ნაშე.

აგრე იცოდა ხარხარი ძალაყინამ. სმენახე დამდგარი სალდათივით იყო მუდამ გაკიბული, მჯდომარეც კი. ცხენით გრძელ სახეს მგელრვით გააშეშებდა კისერზე, ტუჩის კუთხეთა ნაწიბურებს არც კი გასწევდა, პირს ოდნავ სულ ოდნავ, ცარიელი ჭარქაშის პირით გახსნიდა და იცინოდა თავისთვის.

— რა გაკინებს, ბიჭო? — თავისი სკამი მოძებნა თედომ.

— მე რო ჩვენი საწყობის გამგის ალაგას ვიყო, სუ მთერალი ვივლიდი. პო-

პო-პო-პო! როცა მთერალია, ეფრემის უსწორდება ხოლმე!

შემოვიდა დიასახლისი, დაბალი, პირმრგვალი, მსუქანი და სანდომიანი სახის შუახნის დედაკაცი. კიტრისა და პამიდურის სალათა შემოიტანა და ჩახოხბილის ნარჩენი გასაცხელებლად გაიტანა.

იამ გატანილ კერძს თვალი გააყოლა და ძროხის ხაშლამიდან დარჩენილ ბუჭის თავს გადასწვდა.

მარკოზამ იდროვა, სუფრას თვალი მოავლო, ყანწი წინ გამოსწია და თედოს უთხრა:

— ეს ჩვენს დაწყებულ საქმეს გაუმარჯოს. კეთილად დამთავრებულ იყოს და იგრე გაგვეტანოს ჭირ-ვარაშში ერთმანეთი, როგორც იას ვირს სავსე ურეში დამშრალ ლობოტაში.

იამ ბუჭის ხერას თავი მიანება, ამღვრეული თვალები ზევით აწეული ყანწის ბოლოს აყოლა და წამოდგა. ხრატუნით დაეცა იატაკზე გადაქცეული სკამი და ია ყანწიანისაკენ წავიდა.

— პაი, მე შენი მკვდრის კანჭი... შენ ჩემი ვირი... აბა, დაიცადე. მე რამდენჯერ უნდა გითხრა?

მიდიოდა რაკრაცით ია და მუქარით მიიქნედა ნახევრად გამოხრულ ძროხის ბუჭს.

სიკომ მოასწრო წამოხტომა და გრძელ მკლავებში მოიქცია ვირის პატრონი.

— შენ რაღას მიჰქარავ, მარკოზ? ხომ იცი, არა, ამის ამბავი? ჭერ ფხიზელი არ არი სრულ ჭკეაზე და მთერალს რაღას აგოებ?

ია გაუწიდა. ძლივს. ძლივს, ბუნდოვანად მისწვდა მის გონებას, რომ ამ სიტყვებში რაღაც შეუარაცმყოფელი იმალეზობდა და, როგორც ეტყობოდა, მას ეხებოდა. სცადა მობრუნება, რომ ბუჭი ჭერ ამ აყლაყლდათვის ეთავაზებინა შიგ სიფათში, მაგრამ ბრიგადირს მაგრად ეჭირა და ია საითაც მიტრიალდებოდა, ისიც უკან მიჰყვებოდა.

და როცა მარკოზამ ყანწი გამოცალა

და გვერდზე მოიხედა, ეგონა, მთვრალი ია და მისი ბრიგადირი შუა ოთახში ვალსა ცეკვავდნენ ჩახუტებულები. მხოლოდ ეგ იყო, რომ ია ზურგით ედგა ბრიგადირს და არა პირისპირ.

ეტყობოდა, შალვას კბილის ტკივილი წამოეძალა და თანაც მობეზრდა ეს უშნო ბლლარტენი. დაფიქრებულ მამას ასედა, წამოდგა, იას ბეჭი წაართვა. ფანჯრიდან გაბრაზებით ისროლა და მთვრალს შეუტია.

— შენ სახლში ხომ არა გგონია თავი? თუ ჭამ, ხეტოქე. თუ არა და მოშორდი აქედან.

ტუნებს ძლივს ამორებდა ერთი-მეორეს შალვა და სიტყვებს კბილებშუა გაჭირვებით სცრიდა.

— ამ ძაღლის გეგაში მონათლულს ვერ უყურებ? ვერ უყურებ შენ ამასა? ახლა გაახსენდა იას, რომ ეს ბიჭი მის გოგოს არ ასვენებდა და რაკი ხელები თავისუფალი არა ჰქონდა, ერთი წიხლი მიაწვდინა წამოზრდილ მუცელზე.

— შენ ჩემ ელიკოს არ დაანებებ თავსა? კიდევ არ დაანებებ? შენც ჩასაბერი ხო არ გამიხდი?

ილუამ ზერინვა შესწყვიტა, ტუნის კუთხიდან ჩამოვარდნილ დორბლი სუფრაზე დატოვა და თავი ასწია.

— აქ არი? — იკითხა, — მოვიდა? ჩასაბერს ენაცვალოს თავისი პაპა იმ შავშავ... ჰეი, ბიჭებო!.. თქვენი ჰირიმეთ!...—და ისევ სუფრაზე მიდო თავი.

თედო ფიქრებიდან გამოერკვა, წარბშეკრული ადგა, თავის ძესა და ბრიგადირს ხელიდან წაართვა სტუმარი და ნელა, ყურში რაღაცის ჩურჩულით კარისკენ წაიყვანა.

მხოლოდ ათიოდე წუთის შემდეგ შემობრუნდა ოთახში, ერთხელ კიდევ გაჩერდა კარში და სუფრას თვალი მოავლო.

კიდევ ვინ დარჩა, რომლის აქ ყოფნაც ზედმეტი? არასოდეს მოსვლია ეგეთი სიგიჟე და დღეს რა დაემართა? საიდან მოიფიქრა, რომ ეს ყიამყრალი ია გამოდგებოდა რამეში? იქნებ იმიტომ, რომ

მძახლად უნდა მოიკიდოდა მგერამ ბიჭი ამბობს, რომ ჩასაბერს უკეთესი საკმე გოგოს. არ გაუგია. ტყუილი იქნება. თუმცა მაგას უფრო კარგად ეცოდინება... გოგო კი ყოჩაღია და ლამაზიც არი. ცოტა ენა კი აქვს ზედმეტი, მაგრამ ჭერ ბალღია... აქ ვილა დარჩა? სულ ხუთი კაცი. მაგრამ ეს საირიულაპია სიკო რაღაც პარტიოსნებაზე სდებს თავსა. ჰეი, ბრიგადირო! გიცნობს თედო, რა შვილიცა ხარ. სხვისი ხელით გინდა ნარი ჰგლიჯო და შენ ენის დაძვრაც გეზარება? მაგრამ თედოს ეგრე არც უწიროხა და არც ეხლა სწირავს. აი, ძალაყინა: თუ გინდა კაცის მოკვლა დაავალე, ის მაინც გეტყვის: „მოკვლავ რა, კერ მოკვლავ რომა?“

— მოდი, დაჯე, თედო, — თავის ადგილზე უჩვენა მარკოზამ მასპინძელს.

— შენ ჭკვიანი კაცი ხარ და ერთი გავაგებინე: რა ეშმაკად შემიყარე აქ ხანა-ნახირი? თუ ჩემად რამის გაკეთებას აპირებ, ბუქნალარით უნდა დაიწყო?

თედო დაჯდა მოღრუბლული და ჩანგალი აიღო.

— შენ რაღას გადაეკიდე იმ დამთხვეულს? ხომ იცი, როცა მთვრალია, ვირი კი არა, იმის ღობის ძირას ამოსული ანწლი რომ ავად ახსენო, თავპირს წაგჭამს?

— განგებ გაეკეთე. არ მინდოდა გვერდითა მჭდომოდა. როცა ეგეთ საქმეზე ვჯახირობთ, რა ეშმაკად მინდა ის კაცი, ვინც შიგ არ ურევია?

— მაინც არ უნდა გეწყენინებინა, შეიძლება, სადმე რამე წამოაყრანტალოს.

— ეგ სანამა სჭამს (ანდა სუფრაზე როდის არა ჭამს?), ოღონდ ვირსა და იმის ურემს ნურაფერსა ჰკადრებ და თუ გინდა, ეს კახეთი წნორიდან თიანეთამდე ამოაბრუნე.

— მეგონა, რომ ეგეც გაერეოდა. შარშან ნიკომ მაგას მუხის სარები წაართვა და კოლმეურნეობაში მოატანინა თავისი ხელით. დამე დაჩეხა და სულ დამე ამოზიდა ალაზნის პირიდან ვირის

ურმით. ბალამწარაანთ ბიჭებზე ჰქონდა ეჭვი, მაგრამ მე ვიცი, ვინც დააბეზლა.

— ეშმაკებში წასულა ია თავის ვირითა და ბალამწარაანთ ბიჭებიანად, მერაში მეკითხება? შენ ის მითხარი, როგორ მოხდა, რომ ნასყიდას ზედმეტი მიწა არ აღმოაჩნდა?

თედომ მიიხედ-მოიხედა და თავის ჭიქას ჩაიციებულ სიკოს ერთ ხანს გამოუცნობი მზერით უცქირა, მერე მწითური წამწამები აუპარპალა მარკოზასა და დაბალ ხმაზე უთხრა.

— შენ როდისმე გიფიქრია, რომ ნასყიდას ნაფარეულშიცა აქვს მიწა და სახლ-კარი?

ახლა მარკოზას თვალების პარპალის ჯერი დადგა და სმენად დაიძვინკა.

— ეხლა, სიტყვაზედა, რა ჰურჰელიო, თედო, როგორაო, რანაირადაო.

მასპინძელმა აბეზარ მექურჭლეს ცერად გადახედა და შუბლი შეიკრა.

— დაცა, ეფრემ, დაცადე, როცა კაცი ლაპარაკობს, — მერე მოერიდა სტუმრის განაწყენებას და უფრო რბილად დაუმატა: — დამაცა ცოტა ხანსა და ვერცხვი.

— მერე, მერე! — სულმა წასძლია მარკოზას.

— მერე ისა, რომა ნიკოსა და მაგას კულები აქვთ გადაბმული. ნასყიდას ჭლისპირში ნაკვეთი არ ეკუთვნის, რადგან ნაფარეულში სრულ ნაკვეთსა ჰქვლობს, მაგან კი აქ ვენახიც გააშენა და სახლიც დაიდგა.

მარკოზას ტურნთა კუთხეებიდან ნაოქები ყურებისკენ გაიკრიფნენ, თვალეები აუკამკამდა და სახე გაეზაღრა.

— იმის დედა ვატირე, თედო, თუ მე ეგ როდისმე თავში მომსვლოდეს. სანამ პირში სული მიდგა, შენი მადლობელი ვიქნები და ახლა ვუტირებ დედას დორბლიანს.

მასპინძელმა შეიფერა სტუმრის ნათქვამი და ხმას უფრო მეტი დამაჯერებლობა და დამრიგებლური ტონი მისცა.

— შენ ერთი პატარა უნდა დაწერო და რაიკომში რევაზას რომ ჩემთვის არ შეეჩინებინა, ვეტყვოდი ამასა, მაგრამ სულერთია სეტყვა საიდან მოვა, იმ ადგილს კი მოხვედეს.

მარკოზა მუცლით გადაემხო მაგიდას.

— დამაცა, დამაცა. ეხლა ჩვენი სიკოს საქმეც უფრო კარგად გაკეთდება. მაგას ჩვენ რევაზას დავაბრალებთ, რომ რალაცა ანგარიშის გულისთვის დაფარა ნასყიდა. იცოდა და დაფარა. შეიძლება პარტიულ კრებაზედაც გავატიანოთ. ცოტა სახელიც წაუხდება და წმინდანობა ჩამოერეცება.

— ეგვეც კაი აზრია, — მცირე ფიქრის შემდეგ დაეთანხმა თედო, — მაგრამ მაგაზე ნუ გენაღვლება, მაგას ნიკო მოუვლის თითონ. — მერე მძიმედ ამოიოხრა და დაუმატა, — ნიკო სხვა ძაღლია, რევაზა მაგასთან ფეხს ვერ გაიწვდენს.

სიკომ სულმოუთქმელად გადაჰკრა გადაწვდილი ყანწი, წვერ-ულვაში მოილოკა და ჩაიციანა.

— ჩემმა მზემ, არაფერი არ გამოგვიკვივა.

მარკოზას ეტყობოდა, რომ უკანასკნელმა სადღეგრძელომ კარგა შეანჯყურია, წარბი შეიკრა და მუშტი მაგიდას დაურახუნა.

— უნდა გამოვიყვანოთ! შენ ტყუილად ნუ იწევ უკან ოჩანის ცხენით, აქ შენი საქმეცა კეთდება. რატო არ გამოვა, დედის მუცლიდან დაჰყვით თავმჯდომარეობა? აი, კაცი, თავმჯდომარედ არ იქდა? რატო არ გამოვა? შენ, სიკო გახსოვს, რევაზა რომ ხელის გულზე ჰყავდა დასმული? აგე, ეხლას უპირებს, ფრთხილად, სიკო. ეგ კაცი მიმპარავ ძაღლზე უარესია. აზრდაც არ მოხვალ, სად და როდის გიკბენს. აი კაცი, ჰკვიანი, წყნარი, ყველას ანგარიშის გამწვევი. გუგულივით შეგინახავს... ნასყიდას კი იქიდან ბარგს ავუკრავ! დედას ვუტირებ, ხვალვე ივუკრავ ბარგსა!

დიასახლისმა ცხელი კერძი შემოიტანა და გავიდა.

თედო გადაეწოდა და ლამბაქიდან თითონ გადაუღო ჩახოხბილი ძალაყინას.

— შე საცოდო, ჭიქას ჭიქაზე რო ამხოზ მაგ მოუტუპრავში, საჭმელიც დააყოლე, გავინილა ცარიელა ღვინის სმა?

— რატო არ დავლევ, რა, საიმისო პატარა ვარ? — ჩამოჰხეხევირა მალლიდან პატივინაცემმა.

ბელურა ატამს გადასწვდა, ერთი თითონ ჩაებინა და ერთიც ეფრემას გადააწოდა.

ეფრემამ თავის თეფშს მორცხვად გაუღიმა და თავი გაიქნია.

— ჭამე, განა ჩვენ კი არ ვეიდგა რომა, — და ბოლოს მაინც გამოართვა.

— ესლა, — თედო ვაღმონიხარა და სიკოს ისეთი მტკიცედ და მბრძანებლურად მიანიერდა, რომ ბრიგადირი გაცოცდა, — ესლა საჭიროა ვიმოქმედოთ. გვეყო, რაც კისერზე გვასხდებხ. ზომ ზედავთ, შეჭამეს მთელი სოფელი მაგ ორმა კაცმა და მაგათმა ამფსონებმა. გაატიალეს კოლმეურნეობა. ჩემ ბიჭს სწავლა უნდოდა უმაღლესში და მაგან ცნობა არ მისცა. ყველაფერი მზადა მქონდა, ხალხი ნანახი მყავდა, დირექტორმა იცოდა, მაგან კი ცნობა არ მისცა. აჲ გამოვიდეს, ერთ-ორ წელს აჲ დამენახოს კოლექტივში და მერე გავუშვებ სასწავლებელშიო“. ნასყიდას ბიჭი რად გაუშვა წელსა? რაღა წელსა, ყოველ წელს არ უშვებ? მაგრამ თვალები ეთხრება, ვერსად ვერ შერგო თავი, ძალიანაც კი იფაფხურა მაგის მამამ. ან შენი ძმა, რატო შენი ძმა არ გაგზავნა?

— მახარე სულელია, თითონ არ მიღის. გაუტკბა უქმად გდებდა და მარტო ბურთს უნდა ურახუნოს.

— ყველა ბიჭი ეგრეა. უსაქმურობით მოსდით ეგა. აბა, წაიღინენ და სწავლა დაიწყონ. მაგრამ ვინ უშვებ? არა, სიკო, მეტი მოთმენა აღარ შეიძლება, რო-

დემდის უნდა ვზიდოთ, ჩვენც უნდა გამოვიღოთ ხელნი. ჩვენც მაგათ სვეს ჩვენი სისხლი, ესლა ჩვენ უნდა დავლიოთ.

ილუამ ხვრინვა შესწყვიტა და თავი წამოყო.

— დავლიოთო? პაი, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო! თქვენ გენაცვალეთ დავლიოთი? უნდა დავლიოთ, მამა! — მისწვდა სავეს ჭიქას, აიღო და ორივე ხელეზი სიმღერით გაფარჩხა.

— დალიევე, დამა-ლევინიევე!..

ხელში ნაჭერი ჭიქის პირი ძალაყინას ჩამოგრძელებულ ნიკაჰს მოხვდა და ნახევარზე მეტი ღვინო ცხვირ-პირზე შეეშხვდა.

კარგა ხანს აცემინებდა ცხვირს ძალაყინა, შხაპივით ისროდა დორბლსა და თან ვეება ხველი პეშვით გაწუწუღ ტუჩ-პირს იწმენდა.

სიკოსა და მარკოზას მუცლები ძლივს ეჭირათ ხელებით და ღიმილმა შალვასაც კი დაუღმიჭა სახე.

— ე, რა მიყო, კაცო, იმ ილუამა, — ტუჩებგაუხსნელად იცინოდა ძალაყინა და თან მეზობელს უყურებდა. — ე, რატო ეგრე დამალბო.

ილუას მოესწრო მაგიდაზე თავის დადება და უკვე ხრუტუნებდა მაჩვივით. ელექტრონის შექზე ოდნავ ბზინავდა ხელში შერჩენილი ჭიქა.

მარკოზამ სიცილი შეწყვიტა, თედოს გადახედა და ჩურჩულით უთხრა:

— პო, მართლა, არ დაივიწყო, ის საქმეც ძალაყინას უნდა დავევალოთ. გომურზედაც ხო მაგან გამოცვალა და დააგო ის ფიცარი, რომელიც ხორბალმა ჩატეხა.

შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დაფიქრებული დააბიჯებდა თავის კაბინეტში ძია ნიკო. ხანდახან შედგებოდა, აიღებდა ჩაქინდრულ თავს, მზერას გაუმართავდა ჭერს ან კედელს და მერე ისევ განაგრძობდა სიარულს.



მინც რა უცნაურად დაიწყო ეს წე-
ლიწადი? ჯერ იყო და გომურების უქონ-
ლობით კინაღამ სიცოცხით გაუწყდა მუ-
შასაქონელი, ახლა კიდევ მარტმა გა-
მოიქნია თავისებურად კუდი და შიმში-
ლით დაცემა გახშირდა. მეწველი საქო-
ნელოც დაზარალდა და ცხვიარს გზაში
მოუსწრო თოვლმა, მთაში გარეკვის
ქამს. ხორბალი შარშანდელზე გაცილე-
ბით ნაკლებია და სიმინდზე ხომ ლაპა-
რაკიც ზედმეტია. აი, ახა, მერამდენე
თვეა, რაც წინწყალი არ დასცემია ხრიო-
კად ქვეულ მიწას. ერთადერთი ენახი-
ლაა საიმედო, მაგრამ რაღა წელს გა-
დარჩება დაუსეტყვავი, ყოველ წელს
რომელიმე ნაკვეთს ურტყამს. ხალხი კი
მუშაობს, განა არ მუშაობს? მაგრამ რა
ქნას იმანაც, ხედავს, რომ არა გამოდის
რა და გული უცრუვდება.

აბა, ძალიან ნაგაიანი წელიწადი მო-
დის წელს.

ნიკო შედგა ფანჯარასთან და კანტო-
რას მიკრული ყვავილნარი შეკათვლიე-
რა.

დადუმებულებიო ბამბუკის პატარა რა-
ცა და კენწეროები ჩაქეინდრათ უძრავ-
ვად გაშუშებულ ლერწმებს. ერთმანეთ-
ში გაეხლართათ წვრილი, ხშირი ფოთ-
ლები და სიცოცხლის ნიშატი დაეკარ-
გათ თითქოს. გადამხმარიყვენენ შუა აღ-
ვილას კოკოლას თავში ამოსული ყვავი-
ლები, ხოლო კოკოლას შემორტყმული
ბრტყელფოთოლა ფათალო უღიმღამოდ
თვლებდა ირგვლივ შემოწყობილ წითელ
ფურჩებზე. გალავნის ძირზე ბუჩქებად
დარგული თეთრი ყვავილები ულო-
შემოცილილი ძნებვიით ეყარნენ ძირს.
მთლად გამხმარიყო ერთი ხუთწლიანი
კვიპაროსი, ხოლო მეორეს, იდაყვში მო-
ტეხილი მკლავივით ეკიდა გადახლეჩი-
ლი მთავარი ტოტი. დაკინებულ-დაკრი-
კინებულ რქაწითელი წვრილი რქებით
მისწუდენოდა ფანჯარას და გაუსხველ-
შეუწამლაეი ძლივს დამაგრებულებიო
კედლის გასწვრივ სუსტი პწყალებით.
ჭოპში ამოსული კოლბოხებივით მო-
ჩანდა ერთ დროს მუქ-მწვანე. ახლა შეყ-
კითლებული ფუნჯა-ბალახები, რომელ-

თა ძირებშიც დღისით ბუჩქბარბაღებზე
და იქექებოდნენ საიდანდაც შემომძვრა-
ლი მყვიარალა გაბრუას ქათმები.

დაენანა ნიკოს უპატრონოდ მიგდებუ-
ლი და გაოხრებული ყვავილნარი. კან-
ტორის დარაჯი და დამლაგებელი მასზე
ვერ იზრუნებდნენ, ხოლო თომა, რომ-
ლის ხელმაც გასამრჯელოს გარეშე გა-
აყეთა ეს ყველაფერი, ეს ერთი ხანია ახ-
ლოს აღარ ეკარება. ან რა უნდა უქნას,
გინდ გაეკაროს? წყალი! აი, რა არის
აქაურობისთვის. რამდენი ხანია, რაც
ფიქრობს კანტორის ეზოში წყლის გა-
მოყვანას, მაგრამ არ იქნა და არ ეღიო-
სა მოცლა ამისთვის. წვიმას კი უცადე,
სანამ მოგწყინდება.

— ეგ, — გამობრუნდა უკან დანანე-
ბით თავმჯდომარე და კვლავ უკან და-
იწყო ხელები ბოლთის ცემაში, — ეხლა
კაციც გადარია და ღმერთიც. წვიმას
ეინ ჩივის, შვილივით გაზრდილმა, ჯერ
ისევ ცინგლიანმა ბიჭმა, თავზე კომისია
დაასხა და ხალხში და რაიონში თავი
მოსტრა. მართალია, თვით მიწის მზომე-
ლი მოურიდა პირადად მას მოეწყვიტა
მისგან რომელიმე ნაკვეთი, მაგრამ განა
ეს რამეს ცვლის? დაე თუნდაც მასზე
მიავდონ არჩევანი, განა შეუძლია წლო-
ბით ნალოლიაეებ მიწას გაეყაროს? იქ
ხომ ყოველი ვაზი და ხეხილის ფესვი
მისი ზრუნვის ბეჭედს ატარებს? განა
შეუძლია გულგრილად უცქიროს, რო-
გორ შემოალეწენ სიმწიფეში შესულ
ბლებს დახუნძლულ ტოტებს ბიჭ-ბუჭე-
ბი? თუ ერთი გამარავდა, მერე მორჩა,
აღარც მას გამოადგება, აღარც კოლმე-
ურნეობას და საერთოდ აღარავის.

ან ეს შავლეგო რაღამ შეშალა? საბე-
დას სახლი ენგრევა და რატომ ყურს არ
იზღერტავო. რამდენი კაცია სოფელში,
რომელსაც ჩემი დახმარება სჭირდება,
ყველას სად გავწვდები? რაც ის არგა-
საზრდელი ავბარგე ქალისპირიდან, მას
შემდეგ კოლმეურნეობაში არ გამოსუ-
ლა საბედა. თითო კაცი თითო სოფლად
მიღირს ზაფხულში. ეგ გადარტყმუ-
ლი კი ეზოს წყლის მოსატანად თუ გა-

შორდება მხოლოდ. ადექი, კოლმეურ-
ნობაჲ, შენ კიდევ და ქურდსა და მამა-
ძალს სახლები უკეთე. აარა, შავლევგ!
ვანკა მღვდელი ეგრე არა სწირავს!
ახალგაზრდობას კლუბი, სტადიონი,
ფორმა და ყველა ჩანდაბა მიართვი, აუ-
შენე და გამოგყვებაო. ჰკუის კოლოფია
ნამდვილი, მაგათთვის ყორის ნანგრევს
არ გაეიმეტებ, არამც თუ კლუბი ავუშე-
ნო. გამოვიდა სოფლის გულშემატკივა-
რი!.. კლუბი კი აუცილებელია სოფლის-
თვის. მაგრამ რომელ ერთს გავწვდ-
აშენებას ხომ უნდა სახსრები? სად ვი-
შოვო? აი, ვნახოთ, წელს ვენახებს კაი
პირი უჩანს და იქნება ამან მიწველოს
რამე. ვანა მე არ მინდა, რომ სოფელს
ყველაფერი ჰქონდეს და არა აკლდეს
რა? ჩემი სახელი არ არი? მაგრამ არსად
ხომ ვერ გაეიჭრები? ან ამ ცხენებისა
საიდან რა იცის? სულ გადმოალაგა,
ქრისტეს აქეთა თუ იქით რომელმა ცხე-
ნმა სად დაიტიხინა და წიხლი სად გა-
იქნია. ეშმაკი ჩაშს მამაძალი! მოვიდა
აქ, კბილი მომისინჯა, წავიდა და ჭიჭურ
შემოიპტია. მიხვდა, რომ ნებით არ მიე-
ცემდი და ძალით გააკეთა. მაინც რა უნ-
და იმით, რისთვის წაიღო ის ფორმა,
თითონ ხომ არ თამაშობს? საით უმიხ-
ნებს? სოფლის თვალში კაი კაცად გა-
მოჩნდეს? მაგრამ რა რჯის, თუ ქალაქში
წასვლასა და სწავლას აპირებს? თუ ნე-
ბით არ მოიტანა, ძალითვე მოვატარებ,
რა უფლება ჰქონდა, რომ კოლმეურნეო-
ბის ქონება თვითნებურად მიჰქონდა?
თუმცა ერთი საქმე კი კარგი გამოიკეთა:
საგარაჟე არა მქონდა მანქანებისთვის
და მთლად უფარგისი ადგილი მშვენიე-
რად გაწმინდა და მოასწორა. თუ ქვა
და ქვიშაც ვიშოვე, ხვალ-ზეგ დავიწყებ
მშენებლობასაც. არა, მაინც რამ შეშალა
ეგრე? უმალღესი დაუმთავრებია, მეც
ნიერებას ეპოტინება და სოფლის ბალ-
ლაუქებს დასდებს? ჯარში გაქცევამდის
ჰკვიანი ბალღი იყო, მერე უცებ წამო-
უარეს „კვინტალებმა“ და სოფლიდან
გაქრა. ეხლა აქ მომდგომია, საწყობის

გამგეს ვულს უხეთქავს და რგრე-
კოლექტივის ქონება. ეს მგებრე-
ლი რომ აქ იყოს, ვერცადი, მაგრამ ვინ
იცის, როდის მოათავებენ მთაში თიბ-
ვას. დაუძღვის უსაქმურობას ალთა-ბალ-
თას და კოლმეურნეობიდანაც იბრებს
თავისკენ მუშა-ბიჭებს.

ახლა გაახსენდა ძია ნიკოს, რისთვის
დაიბარა დღეს საღამოთი ერმანა, გაბ-
რუნდა და მაგიდის ძირში ღიღს თითო
დააჭირა.

არავინ გამოჩენილა კარში.

თავმჯდომარემ კიდევ გაიარ-გამოიარ
რა, ისევ მივიდა მაგიდასთან და კვლავ
აწკრილდა კაბინეტის იქით ელექტრო-
ზარი.

კაბინეტში მოანგარიშემ შემოიხედა..

— დაგეძინა?

გოგომ შორცხვად გაიღიმა.

— ერმანა არ მოსულა?

— შოვიდა.

— მაშ რატო არ შემოდის აქ?

— რა ვიცი, არ დაგიძახნიათ და...

— რას აკეთებს მაშ?

— განცხადებასა სწერს.

— უთხარი, ამ წუთში აქ მოვიდეს.

გოგო გაბრუნდა და კარი გაიხურა.

მაღე ერმანაც შემოვიდა და მაგიდას
მიუასლოვდა.

თავმჯდომარე შედგა, შემოსულს
ახედ-დახედა, წარბშეკვრით გატრიალდა
და საწერ მაგიდასთან თავის სკამზე
დაჯდა.

— დაქეჩი.

ბიჭი დაჯდა და თავმჯდომარეს მია-
ჩერდა.

— თუ მოხვედი, რატო აღარ შემოხ-
ვედი?

— ბულალტერიაში ვიყავი და განცხა-
დებასა ვწერდი.

— რა განცხადების წერა აგიტყდათ
ყველას ამ ბოლო დროს, რა დაგემარ-
თათ? რა განცხადებაა?

— კომკავშირის კრება უნდა მოვიწ-
ვიო.

თავმჯდომარემ ხელები მაგიდაზე დააწყო და ჩამოფხატულ წარბებქვევიდან დიდხანს უცქეროდა მათ.

— რა საკითხები გექნებათ?

— კომკავშირული კედლის გაზეთის დაარსება, საკოლმეურნეო კლუბის მშენებლობა და სპორტული მოედნების მოწყობა.

ძია ნიკომ ერთი წამით შეავლო თვალი კომკავშირის კომიტეტის მდივანს, სწრაფად წამოდგა და ისევ ბოლოს ცემა დაიწყო. სკამზე ჩამოქდარი ბიჭის ზურგს უკან შედგა. ერთ ხანს უცქეროდა მის კეფას, რომელზედაც სოკოსავით წამოკოსებულიყო ნაბდის ქუდი და მერე კვლავ თავისი სკამისაკენ გაემართა.

— აი, რა შვილო, — დაჯდა ნიკო და გამსჭვალავი თვალი ერმანას დაასო, — ციკანს გასატყავებლად კამეჩის ფეხით არ დაჰკიდებენ და არც თუ ბელურას უყრიან ასაკენად, რაც არ შეგფერის. თქვენ ვინ დაგავალათ ან კლუბის აშენება, ან მოედნების მოწყობა? რამდენიმე ათასიანი წიტიანი ეაზის სანერგე გაბარიათ, იმისათვის ვერ მოგივლიათ და კლუბი უნდა ამოშენოთ? ან რომელი კედლის გაზეთის დაარსებას აპირებთ? კედლის გაზეთი არა გეაქვს, რომ წელიწადში ერთ ან ორ ნომერს ძლივს გამოუშვებთ და მანამდე არ გამოსცვლით, სანამ ნაწერი ზედ იგრე არ წაიშლება, როგორც მარტის ყაპუხე ნაკვალევი.

— ეგ მთელი კოლმეურნეობის გაზეთია, ძია ნიკო, ჩვენ კი ჩვენი გვინდა, კომკავშირული.

თავმჯდომარემ უღვაშები პეშეში მოიქცია და დაკვირვებით უმზერდა მოსაუბრეს. მერე თვალმოუშორებლად თავი რამდენჯერმე დაიქნია სინანულით და ქუთუთოები თითქმის დახუტა.

— აბა, შვილო, სხვებზე რაღა უნდა ვთქვა, როცა შენ აღარ ივარგე და იმ ქარილღუტიებს აპყოლიხარ. რა გეაქვს იმათთან საერთო და რას ერჩები იმათ დამყაყებულ ცხოვრებაში? მე მაგათ ხვალ-ხვალზევით რაიკომში წაეასხამ და

სულ ღმერთს გაეცალი. რას ერჩევინა შენც რომ იმათთან დაგინახებენ? ურნეობას საქმე გამოელია, რომ შენ ილუქს ნაფეტვარში არ ირბინო და დამთხვეულივით ბურთს არა სდიო? დამაცა, დამაცა, თავის გამართლებას ტყუილად ეცდები. არა, ერთი მითხარი, საქმე აღარა გეაქვს და მახათი იშოვე? აბა, ერთი ამიხსენი: რომ მისდგომიხართ გუშინა და დღეს და ბერხევას კლდეზე ორმოცს ღრუტნით, კვირიონებს ბუდეს უმზადებთ? ერთი გამაგებინეთ, მაგ თავებში ტვინის მაგივრად ნეხვი ხომ არ გიდევთ, რომ წარაფებში ასასვლელ ერთადერთ ბილიქს მიფუჭებთ? იცით, რას გიზამთ, იქ რომ ასასვლელი წამიხდინოთ და ხენა დამიგვიანდეს? ხარკამეჩი უკვე მზად არი, დღეს-ხვალ სახანადად ავლენ და ესენი ბილიქს ანგრევენ. დამაცადე მეთქი, ჭერ მე ვლაპარაკობ. ის იმოდენა ოქლაქი რაღამ შეშალა? იმის მაგივრად, რომ კოლმეურნეობაში გამოვიდეს, ამ ცეცხლის კიდება მუშაობაში მოგვეხმაროს და თავის პაპასაც ორიოდ შრომადღე მიუმატოს, აპყოლია იმ რძე-შეუშურალებს და ლამის უარესად გადაარჩოს მთელი ახალგაზრდობა. თქვენ რაღა ჩემი ღმერთი გაგიწყრათ? მთაში სათიბავად არ წახვედით და აქ დამიწყეთ ღლეტურაობა?

— თიბვა არ იციან, ძია ნიკო, და როგორ წაველენ?

— განა ვინც იქ თიბავა, თავიდან მთიბავად დაიბადა? არ იცით და არც გინდა ისწავლოთ? კარგი, აბა, შვილო, ხვალვე კაცს ვავგზავნი ლოპოტის სათავეში მარმარილოს კარიერებზე და ერთ ზუთიოდ ელექტრობურღს ჩამოვატაინებ. მიადექით მაგ ბერხევასა და გადათხარეთ კლდეები. თუ მანდ მარმარილო აღმოაჩინეთ, საშვილიშვილოდ აშენდებით. მხოლოდ ერთი კი იფიქრეთ, შვილო: ჰალისპირს მიწა ცოტა აქვს და ეგება რაცა აქვს, ეგეც როგორმე წაჰგლიჯოთ და ზედ მუშების საერთო საცხოვრებლები გამიჭიმოთ კარმიდამოებით.

(გავრძელება იქნება).

გითიან ვაზიძე

ორი ლექსი

• • •

ეს წვიმა მწარე,
ეს თქვენი, მეხი
ვერ შემაჩერებს,
ვერ დამდებს სალტეს.

მიემართავ ისევ
აელერილ ხეხილს,
ჩემი ლექსები,
რომ გამოწვალდეს.

• • •

რა მინდა მე აქ, რისთვის მოვედი,
განა მე ვიტყვი ჩემ გულის სათქმელს?
ყელწაგდებული იმღერის გედი,
პირდაპირა სცემს ყურს და საფეთქელს.

ბევრი გადავა კიდევ სხვა ტომი,
იქნებ, ამოშრეს ევქსინის პონტი,
მაგრამ იცხოვრებს ლექსის ატომით
გადალადრული პოეტის ყრონტი.

და როგორც ერთ დროს სტიროდა
ნახონ,

და როგორც ერთ დროს სტიროდა
პუშკინ,

რაც უნდა ენა გადაურახონ,
იმ პოეტს ტირილს ვერვინ დაუშლის.

შორიდან ვუშვებ მყინვარს, იალბუზს,
ამ ორმა დევმა მხოლოდ იციან,
პოეტის გული რა ცეცხლით მოდულს
და რაც ატირებს საწყალ ტიციანს.

რედაქციისაგან

ტ. ტაბიძის ეს ორი ლექსი გადმოაგვცა პოეტის მეუღლემ—ნინო ტაბიძემ შეუდგენი შენიშვნით:

ტიციანის დაღუპვის შემდეგ დაუბეჭდავ ლექსთა უმრავლესობა ვიპოვე წიგნებში, ეს ორი გამოუქვედებელი ლექსიც ერთი თვის წინათ აღმოვაჩინე ლაფორგის წიგნში.

როცა ტიციანი ბოლთის ცემას იწყებდა ოთახში, ირგვლივ არავისა და აღარაფერს ამჩნევდა. თითქმის თავის პატარა გოგონასაც კი, როგორც ნამამისივით ზურგზე ხელებდა-წყობილი მიმოყვებოდა მას. ტიციანი ამ დროს ჩვეულებრივად უსტვენდა, მაგრამ როდეს გებრუნებოდა სტენა და რაღაც ისეთი ხმა გამოუდიოდა, თითქოს სანთელს აქრობსო.

მაშინვე მაგიდაზე დაეულაგებდი ტუბილულაობას, —ძლიერ უყვარდა აღმოსავლური ხმელი ხილი. დაეუღვამდი მაგარი ჩაით საყვ ჯადანა და ბოლოით ლენოს. შემდეგ ყველა-ნა ჩემად გაეცირებოდათ ოთახიდან. მას უყვარდა მუშაობა სასადილო ოთახში—სასადილო მაგიდასთან.

რამდენივე ხნის შემდეგ ის უკვე იჯდა და მუშაობდა. ამ დროს სახე შინაგანი შუბით ჰქონდა გაბრწყინებული.

როგორც თვითონ იცოდა თქმა, „ერთი ამ უსუნუკვით“ წერდა ზოგიერთ ლექსს; როგორცაა მაგალითად, „ესენის“, „სამშობლოს“, „ლექსი — მეწყერი“, „სოფლის ღაჯი“, „ბაღდათის ხეცა“ და სხვ. მერე გადაათვალიერებდა დაწერილს, ზოგიერთ მათგანს რომელიმე წიგნში ჩასდებდა და კვლავ აღარ ეჭებდა. ხოლო მათ შემთხვევით პოულობდა რამდენიმე თვის, ზოგჯერ წლების შემდეგაც. გადაიკითხავდა, როგორც სხვის ლექსებს, თუ საკირო იყო, შეასწორებდა და მიჰქონდა დასაბეჭდად.

საგომ ქლიაშვილი

ცნობის მოყვარე

პატარა თინათინი დედის მუხლებზე მოკალათებულა და თავს ბედნიერად გრძნობს. გოგონა დედას უსმენს და ვე-ლის ბოლოში ამართულ მთების გრე-ხილსაც მიჩერება. მისთვის იქ თავდება ქვეყანა, ხოლო მთების გადაღმა თუ კი-დევ რაიმე არსებობს, ამაზე არასოდეს არ უფიქრია. ალბათ, სიცალიერე, მამ სხვა რა იქნება...

ძალიან დიდი და წითელია ჩამავალი მზე და მთელ გარემოს ავარაყებს. მერე ის ჭილად ადგება ერთ მწვერვალს, სა-დაც ძველი ციხე-კოშკი ჩანს, მცირე ხნით ისვენებს და, ბოლოს, კიდევაც ეფარება... საკვირველია, მზე ყოველ-თვის იმ ადგილას იმალება.

— მერე დედა, მერე?

— მერე, ჩემო გოგონა, ის იყო, რომ პამაჩემი ომიდან აღარ დაბრუნებულა...

— რატომ?

— ამიტომ, რომ დაბრუნება მისი ნე-ბა არ ყოფილა...

— დიდი ხანია იმის შემდეგ?

— ოცი წელიწადი...

გოგონამ არ იცის, რამდენია ეს ოცი, სათვალავად თითები აღარ ყოფნის და ამიტომ დრო მეტად დიდი და შორეული ეჩვენება.

— მამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, არა? ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინათ... — მაგრად მუტავს თვალებს, რომ ამით უფრო ადვილად წარმოიდგინოს, თუ რა დრო გასულა. — მაშინ შენ პატარა იყავი?

— პატარა ვიყავი.

წუთით თითქოს რალაცაზე ფიქრობს და მერე ისევ ეკითხება:

— ის მთებიც შენსავეთ პატარა იყო?

— არა, რატომ... მთები ასეთივე დი-დი იყო.

მზის ჩასვლის შემდეგ ცა იისფერი ხდება. ცა ისე მაღლაა, რომ ხელით ვერ შეწვდები, მაგრამ იმ მთის წვერზე წა-მომდგარ ციხე-კოშკზე რომ ვინმე აიყ-ვანდეს, იქიდან იოლად შეძლებს თითით შეეხოს. ის, ალბათ, რბილი და თბილია.

— შენ რომ პატარა იყავი, მაშინაც იყო ის ციხე-კოშკი?

— ისიც, დიდი ხანია, რაც იქ დგას. როცა პირველად ააშენეს, უფრო მაღ-ლი იყო, მაგრამ მერე ყიზილბაშები შე-ესივნენ და მეციხოვნენი დახოცეს...

— იმ დღესაც ასეთი კარგი საღამო იყო?

— შეიძლება...

ზაფხვი გაირინდა და მერე უკმაყოფი-ლოდ ამბობს:

— კმ... სამაგლები... ახლაც იქ არიან ყიზილბაშები?

— არა, ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. ახლა იქ არაფერი არის. მხოლოდ ნანგრე-ვები დარჩა და ის ძველი ამბავი...

— შენ ვინ გითხრა, რომ ასე იყო?

— ჩემი დედისგან მაქვს გაგონილი.

— შენმა დედამ ნახა ის ყიზილბაშე-ბი?

— არა, მისმა დიდებამ უამბო. ეგ ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა.

— იმ დროსაც იყო ეს მთები?

— ჰო, იყო.

— და მზეც იმ ადგილას ჩადიოდა?

— მზეც იქ ჩადიოდა.

— ცასაც ასეთივე იისფერი ჰქონდა?

— იისფერი იყო.

— სულ, სულ არ შეცვლილა მისი ფერი?

— არა, არ შეცვლილა.

მწუხრი ძლიერდება და ვარსკვლავები იხიბება. მთებს ბინდი ეხვევა და ციხე-კოშკიან მწვერვალსაც სიბნელე ფარავს.

— ის ციხე ყოვლობაშემბა დაანგრავს?

— იქნებ მათ, იქნებ დრომ...

— დრო ყველაფერს ანგრევს?

— ჰო, ყველაფერს.

— ის მთებიც გაქრება?

— არა, იქვე იქნება.

— მზე და ცა?

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამ საღამოს. შეიძლება მხოლოდ ადამიანები გაქრენ, ცა და ვარსკვლავები კი სამუდამოდ დარჩებიან.

ზღუვი ახლა მეტ ხანს დუმს და უფრო მაგრად ეკვრება დედის მკერდს.

— რას გაყუჩდი, გოგო? გეძინება?

— მზე ხომ კეთილია, დედა? — პასუხის მაგიერ ეკითხება გოგონა.

— რა თქმა უნდა... მთაც კეთილია, ვარსკვლავებიც...

— არ დაღონდებიან, კრეცე ვაშლიანები გაქრებიან და თითქმის მარტო დარჩებიან?

— დაღონდებიან, მაგრამ...

— ჩემზედაც დაღონდებიან?

— ახა რას ამბობ, შენ მუდამ რცოვ ხლებ.

გოგონას სიამოვნებს ამის გაგონება. დედის სიტყვებში ოდნავი ეჭვიც არ შეაქვს. უეცრად რაღაც ახსენდება და დედას თვალეში შეჰყურებს:

— შენ? შენც ხომ ყოველთვის იქნები?

— ჰო, შეილო, შენთან ერთად... —

ზავშის შეშფოთებას გრძნობს დედა და ეფერება. — კმარა ახლა, დაიძინე.

გოგონას კიდევ ბევრი რამ აქვს საკითხავი, მაგრამ თბილ კალთაში ბედნიერად გრძნობს თავს, ეშინია არ დააფრთხოს ეს ბედნიერება, გასუდრულა და მხოლოდ თავისთვის ჩუმი ფიქრობს, რომ ასე ყოველ საღამოს მწვერვალს ამოეფარება მზე, მერე აინთებიან ცაზე ვარსკვლავები და ასე ყოველთვის მოთაღერსებს დედის ტბილი ხელი.

ბ შ რ ი ს ტ ი

მატარებლიდან გადმოვიდა თუ არა, იქვე სადგურთან იშოვა სვანეთში მიმავალი მსუბუქი მანქანა. არც შევაჭრებია მძღოლს, ისე დაიჭირა. მამაკაცი შოფერის გვერდით დაჯდა. ქალს ბენზინის სუნი გულს ურევდა და უკან მოთაღისდა.

თბილისიდან მთელა ღამე ვაკონში ჯანჯლარის შემდეგ მგზავრები დაქანცული იყვნენ. ქალი ბევრად ახალგაზრდა ჩანდა, მაგრამ დაღლილობა მაინც უფრო ეტყობოდა.

— მამ თქვენ ზემო სვანეთიდან ხართ? — მამაკაცი ხელმეორედ და ისე ხალისიანად, თითქმის მღელვარებით, შეეკითხა შოფერს, რომ უკანასკნელს კიდევაც გაუკვირდა.

მერე მგზავრმა ქალისკენ იბრუნა სახე და რაღაც უთხრა უცხო ენაზე. ქალი

არ შესძინებია. იქნებ იმიტომ, რომ ყურადღების ღირსად არ ჩათვალა გაგონილი. მდუმარედ იჯდა და სარკმელიდან გულგრილად იცქირებოდა.

მანქანა რატომღაც ნელა მიდიოდა ცარიელ ქუჩებშიც და ქალი უნებურად თვალს აყოლებდა უცნობ ადგილს... არაფრით გამოსარჩევი არ იყო ეს პატარა დაბა-ქალაქი. უმეტესად დაბალი ოფები, პატარა სავაჭროები, აქა-იქ ახალი სამსართულიანი შენობები, რომლებიც კიდევ უფრო ააშკარავედნენ მგზობლად მდგარ ძველი ხის სახლების სიღარბებს. აქაურობა მოკლებული იყო კოლორიტს, რომელსაც მოელოდა... იმიტომ იყო, რომ უმალვე ყოველგვარი ინტერესი დაჰკარგა ამ პატარა ქალაქისადმი. მხოლოდ ერთი-ორჯერ გამოცო-

ცხლდა თითქოს, როცა ქუჩაში მიმავალი ჩოხიანი მოხუცები დაინახა, მაგრამ ეს ეგზოტური ჩაცმულობაც უფერული ეჩვენა.

დაბა-ქალაქს მალე გასცილდნენ და გზატკეცილზე მანქანა სწრაფად წავიდა. წინ მთები იყო აღმართული და ქალს ისეთი შთაბეჭდილება ჰქონდა, რომ გზაც იქ უნდა დასრულებულიყო. შორს გორაკის თავზე ძველი სატანჯიო გამოჩნდა. მამაკაცმა უმალვე ყურადღება მიაქცია ციხე-კოშკს, შოფერს გამოკითხა და მერე ქალს უთარგმნა, რაც მოისმინა. ქალს არაფერი უთქვამს, მხოლოდ წამიერად შეავლო თვალი გორაკს.

— დალილია, წუხელ კუბეში ცხელოდა და ვერ დიძინა, — რატომღაც მობრძინებდით თქვა მამაკაცმა.

— ეგ ქალი უცხოელია? — იკითხა შოფერმა.

— დიახ, ინგლისელია.

მძლოლი აპირებდა კიდევ რაღაც ეკითხა, მაგრამ მამაკაცმა დაასწრო:

— ჩემი მეუღლეა... რამდენიმე დღეა ჩამოვედი... ემოგზაურობთ... — წუთით დადუმდა და მერე განაგრძო: — პირველად ვარ მამა-პაპის სამშობლოში...

შოფერმა ვაოცებით გადახედა. მხოლოდ ახლა ენიშნა, რომ ის რაღაცით გავდა უცხოეთიდან ჩამოსულს. სახით, პო, უმალვე იტყვი აქაური არისო, მაგრამ სიტყვებს ისეთი იერით წარმოთქვამდა, თითქოს ქართული ახლახან უსწავლია და ჯერ კიდევ ვერ გაწაფულა.

— ქართველი კაცი პირველად ხარ საქართველოში? ეგ როგორ? — გაკვირვებას ვერ მალავდა შოფერი. ძალიან უნდოდა გულდასმით შეეხედა მისთვის, მაგრამ თვალს ვერ აშორებდა მთებში შეჭრილ მიხვეულ-მოხვეულ გზას.

— აგრე მოხდა... — ღიმილით თქვა მამაკაცმა. — იქ ვარ დაბადებული... ბაბა ემიგრანტი იყო... ასე რომ...

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა შოფერმა და წამიერი სიჩუმის შემდეგ იკით-

ხა: — თუ უკაცრავად არ ვუყურებ, თქვენი გვარი?

— გულბანი... რევან გულბანი...

— გულბანი... — თავისთვის გაიმეორა შოფერმა. — მაგ გვარის კაცები ქორეთში სახლობენ, ბეჩოს ზემოთ.

— დიახ, იქ! — სიხარული დაეტყო მგზავრს. — მამაჩემის სოფელი გატლავთ... პო, და, მეც იმ ძველი ფუძის სანახავად მივედივარ... როგორც იქნა, ამისრულდა ორმოცი წლის ნატვრა...

შოფერმა ფრთხილად გადაიარა იქ, სადაც კლდიდან დაქანებულ ნაკადულს გზატკეცილზე კვალი ვაკვრა, ერთხანს მდუმარედ და წარამარა ატრიალებდა საჭეს, თითქოს ებრძოდა მანქანას. ვიწრო ხეში ღრმად ჩავარდნილი კალაპოტიდან თეთრად ამღვრეული ენგურის ხმა ამოდიოდა. ალაგ მთა ტიტველი იყო, ალაგ ფიჭვის ტყით დაბურული. არც თუ შორს თოვლიანი მწვერვალები ამართულიყო. მწვერვალებზე მზის შუქი ლაპლაპებდა.

— ქორეთში გეგულვებთ ვინმე სახლობელი? — როგორც კი საშუალება მიეცა, ისევ ალაპარაკდა შოფერი.

— მგონი არიან... დარჩებოდა ვინმე... — ყრუდ შეეხმინა გულბანი.

უნდოდა კიდევ ეთქვა, რომ თუ ვინაცოდაა ვერავინ ნახა, სოფელს მაინც თვალს გადაავლებს და იმ სახლს მოინახულებს, სადაც წინაპრები ცხოვრობდნენ... კოშკიანი ქვის მანუბი, რომლის ვარგედელში რამდენიმე ჭიხვის რქა იყო დატანებული...

მამის ნამშობლიდან სხვა რაიმეც შეეძლო გაეხსენებინა, მაგრამ საპიროდ არ ჩათვალა უცხო ახალგაზრდასთან გული გადაეშალა და სიტყვის ასაქცევად ჩაილაპარაკა:

— მე მგონია, არაფერი შეცვლილა ამ კუთხეში...

— არ შეცვლილაო?! — ირიბად გადახედა შოფერმა. — შეიცვალა და აგრე?

გულბანისთვის გაუგებარი იყო, თუ რა უნდა შეცვლილიყო აქ. ხედავდა ამ

გოლიათ მთებს, სადაც კორტოხზე გაშენებულ მაღალკოშკიან სოფლებს და არაფერს ჰქონდა იმის ნიშანი, რომ ათეული წლების წინათ ყოველივე ეს სხვაგვარი იქნებოდა... ან კი რა შეცვლიდა ერთმანეთზე დახვავებულ მთებს, მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალებს, კლდეებით შემოსაღრულ ბობოქარ ენგურის დინებას, ფერდობებზე დაქანებულ ჩქერალებს... ყოველივე ეს იყო და მუდამ იქნება...

განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იქ, უცხოეთში, როცა ძველ სამშობლოზე უოცნებია, აქაურობა უფრო რომანტიკულ ფერებში ჰქონდა წარმოდგენილი. ახლა კი, როცა თავისი თვალთ ხედავდა, არც თუ ისეთი იყო გარემო, როგორც მანამდე ესახებოდა... წუთით ისიც კი გაიფიქრა, რომ იქნებ არ ღირდა ჩამოსვლა... იქნებ სჯობდა იმ რომანტიკულ ბურუსში დარჩენილიყო... მგონი, ტყუილად დაღალა თავისი თავი შორეული მგზავრობით და უფრო მეტად კი ცოლი, რომელსაც არაფერი არ აკავშირებდა ამ ქვეყანასთან... ცოლმა მხოლოდ ხათრი გაუწია და უარი არ უთხრა წამოჰყოლოდა... ეს იყო და ეს...

უსიამო ფიქრები რომ მოეცილებდა, თავს ძალა დაატანა და შოფერთან საუბარი განაახლა. შოფერი ენაწყლიანი აღმოჩნდა და ბევრი რამ უამბო აქაურობაზე.

გულბანი გულს იყოლიებდა მასთან საუბარით და ბოლოს ისე გაერთო, რომ დიდიხნის განმავლობაში ცოლისკენ არც მიუხედავს.

მაგრამ ქალი კმაყოფილიც იყო, რომ ქმარს მივიწყებული ჰყავდა. მოხერხებულად მოკალათებულყო და თითქმის მთელი გზა წიგნს კითხულობდა... საცქერალი აქ მაინცდამაინც ბევრი არაფერი იყო... ამგვარი ბუნება სხვაგანაც უნახავს... ორი წლის წინათ ინდოეთი მიაბრა, მერე პერუს მთებს გადაუარა თვითმფრინავით, შარშან კი შვეიცარიის ალპებში მთელი თვე გაატარა, უკვე ნათელი წარმოდგენა აქვს მაღალმთიანი

ადგილების თავისებურებაზე და ამის შემდეგ რა უნდა ნახოს ამ ქვეყანაში ისეთი, რომ მისი გაოცება გამოიწვიოს...

ერთხელ ჩათვლიმა კიდევაც და ფიქრად ჩაჰყვა: აი ის კუთხე, რომელზედაც ხშირად უოცნებია ქმარს... მისი წინაპრები ამ ველური ბუნების შვილები იყვნენ... შესაძლოა, ქმარსაც აქ ეცხოვრა, რომ შემთხვევით ევროპაში არ დაბადებულყო... ევროპამ კი ის სრულიად სხვა, ახალ აღამიანად აქცია... ახლა ის ცნობილი მეცნიერია, დიდ კულტურას და ცივილიზაციას ზიარებუღია და, ცხადია, აქაურობასთან არაფერი არ აერთებს... მხოლოდ რაღაც ახირებულობით შეიძლება აიხსნას ის ამბავი, რომ აქ ჩამოსვლა მოინდომა... არა უშავს რა, თინს მოიკლავს და მერე საბოლოოდ დაივიწყებს...

ბეჩოში უკანასკნელად გაჩერდა მანქანა.

— წავიყვანდით ქორეთში, მაგრამ მანქანა იმ კლდეებზე ვერ ივლის და რა გიყოთ... — თითქოს გულდაწყვეტილად თქვა შოფერმა, როცა გულბანი და მისი ცოლი დაბაში გადმოსხა.

მაგრამ აქაც უყურადღებოდ არ დასტოვა ისინი. ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დაუქირავა მათ ცხენები და გამყოლი, ალერსიანად დაემშვიდობა და გაისტუმრა.

ქალს კიდევაც სიამოვნებდა ასეთი მგზავრობა. მარჯვედ იჭდა უნაგირზე და ისე თამამად მიჰყვა გამყოლს, რომ, ეტყობოდა, ადრევე იცოდა ცხენოსნობა. დროადარო შოლტავდა ხოლმე ცხენს, მაგრამ ციკაბო ბილიკებზე ნაჩვევი პირუტყვი მხედარს ყურადღებას არ აქცევდა და თავისი ჰკუთით მიდიოდა.

ყველაზე ბოლოს გულბანს მიჰყავდა პატარა მთიულური ზერდაგი. მთელი გზა ჩუმად იყო, ღონივრად ჩასჰიდებოდა უნაგირს და მხოლოდ სირცხვილი აიძულებდა დაეფარა ცოლისგან, რომ ეშინოდა უფსკრულის პირას ვიწრო ბოლიტზე ცხენის ტარება. გამყოლი გრძნობდა მის გასაჰირს, ხშირ-ხშირად იხე-

დებოდა მისკენ და გადმოსძახებდა ხოლმე:

— ენდე ცხენს, გაუშვი თავის ნებზე, იცის მან როგორ იაროს!

თითქოს იმიტომ, რომ გამოუცდელი მხედარი გაემხნეებინა ან და იმიტომ, რომ ჩუმად სიარული მოწყინდა, გამყოლმა ერთხელ სიმღერაც წამოიწყო. პანგი ველური ეჩვენა ქალს, მაგრამ ძალიან შეხამებული ამ პირველყოფილ ბუნებასთან.

მზე ისევ მაღლა იყო, როცა ტყიანი მთა აიარეს. იქიდან დაქანებული დაღმართი დაიწყო და, ჩათავდა თუ არა ხევი, მგზავრების წინ გაიშალა მაღალი ბალახით დაფარული პლატო, რომლის ბოლოში შეფერდებულზე კოშკებიანი სოფელი გამოჩნდა.


— აი თქვენი ქორეთიც! — მოისმა გამყოლის ხმა.

ადგილი ლამაზი ეჩვენა ქალს და შეაჩერა ცხენი, რომ უფრო გულდასმით დამტკბარიყო სანახაობით.

ბინოკლის ამოსაღებად ის იქვე გახსნა ხელჩანთა, რომ უეცრად ქლიფის მთა დახილი გაიგონა. ხმა შემზარავი იყო. შემკრთალმა მიიხედა ქმრისკენ, მაგრამ რაც იმ წუთში დაინახა, მოჩვენებათ წარმოუდგა.

გულბანი თავის თავს აღარ გავდა. უნაგირზე ამართულიყო სახეშეცვლილი მამაკაცი, თვალეზაბრიალებული მიშტერებოდა პლატოს ბოლოზე ამართულ კოშკებს და რაღაცას ლულულულებდა. შეშინებულმა ქალმა შემოაბრუნა მისკენ ცხენი, მაგრამ გულბანმა არც მიხედა, მოიფრიალა ქუდი, დასკყიელა ზერდაგს, მიუშვა აღვირი და ხმიანი შეძახილით გააქანა იქით, სადაც სოფელი ჩანდა. მიაჭროლებდა ცხენს და მისი გამკვივანი ხმა კიდევ დიდხანს ისმოდა შორიდან.

ფერშეცვლილი, მოულოდნელობით გაოგნებული ქალი ერთხანს იქვე იდგა და შიშნარევად თვალს აყოლებდა პლატოზე მიმჭროლავ მხედარს.



მეჩვენე ლაზარს

გ ა ლ ა კ ტ ი მ ნ ი

„ჩამოჰკარი ჩანგს!
ჩამოჰკარი ჩანგს!
არის ჩანგების
ზრიალი ხოროდ—
რა, რა სჭირდება
ახლა ქართველ ხალხს,
ოჰ, ჩანგო ჩემო,
შენ უწყვი მხოლოდ!“—

ასე გაჰმღერდა
მშობლიურ მთა-ბარს,
ასეთი იყო
მეფე და ბავშვი,
აფრიალებდა
ცად ლომის ფათარს
და მოჰღრეცოდა
ქალარა ქარში...

აწ აღარ მოდის
ოცნების ბალში
მკერდბუმბერაზი
მგოსნების მახეში,
მაგრამ სიმღერა
ლურჯი და ურჩი
ისევ და ისევ
წკრიალებს ყურში:

„ჩამოჰკარი ჩანგს!
ჩამოჰკარი ჩანგს!
სხვათა ჩანგები
ზრიალებს ხოროდ.
რა, რა სჭირდება
ახლა ქართველ ხალხს,
ოჰ, ჩანგო ჩემო,
შენ უწყვი მხოლოდ“.

• • •

იკოცხლე—
მე ვილორძინო,
იკოცხლე—
ვიქცე ბალადა,
იკოცხლე—
მე მოგილხინო,
თუ შენ
მეყოლე კარგად!

ვაზო!
კორტოხო!
კრამიტო!
ჭადარო!
მზეო!
ცაგ!—
კაცსაგით
გადღეგრძელებ,
შენს სადღეგრძელოს
ესვამ!

იარე!—
მეტი რა გინდა—
შენ
საქართველო ხარ!



თამაზ ჭილაძე

აი, ახლახან

რესპუბლიკელთა ვარსკვლავებზე ერთო ცისკარი
და დედამიწის ორი მკრთალი ნახევარსფერო
ჭგაედა მზვერავეის დურბინიდან დანახულ დილას...

აი, ახლახან ფაშისტებმა
გრანადის გზაზე,
ფორთოხლის ჩრდილში,
მავრიტანულ სასახლის ახლოს
დახვრიტეს ლორკა...

გარსია ლორკა—
ესპანეთის მთრთოლვარე ყელი...

მეწამულია გარიჟრაჟი გრანადის თავეზე,
როგორც კედელი, რომელთანაც ხვრეტენ პოეტებს...

ჩვენ ვაგაჩერეთ საათები შურისძიების,
მანამდე, სანამ არ გაქრება ყველა ჯალათი,
ვისაც ხელები გასვრილი აქვს პოეტის სისხლით,
ვისაც თვალებში სიძულვილის ობობა უზის.

აი, ახლახან, აქვე, თვალწინ, ნაბიჯის იკით,
შენი სახლის წინ,
შენს ეზოში და შენს ფიქრებში
და შენს სინდისში
ფაშისტებმა დახვრიტეს ლორკა.

არ შეიძლება ამ ქვეყნად ძილი,
არ შეიძლება გედინოს მშვიდად,
სანამ გაქვს ორი ძლიერი მკლავი,
შურისძიების ორი მახეილი...

დონ კიხოტი

„ჩემო მეგობარნო, ალონსო კიხანო კეთილს სრული
გონება დაუბრუნდა, მაგრამ სიცოცხლე კი მართლაც
ალარ დაუბრუნდება...“

სამარის პირას სინდისი მქენჯნის,
იქნებ, ამიოდ დაიფერფლა ცეცხლზე სხეული,
იქნებ, ამიოდ დაგეტებდით და ბრმა ქაჯივით
წინ მომიძლოდა მოელვარე დაშნა ქებული.

და რომ შემეძლოს, სანჩო პანსა, ახლა ნამდვილად
კუნძულს კი არა, სამეფოს მოგცემ...
დიაკვანივით რბილ საწოლზე ეკედები ადვილად,
ჩემს ასეთ სიკვდილს, მეგობარო, ნუ გაიოცებ.

სამარის პირას სინდისი მქენჯნის...
რატომ ძგერს გული, დრო გათავდა, ნუთუ არ იცის?
და ჩემი ბაგე დალუქული ხარონის ბეჭდით
რატომ ჩურჩულებს, ვის ეძახის ძველი ხალისით?

გათავდა ჩემი რაინდობა... დახურეთ კარი,
ქარმა თვალეზი ჩამილეწა, რამ გადარია...
არ მინდა ცრემლი... გაბატოეთ ეს გულის ბზარი,
ლალატიც, მტრობაც და დაცინვაც... ბარატარიაც...

გათავდა ჩემი რაინდობა... გათავდა? არა...
ჩემი სამარე არ იქცევა სიბნელის სოროდ...
ჰე, სანჩო პანსა, მომაწოდე მახვილი ჩქარა!
ნუ გეშინიათ...

სრულ ჭკუაზე ვარ...
მე ვკედები მხოლოდ...

წარწერა წიგნზე

რა შემძლია, რა უნდა მოგცე?
იქნებ, ეს წყნარი, ლურჯი საღამო,
ან იქნებ, ეს ზღვა,
ან იქნებ, მთები?

ან იქნებ, ეს გზა,
რომელიც სადღაც
დიდხანია უჩემოდ მიდის...

რა შემძლია, რა უნდა მოგცე?

ეს დღე?
მდინარე?
ქალაქი?
ქარი?

ან იქნებ, მიწა, რომელსაც თრთოლვით
ეფერებიან კოსმონავტები.

მე მოგცემ ჩემს ხმას, სუნთქვას და თვალებს,
სხვა არაფერი არა მაქვს შეტი.

მე მოგცემ ჩემს გულს,
თუ კი შენს ხელებს
ძალუძთ ატარონ შიშველი ცეცხლი.

მე მოგცემ ჩემს ფიქრს,
თუ კი შენს სხეულს
არ დაღლის მძიმე, ვეება ფრთები...

შაქო საპარაზილი ცხოვრების გზაზე

მოთხრობა

ვინახულე ოცი წლის უნახავი სოფელი დვირი. ცოლითა და შვილებით უკან ებრუნდებოდი ლიკანში. რკინიგზას მიახლოვებულებს ორთქლმავლის კივილი შემოგვესმა, ავჩქარდით, ბაქანზე მისწრება გვეწადა, მატარებლის მთელმა შემადგენლობამ არც თუ ისე დიდი სიჩქარით ჩაგვიარა, მემანქანის ღიმილიც — კი დავინახეთ. „ნეტავი მივესწრებდეთ!“ — ვინატრეთ და უფრო და უფრო ავჩქარდით, გაისმა სასტვენის ხმა, ცდას მაინც ვაგრძელებთ, მატარებელი — კი თითქოს ვინმეს ელისო, დგას და იცდის. მისწრების იმედი გაგვიძლიერდა, ჩვენიდან უკანასკნელ ვაგონამდე მისასვლელი მანძილი როგორც იყო, გავლიეთ, დაღლილ-დაქანცულები ძლივს ავედით ვაგონის კიბეზე. ჩვენი ასვლა და მატარებლის დაქვრა, ერთი იყო.

— დღეს ჩვენმა მემანქანემ დვირის ბაქანზე ჩვეულებრივი ხნით დგომას სამი ოთხი წუთით გადაამეტა, — წაილაპარაკა მოლარემ, რომელმაც ბილეთები მოგვცა.

— რატომ გადაამეტა? — ვიკითხე მე, რადგან მივხვდი მოლარის თქმული ჩემი მისამართით იყო.

— პატივი სცა ნაცნობებს.

— ვის, ჩამომსვლელებს?

— უფრო ამსვლელებს.

— ჩვენზე გვიან ამოვიდა ვინმე?

— არავინ.

— მაშ, შენი აზრით, მემანქანემ ჩვენ გვცა პატივი.

— ასე ვფიქრობ.

— მემანქანეს იცნობ?

— ვიცნობ.

— რა გვარია?

— არ ვიცი.

— სახელი?

— არც ეგ ვიცი.

— ეგ რანაირი ცნობაა?

— მას ერთი სახელით იცნობენ, ამ სახელშია გაერთიანებული მისი ნაშდელი გვარიც, სახელიც, კაცობაცა და საქმიანობაც.

— რა სახელია ეგ?

— სალა.

— სალა?

— ჰო, სალა, ქვაბისხეველი სალა, როგორ არ გაგიგონიათ?!

ვის სცა მემანქანემ პატივი ჩვენ, თუ სხვას? ვანა შეიძლება მატარებლის შეგვიანება? ეს ხომ ხალხის საზიანო, გაუმართლებელი მოქმედებაა?

იმ დამეს არც მე დამეძინა, არც თამარს, სიტყვა „სალამ“ და მემანქანის საქციელმა დაგვაფიქრა, წარსული მოგვაშინჯინა, ჩვენი პედაგოგიური მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდი გავახსენა:

...პედაგოგიური საბჭოს სხდომა დიდხანს გაგვიგრძელდა. ის იყო კრებას ვამთავრებდით, რომ უეცრად მერიდან რახუნი მოგვესმა. კრების ყოველი მონაწილე სმენად გადაიქცა. ხმა არ გამეორდა.

გამოითქვა სხვადასხვა აზრი, თამარი არც ერთის აზრს არ იზიარებდა, ალბათ მოსწავლეა აპარული ზევით, — აი, რას ასკვნიდა თამარი გუმანით.

— მოდი, ავალ, გავიგებ, — თქვა ერთმა მასწავლებელმა და დაელოდა



დირექტორის დასტურს. დასტურს
პერში ასევე მოჰყვა. მალე კრების წი-
ნაშე პერში აღმოჩენილი ერთი მოს-
წავლე მეშვიდეკლასელი გიორგი გე-
ლაშვილი წარდგა.

— გელაშვილო, რა გინდოდა, რას
აყეთებდი მალლა?

— პედსაბჭოს ვუსმენდი! — ძლივს
დაძრა ენა შეპყრობილმა.

— რაში გპირდებოდა ეგ მოსმენა?

— მინდოდა გამეგო, ვის რა ნიშნე-
ბი ექნებოდა.

— მარტო ეგ იყო შენი მიზანი? —
არ ეხსენებოდა თამარი.

— კი.

მასწავლებელთა შორის იმ ღამეს
ზოგიერთი მოსწავლის მიმართ ბევრი
შენიშვნა გამოითქვა, შენიშვნების უმე-
ტესობა რუსული ენის მასწავლებელ-
მა პავლე ვასილიჩმა გამოთქვა. ამიტომ
იყო, რომ პავლემ ყველაზე მეტად
იწყინა კრების საიდუმლოების გაცემა
და გამომხეურება.

თამარმა დამნაშავე გააფრთხილა:
თუ იგი გულწრფელად მოინანიებდა
დანაშაულს, ამავე დროს დასახელებდა
თანამოაზრეებს, დაუსჯელად დასტო-
ვებდა, თუ გაჯიუტდებოდა და რჩევას
არ მიიღებდა, სასტიკად დასჯიდა.

გელაშვილს მღელვარება დაეტყო
და რალაციის თქმა დააპირა.

— სთქვი, გაბედე, ნუ შიშობ! — გა-
ამხნევა თამარმა.

ხეწნა, დარიგება, რჩევა, უნაყოფო
გამოდგა. გელაშვილმა თანამოზიარენი
არ გასცა. ბოლოს იგი კრებიდან გაუ-
შვეს.

პედაგოგებმა საკითხის განხილვაში
მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. აღ-
ნიშნეს, რომ იგი მკვეთრად დაუპირის-
პირდა კრებას და ამით დანაშაულს და-
ნაშაული მიუმატა. სწორედ ამიტომ მას-
წავლებელთა ერთმა ნაწილმა, პირველ
რიგში — კი პავლე ვასილიჩმა მოი-
თხოვა გელაშვილის მოშორება, სკო-
ლიდან სხვა სკოლაში გადაყვანა.
საერთო მსჯელობიდან დასკვნის გა-
6. „მთაბიჭი“, № 3.

მოტანას ფრთხილად, განიჭრულად
მიუდგა თამარი.

— ამხანაგებო! — განაცხადა დასას-
რულს დირექტორმა, — მოსწავლე გე-
ლაშვილი ზშირად ყოფილა სკოლის
შინაგანაწესის დარღვევაში შენიშნუ-
ლი, ისიც გვახსოვს, რომ იგი გარიცხვას
ძლივს გადაჩნა. მოუფიქრებლობამ
იგი კვლავ უფსკრულის, პირას მიიყვანა
და ახლა მას ხელს კვრა კი არ უნდა,
არამედ უკან გამოყვანა. მე ვიტყოდი,
რომ გელაშვილის პერში აპარვა უზ-
რალო, პატარა ბოჭური სიცელქეა და
სხვა არაფერი. მოსწავლის ამ ცელქო-
ბაში სწავლისადმი, ნიშნისადმი ინტე-
რესს უფრო ვხედავ, ვიდრე სხვა მიუ-
ღებელ განზრახვას.

— ხელისშემწყობებს რომ არ ასა-
ხელებს და ჯიუტად გვეწინააღმდეგება,
ამაზე რალას იტყვიო? — რეპლიკა
ისროლა ფიცხმა პავლე ვასილიჩმა.

— ეგ დანაშაულია, მაგრამ მაგაშიც
მოინახება გამართლება, როგორ ფიქ-
რობთ, ამხანაგების გაცემა განა ადვი-
ლია?

— თქვენის აზრით გელაშვილი დას-
ჯის ღირსი არაა! — მიამახა ისევ პავ-
ლე ვასილიჩმა.

— ჩემი აზრით, — დაასკვნა თამარ-
მა, — ახლა სასჯელის სწორად გამო-
ანგარიშება არ შეგვიძლია. ჩვენ კიდევ
დაგვირდება ცდა, რომ გელაშვილი
დავიყოლოთ, სიმართლე უფრო გულ-
წრფელად ვათქმევინოთ, შევაგნები-
ნოთ ის, რომ პედაგოგიურ საბჭოსთან
მისი დაპირისპირება უაზრობაა, მძიმე
დანაშაულია. სადღეისოდ საკითხის
შესწავლა დაუმთავრებლად მიმჩნია,
საქმის უფრო მეტად გარკვევას ხვალ
დილიდანვე შევუდგები, გელაშვილსაც
საშუალება მიეცემა — იფიქროს დანა-
შაულზე, თავისთავზე, ამხანაგებზე,
გამოსწორებაზე. ამგვარად ჩემი წინა-
დადება საკითხი გადაიღოს.

კრებამ თამარის წინადადება მიიღო.

მეორე დღეს საღამოს, როცა სკო-
ლაში მარტო თამარი დარჩა, მასთან

გელაშვილი მივიდა. იგი დირექტორის წინაშე თავდახრილი დადგა და ერთხანს ხმა ვერ ამოიღო.

— გატყობ, რაღაც გინდა სთქვა...

— მე ვიცი, პატივცემულო დირექტორო, წუხელ როგორი მზრუნველობა გამოიჩინეთ ჩემდამი. მე ვფიქრობდი, პირველი თქვენ მოითხოვდით ჩემს სასტიკად დასჯას, პირიქით, ნაწილობრივ გამამართლეთ კიდეც. ყოველივე ამან უფრო კარგად ჩამახედა საკუთარ გულში და მაფიქრებინა: ვიყო უფრო გულწრფელი, მართალი და პატიოსანი.

— კი, მაგრამ საიდან გაიგე ჩვენი შემდგომი მსჯელობის ამბავი? — გაიკვირვა თამარმა.

— ჭერში ორნი ვიყავით, მალა ამოსულ მასწავლებელს მარტო მე ვეჩვენე, მეორემ იქვე დარჩენა მოახერხა. ამგვარად კრების შემდგომი მსჯელობა ჩვენთვის კვლავ მისაწვდომი დარჩა.

— ვინ დატოვე ჭერში? გელაშვილი ჩაფიქრდა.

— გიჭირს თქმა? — ჰკითხა თამარმა.

— მიჭირს, მაგრამ...

— თუ გიჭირს, ნუ იტყვი, რაკი არ გინდა ამხანაგი გასცე, ნება შენი იყოს.

— უთქმელობით რომ გაწყენინებთ!

— ვიცი, ვინც იქნებოდა, დავასახელო? — შეღმილა თამარმა.

გელაშვილი ღიმილმა გაამხნევა, უპასუხა:

- დაასახელეთ.
- მაისურაძე.
- რომელი?
- ნოდარი.
- სწორია.
- თქვენი წამქეზებლები და ხელშემწყობნიც დავისახელო?

მოსწავლე დადუმდა, თამარმა გაწაგრძო:

— პაპიძე პეტრე, კურტანიძე ოთარი, ხაჩიძე მორთულა, ხუციშვილი ნინო, ხაჭაპურიძე ოთარი, ჯახაძე ავთანდილი, სწორი ვარ?

— სწორი ბრძანდებით სიმართლეს ასე როგორ მიაკვლიეთ? — თამარი ღიმილს ვერ მალავდა და ამბობდა:

— თქვენ კარგი დაზვერვა გცოდნიათ, ჩვენ — კი საკითხის კარგი შესწავლა, გარდა ამისა, განა ჩვენ, პედაგოგებმა არ ვიცით, ვინ ვისთან ამხანაგობს, ვინ ვისთან რას აკეთებს?

— ამხანაგები მე სხვებიც მყავს, რალა მაინც და მაინც ისინი დაასახელეთ, რომლებიც ჩვენი მონაწილეები იყვნენ?

— ჩვენთვის ასეთების გაგება ძნელი როდია! ჭერ ერთი, დამნაშავეთა გვარები წუხელვე ამოვიკითხე.

— სად ამოვიკითხე? — გაოცდა გელაშვილი.

— შენს სახეზე, თვალეზზე.

გელაშვილი შესტკეპროდა თამარის სახის სულამდე ჩამწვდენ ნათელს და ფიქრობდა: ვერ გამოვიდა, ვინ არის ეს, მასწავლებელია, თუ მისანი?!

თამარმა პედაგოგიურ თათბირს ყოველმხრივ დამუშავებული საკითხი წარუდგინა. თათბირს მოსწავლეთა მშობლებიც დაესწრნენ. ყველა დამნაშავეს შესაფერისი სასჯელი მიესაჯა, მოკვება, მოშორება, რასაკვირველია, არავისი არ მომხდარა. გადაწყვეტილებით პაველ ვასილიჩიცი კმაყოფილი დარჩა.

ლიკანი.

მე და თამარი მალეობზე ვსხედვართ და ლამაზი ბუნების ცქერით მშობლიური ქვეყნის სიყვარულით უფრო და უფრო ვიმსჯვალებით. ფიქრია წიგნს კითხულობს, ცოტენ ხელში ქვათამარაგებული ჩიტს ეპარება, ჩვენ კი ჩვენთვის ვსაუბრობთ და საუბრის თემად ისევე ის მემანქანე გავვიხდით.

ჩვენს ახლოს კრიალა, ახალი „ვოლგა“ გაჩერდა. მანქანა ცარიელია, შიგ მარტო მძღოლი ზის. მძღოლმა მანქანა მოაბრუნა, უხიფათო ადგილზე გაა-

ჩერა, პირველი მხერთვე ჩვენ მოგვხედა, დაფიქრდა, მერე კი მძიმე ნაბიჯებით წამოვიდა ჩვენსკენ, მოგვესალმა.

— მე მიცნობთ?— გვეკითხება იგი.

— ვერა, -- პასუხს ვაძლევთ მე და თამარი.

— მე ნოდარი ვარ, მაისურაძე, თქვენი მოსწავლე.

— აჰ, ნოდარი... კი, გიცნობთ, გვავიწყობთ!

— ცელქი, მოუსვენარი, ნიჭიერი და ზარმაცი — წარმოთქვი მე.

— როგორ გვიცანი? — იკითხა თამარი.

— თქვენი ცნობა არ არის ძნელი, პატივცემულო მასწავლებელო, თქვენს გარეგნობაში დიდი ცვლილება არ ჩანს! ეტყობა, მაგ თმებში ზამთარი მკვიდრდება, მაგრამ არაფერია, თქვენ შინაგანად ისევე ის თამარ მასწავლებელი ბრძანდებით. გიკვირით და გული სიხარულით, ბავშვური ალტაცების გრძნობით მევესება.

— სასიამოვნოა, რომ ასე გახსოვართ,

— აღნიშნა თამარი.

— თქვენს თავსა და თქვენს მეუღლეს — პატივცემულ მერაბს რა დაგვაიწყებს, ძვირფასო მასწავლებელო, თქვენ ხომ სიკეთის ცეცხლი გაგვიჩაღეთ ნორჩს გულში! ეს ცეცხლი უბრალო ცეცხლი როდია!

— ახლა ალბათ, შემთხვევით გვხვხვართ?

— გადმომცეს, რომ თქვენს კლასში ისვენებდით, მოგძებნეთ, მოგაკვლიეთ, მწყუროდა თქვენი ნახვა და ავიხდინე სურვილი. ამას გარდა სავანებო დავალეზასაც ვასრულებ.

— რა დავალეზას?

— თქვენ დვირში ყოფილხართ, ბაქანთან ახლო რკინიგზის პირას მემანქანეს თქვენი თავი შეუნიშნავს, დალაპარაკების საშუალება რომ არ ჰქონია, დიდი სინანული გაჰყოლია, ვერა და ვერ მოიკალა, რომ თქვენი თავი მერე მიიხიენახა, მან დამაველა: გამიგე, საღ არიან, როდის მიდიან, ან ნამდვილად ისინი არიან, თუ შევეცი ცნობაშიო. შემოგივალათ: ოთხოდე წუთით რომ მატარებელი გავაჩერე, ამით არ გვეგონოთ რაიმე დანაშაული ჩავიდინე, მე მემანქანე ვარ და დახარჯული წუთების ანაზღაურება ადვილად შემიძლიაო. გჯეროდეთ: თქვენს სასარგებლოდ და თქვენი ამაგის დასათესებლად მარტო მატარებელს კი არა, თუ დამჭირდა, სტიქიასაც შევაჩერებო.


— ნოდარ, ვინ არის ის მემანქანე?

— მოუთმენლად იკითხა კმაყოფილებით გაბადრულმა თამარი.

— ის მემანქანე გელაშვილია, თქვენი ყოფილი მოსწავლე, ჩემი კი, ბავშვობის განუყრელი მეგობარი.

— სალა? — ალტაცებით წამოიძახა თამარი.

— როგორ დაგხსომებიათ გიორგის გამოცვლილი სახელი— დიახ, სალა!



XV სკანონი

გამთარი ჩვენი მღვდლები*

თავი მარჯვნივ

ბავშვობაში დიდი ხალისითა და გაცხელებით ვხოცავდი წვრილ-წვრილ ცხოველებს. კურდღლები, ციყვები, პაწაწინა ჩიტები, მერე და მერე გარეული იხვები და ბატები პანტა-პუნტით ცვივოდნენ მიწაზე. გამწარებული ენით მივღევი ამ საქმეს, ისე რომ გულში არც ღვარძლსა ვგრძნობდი, არც სიძულვილს და არც დანაშაულს. ომმა ერთიანად წამართვა ხოცვის ენა, როგორც ბავშვს მოყვირება ხოლმე ტკივილი. თოფის ხმა უკვე აღარ მეჩვენებოდა გამძაფრებული ბედნიერების ყიფინად.

იმ გაზაფხულს ჩვენს ბაღს ორი კურდღელი შემოეჩვია, ყოველდღე მოდიოდნენ. განსაკუთრებით ჩემი მერის მიხაკი მოსწონდათ — ისე გაფტკვინდნენ, რომ ცარიელა ღეროები რჩებოდა.

— უნდა დახოცო, — მითხრა მერიმ.

გამოვიტანე ჩემი მცირეყალიბიანი, ერთიანად ზეთში ამოსვრილი თოფი, გამოვქებნე ზუთი ნომერი საფანტით დატენილი ვაზნები და, როცა მოსაღამოვდა, უკანა კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი, კურდღლებს დავედარაჟდი. როგორც კი მოცანცალდნენ, ერთი გასროლით ორივე იქვე გავაგორე. მერე ეს ბუმბულა კურდღლები ისამინის ბუჩქებში დავმარხე. მუცელში რაღაც სევდისმომგვრელი ტკივილი ვიგრძენი.

სულ გადავჩვევივარ კვლასა და ხოცვას. რას არ შეეჩვევა ადამიანი: კვლას, დამარხვას, ჭალათობასაც კი. ისაქამებელი ძელი და მარწუხი, ერთი თუ შეეჩ-

ვიე, ჩვეულებრივი სამუშაო იარაღები გახდება.

ბავშვები რომ დაწვინენ, მერის ვუთხარი:

— წავალ, ცოტას გავივლი.

რამდენიმე დღის წინათ მერი უსათუოდ ჩამეკითხებოდა — სად მიდიხარ, რისთვის?... ახლა ესლა მკითხა:

— დაიგვიანებ?

— არა, არ დავიგვიანებ.

— მე არ დაგელოდები, მეძინება, — მითხრა მან. რაკი დაადგა რაღაც გზას, ჩემმა მერიმ, ეტყობა, გამისწრო კიდეც. მე კვლავ იმ კურდღლების საცოდაობა მწვავედა. იქნებ ბუნებრივიც იყოს — რამეს რომ გაანადგურებ, სულიერი წონასწორობის აღსადგენად ცდილობ რაღაც ახალი შექმნა! ნუთუ ამან მომცა ბიძგი?!

ხელის ცეცებით შევედი იმ მყარ სოროში, სადაც დენი ტეილორი ცხოვრობდა. სასთუმალთან სანთელი ენთო.

ცუდი სანახავი იყო დენი — ერთიანად გალურჯებული, ჩამომხმარი და დასნეულებული. გული აგერეოდა ამ ჭუჭყიანსა და მყარ სოროში, სადაც ბინძური საბნის ქვეშ ასევე ჭუჭყიანი ადამიანი იწვა. გახელილი თვალები სულ ჩაქრობოდა. ველოდი, ბოდვას მოვისმენ-მეთქი, და სახტად დაერჩი, როცა დენი ტეილორის ჩვეული ხმით წარმოთქმული გარკვეული სიტყვები გავიგონე.

— აქ რა გინდა, ით?

— მინდა გიშველო რამე.

— მოგცლია, ერთი!

— კაცის ფერი აღარ გადევს.

— ვიცი, ჩემზე კარგად ვის ეცოდინება! — ხელი გადასწია და „ძველი მეტყუვის“ ბოთლი ამოაძვრინა, მესამედლიდა თუ იყო ჩარჩენილი შიგ, — არ დალევ?

— არ მინდა, დენი. ეს რამისძვირე ვისკი გიყიდი!

— მეგობრები ნუ მომიშალოს ღმერთმა.

— ვინ მოგცა?

— რა შენი საქმეა, — მოსვა და ბოყინი ძლივს შეიკავა, თუმცა გაუძნელდა კი. ისევ მოვიდა ფერზე. გაიცინა. — ჩემს მეგობარს საქმეზე უნდოდა სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ ვერ მიეპოვებოდა. როგორც კი სათქმელად მოეშადა, მაშინვე თვალები გადაგვარკვე. ეტყობა, არ იცოდა, რომ მე სულ ცოტა მყოფნის. შენც საქმეზე ხომ არ მოხვედი, ით? ახლავ გადავკრავ და მივსიკვდილდები!

— ოდნავ მაინც თუ გიყვარვარ, დენი? ან ნდობა თუ გაქვს ჩემი? ჰა... ოდნავ მაინც?

— როგორ არა, მაგრამ მე ხომ ლოთი ვარ, და ლოთს დენო სულსაც ურჩევნია.

— ფული რომ გიშოვო, სამკურნალოდ არ წახვალ?

ისე უცებ მოეგო გონს და ისე ხელად დაემსგავსა ძველ დენის, რომ ერთი პირობა, დაფუთი კიდევ.

— კი-მეთქი, გეტყობდი, ით. მაგრამ შენ არ იცი, რა ხალხი არიან ლოთები, გამოგართმევ მაგ ფულს და სასმელში დაეხარჩავ.

— მეც ავღვები და პირდაპირ საავადმყოფოში შევიტან, ან სხვაგან სადმე.

— აჲ გითხარი. წავალ ერთის ამბით, კეთილი სურვილებით, და ორ-სამ დღეში უკანვე გამოვიქცევი. ლოთებზე დანდობა ვის გაუგონია. ამას შენ ვერ მიხვდები. რაც არ უნდა გითხრა და აღგიოქვ, სულ ერთია, გამოვიქცევი.

— არ გინდა, მოარჩე, დენი?

— მგონი, არც უნდა მინდოდეს, — ისევ ასწია ბოთლი და ისევ გამაკვარვა სასმელის ასეთმა სწრაფმა მოქმედებამ.

არა მარტო ძველ დენიდ იქცა, არამედ ისე გაუმახვილდა აღქმის მტრისა, რომ გრძნობა, რომ ჩემი ფიქრების წაიხთხვაც კი შესძლო. — არ მოტყუვდე, — თქვა მან, — ცოტახნით გამომაოცხლებს და ისევ მალე მომწყდება კინწი. შენ ალბათ ახლავე წახვალ და კინწის მოწყვეტას ველარ ნახავ. ახლა არც მე მჯერა, რომ ასე მოხდება. აღვზნებული როცა ვარ, აღარ მგონია რამე თუ მომივა, — უცებ მისმა დანამულმა და სანთლის შუქით გაბრწყინებულმა თვალებმა ჩემს სულში ჩაიხედეს. — ითენ, — მითხრა მან, — ფულს რომ მთავაზობ სამკურნალოდ, შენ რა ფულის პატრონი ხარ, ითენ!

— ვიშოვი. მერიმ მიიღო ძმისგან მემკვიდრეობა.

— და მე მაძლევ მაგ ფულს?

— რატომაც არა.

— მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებ, ლოთებს ნუ ენდობი-მეთქი?! მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ გეუბნები, მაგ ფულს გამოგართმევ და გულს გაგიხეთქავ-მეთქი?

— გულს ისედაც მიხეთქავ, დენი. სიზმარში ვნახე. თითქოს ისევ შენს მამულში ვიყავით... გახსოვს?

ბოთლი აიღო და კვლავ დაუშვა.

— არა, ახლა არა... მერე იყოს... ლოთს ნუ ენდობი, ითენ, ნურასდიდებით ნუ ენდობი. რა გინდ ცუდ დღეში იყოს... ვიყო... რა გინდ ლეშივით უგრძნობელი ვეგდო, ჰუკა მაინც ჩემ-ჩემად მოქმედებს და მტრულ გეგმებს აწყობს. ახლა, ამ წუთას, მე ისევ ის შენი ძველი მეგობარია ვარ. მივსიკვდილდი-მეთქი რომ გითხარი, მოგატყუე, არა, მივსიკვდილდი კი, მაგრამ ბოთლის ამბავი მშვენივრად მახსოვს...

— დაიცა, — შევაჩერე მე, — ჯერ მე მათქმევინე, თორემ ცუდს რასმე იფიქრებ ჩემზე. ბეიკერმა მოგიტანა ეს ბოთლი, არა?

— ჰო.

— ჰო, მაგრამ მაშინვე მივსიკვდილდა — და რაღაცაზე ხელი მომიწერო?

დი... — ჩაახველა და კვლავ მიიტანა ბოთლი ტუჩებთან, მაგრამ სანთლის შუქზე სითხის პატარა ბუშტი შეენიშნე — სულ ერთი ყლუბი მოსვა.

— ეგეც მინდოდა შენთვის მეკითხა, დენი? იმ ძველ მამულსა გთხოვდა?

— ჰო.

— მიკვირს, აქამდე როგორ გადაგიჩა გაუყიდავი.

— მგონი, გითხარი. ის მამული რომ მეგულემა, თავი ჭენტლშენი მგონია. თუმცა ჭენტლშენისა ბევრი აღარაფერი შემრჩენია.

— ნუ გაყიდი, დენი. გქონდეს.

— შენ რა გენალელება? რატომ არ უნდა გავყილო?

— იმიტომ, რომ უფრო ამაყად იქნები.

— სიამაყე სადღაა, სულ ტყუილად ვკუდაბზიკობ.

— არა, ისევა გაქვს ძველი სიამაყე. ფული რომ მთხოვე, საშინლად შეგრცხვია. ეს უკვე სიამაყეა.

— არა. ეს ოინი იყო. ლოთები მამა-ძალი ხალხია. შენ თვითონ შეგრცხვია, და დოლარიანიც იმიტომ მომეცი, გეგონა მე ვიყავი დარცხვენილი. ერთი ბეწოთიც არ დამირცხვენია. დაღევა მინდოდა.

— ნუ გაყიდი, დენი. ძვირფასი მამულია. ბეიკერი არ შეცდება. ძვირფასი რომ არ იყოს, არც დაინტერესდებოდა.

— რა აქვს მაინც ძვირფასი?

— ერთადერთი ვაკე ადგილია ქალაქის მახლობლად, საცა აეროდრომი შეიძლება მოაწყონ.

— მესმის.

— თუ არ გაყიდი და შეინარჩუნებ, ეს შენთვის ახალი ცხოვრების დასაწყისი იქნება, დენი. ნუ გაყიდი. წახვალ, იმპურნალეზ, და რომ დაბრუნდები, ისევ ისე დაგხვდება შენი ბუდე.

— ბუდეს რაღა თავში ვიხლი, თუ გამგუდეს... მაგას ჯობს, გავყილო, დაელო... და... „და, როცა ქარი ტოტებს დაამსხვრევს, ბუდეც, ბარტყებიც ძირს ჩაცვივიან“... ჩახრინწული ხმით წაიმ-

დერა და გაიცინა. — შენც მოგინდა ის მამული, ით? მაგისტრის-მრჩველი?

— მე შენი მორჩენა მინდა.

— რა მკირს მოსარჩენი?

— ყური დამიგდე, დენი. ვილაც ვეგინდარა რომ იყო, რაც მოგესურვებოდა იმას იზამდი. მაგრამ შენ ისეთი კაცი ხარ, რომ ჩვენი ჰკვიანი თანამემამულენი ასე ადვილად ვერ გაგიმტებენ, შენით არიან დაინტერესებულნი?

— თუ ჩემი მამულით? ვერ მივართვი. მეც ჰკვიანი ვარ. — ალერსიანად გადახედა ბოთლს.

— დენი, ხომ გითხარი, ერთადერთი სააეროდრომო ადგილია-მეთქი! გასაქანი არა აქვთ. ან ეს ადგილი უნდა ჩაიგდონ ხელში, ან მთები გადათხარონ, ამას კი ვერ მოახერხებენ.

— მაშ, ხელში მყოლია და მაგრადაც გავწურავ.

— შენ გავიწყდება, დენი. ქონების პატრონი კაცი ძვირფასი ჭურჭელია. შე უკვე ყური მოგვარი: ყველაზე დიდი სიკეთე იქნება, სადმე ისეთ ადგილას მოვათავსოთ, საცა ხეირიანად მოუვლიან და მიხედავენო.

— მაგას ვერ გაბედავენ.

— გაბედავენ და მერე როგორ... ქველმოქმედებადაც ჩაეთვლებათ. ხომ იცი, როგორ ხდება. ჩვენს მოსამართლეს შენც კარგად იცნობ — ვაღწევტილებას გამოიტანს, ქონების მოვლის თავი არა აქვსო. დაგინიშნავენ ვინმე მეურვეს. მე უკვე ვხვდები, ვინც იქნება. ამ საქმეს ფული დასჭირდება, ფულისთვის კი ადგებიან და იმ შენს მამულს გაჰყიდიან. შენ თვითონ გამოიციანი, ვინ იყიდის.

თვალეზი უციმციმებდა, პირი დაელო და ისე მისმენდა. მერე თავი მოაბრუნა.

— შენ გინდა, რომ შემაშინო, ით, მაგრამ ცუდი დრო მოგინახავს. დილით უნდა მოსულიყავი, როცა გაყინული ვგდვარ და მთელი ქვეყანა მწვანე ნარწყევად მეჩვენება. ახლა რა — ამ ბოთლმა ათმაგი ძალა მომცა, — ბოთლი ხმალივით შეაქნია და სანთლის შუქზე თვა-

ლები გაუბრწყინდა, — შენთვის არ მოთქვამს, ით? მახსოვს, ვითხარი — ლოთები დიდი მამაძალი ხალხია, მიწაში რა არის, ის იციან-მეთქი.

— შე შენ გაგაფრთხილე, რაც მოგელის.

— მართალი ხარ. გეთანხმები. მარჯვე გასროლა გამოგივიდა. მაგრამ სულაც ვერ შემაშინე, პირიქით, სულში დაბუდებული ეშმაკი გამიღვიძე. ვინც იმას ფიქრობს, ლოთები უმწეო ხალხიაო, თვითონვე გიყი და დამთხვეულია. ლოთს ვინ შეედრება, რასაც უნდა იმას გააკეთებს. შენ გგონია, ჩხუბი არ შემიძლია? ხელები მეკავება.

— ყოჩაღ! მაგას რა სჯობია.

ბოთლი მოიმარჯვა და თოფივით და მიმიზნა.

— მერის ფულს მასესხებ?

— გასესხებ.

— უგარანტიოდ?

— უგარანტიოდ.

— მიუხედავად იმისა, რომ გადახდის შანსი ათასიდან ერთია?

— მაგის მიუხედავად.

— ლოთები ბინძური ხალხია, ით. ვერ გენდობი, — გამხმარი ტუჩები ენით დაისველა, — ფულს პირდაპირ ხელში ჩამიდებ.

— როცა მეტყვი.

— აკი ვითხარი, არ შეიძლება-მეთქი.

— შე მაინც მოგცემ.

კვლავ მოიყუდა სასმელი და ახლა ბოთლის ფსკერიდან დიდი ბუშტი დაიძრა. დაღევას რომ მორჩა, თვლები თითქოს კიდევ უფრო გაუბრწყინდა, მაგრამ ამჯერად გველივით ცივი და ვნებადამცხრალი გაუხდა.

— ამ კვირაში შეგიძლია მომცე ის ფული?

— შემიძლია.

— ოთხშაბათს?

— ოთხშაბათს იყოს.

— ახლა არ გექნება ორი დოლარი?

სწორედ ამდენი აღმომაჩნდა: ერთი ქალაღის დოლარიანი და მონეტები — ორმოცდაათიანი, ოცდახუთიანი, ორი

ათიანი, ხუთიანი და სამიცი თითო ზენიანი. გამოწვილ ხელში ჩაეჭირა.

ბოთლი გამოსცალა და იატაკზე მოიქნია.

— ჰქუა რომ არ გქონდა, ეს თავიდანვე ვიცოდი, ით. მარტო პირველდაწყებით მყურნალობას ათასი დოლარი დასჭირდება.

— მერე რა მოხდა?

— სიინტერესო თამაში გამოდის. ოღონდ ჰადრაკი კი არ არის — პოკერია. იყო დრო, პოკერს დიდებულად ეთამაშობდი... ძალიან კარგად. შენ რაზე ჩამოდიხარ ფსონს, ეს ჩემთვის გარკვეულია: ჯერ ერთი, ვალს ჩემი მამული დაფარავს; მეორეც — ათასი დოლარის ვისკი წირვას გამომიყვანს, შენ კი ჩემი მამული აეროდრომისთვის დაგრჩება.

— ეს რა სისაძაგლე მოიგონე, დენი!

— ხომ გაგაფრთხილე, საძაგელი ვარ-მეთქი!

— მაშ, არა გჯერა, რომ სიკეთე მინდა გიყო?

— არა. მაგრამ შენს სიტყვაზე იყოს. შენ ჩემი ბავშვობა გახსოვს, ით. მეც მახსოვს შენი ბავშვობა. მაშინაც კი მოსამართლე გეჭდა გულში. აგრე იყოს. სულ გამიშრა პირი. ბოთლი გამოვწერუბე. წავედი. მაშ ათასი დოლარი.

— პო.

— ოთხშაბათს მომცემ, ნაღდად.

— შე თვითონ მოგიტან.

— არავითარი ხელწერილი და გარანტია. ოღონდ, არც იფიქრო, ისევე ის დენი ვიყო, შენ რომ ბავშვობიდან გახსოვს. ამ ჩემმა ძმაკაცმა ერთიანად შემცვალა. აღარც სინდისი შემრჩა და აღარც პატიოსნება. გულიანი დაციენის მეტს ჩემგან ნურაფერს ელოდები.

— შე მაინც ვთხოვ, სცადო ერთი.

— შეპირება ადვილია, ით. მაგრამ ლოთის შეპირებას რა ფასი აქვს. შენ ფული მომიტანე. ახლა, თუ გინდა, დარჩი აქ, რამდენ ხანსაც გენებოს. ჩემი სახლი და შენი სახლი ვის გაუყვია. მივდივარ. ოთხშაბათს გელოდები, ით. — საწოლიდან წამოვდგა, საბანი კუთხეში

მიაგლო და ბარბაციტ გავიდა სოროდან. ერთხანს იქვე ვიჩქეპი, შევეყურებდით როგორ თანდათანობით ეშვებოდა სინათლე ლამაჯზე გამდნარ ქონში. ყველაფერი მართალი თქვა, გარდა ერთი რამისა, რისთვისაც მე ჩემს ფსონს ჩაედევარ. დიდად არ შეცვლილა დენი. დაიმსხვრა, მაგრამ დენი ტელიორის იერი მანც შერჩა. მე მიყვარდა დენი და მზად ვიყავი გამეკეთებინა ის... რაც მან თვითონვე თქვა. ნამდვილად. შორიდან მისი წკრილა ფალცეტი მომესმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სანთელი ჩავაქრე და შინისკენ გავსწიე. უილი პოლიციის მანქანაში იჯდა, არ ეძინა.

— ძალიან კი მოუხშირეთ სეირნობას, ით, — მითხრა მან.

— რას იზამ.

— ასეც უნდა. გაზაფხულია. ყმაწვილი კაცის გულს რა მოასვენებს.

მერი ჩაძინებული დამხვდა. სახეზე ღიმილი გადაშლოდა. მაგრამ ლოგინში რომ შევეუტურდი, შეიღვიძა. ვაციებუ-ლი ვულგვამი კვლავ საშინლად მეწოდა და მტანჯავდა. მერი გვერდზე გადმობრუნდა და თავის თბილ სხეულზე მიმიყრა, რომელსაც თავის სურნელი ასდიოდა, და მე ერთბაშად მომინდა მერი. ეიცოდი, რომ აშლილი ნაღველი თანდა-თანობით დამიკბრებოდა, მაგრამ ამ წუთში მერი მჭირდებოდა. არ ვიცოდი გაიღვიძა, თუ არა, მაგრამ მძინარეც კი იგრძნობდა, რომ ახლა მე იგი მჭირდებოდა.

მერე, როცა სავსებით გამოფხიზლდა, მითხრა:

— არ მოგშივდა?

— მომშივდა, ელენ?

— რა გაკამო?

— ხახვის სენდვიჩი... ორი ხახვის სენდვიჩი ჭკავის პურიით.

— მაშინ მეც უნდა ვჭამო, თორემ აქ ველარ გავძლებ.

— ისე არ გინდა თუ?

— რატომაც არა.

კიბეზე დაეშვა და ცოტა ხნის შემდეგ

სენდვიჩები ამოიტანა, რა? — შეწყაოს ბოთლით რძე და ორთქილი მოსაყარა.

მწარე ხახვი გამოდგა.

— ჩემო მერი, — დავიწყე მე.

— ჯერ გადაყლაბე.

— მაშინ რომ მითხარი, შენი საქმე სულ არ მაინტერესებსო, მართალია?

— დ-ღიახაც...

— მაშ იცი რა — საქმეში ვებმებო, ათასი დოლარი მჭირდება.

— მისტერ ბეიკერმა რომ გითხრა, ის საქმეა?

— თითქმის. თუმცა ჩემი საკუთარი მოსაზრებაც ურევია.

— რაღას უცდი, გამოწერე ჩეკი.

— არა, ჩემო კარგო. შენ თვითონ უნდა გამოიტანო, ნაღდი. ბანკში შეგიძლია თქვა, ავეჯს ან ნოხებს ვყიდულობო, ან სხვა რამე მოიგონე.

— მე რომ არაფრის ყიდვას არ ვაპირებ!

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— საიდუმლოა?

— შენ თვითონვე ასე ისურვე.

— პო... მართალი ხარ. ასე სჯობია. რა შებრაწული ხახვია! მისტერ ბეიკერმა მოგიწონა?

— თვითონვე დამასწრებდა, მაგრამ არაფერი გამოუვა.

— ფული როდისთვის გინდა?

— ხვალისთვის.

— აღარ შეგვკამ ამ ხახვს, თორემ ვეღარ მომეკარები.

— შენ ჩემი კარგი გოგო ხარ.

— ის შენი მარულო თავიდან აღარ მშორდება.

— რატომ?

— აბა რა! სახლში მოგვადგა, კომფეტები მოიტანა.

— ღმერთის ასავალ-დასავალს შენ რას გაიგებ.

— ნუ ჰგმობ ღმერთს. ჯერ აღდგომაც არ გასულა.

— როგორ თუ არ გასულა — ორის თხუთმეტია.

— ღმერთო ჩემო. აღარ დავიძინოთ?

— ეპ, სწორედ მანდ არის დამარხუ-

ლი ძალის თავი... ეს შექსპირი გახლავს.

— შენ ხომ ყველაფერი უნდა გაამასხარაო.

მაგრამ ეს მასხრობა არ ყოფილა. ნაღველი ისევ მძიმედ მარჯვ გულზე და მტანჯავდა, ვერაფრით ვერ მომეშორებია, თუმცა არც დავფიქრებულვარ ამის მიზეზებზე, ზოგჯერ თავს ვკითხავდი, ნეტა რას ვიტანჯები-მეთქი. რას არ შეჩვევა აღამიანი, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება. ერთხელ, დიდი ხნის წინათ, დენტის დამამზადებელ ფაბრიკაში ვმუშაობდი, ნიტროგლიცერინი დამქონდა ხოლმე საამქროებში. კარგ ჯამაგირსაც ვიღებდი, რადგან სახიფათო სამუშაო იყო. პირველ ხანებში ყოველ ნაბიჯს გამოზომილად ვადგამდი, მაგრამ ერთ-ორ კვირაში შევეჩვიე და ისეც ჩვეულებრივი სამსახური გახდა. რალა შორს მივდივარ, ამ მდღეულებსაც ხომ მშვენიერად შევეჩვიე. როცა შეჩვეული ხარ რამეს, სასიამოვნოც არის, შეუჩვეველი თუ ხარ, გული არ მიგდის.

სიბნელეში კვლავ წითელი ლაქები ამიციმციმდა თვალწინ, და მე თვითონვე შევამოწმე ჩემი თავი იმაში, რასაც სინდისს ეძახიან, მაგრამ არავითარი ჭრილობა და ტკივილი არ მიგრძენია. მერე თავს დავეკითხე — გზას რომ გადავუხვიო და მთელი ოთხმოცდაათი გრადუსით შევიცვალო მიმართულება, ამას თუ შევძლებ-მეთქი, დავრწმუნდი, რომ შევძლებდი, მაგრამ სურვილი არ მქონდა.

რალაც ახალ განზომილებებში ვიმყოფებოდი და ამის შეგნება მატკობდა. თითქოს აქამდე უმოქმედო კუნთები აღმოჩნდნოდეს, ან არადა ბავშვობის სიზმარი ამხლომოდეს და ახლა სიერცეში დავფრინავ. ასე დამჩემდა, გონებაში აღვიდგენ ხოლმე უკვე მომხდარ შემთხვევებს, სურათებს, საუბარს და სულ ახალ-ახალ წვრილმანებს აღმოვაჩენ, რაც პირველი წარმოდგენის დროს მხედველობიდან გამომჩინია.

მერის ეუცნაურა მარულუბი (მისგლუ) და კომფეტების მოტანა, მერის (მისგლუ) კი ვენდობი. მე მალღიერების გამოვლინებად მომეჩვენა ეს სტუმრობა, რაკი ცთუნებას არ ავკყევი და არ ვულალატე. მაგრამ მერის შეკითხვამ ისეთ რამეზე ჩამაფიქრა, რაც აღრევე ვიცოდი, მაგრამ არ დავფიქრებვიარ. მარულო წარსულისთვის კი არ მაჯილოვებდა, არამედ მომავლისთვის უნდოდა ჩემი გულის მოგება. იქნებ რამეში გამომადგესო, და იმითმ დანიტერესდა ჩემით, მეტი არაფერი. გავიხსენე მისი საქმიანი დარიგებანი და სიცილიაზე ჩვენი საუბარი. საკუთარი თავის რწმენა დეუკარგავს, ეტყობა ჩემი დახმარება დასჭირვებია, ჩემგან მოელის რალაცას. ამის შემოწმება ადვილია: ისეთი რამე უნდა ვთხოვო, რაზეც აღრე უარი უთქვამს: ახლა თუ შემხირდა, აშკარაა რალაცას აუფორიაქებია, დიდი გასაჭირი ადგას. მარულოს თავი გავანებე და მარჯის მივუბრუნდი. მარჯი! გავიხსენე, როდის იყო ეს სახელი მოღაში და მიხედები, რა ხნისაც არის. „მარჯი, ოცნებავ და სიყვარულო, მარჯი ქვეყანა შენთვის...“

გადავითამაშე მარჯისთან შეხვედრის სცენები წითელი ლაქების ფონზე, რომლებიც ახლა უკვე ჰერზე ცურავდნენ; ეცდილობდი ყველაფერი სინამდვილით წარმომედგინა, ჩემით არაფერი მიმემატებინა. დიდხანს, იქნებ მთელ ორ წელიწადსაც, არსებობდა ვიღაც იანგ-პანტი, ჩემი ცოლის მეგობარი, რომლის ლაყბობას მე ყურწმიაც არ ვუშვებდი. მერე უცებ მარჯი იანგ-პანტი შეიქნა ეს ქალი, სულ ბოლოს კი მხოლოდ მარჯი. აღბათ, წითელ პარასკევამდეც ბევრჯერ შემოსულა იგი ჩემს ღუქანში, მაგრამ მე არ მაგონდება. იმ დღეს კი თვითონვე წარმომიდგინა საკუთარი თავი. მანამდე იქნებ მასაც ისევე არ შეეუნიშინვარ, როგორც მე არ შემინიშნავს იგი. იმ დღიდან მოცილებული კი აღარ მშორდება — სულ თვალში მეჩხირება და გასაქანს არ მამლევეს. ნეტა რა უნდა? უსაქმური დედაკაცის უბრალო ახირე-

ბაა, თუ რამე გადაუწყვეტია და იმიტომ მიტრიალებს? ეს კი ნამდვილია, რომ თვითონ წარმომიდგინა საკუთარი თავი, მაიძულა ყურადღება მიმექცია და ანგარიში გამეწია. მკითხაობა, თუკი რამე გამეგება, ისე მოიგონა, პატიოსანი განზრახვით, რათა თავისი ხელობა ეჩვენებინა. მერე კი რაღაც მოხდა, თავდაყირა დადგა ყველაფერი. მერის ისეთი არაფერი უთქვამს, რომ მის სიტყვებს გაელხიანებინოს, არც მე მითქვამს: ნეტა გველის მოჩვენების ამბავი მართალია?.. თუ ეს მართალია, მაშინ ყველაფერს ეხდება ფარდა და გასაგები ხდება. იქნებ მართლაც აქვს უჩვეულო ალღო და სხვის ფიქრებსა სწვდება! მარტო ის ფაქტიც, რომ სწორედ ჩემი მეტამორფოზის დროს გამომეცხადა, ასეთი ფიქრის საბაბს მაძლევს, თუმცა შეიძლება ისეც დამთხვეოდა ეს მოვლენა. მაგრამ მონტოკს წასვლა რამ აფიქრებინა ასე უცებ, ან იმ კომივოიაჟერს საიდან გადაეყარა, ან მარულოს რად დაუფქვა ყველაფერი?! ისეთ ქალს არა ჰგავს, რომ შემთხვევით წამოროშოს რამე, თუ წინასწარ არ აქვს გადაწყვეტილი. ერთ წიგნის კარადაში, სხვენზე ბიოგრაფია გვაქვს... ბერინგისა? არა, ბარანოვის, ალექსანდრ ბარანოვის. რუსი იყო, ალიასკის გუბერნატორი, რეასიიან წლებში. იქნებ, იქ ეწეროს — ჯადოჭრობისთვის ალიასკაში თუ ასახლებდნენ. მოგონილს არა ჰგავს, ამას ვერ მოიგონებ. უნდა ვნახო. ახლავე ავალ-მეთქი, ვიფიქრე, მერის არც კი გავალვიძებ.

უცებ ჩვენი მუხის კიბის ჭრაჭუნე გავიგონე, კიდევ განმეორდა, კიდევ. ასე რომ, ტემპერატურის შეცვლის გამო სახლის კედლების დაწვეას არა ჰგავს ეს. ალბათ, ელენი დადის ძილში.

რალა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს ჩემი გოგო, მაგრამ ზოგჯერ მაშინებს, თითქოს ასეთი დაიბადაო — ბრძენი და შურიანი, თან კი მოსიყვარულე: ძმას მუდამ შურით უყურებს, ზოგჯერ — მეც. მე მგონი ძალიან ადრე დაინტერესდა სექსუალური საკითხებით. მამე-

ბი ალბათ მუდამ გრძობენ ამას. ჯერ სულ პატარა ღლაპი იყო და მაშინაც კი ისეთ ინტერესს იჩენდა მამაკაცის სასქესო ორგანოების მიმართ, რა გვექნა აღარ ვიცოდით. მერე და მერე ერთიანად შეიჭრა მწიფობის საიდუმლოებაში. ეურნალებში რომ ქალწულებრივ კდემამოსილებზე წერენ დაუსრულებლივ, ჩემს გოგოს ეს ერთი ბეწოთიც არა სცხია. მისი ნერვიულობით მთელი სახლი დუღდა, კედლებს ჭრაჭუნე გაუდიოდა. საღლაც წამიკითხავს; შუა საუკუნეებში თურმე ასეთი რწმენა ჰქონდათ, — სქესობრივი მომწიფების დროს გოგონებს უწმინდური სული ჩაუსახლდებათო. მგონი, მართლაც ასე უნდა იყოს. ერთი პირობა ვხუმრობდით, ხოლმე, ჩვენს სახლში ჭინკამ დაიბუღაო. სურათები კედლებიდან ძირს ცვიოდა, თეფშები იმსხერეოდა, სხვენი ზანზარებდა, სარდაფში გრუხუნი იღვა. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ ელენს კი სულ ვუთვალთვალედი, მის იდუმალ გამოჩენასა და გაუჩინარებას. ღამით მოხეტიალე კატას ჰგავდა. ბოლოს დაეწმუნდი, ეს გრუხუნი და მსხერევა მისი ბრალი არ იყო, მაგრამ, თან ისიც შევნიშნე, რომ, როცა ელენი შინიდან წავიდოდა, ყველაფერი დამშვიდდებოდა. ზოგჯერ იჭდა და თვალი სივრცისთვის ჰქონდა მიშტერებული, როცა ჭინკა შემოვიდოდა სახლში, მაგრამ უიმი-სოდ კი არაფერი არ მოხდებოდა.

ჩემს ბავშვობაში, მახსოვს, ამბობდნენ, დიდი ხნის წინათ პოულების ძველ სახლს მოჩვენება შემოეჩვიოაო — რომელიღაც ჩვენი წინაპრის პურიტან-მეკობრის სული. მაგრამ, როგორც ამტკიცებდნენ, ეს უნდა ყოფილიყო ყოვლად წესიერი მოჩვენება: დაძვრებოდა სახლში და, როგორც სულების წესია, კენესოდა, მისი უხილავი სხეულის სიმძიმით კიბეებს ჭრაჭუნე გაუდიოდა, ვისიმე სიკვდილის მოახლოებისას კედელზე ტყავუნს ასტეხდა, მაგრამ ღირსეულად და წესიერად. ეს ჩვენი ჭინკა კი სულ სხვა რამე იყო — ბოროტი, ღვარძლი-

ნი, ვერაგი და შურისმგებელი. უბრალო ნივთები როდი ეპიტანებოდა, სულ ძვირფასებს ეტანებოდა. ბოლოს გაჭრა. მე არასოდეს არ დამიჭერებია მისი არსებობა. ეს ჩვენი ოჯახური ხუმრობა იყო, მაგრამ ხუმრობა დაარქვი — სურათები იმსხვრეოდა და ფაიფურის ქურქლები იფშვნებოდა.

ჭინკა გაჭრა, და ის იყო ელენმა ძილში სიარული დაიწყო, აი როგორც ამ წუთში დადის. გავიგონე მისი ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯი, კიბზე ეშვებოდა. იმავე წუთში ჩემმა მერიმ ამოიხვნეშა და რალაც წაიბუტბუტა. ამოიჭრა ნიავი და შეფოთლილი ტოტების ჩრდილი ქერზე შეარხია.

ფრთხილად გამოვძვერი ლოგინიდან და ფრთხილადვე მოვისხი ხალათი, რადგან საქვეყნოდ ცნობილია, და მეც ვიცი, რომ მთვარეულების დაფრთხობა არ შეიძლება.

ისე გამოდის, თითქოს ჩემი ქალიშვილი არ მიყვარდეს, სინამდვილეში კი მიყვარს. მიყვარს, მაგრამ ცოტათი მაშინებს, რადგან ბევრი რამე არ მესმის მისი.

კედლის გასწვრივ თუ დაპყვები ჩვენს კიბეს, სულაც არ ჭრატუნებს. ეს პირველად ჩემს ბიჭობაში შევნიშნე, როცა ხეად კატასავით გვიან ვბრუნდებოდი ხოლმე შინ. და ახლაც ვსარგებლობ ამ აღმოჩენით, როცა მერის' ვალვიძებს ვერიდები. ამეამადაც ვისარგებლე, ხელი კედელს გავაყოლე და ჩუმად დავეშვი. ქუჩიდან ფანრის მბუტუტავი შუქი შემოდოდა ფანჯარაში და სახლის სიბნელეში ინთქმოდა. მაგრამ მაინც დავინახე ელენი. თითქოს თვითონვე აფრქვევდა სინათლეს, ალბათ იმიტომ, რომ თეთრი საღამური პერანგი ეცვა. სახე ჩაბნელებული ჰქონდა, მაგრამ მხრები და ხელეები შუქს გამოსცემდა. მინის კარადასთან იდგა, ამ კარადაში ჩვენ საოჯახო განძეულს ვინახავთ ხოლმე, რისი ფასიც თავისთავად არაფერს არ წარმოადგენს — ვეშაპის ძვლისაგან და ეშვებისაგან გამოკვეთილი ნავი, მთელი თავისი ეკი-

პაით, ნიჩბებით და ჭვინტზე დამატებული ბარჯით; ბაწაწინა მოღველი ადერისა", რომლის ტანი ისევ ბრწყინავს, ხოლო აფრები და ანძები გამოხუნებულან და დამტვერილან. აქვეა ჩინური ნივთებიც, ძველი კაპიტნების მიერ აღმოსავლეთიდან ჩამოტანილი, როცა ვეშაპზე მონადირე ხომალდებით ჩინეთის ზღვებში დადიოდნენ — შავი ხისა და სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი მოცინარი და დაღერგილი ღმერთები, ღინჯი და გაქუქყიანებული ბუდას გამოსახულებანი, ვარდისფერი კვარცხისაგან, საპნის ჭვისაგან და ნეფრიტისაგან — დიამ, სწორედ რომ ნეფრიტისაგან — გამოჭრილი ვარდები, კოხტა და გამჭვირვალე ჩინური ფინჯნები. ამ ნივთებში იქნებ ზოგი ძვირფასი რამეც ერია, — მაგალითად ბაწაწინა ცხენები, მართალია ულახათოდ გამოჩორკნილი, მაგრამ ცოცხალი და მკვირცხლი, — ყოველ შემთხვევაში, თუ მართლაც ურევია რამე ძვირფასი, ალბათ სრულიად შემთხვევით. ამა ეს ძველი მეზღვაურები, ვეშაპებზე მონადირენი კარგს და ცუდს რას გაარჩევდნენ! თუმცა ვინ იცის! იქნებ არჩევდნენ კიდევ!

ეს კარადა ჩემთვის მუდამ წმიდა ადგილს წარმოადგენდა — როგორც რომელი წინაპართა ნიღბები, როგორც ლარი და პენატრი, ან მთვარიდან ჩამოვარდნილი ქვა. ჩვენ მანდრაგორის ძირიც კი გვაქვს — ნამდვილი კაცუნა, ჩამოხრჩობილის თესლზე აღმოცენებული; ალქაჯიც, ნამდვილი ალქაჯი — ტანი მაიმუნის, კუდი კი თევზისა. წლების განმავლობაში თანდათანობით დაძველდა, მოიკრუნხხა, ნაკერები გამოუჩნდა, მაგრამ თავისი პატარა კბილით მაინც მრისხანედ იტყანება.

ალბათ ყველა ოჯახს აქვს თავისი თილისმა, მემკვიდრეობის გაგრძელების ნიშანი, რომელიც ყოველ მომღვენო თაობას ალაგზნებს, შთააგონებს და ნუგეშსა სცემს. ჩვენი ოჯახის თილისმა გახლავთ — როგორ გითხრათ — ბორცვის ფორმის გამჭვირვალე ქვა, არ ვი-

ცი კვარცისა, არ ვიცი იასპისა, დიამეტრი — ოთხი გოჯი, სიმალღე — ერთნახევარი. გარშემო დაუსრულებელი ხეულები ამოუყვებით, ოღონდ ბოლოს ვერ უნახავ, თითქოს სადღაც გარბიან. ცოცხალ არსებებსა ჰგავს, მაგრამ არც თავი აქვს, არც კული, არც დასაწყისი და არც ბოლო. ხელის შეხებით სლიბი არ არის, ოდნავ მჭისეა, როგორც ადამიანის სხეული, და მუდამ თბილი. შეგიძლია ღრმად ჩახედო, მაგრამ სულმთლად გამჭვირვალე არ არის. ალბათ ჩინეთიდან ჩამოიტანა რომელიმე ჩემმა წინაპარმა. ნამდვილად ჯადოსნურია — შესახებდადაც საამურია, ხელის შესახებდაც, და დაწვებზე ჩამოსმაც კი სიამოვნებას გავრძნობინებს. ეს უცნაური ჯადოსნური ქვა მინის კარადაში გვეყავს გამომწყვდეული. ბავშვობაში, და მერეც, როცა წამოვიზარდე და კაცი გავხდი, ნება მქონდა შევხებოდი, ხელში ამელო... სადმე წაღების უფლება კი არა მქონია. ეს ქვა თითქოს ფერსაც იცვლიდა, მოყვანილობასაც, ჩვეულებასაც, და ეს ცვლილებები მუდამ ჩემს არსებაში მომხდარ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. ერთი პირობა, ქალის მკერდად მეჩვენებოდა, და მწვავდა, მტანჯავდა საწყალ ბიქს. მერე ადამიანის ტვინად თუ ამოცანად წარმომიდგა — რაღაც მოძრავ დაუსაბამო და უსასრულო რადმე, საკუთარ თავში ჩაკეტილ კითხვად, რომელიც არც პასუხს მოითხოვს, არც თავი აქვს და არც ბოლო.

სპილენძის კლიტით ვკეტავდი ამ კარდას და კლიტზე ჩამოკონწიალებული იყო სპილენძისავე ბრტყელი გასაღები.

ჩემს მძინარე ქალიშვილს ხელში ეჭირა ეს ჯადოსნური ბორცვი და თითებს უსვამდა, ისე ეფერებოდა, როგორც ცოცხალ არსებას. მერე თავის ჯერ კიდევ წამოუბურტავ მკერდზე მიიკრა, დაწვებზე ჩამოისვა, ძუძუზე მიმჯდარ ლეკვივით დაყნოსა და გაბმულ კრუტუნს მოჰყვა, რაც სიამისა და სიტკბოების კრუსუნს უფრო ჰგავდა. რაღაც გა-

მანადგურებელი ძალა იგრძნობოდა მისში. შემეშინდა — არ დაამსხვავოდა, ან სადმე არ გადამალოს-მეთქი, მაგრამ ხელაღდე მივხვდი, რომ მის ხელებში ეს იქცა დედად, სატრფოდ, ბავშვად.

ალარ ვიცოდი — ისე როგორ გამეღვიძებინა, რომ არ დამეფრთხო. ანკი რატომ აღვიძებენ მთეარეულებს? იმის შიშით, რომ არაფერი დაიშვაონ? ჩემს დღეში არ გამიგონია, ამ დღეში მყოფ ადამიანს რამე მოსვლოდეს, თუ ძალათა არ გააღვიძებ. მაშ რატომღა დაეურღვიო მუდროება? ეს ხომ მტანჯველი და სულის ამწეწვი კოშმარი არ არის? პირიქით, ისეთ სიტკბოსა და სიამეს განიცდის, რასაც ცხადში ვერასდობებით ვერ ეღირსები. რატომ ჩავაშხამო ეს სიამოვნება? ჩუმიად მივბრუნდი და ჩემს დიდ საეარქელში ჩავეჭექი, რა მოხდება-მეთქი.

ჩანებლებულ ოთახში თითქოს კაშკაშა სინათლის ნაპერწკლები ჩამოილეგარა და კოლოების გუნდივით დაბზრიალდა. ეს ალბათ მოჩვენება იყო, დაქანცულობისაგან თვალები ამისიორდა, მაგრამ ცხადად ჩანდა. ჩემი ქალიშვილი ელენი კი ნამდვილად აფრქვევდა სინათლეს — არა მარტო მისი პერანგის სიქათქათე, არამედ მისი კანიც. სახის გარჩევა ამ სიბნელეში შეუძლებელი იყო, მაგრამ მე მაინც ვხედავდი. პატარა გოგონას სახეს სულაც არ ჰგავდა, არც მოზუციას, ეს იყო მომწიფებული, ჩამოყალიბებული ადამიანი. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული, მიუხედავად იმისა, რომ ტუჩების მოკუმვა ჩვეულებად არა აქვს.

ცოტა ხნის შემდეგ ელენმა თილისმა თავის ადგილზევე დასდო, მინის კარი მიხურა და სპილენძის გასაღები გადატრიალა — დაკეტა. მერე გამობრუნდა, ჩემს საეარქელს ჩაუარა და კიბეს შეჰყვა. ორი რამე აშკარად მომეჩვენა — ჯერ ერთი, გოგონასავით კი არ დადიოდა, არამედ დასრულებულ ქალს მიუგავდა სიარული, და მერეც — სულ უფრო და უფრო ნაკლებ შუქს აფრქვევდა. ეს იქნებ მართლაც მოჩვენება იყო,



ჩემი ფანტაზიის ნაყოფი. მესამე რამეში კი ეჭვი არ შეიძლებოდა შემპარვოდა — კიბეს ჭრაჭუნე აღარ გაუდიოდა. ალბათ ისიც კედლის გასწვრივ აჰყვა კიბეს, საცა საფეხურები არც ჩივის და არც წუწუნებს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეც მიეყვები. ლოგინში ჩაწოლილიყო, საბანში კარგად ჩაფუთულიყო და ტკბილად ეძინა. პირით სუნთქავდა და სახე ნამდვილი მძინარე ბავშვისა ჰქონდა.

რალაცამ მაიძულა ისევ დაბლა ჩავსულიყავი და მინის კარადა გამეღო. იმ პატარა ბორცვს მოვკვიდე ხელი. ელენის სითბო კვლავ შერჩენოდა. ბავშვობაში რომ ვიცოდი, ახლაც ისე გავაყოლე სალოკი თითის წვერი დაუსრულებელ ხვეულებს და დაემშვიდდი. ვიგრძენი, რომ ელენი ჩემს სულში იჯდა.

ნეტა ვიცოდე, ამ თილისმამ დაგვიახლოვა ასე — მეც, და საერთოდ პოულების მთელ მოდგმას?

თავი მაცხობი

ორშაბათს ვერაგმა გაზაფხულმა მოგვერდი ქნა და პირი ზამთრისკენ იბრუნა; ამას მოჰყვა ცივი წვიმა და ნესტიანი ქარი, რამაც მეტისმეტად მინდობილი ხეების ნაზი კვირტები დაგლიჯა და პერში მიმოაბნია. ავზორცი და უტიფარი ბედურები, რომლებიც გაზონებში ბრუშობდნენ, ქარაშოტმა დაფლეთილი ჩრებვიით გაიტაცა და გაჰფანტა, ახლა ისინი გაგულისებით ეფლურტულებიან ამინდს.

მე სასიეროდ გამოსულ მისტერ წითელა ბეიკერს მივესალმე, რომელსაც ბაი-რალივით გაეშალა კუდი ქარში. ეს ჩემი ძველი ნაცნობი წვიმას ამრეზით უცქერდა. მე შევძახე:

— ამიერიდან ჩვენ მხოლოდ მოსაჩვენებლად თუ შეგვიძლია ვიყოთ მეგობრები, მაგრამ, რალა დასამალია, ჩვენი ღმირი დაუნდობელ ბრძოლასა და ინტერესთა ჭიდილს ფარავს!.. — მეტსაც ვერტყოდი, მაგრამ იგი თავისი საქმის მო-

თაეებასა და გადაყუდრებას, გმურებულადა.

მორფიც გამოჩნდა. იქნებ მე შელოდებოდა. ალბათ.

— რა ჯოჯოხეთი დღეა, — თქვა მან, რეზინის თხელი საწვიმარი ეშლებოდა და ფეხებში ებლანდებოდა, — გავიგე, ჩემს პატრონს სწვევიხარო.

— პო, რჩევა მინდოდა მეკითხა. მერე ჩაითაც გავგიმასპინძლდნენ.

— ისე რას გამოგიშვებდათ!

— რჩევის ამბავი ხომ იცი, შენს განზრახვასაც თუ დაემთხვა, მხოლოდ მაშინ გაკმაყოფილებს.

— ეტყობა ფულის დაბანდებას აპირებო.

— ჩემმა მერიმ ახალი ავეჯის შეძენა გადაწყვიტა, ქალი რომ რამეს მოინდომებს, ისე მოგაჩვენებს საქმეს, თითქოს ფულის დაბანდება გადაწყვიტოს.

— განა მარტო ქალები, — თქვა მორფმა, — მეც ასე მომდის ხოლმე.

— ფული მისია. უნდა რალაცეები შეიძინოს.

მთავარი ქუჩის კუთხეში, რაპის სათამაშოების მაღაზიას ქარმა თუნუქის აბრა მოგლიჯა და ახლა ისეთი გრუბუნითა და ზანზარით მიიგორებდა, გეგონებოდა ავტომობილის კატასტროფა მოხდაო.

— დაიცა, ყური მოგკარი თითქოს თქვენი პატრონი იტალიაში აპირებდეს.

— არ ვიცი. გასაკვირი ის არის, აქამდე რატომ არ წავიდა. მაგათი ოჯახები ხომ კუდი-კუდზე არიან გადაბმულები.

— ყავის დასალევეად არ შევსულიყავით?

— დუქანი მაქვს დასალაგებელი. დღესასწაულებს შემდეგ დილიდანვე მოაწყდება ხალხი.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მისტერ ბეიკერის პირადმა მეგობარმა ერთი ფინჯანი ყავის დასალევეად კი უნდა მოიცალოს... ეს ისე მწარედ არ უთქვამს, როგორც ქალღმრთე შეიძლება გამოჩნდეს: უცნაური კაცი იყო, შეეძლო ყოვლად კვიმატი სიტყვები საესე-

ბით გულუბრყვილოდ და ალერსიანად წარმოეთქვა.

რამდენი წელიწადია „მთავარ ანძაში“ ყავის დასალევად არ შევსულვარ, მთელს ქალაქში აღბათ მე ვიყავი ერთადერთი გამონაკლისი. ეს ჩვეულებად, ადათად ჰქონდათ გადაქცეული — „მთავარი ანძა“ ერთგვარი კლუბი იყო. შემოვსხედით ტაბურეტებზე, დახლთან, და მისს ლინჩმა, რომელთანაც ერთად მე სკოლაში ვსწავლობდი, ყავა გამოგვიცურა, ისე რომ ლამბაქზე ერთი წვეთიც არ გადმოვღვრილა. ფინჯნებს თითო პაწაწინა ნაღების ბოთლი ჰქონდა მიდგმული, ხოლო ქალაქში გახვეული ორი შაქრის ნატეხი კამათლებივით გადმოგვივგორა.

მისს ლინჩ, მისს ლინჩ! ეს „მისს“ სახელის განუყრელი ნაწილად ექცა, თვით მის განუყრელ ნაწილდაც. და არცა მგონია, როდისმე ჩამოიშოროს. ცხვირი წლითი-წლობით უწითლდება, მაგრამ არა ალკოჰოლისაგან, არამედ ფისტულისაგან.

— გამარჯობა, იოენ, — მითხრა მან, — დღეობა გაქვს?

— ამან შემომათრია, — ვუპასუხე მე და უფრო მეტი ალერსიანობა რომ გამომეჩინა, დავძინე: „ანი“.

თავი ისე გააქნია, თითქოს რევოლვერი გაისროლესო, მერე კი, როცა მიხვდა, რა ვუთხარი, გაიღიმა და, წარმოგიდგენიათ, ისეთივე გახდა, როგორაც მეხუთე კლასში მახსოვდა, იგივე წითელი ცხვირი და ყველაფერი.

— მესიამოვნა შენი ნახვა, იოენ, — მითხრა და ცხვირი ქალაღის ხელსახოცით მოიწმინდა.

— გამიკვირდა რომ გავიგე, — თქვა მორფმა. შაქრის ნატეხს ქალაღი შემოაკალა. ფრჩხილები გაპრიალებული ჰქონდა, — აგეკვიატება თავში რაღაცა და მერე სინამდვილე გგონია, ხოლო როცა არ აღმოჩნდება ნამდვილი, უკვე გვიანდააა გადარწმუნება.

— არ შესმის რას ლაპარაკობთ!

— მგონი მე თვითონაც არ შესმის.

ქალაღებში გახვევა რაღა ობრობა! არ გობია პირდაპირ ჩაჰყარონ საშაქრეში?!

— აღბათ იმიტომ, რომ ხალხმა ბევრი არ იხმაროს.

— მეც ასე მგონია. ერთ ვაებატონს ვიცნობდი, კარგა ხანს მარტო შაქარზე გადადიოდა. მივა ავტომატთან, ჩააგდებს ათ ცენტიანს, აიღებს ფინჯნით ყავას, ნახევარს მოსვამს, მერე ჩაყრის შაქარს და შეხვრებს. შიმშილით მიინც არ მოკვდება კაცი.

როგორც ყოველთვის, ახლაც თავში გამკრა, ეს ვაებატონი თვით მორფი ხომ არ იყო-მეთქი — ეს ახირებული, ურჯუი, დაუბერებელი, ფრჩხილებგაპრიალებული მორფი! განათლებული კაცო ჩანდა, ლოგიკური მსჯელობა იცოდა, აზრების დალაგება. მაგრამ ენა ჰქონდა მოუხეშავი, ტლანქი, მდაბიური.

— შენც იმიტომ ხომ არ იგდებ თითო ნატეხ შაქარს? — ვკითხე მე.

გაიჭყანა.

— ყველას თავისი თეორია აქვს, — თქვა მან, — ყოვლად წყალწაღებული მცონარე რომ აიღო, ისიც კი შეეცდება თეორიით გაამართლოს თავისი მცონარობა. წესიერ გზაზე რომ მიდიოდე, თეორიის ძალით შეიძლება გადაუხეო და ბაღის ბილიკებით იარო, საგზაო ნიშნებს ზედაც არ შეხედო. აღბათ იმიტომ ვიყებდე ამდენი იმ შენს პატრონზე.

რამდენი ხანია შინის გარეთ არ დამილევია ყავა. ვერ გამოვღა მიინცდამინც რიგინი. ცხელი იყო, ეს სიკეთე სჭირდა, თორემ ისე ყავის გემო არცა ჰქონია. შავი კი იყო, პერანგზე რომ გადავისხი, მერე მივხვდი ამას.

— ვერ გამოვიგია, საით უქცევთ.

— რაზე გამახსენდა?! ჰო, ორმოცი წელიწადია, რაც აქ ჩამოვედიო, დაუყინია. ოცდათხუთმეტი კიდევ ჰო, ორმოცი კი არასდიდებით.

— ეტყობა, არა მაქვს მთლად ნათელი გონება.

— გამოდის, ცხრაას ოცში ჩამოსულა. მიინც ვერ მიხვდი? ბანქში რომ მუ-

შაობ, ხელად უნდა მიხედუე, რა კაციც მოდის: ჩეკს გამოგიწოდის — შენ უკვე იცი, ვინც არის. სულ მალე ეჩვევი ამას. დაფიქრება არც კი უნდა, მისით ჩაგიჭდება თავში, თუმცა ზოგჯერ იქნებ შეცდომაც მოგივიდეს. შეიძლება, მართლაც ცხრაას ოცში ჩამოვიდა. იქნებ მე მეშელება.

ყავა სულ შევხვრიბე.

— წავალ, დავალაგებ, — ვთქვი მე.

— გამაცურე, — მითხრა მორფმა, — ძალიან რომ ჩამკითხოდი, არასდიდებით არ გიპასუხებდი. მაგრამ რაჯი არაფერი მკითხე, მე თვითონ უნდა ვითხრა. პირველი საგანგებო საემიგრაციო კანონი ოცდაერთში გამოვიდა.

— მერე რა?

— ცხრაას ოცში კიდევ შეეძლო ჩამოსვლა, ოცდაერთში — არასდიდებით.

— მერე?

— გუმანი თუ არ მატყუებს ოცდაერთს მერე იქნება ჩამოსული, არალეგალურად, და იმიტომაც ვერ მიდის შინ; საბუთი არა აქვს უკან დასაბრუნებელი.

— მაღლობა ღმერთს, ბანკში არ ვმუშაობ.

— ჩემზე კარგი ბანკირი გამოხვიდოდი. მე უბედობა მიყვარს. მართლა თუ მიდის, მაშინ შევმცდარვარ. დაცა, მეც მოვდივარ. ყავის ფულს მე ვიხდი.

— მშვიდობით, ანი, — ვუთხარი მე.

— ნუ დაგვივიწყებ, ით. სულ აღარ მოდიხარ.

— შემოვივლი.

ქუჩა რომ გადავუტერით, მორფმა მითხრა:

— მის ბრწყინვალეებას ნუ ეტყვი, ასე რომ დავინტერესდი მაგისი საემიგრაციო საქმეებით, კარგი?

— რატომ უნდა ვუთხრა?

— მე რატომ ვითხარი? ამ ყუთში რა გიდეცს?

— ტაძრელ რაინდთა ქუდი. ფრთებ-გაუყვითლდა. უნდა გავიგო, თეთრად შეღებვა თუ შეიძლება.

— შენც მასონი ხარ?

— ოჯახური ტრადიციით მოგვდგამს.

მანამ ჯორჯ ვაშინგტონი დიდი მაგისტრი გახდებოდა, პოულები უკვე მასონები იყვნენ.

— ვაშინგტონიც მასონი იყო? მისტერ ბეიკერიც ხომ არ არის?

— ბეიკერებსაც ოჯახურად მოსდგამთ.

ამასობაში ხეივანს მივადექით. მორფმა ბანკის გვერდის კარების გასაღებს დაუწყო ჯიბეში ძებნა.

— იქნებ ამ კარებსაც იმიტომ ვაღებთ ასეთის ამბით, მასონების ლოჯის ყრილობა გვგონია. კელაპტრებიც უნდა გვეჭიროს ხელში.

— მორფ, ვუთხარი მე, — რა შეგიჭდა დღეს თავში? აღდგომას სულაც არ განუწყენდიხარ.

— მაგას ამ რეა დღეში ვნახავ, — თქვა მან, — მართლა გეუბნები. ისარი რომ ცხრას მიადგება, ჩვენ ქუდმოშვლებილები ვდგევართ წმინდანების წინაშე. მერე მამა ბეიკერი მუხლს მოიყარის და სეიფს გააღებს, ჩვენ კი, ყველანი, მორჩილად დავხრით ხოლმე თავს მაღალი ღმერთის — ოქროს წინაშე.

— ნამდვილი გიყი ხარ, მორფ.

— ადვილი შესაძლებელია. კლიტე კი არა — ჯანდაბაა: რითაც ვინდა გააღებ, მარტო გასაღები არ აღებს, — დიდხანს აჩხაკუნა გასაღები, მერე წიხლიც მიაზილა კარს და ძლივს გააღო. ჯიბიდან ტუალეტის ქაღალდის ნაგლევი ამოიღო და კარში ჩასჩარა.

კინალამ ვკითხე, ღიას რომ ტოვებ, საშიში არ არის-მეთქი. შეკითხვა არც დამპირებია, ისე მიპასუხა:

— ასე თუ არ ქენი, ვინ იცის როდის ჩაიკეტება ეს ოხერი. სეიფს რომ გახსნიან, ბეიკერი თვითონვე ამოწმებს კარებს, ჩემს ეჭვებს მარულოს ნუ ეტყვი, კარგი? სარფიანი კლიენტია.

— ფიქრი ნუ გაქვს, მორფ, — დავამშვიდე და ჩემი დუქნისკენ გავემართე, თან აქეთ-იქით ვიყურებოდი, კატას ვეძებდი, რომელიც მუდამ იქ მელოდება და დუქანში შეძრომას ლამობს, მაგრამ ვერ დავინახე.

დუქანში ყველაფერი შეცვლილი მეჩვენა. ისეთი რაღაცეები შევინიშნე, რაც აქამდე ერთხელაც არ შემენიშნა, და ისეთი რამეები ვერ დავინახე, რაც მუდამ თვალში მეჩხირებოდა და გულს მიწყალბდა. ანკი რა გასაკვირია! ახალი თვალეებით შეხედე ქვეყანას, ანდა ახალი სათვალე გაიკეთე, და პრესტო, — ახალ ქვეყანას დაინახავ.

საპირფარეშოში მილი იყო გაფუჭებული და წყალი განუწყვეტლივ შიშინებდა. მარულო მილის შესაკეთებლად არ იწყებდა თავს, რადგან წყალი არ იზომებოდა და ფეხებზე ეკიდა. დუქანში შევედი და ძველებური სასწორის პინიდან ორგირვანქიანი საწონი ავიღე. საპირფარეშოში შევიტანე და ჯაჭვზე გამობმულ მუხის ტარზე დავვიდე. წყალმა დაიჩხრიალა და ასე ჩხრიალით იწყო დენა. დუქანში შევბრუნდი და დავაყურადე, რა ჩხრიალ-ჩხრიალით ჩადიოდა წყალი უნიტასში. ეს ხმა არავითარ ხმაურში არ აგერევა. საწონი ჩამოვხსენი, ისევ პინაზე დავდე და დახლში შევედი. ჩემი მრევლი თაროებზე ჩამწკრივებულ იყო და მგლოდებოდა. საწყლები, არსად არ წაესვლებოდით. განსაკუთრებით მიკი-მაუსის ნიღაბი მომხედა თვალში — სასაუზმე სანოვავეს უღიმოდა ზემოდან. მაშინვე მომაგონდა, აღენს რომ შევპირდი. მოკაუჭებული ჯოხი მოვძებნე, რითაც თაროებიდან საქონელი ჩამოაქვთ ხოლმე, ერთ უთს გამოვდე, საწყობში გავიტანე და ჩემი პალტოს ქვეშ ამოვდე, დახლში რომ შევბრუნდი, მეორე მიკი-მაუსმა მე ჩამომცინა.

კონსერვებს უკან ხელი გადავყავი და ტილოს ნაცრისფერი ჩანთა გამოვიღე, რომელშიაც სალაროს ხურდა ფული მეყარა, მერე რაღაც მომაგონდა, კიდევ უფრო შორს შევაცურე ხელი და მოვაფათურე, ძველი გაზეთილი 38^ე ყალიბიანი რევოლვერი გამოვაძვრინე, რომელიც ვინ იცის რამდენი ხანია იქაგდია. ეს იყო მოვერცხლილი აივერჯონსონი, მაგრამ ვერცხლი უკვე გადას-

ცლოდა. სავაზნე გადავხსენი და ჩაებდე, ვაზნები სულ ჩამწკრივებულნი, ზეთით მტისმეტად გაგლესილი სავაზნე მძიმედ ბრუნავდა. ეს სახელგატეხილი და სახიფათო იარაღი უჭრაში ჩავდე, სალაროს ქვემოთ, მერე სუფთა წინსიფარი ჩავიცვი და თასმები შევიკარი.

ნეტა ისეთი კაცი თუ მოიძებნება, ამქვეყნის ძლიერთა გადაწყვეტილებებს, განზრახვებსა და ღვაწლს არ ჩაფიქრებოდეს?! ნეტა ვიკოდე: იბადებიან სათნო და გონივრული მისწრაფებებით, თუ შემთხვევის ნაყოფია მათი მოქმედება, რაიმე ოცნებისა თუ ფანტაზიის, ისეთი ზღაპრის, რასაც ჩვენ მუდამ ვუამბობთ ხოლმე საკუთარ თავს? მე პირადად რამდენი ხანია გონებაში ვეთამაშები ჩემივე ფანტაზიას; ეს მაშინ დაიწყო, როცა მორფმა ბანკის წარმატებით გაძარცვის ხერხები გამაცნო. ბავშვური სიამოვნებით ვინსენებდი ამ სიტყვებს, დიდები ამაში, ჩვეულებრივ არ გამოტყდებიან ხოლმე. ეს თამაში დუქნის ცხოვრების პარალელურად მიმდინარეობდა და რაც კი რამ ხდებოდა, თითქოს ამ თამაშის შემავალი ნაწილი იყო: საპირფარეშოს დაზიანებული მილიც, აღენის მიკი-მაუსიც და სეიფის გახსნაზე ლაპარაკიც. ახალი მომენტებიც გაჩნდა და თავისი ადგილი დაიკირა თამაშში — მაგალითად, კარებში გაჩრილი ტუალეტის ქაღალდი. თამაში თანდათანობით ფართოვდებოდა, მაგრამ დღევანდლამდე — მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვაში. ტუალეტის ჯაჭვზე საწონი ქვის დაკიდება პირველი რეალური მოქმედება იყო ამ წარმოსახვითს თამაშში. ძველი რევოლვერის გამოღება — მეორე, ახლა დროის გამოანგარიშებაც დაიწყო. თამაში დაუსტების ფაზაში შევიდა.

აქამდე შემომჩრა და თან ვატარებ ჰამილტონის დროინდელ მამისეულ დიდ ვერცხლის საათს, რომელსაც ბრტყელი ისრები და მსხვილი ციფერბლატი აქვს; დიდებული საათია, ყოველ შემთხვევაში, სიზუსტით მაინც, თუ სილამაზით არა. ამ დილით, მანამ

დუქნის დაგვას შევეუდგებოდი, პერანგის ჯიბეში ჩავიდე. ისე გამოვზომე დრო, რომ ცხრას ხუთი აკლდა და მე უკვე ქუჩის კარები ღია მქონდა, ტროტუარსა ვგვიდი. საოცარია, რამდენი მტვერი გროვდება ხოლმე შაბათ-კვირას; წვიმას ერთიანად დაეღობო და აეტალახებინა.

რალა მამაჩემის საათი და რალა ბანკი — ესეც საოცარი სიხუსტით მუშაობს. ცხრას რომ ხუთი აკლდა, თელის შესახვევში მისტერ ბეიკერი გამოჩნდა. პარი რობიტი და ედით ოლდენი, ეტყობა, მას უთვალთვალებდნენ: მაშინვე გამოხტნენ „მთავარი ანძიდან“ და შუა გზაზე წამოეწიენ.

— დილა მშვიდობისა, მისტერ ბეიკერ, — გავძახე მე, — გამარჯობა ედით, პარი გამარჯობა!

— გამარჯობა, ითენ. უშლანგოდ დღეს ვერაფერს ვერ გახდები.

ჩაიარეს და ბანკში შევიდნენ.

ცოცხი ქუჩის კარებთან მივაყუდე, ისაწორის პინიდან საწონი ქვა ავიღე, სალაროსთან მივედი, უჭრა გამოვადე და სწრაფ, მაგრამ წინასწარმოფიქრებულ პანტომიმას შევეუდექი. მერე საწყობში გავედი, საწონი ქვა ტუალეტის ჯაჭვზე დავკიდე. წინსაფრის კალთები წამოეკრიაფე და ქამარში ჩავიკეცე, საწვიმარი ჩავიკეცი, განის კარებთან მივედი და ოდნავ შევალე. როცა წუთების შავი ისარი თორმეტს მიაღწა, კოშკის საათმ: რეკვა დაიწყო, გონებაში რვა ნაბიჯი გადავთვალე, ეს ქუჩის გადასაპრელად, მერე კიდევ ოცი ნაბიჯი. ხელებს ვამოძრავებდი, ტუჩებს — არა. ოცი წამი შევიცადე და ისევ ავამოძრავე ხელი. ამას ყველაფერს გონების თვალთ ვხედავდი — ხელებს ვამოძრავებდი და თან ვითვლიდი — ოცი ნაბიჯი, სწრაფი, მაგრამ მოზომილი, მერე კიდევ რვა ნაბიჯი. განის კარი მოვხურე, საწვიმარი გავიხადე, წინსაფრის კალთები დავუშვი, საპირფარეშოში შევედი. საწონი მოვხსენი და წყლის ჩხრიალი შევწყვიტე, იქიდან დახლში შევედი, სალაროს უჭრა გამო-

ვალე, ქულის კოლოფს ხეფარე, ისე დაეახურე და კანაფი შემოვანხიე, ქუჩის კარებისკენ გავბრუნდი, ცოცხი ავიღე და საათს დავხედე. ორი წუთი და ოცი წამი გადაცილებოდა ცხრას. არა უშავს რა. მაგრამ ცოტა კიდევ რომ წავივარჯიშო, ორ წუთსაც არ მოეუნდები.

სანახევროდაც არ მქონდა ტროტუარი დაგვილი, როცა „მთავარი ანძიდან“ პოლიციის უფროსი სტონი გამოვიდა და ჩემკენ გამოემართა.

— დილა მშვიდობისა, ით. ნახევარი გირვანქა კარაქი მომეცი, გირვანქა ლორი, ერთი ბოთლი რძე და თორმეტი კვერცხი. ოღონდ ჩქარა. ცოლს ერთბაშად გამოლეგია ყველაფერი.

— ახლავე, უფროსო. რა ისმის ქვეყნად?

ყველაფერი მოვეუშადა და ქალაღის პარკში ჩავულაგე.

— ესეც ასე, — თქვა მან, — ამ ერთი წუთის წინაც შემოვედი, მაგრამ საპირფარეშოში იყავი, გავიგონე.

— იმდენი მოხარული კვერცხი ვჭამე, რომ ერთ კვირას ვერ მოვიწინებ.

— ეგეც მართალია, — თქვა სტონიმ, — რას იზამ, ასეა ცხოვრება მოწყობილი.

მაშ, ყველაფერი რიგზეა.

წასასვლელად რომ მოემზადა, კიდევ მომიბრუნდა.

— იმ შენს მეგობარს რა მოუვიდა, დენი ტეილორს?

— არ ვიცი. კიდევ აურია?

— არა. გაკოხტავებულა, გასუფთავებულა. მანქანაში ვიჯექი, და მოვიდა, ხელმოწერა შემიმოწმეო.

— რათ უნდა?

— რა ვიცი. ორი ქალაღი ეკირა, მაგრამ დაკეცილი იყო და ვერ გავარჩიე.

— ორი ქალაღი?

— ჰო, ორი. ორჯერ მოაწერა ხელი და მეც ორჯერ დავუმოწმე.

— ფხიზლად იყო?

— თითქოს. თმა შეუტრეპია, ყელსახვევი გაუკეთებია.

— ნეტა მართლა, უფროსო!

— ღმერთმა ქნას! საწყალი ბიჭი. ყველა რალაცას ცოდვილობს. წავსულვარ. — შურდღლივით გავარდა. ოცი წლით უმცროსი ჰყავს ცოლი სტონის. მე ისევ ტროტუარის გვა განვაგრძე, ტალახს პირდაპირ არხში ვყრიდი.

ძაღლის გუნებაზე ვიყავი. პირველად ალბათ ასე იცის.

მუშტრები მომაწყდება-მეთქი, რომ ვთქვი, გამიმართლდა, მთელს ქალაქში თითქოს ყველას ერთბაშად გამოვლია სანოვაგე. ხილი და ბოსტნეული ნაშუადღევამდე არ მოაკვთ ხოლმე. ასე რომ, საქონელი შემომაკლდა, მაგრამ რაც მქონდა იმის გაყიდვასაც ველარ აველიოდი.

მარულო ათი საათისთვის მოვიდა და, საოცარია, ხელი წამომავშველა, აწონასა და გახვევაში დამეხმარა, სალაროში ჩეკებიც გამოწერა. რამდენი ხანი იქნება, ხელი არ გაუწმრევია დღეებში. შემოეხეტებოდა ხოლმე, მიიხედ-მოიხედავდა და წაიფიქროდა — თითქოს დიდი ლენდლორდი მყოლოდეს, შორეული მამულის დასათვალისწინებლად მოსული. დღეს კი დაფაცურდა, ახლად მიღებული საქონლის ყუთები და კოლოფებიც დამახსენებინა, რალაც დაბნეულად მეჩვენა, რამდენს თავს გვერდზე მივაბრუნებდი, იმდენს შემომხედავდა და მაკვირდებოდა. ლაპარაკის დრო არ გვექონია, მაგრამ ვგრძობდები, როგორ მომაშტერებდა თვალს. ქრთამზე რომ უარი ვთქვი, იმ ამბავმა ააფორიაქა-მეთქი, გავიფიქრე. მორფი იქნებ მართალი იყოს. ბევრს ასე მოსდგამს — თუ მოკერეს ყური. ვინმეს განსაკუთრებული პატიოსნება გამოუჩენიაო, ხელად უპატიოსნო მიზეზებს დაუწყებენ ძებნას, რამაც თითქოს იმ პატიოსნებისათვის წააქეზა ის კაცი. აბა, ისე რა გამორჩომა აქვსო! — ეს ლოლიკა გამართლებულიც არის იმ ხალხისათვის, ვისაც საკუთარი ცხოვრება პოკერის თამაშით გაუხდია. ეს რომ გავიფიქრე, ვამეცინა, მაგრამ გულის სიღრმეში — სახეზე არ დამტყობია.

თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა მალაზიაში მერი შემოვიქნა. ჩინების სახლკაბაში გამოწყობილი, ერთიანად ბრწყინავდა. ლამაზი და ბედნიერი ჩანდა, ცოტათი აღელვებულიც, თითქოს რალაც სასიამოვნო, მაგრამ ამასთან სახიფათო საქმე გაეკეთებინოს — მართლაც გაუკეთებია. მანილის ქალაქის ყავისფერი კონვერტი გადმომცა.

— იქნებ დასკირდეს-მეთქი, ვიფიქრე. — თქვა მან. მარულოს ჩიტივით გაუღიმა, — ასე იცის ხოლმე, როცა ვინმე თვალში არ მოსდის. მარულო კი თავიდანვე აითვალწუნა. ამის მიზეზს მე ჩემებურად ვხსნი — ცოლებს არასოდეს არ უყვართ თავიანთი ქმრების უფროსები და მდივანი ქალები.

— მადლობელი ვარ, ჩემო ძვირფასო. — ვუთხარი მე. — ძალიან ყურადღებიანი ქალი ხარ. სამწუხაროა, რომ ახლავე ვერ გაგასეირნე ნილოსზე ნაფით.

— როგორც ვხედავ, დრო არა გაქვს.

— შენც ყველაფერი გამოგელია?

— სუყველაფერი. ავერ სიას გიტოვებ. ალბათ, ამაღამ მომიტან, ხომ? ახლ: მაგისტვის სად მოიცილი!

— შენ ოღონდ მაგრად მოხარულ კვერცხებს ნუ მაქმეგ.

— აღარა, ჩემო კარგო. ამ წელიწადში აღარ გაქმეგ.

— პასუხაც კარგა მაგრად დამამძიმა.

— მარჯი დღეს „მთავარ ანძაში“ გვეპატიება სადილად. სწუხს, ერთხელაც ვერ გეცით პატივო.

— მაგას რა ჯობია, — ვუთხარი მე.

— სახლში ვიწროდ ვართო.

— მართლა?

— მე გაცდენ.

მარულო თვალს არ ამორებდა კონვერტს, რომელიც მე ისევ ხელში მეჭირა, მერე წინსაფარში შევაცურე და შარვლის ჯიბეში ჩავიდე. მარულომ ხელად იცნო ბანკის კონვერტი და ვიგრძენი, როგორ დაიძაბა, ასე ტერიერმა იცის განაზბვა, როცა ქალაქის სანაგვეზე ვირთავას უთვალთვალებს.

მერიმ მას უთხრა:

— მადლობის თქმაც ველარ მოვახერხებ, კომფეტებისთვის, მისტერ მარულო. ბავშვებმა ძალიან გაიხარეს.

— რა სათქმელია, აღდგომა მინდოდა მომელოცა, — მიუგო მარულომ, — თქვენ უკვე საგანაფხულოდ მორთულხართ.

— იმიტომაც გავიწუწუე. გამოიღარა მეგონა, და ისევ არ დაუშვა!

— ჩემი საწვიმარი მოისხი, მერი.

— არაფრის დიდებით! შხაპუნაა, მალე გადაიღებს. შენ მუშტრებს მიხედე. ხალხმა სულ უფრო და უფრო იმატა. მისტერ ბეიკერმა შემოიხედა, მაგრამ დიდი რიგი რომ დაინახა, გაბრუნდა.

— მოგვიანებით შემოვივლი! — გადმოძახა მან.

შუადღემდე მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, მერე კი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ვაკრობა ერთბაშად შეწყდა, საუზმის დრო იყო. ქუჩაში კაცის კაპანებას ვერ ნახავდი. დადგა წუთი, როცა არავის არაფერი არ სჭირდებოდა. მე აღრევე გახსნილი რძის ბოთლი ბოლომდე დავცალე, რასაც კი ავიღებდი დუქანში, ვინიშნავდი და მერე ჯამაგირში შექვიტებოდა. მარულო საბითუმო ფასებში მითმობდა, და ეს დიდი შეღავათი იყო, თორემ ჩემი ჯამაგირი რას აგვივიდოდა.

მარულო დახლს მიაწეა და გულხელი დაიკრიფა, მაგრამ ტკივილმა წამოუარა. ჯიბეში ჩაიწყო ხელები, არც ამან უშველა.

— კიდევ კარგი დამეხმარეთ, — ვუთხარი მე, — ამდენი ხალხი ჩემს დღეში არ მახსოვს. ანკი რა გასაკვირია, კარტოფილის სალათის ნარჩენები ვის ეყოფა.

— კარგი მომუშავე ხარ, ბიჭუნო.

— მაგასაც რომ დიდი რამე უნდა!

— არა, მუშტრის მოზიდვა იცი, ყველას უყვარხარ.

— შემეჩვია ხალხი. რამდენი ხანია აქა ვარ, — შემთხვევით ვისარგებლე და პატარა ანკისი გადავაგდე: — ერთი სული გაქვთ, ალბათ, მანამ სიცილიის ცხელი მზე გაგათბობთ. დიდი სიცხე იცის

სიცილიაში. ომის დროს ვარ ნამყოფი. მარულომ განზე გაიხედა.

— ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია.

— რატომ?

— რამდენი ხანია წამოვედი... მთელი ორმოცი წელი... აღარავის ვიცნობ.

— ნათესავეები ხომ გყავთ?

— იმათაც დავავიწყებდობდი.

— დიდი სიამოვნებით გავატარებდი შევებულებას იტალიაში — უთოფოდ და ურუგზავოდ. ორმოცი წელი მართლაც დიდი დროა. რომელ წელს წამოხვედით?

— ცხრაასოცში... მთელი საუკუნეა.

მორფმა, ეტყობა, სწორედ მოარტყა. ალლოიანი ხალხია ბანკის თანამშრომლები და პოლიციელები. ახლა უფრო მოზრდილი ანკისის გადაგდება ვცადე. უჭრა გამოვადე, რევოლვერი ამოვიღე და დახლზე დავაგდე. მარულომ ხელები ზურგისკენ წაიღო.

— ეს რა არის, ბიჭუნო?

— ნებართვა უნდა აიღოთ. სალივენის კანონს ნუ ეხუმრებით.

— აქ საიდან გაჩნდა?

— სულ აქ არ იყო!

— პირველად ვხედავ. ჩემს დღეში არ მქონია რევოლვერი. შენია, ალბათ.

— ჩემი საიდანაა. ალბათ არის ვინმესი. და რაკი ამდენი ხანი აქა გდია, ნებართვაც საჭიროა. ნამდვილად არ არის თქვენი?

— პირველად ვხედავ-მეთქი, ხომ გეუბნები. არ მიყვარს იარაღი.

— საოცარია. რას ვიფიქრებდი, რომ მაფიის წევრს იარაღი არ ეყვარებოდა.

— მაფია საიდან მოიგონე! მაფიის წევრი ხომ არ გგონივარ?

მთლად გავისულელე თავი.

— მე კიდევ ყველა სიცილიელი მაფიის წევრი მგონია.

— რა სიგიჟეა! თვალთაც არ მინახავს მაფიის წევრი.

ისევ უჭრაში ჩავაგდე რევოლვერი.

— რას არ გაიგონებ კაცი! — ვთქვი მე, — მე რალად მინდა ეს რევოლვერი. არ ჯობს, სტონის მივცე? დუქანში შემ-

თხვევით წავაწყდი-მეთქი, ვეტყვი-
მაინც ასე იყო.

— რაც გინდა ის უყავი, — მითხრა
მარულომ, — მე პირადად ჩემს დღეში
არ მინახავს. არც არის ჩემი. ანკი რაში
მპირდება.

— კარგი, გადავცემ, — ვთქვი მე.
ათასნაირი ქალაღი და საბუთი
სჭირდება სალგანის ნებართვას — პას-
პორტს არ უნდა ამდენი რამე.

ჩემს პატრონს საქციელი წაუხდა.
ხომ წვრილმანი რამეებია, მაგრამ ეტყო-
ბა ბევრი დაგროვდა ამ ბოლო დროს.

დუქანში ნიუ ბეიტაუნის პრინცესა,
გადამღვრძალი მისს ელგარი შემოჩა-
ხუნდა. მისს ელგარი გამოკეტილია —
ორმაგი შუშით არის მოწყვეტილი
ქვეყნიერებას. ერთი დუქინი კვერცხი
შოთხოვა. პატარა ბიჭი ვხსომებდევარ,
და თუ როდესმე გავიზრდებოდი, ეს
აღარ უფიქრია. როცა ნახა — ფულის
ანგარიში და ხურდის მიცემა შემძლე-
ბია, ძალიან გაუკვირდა და ნასიამოვნე-
ბიც დარჩა.

— მადლობელი ვარ, ითენ, — მითხრ-
მან. ერთნაირი ინტერესით გადააცურა
თვალი ჯერ ყავის საფქვეზე, მერე მის-
ტერ მარულოზე და ისევ მე მომიბრუნ-
და: — მამაშენი რასა იქს, ითენ?

— კარგად გახლავთ, მისს ელგარ, —
ვუთხარი მე.

— მომიკითხე, შენს ვაზრდას.

— უსათუოდ, ქალბატონო. უსა-
თუოდ.

თავისებური შეგრძნება ჰქონდა
დროისა და მე აღარ ვაფუსწორე. ყო-
ველკვირა საღამოს დიდის ამბით მო-
მართავს თურმე მამაპაპისეულ კედლის
საათს, თუმცა რამდენი ხანია ელექ-
ტრონზე ყოფილა გადაყვანილი ეს საა-
თი. ნეტაი მას! არა სჯობია, ისე ამოვარ-
დე დროის ანგარიშიდან, რომ სულ
დაუღამებლად გეჩვენოს დღე! დარბაის-
ლურად დაუქრა თავი ყავის საფქვეს
და გავიდა.

— უქრის არა?! — მარულომ საფეთ-
ქელთან მიიტანა ხელი.

— მაგის თვალში არაფერი არაა, —
ლუბა, არავის არაფერი მოსდის.

— მამაშენი ხომ მოკვდა! რატომ არ
უთხარი, მოკვდაო?

— სულერთია, ხელადვე დაავიწყდე-
ბა. სულ ასე მოიკითხავს ხოლმე. ამას-
წინათ გამაჩერა და პაპაჩემის ამბავიც
მკითხა. მეგობრობა ჰქონდათო, ამბო-
ბენ, ამ ბეხრეკა თხას და პაპაჩემს.

— უქრის, — კვლავ შენიშნა მარუ-
ლომ. მაგრამ, რატომღაც, მისს ელგარ-
ის ასეთმა უცნაურმა გულმავეწყობამ
მარულოს სულიერი წონასწორობა აღ-
ადგინა. კაცის გუნებას რას გაუგებ —
ხან მარტივია, ხან რთული. დანამდვი-
ლებით რომ გგონია, ახლა მართალი ვა-
რო, სწორედ მაშინ ცდება. მე როგორც
ვატყობ, გამოკდილებსა და ჩვეულე-
ბის მიხედვით, მარულოს დამოკიდებუ-
ლება ადამიანებთან სამნაირი მიდგომით
განისაზღვრება: მბრძანებლური, მლიქ-
ვნილური და საქმოსნური. აღბათ, სა-
მივემ კარგად გაუმართლა ცხოვრებაში
და იმიტომაც თვალდახუჭული ენდობა.
მაგრამ ჩემთან ურთიერთობაში პირვე-
ლი თანდათანობით დაკარგა.

— კარგი ბიჭი ხარ, — მითხრა მან, —
ნამდვილი მეგობარი.

— ძველი კაპიტანი, პაპაჩემი, იტყო-
და ხოლმე — მეგობარი თუ გინდა შეი-
ნარჩუნო, თავისდღეში არ გამოსცა-
დო.

— ჰკვიანურია.

— ჰკვიანი კაცი იყო.

— მთელი კვირადღე სულ თავში მიტ-
რიალუბდა, ბიჭი, ეკლესიაშიც ამაზე
ვფიქრობდი.

ვიცოდი, — ყოველშემთხვევაში ასე
მეჩვენებოდა, — რომ იმ ქრთამის ამ-
ბავი არ ასვენებდა მარულოს, და ამი-
ტომ ბევრი წილადობილისაგან გავათა-
ვისუფლე.

— იმ გულზე საჩუქარზე?

— მაშა, — აღტაცებით შემომხედა.

— შენც ჰკვიანი ბიჭი ხარ.

— არც ისე, თორემ საკუთარ თავს არ
დავივიწყებდი.



— რამდენი ხანია, ჩემთან მუშაობ...
თორმეტი წელიწადი ხომ იქნება?

— საქმეც ეგაა... ამდენხანში კაცო
უნდა შეიცვალოს, თქვენ რას იტყვიან?

— ერთი ცენტრიც კი არ ავიღია... ერ-
თი ნამსკეცი არაფერი წავიღია შინ, რომ
დავთარში არ ჩაგვეწეროს.

— სწორედ ამ პატიოსნებით უნდა
გაგლიტოთ.

— არ გეხუმრები. ნამდვილს გეუბნე-
ბი. მე ვხედავ. გამოწმებ, ვიცი.

— მედალი უნდა დამკიდოთ გულზე.

— ყველა იპარავს — ვინ მეტს, ვინ
ნაკლებს. შენ კი — არა. ვიცი.

— იქნებ დროს ვარჩევ, რომ ყველა-
ფერი ერთბაშად წავიღო.

— ნუ ხუმრობ. მე მართალს გეუბნე-
ბი.

— ალფიო, თქვენ ბრილიანტი ჩაგი-
ვარდათ ხელში. მაგრამ ძალიანაც ნუ
აპრიალბობ, არ გადაიხეხოს და ყალბი
არ გამოდგეს.

— არ გინდა, შეგვიამხანაგო?

— რით? ჩემი ხელფასით?

— მაგასაც მოვეღებ.

— რალა გამოვიდა — მაშინ ჩემს
თავს უნდა მოვპარო!

გულიანად გადაიხარხარა.

— ჭკვიანი ბიჭი ხარ. მაგრამ რომ არ
იპარავ!

— აკი გითხარით, იქნებ ერთბაშად
ვაპირებ-მეთქი.

— პატიოსანი ბიჭი ხარ.

— მეც მაგას გეუბნებით. რაც უფრო
პატიოსანი ხარ, მით უფრო არ გენდო-
ბიან. ყველაზე კარგი საშუალება შენი
ზრახვების დასაფარავად — სიმართლის
თქმაა.

— ნეტა რას ამბობ?!
— *Ars est celare artem*¹.

ტუჩები ააცმატუნა — ჩემი ნათქვამი
გაიმეორა და უცებ გადაიხარხარა.

— ჰა, ჰა, ჰა!

— ცივი კოკა-კოლა არ გინდათ?

— ამაზე მწყენს, — მუცელზე დაიდ-
ვა ხელი.

— რა დროს თქვენი ავადმყოფობაა
— ორმოცდაათისაც არ იქნებით.

— ორმოცდათორმეტისა ვარ. კუჭ-
ნაწლავი დამიავადდა.

— მას თორმეტი წლისა ჩამოსულ-
ხართ, ცხრაასოცში თუ ჩამოხვედით.
ლათინურს ეტყობა, პატარა ბავშვებსაც
ასწავლიან სიცილიაში.

— მე საეკლესიო გუნდში ვგალობ-
დი.

— მეც ვიყავი საეკლესიო გუნდში—

— ჯვარი მეჭირა. კოკა-კოლას დავღვევ,

— ეთქვი მე, — ალფიო თქვენ თითონ

მოიგონეთ რამე, და მეც ვნახავ. მაგ-

რამ წინასწარვე გაფრთხილებთ, ფულა

არა მაქვს.

— ვიზამთ რამეს.

— მექნება კი.

დიდხანს მიყურებდა, ველარ მომა-

შორა თვალი. მერე კი წყნარად ჩაილა-

პარაკა:

Lo, lo credo!

რალაც ძალამ, და არა დიდებამ, აში-
ტაცა. კოკა-კოლა გავხსენი, პირზე მო-

ვიყუდე და ამ ყავისფერი შუშის ზემო-

დან მარულოს გავხედე.

— კარგი ბიჭი ხარ, — თქვა მან, ხე-

ლი ჩამომართვა და კარებისკენ გაეშა-

რთა.

უცებ რალაცამ მომიარა და გაეძახე:

— მხრები როგორა გაქეთ?

გაკვირვებულმა მომხედა.

— აღარ მტკივა, — თქვა და წავიდა,

თან თავისთვის ჩაილაპარაკა, — აღარ

მტკივა.

ისევ მობრუნდა, აღელვებული.

— უნდა აიღო ის ფული.

— რა ფული?

— ის ხუთი პროცენტი.

— რატომ?

— უნდა აიღო. ცოტა-ცოტას შემოი-

ღო.

— უნდა აიღო. ცოტა-ცოტას შემოი-

ღო.

¹ მე მჯერა შენი.

1. ოსტატობა ისაა, ნამდვილი ხელოვნება და-
ფარო.

ტან ზოლმე საპაიოს. ოღონდ ექვსი პროცენტი მოსთხოვე.

— არა.

— მე გეუბნები, კი-მეთქი, და შენ რა „არა“ დაგიყენია?

— არ მჭირდება, აღფიო, რომ მჭირდებოდეს, ავიღებდი კიდევ, მაგრამ არა მჭირდება.

ამოიხვნეშა.

ნაშუადღევს მუშტარმა იკლო, მაგრამ საქმე მაინც არ გამომღევია. არ ვიცი რატომ, მაგრამ სამსა და ოთხს შორის, ოცი წუთით თუ ნახევარი საათით, სრული მყუდროება სუფევს ზოლმე. მერე ისევ დაიწყება — ახლა უკვე სამსახურიდან დაბრუნებული ხალხი და სადილაღვიანებული დიასახლისები მოაწყდებიან.

სწორედ იმ მყუდროების წუთებში მოვიდა მისტერ ბეიკერი. დიდხანს ათვლიერებდა მინის მაცივარში ყველსა და ძეხვს, ორი ფეხათრეული მუშტარის გასვლას უცდიდა, რომელთაც ვერაფრით ვერ გადაეწყვიტათ, რისი ყიდვა ჯობდა. ამ ჯურის ხალხიც არის — აიღებენ, დასდებენ, ზოზინობენ, რჩევაში არიან, ალბათ, ფიქრობენ — საქირო საქონელი თვითონვე გამოხტება და იყვირებს მე მიყიდეთო.

როგორც იქნა, მორჩნენ საქმეს და ვავიდნენ.

— ითენ, — მითხრა ბეიკერმა, — შენ თუ გაიგე: მერიმ ათასი დოლარი ვაიტანა.

— ვიცი, სერ, ადრევე მითხრა.

— რაზე სჭირდება არ იცი?

— როგორ არა, სერ. ერთი თვეა ყურები გამომიქედა. ქალების ამბავი ზომ იციო. ცოტა თუ გადაშორდა საღებავი ავექს, მორჩა, ახლის ყიდვას დაიყენებენ, და იმ დღიდან მოკიდებული ის ძველი ყოვლად უფარგის ხარახურად იქცევა.

— ახლა მაგაზე ამდენი ფულის დახარჯვა სისულელეა! არა? აჟი გითხარი გუშინ, რაღაც გეგმებოდა-მეთქი!

— რა ვქნა, სერ, მისე ფულეა.

— სარისკო საქმეზე ვთქვი გაყრდენებ მაგ ფულს, ითენ. ისეთ რამეზე დაგაბანდებინებ, რომ სრული გარანტია გექნება. ამ ათასი დოლარით ერთი წლის განმავლობაში ავექსაც იყიდდა და ერთი ათასი კიდევ დარჩებოდა.

— საკუთარი ფულის დახარჯვას ზომ ვერ დავუშლი, მისტერ ბეიკერ?!

— აუხსენი მაინც, გააგებინე და გადაათქმევინე.

— ეს არც მომგონებია.

— მამაშენმაც ასე იცოდა, ითენ. მაგ წილადობილას მოეშვი. მე ფეხზე მინდა წამოგაყენო, წილადობილის თავი არ მაქვს.

— კარგი, სერ.

— თან, აქ არ უნდა აპირებდეს ავეჯის შექმნას. ჩამოივლის, შეღავათიან ფასს დაეხარბება და ნაღდს ჩაუყაპავს. რა საქონელს შეაჩეჩებენ, ეს თავისთავად გასაგებია. ადგილობრივი შეიძლება ცოტა უფრო ძვირი დაუჯდეს, მაგრამ უფარგისი რამე თუ შეაპარეს, საღ წაგვივლენ! ყურს ნუ მოიყრუებ, ითენ. უკანვე შემოატანინე ფული. ან მე მომანდონ. თავის დღეში სანანებლად არ დარჩება.

— ეს ფული ძმამ დაუტოვა, სერ.

— ვიცი. ცვაღე გადავათქმევინებ-მეთქი, გასატანად რომ მოვიდა, მაგრამ თავისი ცისფერი თვალები შემომანათა — წავალ, მივიხედ-მოვიხედავო, მითხრა. ათასი დოლარი თუ არ ჩაიღო ჯიბეში, ისე ველარ მიიხედ-მოიხედავს?! იმას თუ არ ესმის, შენ მაინც უნდა იცოდე.

— ეტყობა, ამისთანა საქმეებს არა ვარ შეჩვეული, მისტერ ბეიკერ, რაც ჯვარი დავიწერეთ, ფული არ გვიღირსებია.

— გირჩევ მიხედო, და რაც შეიძლება ჩქარა, თორემ გვიანდა იქნება. ხარჯვაზე ისეა გაგიყებული ზოგიერთი ქალი. გეგონება ნარკოტიკიო.

— მერიზე ეგ არ ითქმის, სერ —

სად ჰქონდა ფული, რომ მაგისტანა რამეს შესჩვეოდა?!

— ხელად შეეჩვევა. აბა ერთი იგემოს სისხლი, იმ წუთში მკვლედი გახდება.

— მისტერ ბეიკერ, მაგას გულით ლაპარაკობთ?

— რა თქმა უნდა.

— მერისთანა მომჭირნე ცოლი არა მგონია მეორე იყოს ქვეყნად. ანკი სხვა რა გზა აქვს.

და უცებ, არ ვიცი რატომ, ქარიშხალი დაატრიალა.

— სულ გამიტყდა შენზე გული, ითენ. მართლა თუ გინდა რამეს მიიღწიო, ჯერ საკუთარ სახლში უნდა გახდე უფროსი. დაიცადეთ, ცოტა ხანს მერე იყიდეთ ავეჯი.

— მე კი დავიციდი, მაგრამ მერი არ იცდის, — უცებ თავში გამკრა — ბანკირები იქნებ რენტგენით ხედავენ ფულს, მისტერ ბეიკერმა შეიძლება ჩემი კონვერტი უკვე დაინახა ჯიბეში-მეთქი. — ვცდი, იქნებ დავარწმუნო, მისტერ ბეიკერ.

— თუ არ მოასწრო დახარჯვა! ახლა შინაა?

— რიჩმენტონში აპირებდა წასვლას ავტობუსით.

— ღმერთო დიდებულო! სად გამოუვა წირვა ათას დოლარს!

— ფული ხომ კიდევ აქვს!

— ეგ სულ სხვა საქმეა! უფულოდ ნაბიჯს ვერ გადადგამ.

— ფულმა ფული იცის, — წყნარად ვთქვი მე.

— საქმეც ეგ არის! ეს თუ დაივიწყე ერთი წუთით, მორჩა, დახლიდან გამოძრომას ვეღარ ეღირსები.

— სამწუხაროდ ასე მოხდა.

— წუწუნს ისა სჯობს, ჰკუაზე მოიყვანო.

— ქალების ამბავი ხომ იცით, სერ. გუშინ რომ ლაპარაკობდით, ფული ასე და ასე კეთდებაო, იქნებ ძალიან იოლ საქმედ მოეჩვენა.

— ჰოდა, სწორ გზაზე დავეყენე მეც!

— კოკა-კოლას არ დაღვეთ, სერ?

— კარგი იქნება.

ბოთლით ვერ სვამდა, ქალაღის ქიქების შეკვრა გავსენი, წყალმა ცოტათი გააგრილა; როგორც ქუხილი მიწყნარდება და შორიდან ისმის ხოლმე მინელელები გრუხუნნი, ისე ყრუდ ბუტბუტებდა ახლა მისტერ ბეიკერი.

მალაზიაში ორი ზანგის ქალი შემოვიდა. მისტერ ბეიკერი იძულებული გახდა, ერთბაშად გადაეყვალა კოკა-კოლა და თავის განრისხებაც.

— უსათუოდ უნდა მოეღაპარაკო! — მითხრა მან მრისხანედ და მედიდური ნაბიჯებით გავიდა მალაზიიდან, ქუჩა გადასკრა და შინისკენ გაემართა. ასე რამ გააცოფა, ეპვი ხომ არ აიღო-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ არა მგონია. ეგ ხომ მბრძანებლობასაა დაჩვეული, და ჩვენთან რომ არ გამოუვიდა, ამან გააშწარა. გაცოფდები, აბა რა მოგივა, როცა კაცს რჩევას აძლევ და ის კიდევ ყურში არ უშვებს.

მშვენიერი ქალები იყვნენ ეს ზანგები. მაგათი მთელი კოლონია ცხოვრობს გზაჯვარედინთან, ძალიან კარგი ხალხია. ჩვენთან იშვიათად მოდიან სავაჭროდ! საკუთარი მალაზია აქეთ, მაგრამ ზოგჯერ მიინც შემოიხედავენ, შეამოწმებენ — ძალიან ძვირი ხომ არ უჭდებათ ეს რასობრივი სოლიდარობა. ყიდვით ცოტა რამე იყიდეს, ფასები კი ყველაფრისა იკითხეს, მიზეზს მაშინვე მივხვდი. ლამაზი ქალებიც იყვნენ, მაღალი, ჩამოქნილი ფეხები! საოცარია — რა გავლენას ახდენს ხოლმე ადამიანის სხეულზე და სულზედაც ფუფუნებაში გატარებული ბავშვობა.

დაკეტვის წინ მერის დავურთვე.

— მტრედის ბუმბულო, ცოტათი შემაგვიანდება.

— არ დავავიწყდეს, სადილად მარჯიმ დაგვპატიყა „მთავარ ანძაში“.

— რა დამავეწყებს.

— მაინც რამდენი ხანი დაგაგვიანდება?

— ნავსადგურში უნდა შევიარო ათობუთმეტი წუთით, მიწახაპია ვნახო.

— რაში დაგჭირდა?

— ვიყილო მინდა.

— ოჰ!

— თეგზი წამოვიღო?

— კარგ სვიას თუ შეხვდები. სხვა რამეს ვერც იშოვი ახლა.

— კარგი... წავედი.

— აქეთ-იქით ყიალს ნულარ მოჰყვები. ხომ უნდა იბანავო, გამოიცვალო... რაც უნდა იყოს, „მთავარ ანძაში“ მივდივართ.

— კარგი, ჩემო ლამაზო, ჩემო საყვარელო. მისტერ ბეიკერმა ჯოჯოხეთი დამიტრიალა, ათასი დოლარი რად დაახარჯინეო.

— მაგ ბებერ ბოტს ვინ ეკითხება?!

— მერი, მერი, კედლებსაც ყურები მოუსხამთ.

— იცი რა ქენი-თქვა, უთხარი!..

— მაგის თავი ვინ მისცა. შტერი ჰგონიხარ.

— რაო?

— მე კიდე — დოყლაპია, დოყლაპია.. შენ მაინც ხომ იცი, რა დოყლაპია ვარ.

ისე საყვარლად გადივისკისა, რომ სხეულში სასიამოვნო ერუანტელმა დამიარა.

— ჩქარა მოდი, გენაცვალე, — მითხრა მან, — ჩქარა მოდი!..

კაცს რომ ამისთანა სიტყვებს გაავონებ! ყურმილი რომ დაეკიდე, ერთხანს ასე ვიდექი ტელეფონთან — მოთენთილი, მოშლილი და ბედნიერი, თუკი შეიძლება სამივე მდგომარეობა ერთხანად განიცადოს ადამიანმა. ეცადე მომეგონებინა, როგორ ვცხოვრობდი, მანამ მერის შევხვდებოდი, მაგრამ ვერ მოვიგონე; ეცადე წარმომეგინა, უმეროდ რა ვიქნებოდი, და ვერც ეს მოვახერხე, გარდა იმისა, რომ წარმომიდგა შეგ არშია შემოვლებული გაურკვევე-

ლობა. ვიცი, რომ ადრე ექნებოდა გვიან, ყველა თავის ეპიტაფიას წერს. ჩემი ეპიტაფია იქნება — „მშვიდობით, ჩარლი“.

მზე უკვე დასაველეთით გადაჰიმულ ბორცვებს ამოეფარა, მაგრამ დიდი ფუნთუშა ღრუბელი მის სხივებს ისრუტავდა და აფრქვევდა ნავსადგურს, ზეირთსაქცევს, ვრცლად გაშლილ ზღვას... თეთრ ტალღები ვარდისფრად შეიღება.

ნაპირზე მეთევზეების ნავეები ეყარა. აქ ყველა მეთევზეს ვიცნობ, რაც თავი მახსოვს, სულ მათ შევეყურებ. მერი მართალი გამოდგა. სვიის მეტი არაფერი ჰქონიათ. ოთხი კარგი სვია შევარჩეინე ჯო ლოგანს და მანამ გამოწელავედა, იქვე დაველოდე. ისე მარდად ფატრავდა თევზებს, გეგონებოდა დანას წყალში აცურებსო. გაზაფხულობით ერთი საერთო სალაპარაკო თემა გვაქვს ყველას — ზღვის კალმახი როდის გამოჩნდებაო? ასეთი გამოთქმაც არსებობს: „იასამანი ჰყვავისო, ზღვა კალმახებით გაივსო“. მაგრამ ამას ვერ დაეყრდნობი. რაც თავი მახსოვს, სულ ასე ზდება — ან არ გამოჩენილა ზღვის კალმახი, ან იყო და წავიდა. მერე რა თევზია! მდინარის კალმახით სხმარტალა, სუფთა, ვერცხლივით კრიალა. სუნიც სასიამოვნო აქვს. ჯერ არ გამოჩენილა ზღვის კალმახი. ჯო ლოგანს წამალადაც არ შეხვედრია.

— მე თუ მკითხავ, ქორჭილა ყველაფერს მირჩენია, — თქვა ჯომ, — სასაცილო კია: ქორჭილას რომ იტყვი, ზედაც არ უყურებენ, ზღვის წიწილებს რომ დაუძახებ, მუშტრებს ვერ აუღიხარ. არადა ერთი და იგივეა.

— ქალიშვილი როგორა გყავს, ჯო?

— რა ვიცი — ხან თითქოს მოიკეთებს, მერე ისევ ისე გაყვითლდება. მომსპო კაცი.

— ვერ არის კარგი საქმე, ძალიან სამწუხაროა.

— შეველა მაინც შეიძლებოდა...

— მაშა... საწყალი ბავშვი. აგერ პარკი, პირდაპირ ჩაყარე. ჩემი მოკითხვა გადაეცი, ჯო.



თვალი გამიშტერა, თითქოს რალაცაა მოელოდა ჩემგან, რაიმე წამალს.

— გადავცემ, ით, — თქვა მან, — კეტყვი.

ზეირთსაქცევის უკან მიწახაზია მანქანა მუშაობდა — უზარმაზარი ტუმბო ლაფსა და ნიქარებს ქაჩავდა, და მერე პონტონზე გადებული შილი ნაპირზე ჰყრიდა, კუპრით გაღესილი მესრის გადაღმა. მანქანაზე ორნაირი სინათლე ენთო — ლუზისა და მოძრაობისა, ამას გარდა მაღალ კეტზე დამაგრებული ორი წითელი ბურთი იმის ნიშანი იყო, რომ მიწახაზია მუშაობდა. ყვიციანი მზარეული, რომელსაც წინსაფარი აეფარებინა და თავზე თეთრი ქუდი წამოგოსებინა, შიშველი მკლავებით მოაჯირს დაყრდნობოდა, ტუმბოს მიერ აქოთქოთებულ წყალს ჩაშტერებოდა და დრო და დრო აპურკვებდა. ზღვიდან ქარი უბერავდა, რომელსაც ლაფის, დიდი ხნის მკვდარი მოლუსკებისა და დამპალი წყალმცენარეების სუნი მოჰქონდა, არეული დარიჩინით შეზავებულ ვაშლის ღვეზლის საამო სურნელში, რასაც მიწახაზიას ბანზე აცხოზდნენ.

პატარა იახტის აფრებმა ვარდისფრად გაიღვეს ჩამავალი მზის სხივების ანარეკლზე და ხელადვე ჩაქრნენ. მე უკან გამოვბრუნდი, ჩავუარე ძველ იახტკლუბსა და ამერიკული ლეგიონის შენობას, რომლის წინაც ყავისფრად შეღებილი ტყვიამფრქვევები გამოედგათ.

უკვე გვიან იყო, მაგრამ ნავსაბელოთან მაინც გახურებული მუშაობა ჰქონდათ — ცდილობდნენ მოესწროთ და კარს მომდგარი ზაფხულისათვის შეღებილი ნაგები დაეხვედრებინათ. უჩვეულო სიცივეებმა აქამდე გადაადგილნენ ეს საქმე.

ნავსაბელს გავცდი, სარეველათი დაფარული ნაპირი გავიარე, ნავსადგურს გვერდი ავუქციე და მძიმე ნაბიჯით დენის ქოხისაკენ გავემართე. მივდიოდი და ძველი სიმღერის ჰანგს ვუსტენდი: ეს იმ შემთხვევისათვის, დენი თუ არ მოიწადინებდა ჩემთან შეხვედრას.

მაინც ასე მოხდა. ქოხი ცარქველდნენ მიხვდა, მაგრამ მე, თითქოს დამცინა ისე დანამდვილებით ვიცოდი, რომ სადმე აქვე იწვა, შამზნარში, და ირგვლივ მიმოყრილ დიდ მორებს ეფარებოდა. ისიც ვიცოდი, რომ წაიდოდი თუ არა, მაშინვე გამოძერებოდა. ამიტომ ყავისფერი კონვერტი ჯიბიდან ამოვიღე, მის კუბუკიან ლოგინზე დაავადე და სტენითვე გამოვბრუნდი, მხოლოდ ერთის წუთით შევწყვიტე სტენა, რათა მეთქვა „მშვიდობით, დენი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს“, და ისევ სტენით წამოვედი, ქუჩაში გამოვედი, პარლოკი ვადმოვკერი, დიდ სახლებს ჩავუარე, თელის ქუჩაზე გავედი და ჩემს საკუთარ სახლს — პოულეების სახლს მივაღეჭი.

მერი ქარიშხალს ებრძოდა, დინჯად და დამშვიდებით უმკლავდებოდა მის გარშემო ატეხილ გრიგალებს, რასაც ყველაფერი დაენგრია და ახლა ჰაერში ამორიალებდა, ფეხები ფაჩუნებში ჩაეყო და თეთრი ნეილონის პერანგის ამბრა დადიოდა. შალდაბანილი თმა კულულეზად დაეხვია, და ისე ეყარა თავზე, როგორც ძეხვების დიდი მტვევანი. ვეღარ მომიგონებია, უკანასკნელად როდის ვისადილეტ რესტორანში. მაგისი წელი არ მოგვდევდა და გადავიჩიეთ. მერის დატრიალებული ქარცეცხლი ნაწილობრივ ბავშვებსაც მოედო. აჰამა, ასეა, დაბანა, რალაცეები უბრძანა, მერე გააუქმა ეს ბრძანებები და სხვა ბრძანებით შესცვალა... სამზარეულოში საუთოებელი მაგიდა იყო გაშლილი, რაც კი ძვირფასი ტანსაცმელი მეზადა, სულ დაუუთოებინა და სკამების ხარხიხებზე გადაეკიდებინა. ერთი წამით გამოერთობოდა ამ ფაცაფუციდან მერი, საუთოებელთან მიირბენდა და ზედ გაფენილ კაბას გაუსვამდა უთოს. აღლევება ბავშვებსაც გადაედო — უჭირდათ ჰამა, მაგრამ ბრძანებას ვერ გადავიდოდნენ.

ოთხი ეგრეთწოდებული საუკეთესო კოსტუმი მაქვს — ნოქრისთვის ეგვი

ბევრია. სულ სკამებზე იყო გადაფენილი და სათითაოდ შევცხე. ყველას თავისი სახელი ქონდა: ლურჯს—ძველი, ყავისფერს — ჯორჯ ბრაუნი, ნაცრისფერს — დორიან გრეი, შავს — სამგლოვიარო და თავისფერს — დობინი.

— რომელი ჩავეიცვა?! საღამური?

— საღამური? აჰ, არა. ეს ხომ ბანკეტი არაა. თანაც ორშაბათია დღეს. მე რომ მკითხო, ან ჯორჯი ან დორიანი... ჰო, დორიანი ჯობია, საბანკეტოცაა და არცაა საბანკეტო.

— წინწყლებიან ყელსახვევზე რას იტყვი?

— კარგი იქნება.

ელენი ჩაერია:

— მამა რაღა დროს შენი წინწყლებიანია. მოხუცდი კაცი!

— ვინ მოხუცდა? ძალიანაც ახალგაზრდა ვარ, მზიარული და თავქარიანიც.

—სასაცილოდ აგიგდებენ. დაფხვავებულ ყარყატს დაგიძახებენ. კიდევ კარგი, მე არ მოვდივარ.

— ვინ მოგახსენა, მოხუცდილი!

— მოხუცებით არ მოხუცებულხარ, მაგრამ წინწყლებიანი მაინც არ შეგფერის.

— საბაგელი პატარა დოქტრინერი ხარ და მეტი არაფერი.

— თუკი გინდა ყველამ დაგცინოს, მე რა შენაღვლება.

— სწორედ ეგ მინდა. მერი, შენ არ გინდა, რომ ყველამ დამცინოს?

— მოეშვი მამაშენს, უნდა იბანაოს. პერანგი ლოგინზე დაგიდევი.

— მე თითქმის ნახევარი დავწერე ჩემი თხზულება — „მე მიყვარს ამერიკა“, — ეს აღენმა თქვა.

— ასე უნდა. ამ ზაფხულს მუშაობას დაგაწყებინებ.

— მუშაობას?

— ჰო დუქანში.

— ოჰ! — დიდი აღფრთოვანება არ გამოუჩქვადანება.

ელენი რაღაცის სათქმელად მოემზა-

და, მაგრამ როცა შენიშნა, ყურადღებით მისმენენო, აღარაფერზე უთქვამს. მერიმ ოთხმოცდახუთი რამე ჩამოთვალა — რა უნდა გააკეთონ ბაშვებმა ჩვენს არყოფნაში და რა არ უნდა გააკეთონ. მე ზემოთ ავედი, საბაზანოში.

სარკის წინ რომ ვიდექი და ჩემს ერთადერთ ლურჯ წინწყლებიან ყელსახვევს ვიკეთებდი, ელენი კარებს მოადგა და ქალური გესლით მომამახა:

— უფრო ახალგაზრდა რომ იყო, კიდევ ჰო!

— შენმა უბედურმა ქმარმა იკითხოს, თორემ მე რა.

— უფროსი კლასელებიც კი აღარ იკეთებენ ყელსახვევებს.

— პრემიერ მინისტრი მაკმილანი იკეთებს.

— ეგ სულ სხვა საქმეა. მამაჩემს წიგნიდან აწაპნეა უსწავლია.

— გამაგებინე, რას ამბობ!

— ვთქვათ ვინმე, თუნდაც მე, რამეს ვწერ, და წიგნიდან გადმოვიღე მასალა... ამას რა ჰქვია?

— გააჩნია, როგორ გადმოიღებ.

— შენსავეთ არ იყოს, მეც გამაგებინე.

— შენი არ იყოსო, გინდოდა გეთქვა, არა?

— ჰო.

— ვინმეს აზრს თუ გადმოიღებ, წინწყლებში ჩასვამ და ავტორის მიუთითებ, ამით შენს ნამუშევარსაც ღირსება და ავტორიტეტი ემატება. რაც ამერიკაში იწერება, სანახევროდ ციტატებია. ახლა მოგწონს ჩემი ყელსახვევი?

— თუ ის არ დაუსვი... წინწყლები?

— მაშინ ქურდობა იქნება, ნამდვილი ქურდობა. შენ ხომ არ ჩაგიდენია მაგისტანა რამე?

— არა.

— მაშ, რა გაწუხებს?

— ციხეში თუ ჩასვამენ მაგისტის კაცს?

— ადვილი შესაძლებელია... ფულს თუ მიიღებ მაგ ნამუშევარში. ჯობს ერი-

ლო მეგისტანა საქმეს, ჩემო გოგონა. ახლა რას იტყვი ჩემს ყელსახვევზე?

— აუტანელი კაცი გახდი, — მიობრა მან.

— დაბლა ჩასვლას თუ აპირებ, შეგიძლია შენს მშვენიერ ძმას გადასცე. რომ ის საცოდავი მივი მაუსი მოვეტანე, და სირცხვილი შეგას!

— არაფრის მოსმენა არ შეგიძლია სერიოზულად.

— ძალიან კარგადაც შემიძლია.

— არა, არ შეგიძლია. მერე ინანებ.

— მშვიდობით, ლედა, გედს გამოეთხოვე.

ელენი წაყვილდა. მომსპობენ ეს გოგონები. ნამდვილი გოგონები არიან.

ჩემი მერი მშვენიერების განსახიერება იყო, ბრწყინავდა პირდაპირ, მთელი მისი არსება შარავანდს ასხივებდა. თელის ხეივანში რომ გავედით და ხეების თაღქვეშ გავიარეთ, მკლავში ხელი გამიყარა. და, შემიძლია დავიფიცო, ქუჩის ფანრების შუქზე ჩვენი ფეხები ბარიერს მიახლოებულნი ჯიშინი ცხენების სიამაყითა და სილალით მიგვაქანებდა.

— რომში უნდა წაგიყვანო! ეგვიპტე მეტისმეტად პატარაა შენთვის. დიდი სამყარო გვეძახის.

მერიმ ჩაიკუჭკუჭა. მაგრამ, თავს გეფიცები, ამისთანა წაკუჭკუჭება ჩემს ქალიშვილსაც კი პატივს დასდებდა.

— უფრო ხშირად უნდა გამოვჩნდეთ ხოლმე ხალხში, ჩემო ძვირფასო.

— როდის?

— როცა გავმდიდრდებით.

— ეგ როდის იქნება?

— მალე. სამეჯლისო ფეხსაცმელების ტარებას გასწავლი.

— ისე თუ გავმდიდრდებით, რომ ათლოლარიანით მოუყიდო სიგარას?

— ოციანითაც.

— მიყვარხარ.

— კარგი, ქალბატონო! ეს რა წამოგვდათ. გამაწითლეთ კაცი.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ „მთავარი ანძის“ პატარონებმა ქუჩის მხარეს

თაღვანი ფანჯრები გამოსჭრეს და პატარა ოთხკუთხა ჩარჩოებში მხოლოდ მინები ჩასვეს, რათა რესტორანისთვის ნამდვილი ძველი იერი მიეცათ. მისცეს კიდევ, მაგრამ სქელი შუშები საშინლად ამახინჯებდა შიგ მსხდომთა სახეებს. ზოგს ლაყუჩები მოუჩანდა წინ გამოშვერილი, ზოგისა მარტო ვეებერთელა თვალი ჩანდა, მაგრამ ფანჯრის რაფებზე შედგმულ ნემსიწვერის ყუთებთან ერთად, „მთავარი ანძის“ რესტორანს ესეც სიძველის ეშხს მატებდა.

მარჯი უკვე გველოდებოდა, თავით ფეხებამდე სტუმართმოყვარე დისახლისის განსახიერება იყო, მან თავისი მეგობარი გაგვაცნო, ნიუ-იორკელი მისტერ პარტოგი, რომელსაც სახე ერთიანად მზეზე დაწვოდა და კბილები ისე ჰქონდა ჩაწიკწიკებული, უნებურად სიმინდის ტაროს მოგავიწყებდათ. ელოფანის ქალაღში შეხვეულსა და გამოკრულ ნივთს ჰგავდა ეს მისტერ პარტოგი, რასაც კი იტყოდი ყველაფერზე მოწონების სიცილით გაიასუხებდა. საუბარში მისი მონაწილეობა ამით განისაზღვრებოდა, და მე მგონი კარგი ხერხიც ჰქონდა შერჩეული.

— გამარჯობათ, — მიესალმა მერი.

მისტერ პარტოგმა გაიციინა.

— ალბათ თქვენც გეცოდინებათ, რომ თქვენი მეგობარი ჯადოქარია.

მისტერ პარტოგმა გაიციინა. მშვენიერ გუნებაზე დავდგეთ.

— ფანჯარასთან დავუყვეთე მაგიდა. ეგერ, იქ, — თქვა მარჯიმ.

— როგორც ვატყობ, ყვავილებიც კი დაგიკვეთით, მარჯო.

— ცოტათი მაინც ხომ უნდა გადავიხადო თქვენი სიკეთე, მერი.

ასე გაგრძელდა; მანამ მარჯი ჩვენ ჩვენ სკამებზე დავსხამდა, და შემდეგაც.

მისტერ პარტოგი წამდაღწეულ იციინოდა. მართლაც რომ ბრწყინვალე კაცი იყო.

გადავწყვიტე, ერთ სიტყვას მაინც ვათქმევინებ-მეთქი, მაგრამ მერე.

მაგიდას სულ ქათქათი გაუდიოდა, ვერცხლული, რომელიც სინამდვილეში

სულაც არ ყოფილა ვერცხლეული, ვერცხლზე უფრო მეტად ბრწყინავდა.

— მასპინძელი მე გახლავართ, — დაიწყო მარჯიმ, — ესე იგი, უფროსიც მე ვარ. ავდექი და თქვენს დაუქობხავად მარტინი დაუქვეეთე — გინდა მოგეწონოთ გინდა არა.

მისტერ პარტოგმა გაიცინა.

მოგვართვეს მარტინიც, მაგრამ პატარა ჭიქებით კი არა, კაი მოზრდილი სასმისებით, შიგ თითო ნაჭერი ღიმონის კანიც ევდო. პირველმა ყლუპმა ეამპირის ნაგბენივით დაგვწვა პირი და გაგვაბჟუა, მერე კი გატკბა და რბილად და საამურად ჩავიდა ყელში.

— გავიმეოროთ, — თქვა მარჯიმ, საქმელი ხომ ისედაც გემრიელია აქა, მაგრამ ეს უფრო გაგვიგემრიელებს.

სულ იმის ოცნებაში ვარ, ერთი ისეთი ბარი გავხსნა, რომ პირდაპირ მეორე მარტინით დაიწყოს კაცმა ქეიფი. იცოცხლე, გავმდიდრდები-მეთქი. ეს მე ვთქვი.

მისტერ პარტოგმა გაიცინა. მე ჯერ პირველი ჭიქის ღიმონს ვღეჭავდი, როცა კიდევ ოთხი მარტინი მოგვიტანეს.

მეორე მარტინის პირველივე ყლუპმა მისტერ პარტოგს ენა აუხსნა. დაბალი, გუგუნა ხმა ჰქონდა. ასეთი ხმა მსახიობებსა და მომღერლებსა აქეთ, აგრეთვე ისეთი საქონლის კომივოიაჟერებს, რაზედაც ხალხს გული არ მიუღის. ისე, სასთუმლის ხმასაც ეძახიან.

— მისს იანგ-პანტისაგან გავიგე, საგაპრო საქმიანობას ეწვეით თურმე ამ ქალაქში, — თქვა მან, — მომხიბლავი ქალაქია, შეუბღალავი.

მინდოდა მეტქვა, რაში გამოიხატებოდა ჩემი საგაპრო საქმიანობა, მაგრამ მარჯიმ დამასწრო.

— მისტერ ჰოული ამ კუთხის მომავალი ძლიერებაა, — თქვა მან.

— მართლა? მაინც რა საქმიანობას ეწვეით, მისტერ ჰოული?

— ყველაფერს, — განაცხადა მარჯიმ, — სუყველაფერს, მაგრამ როგორც მოგხსენებთ, აშკარად არა. —

თვალეში მთვრალივით, უბრწყინავდა მერის გადავხედე — ემზადებოდა ედებოდა თვალეზზე ბურუსი; მაშინ დავასვენე, რომ ჩვენს თანამესუფრეებს უჩვენოდაც ეყლურწათ ერთი-ორი, ყოველ შემთხვევაში, მარჯის მაინც.

— მისს იანგ-პანტმა ბრძანა და მე როგორღა უარყო, — ვთქვი მე.

მისტერ პარტოგმა კვლავ გაიხსენა თავისი სიცილი.

— მომხიბლავი ცოლი გყავთ. საცა არ უნდა მიხვიდეთ, ბრძოლა სანახევროდ მოგებული გაქვთ.

— სანახევროდ კი არა — მთლიანადაც.

— ითენ, მისტერ პარტოგს ეგონება, თითქოს მუდამ ჩხუბი გვაქვს ერთმანეთში.

— ასეც არის, — ნახევარი ჭიქა ერთბაშად გადავკარი და თვალეზში სითბო მომაწვა. ფანჯრებში ჩასმულ ბოთლის მინებს გავხედე. ერთ-ერთ მათგანს სანთლის გამოსახულება აერეკლა და თითქოს ნელნელა არხევდა. იქნებ თვითშთაგონება იყოს ეს, რადგან კვლავ ჩემივე ხმა მესმოდა, თითქოს საიდანღაც მოდიოდა სიტყვები. — მისს მარჯი აღმოსავლეთის ჯადოქარია. მარტინი სულაც არ არის მარტინი, საწამლავია, — მოციმციმე შუშა კვლავ იტერდა ჩემს მზერას.

— ღმერთო ჩემო, მე კიდევ მუდამ ოზმად წარმომედგინა თავი. აღმოსავლეთის ჯადოქარი ხომ ბოროტი სულია?

— ნამდვილი ბოროტი სული!

— სულ ბოროტი დარჩა?

ფანჯრის მრუდე მინაში კაცი დაინახე, ქუჩის ტროტუარს მიჰყვებოდა. მობრეცილი ჩანდა, მაგრამ ეს კი აშკარად გავარჩიე, რომ თავი მარცხნივ გადაედრო და ფეხებსაც უცნაურად ხლართავდა. დენი დადის ასე. წამოვარდი და დავედევნე. ჩემს წარმოდგენაში ვხედავდი ამას. თელის ხეივანდღე მივსდიე, მაგრამ უცებ გაუჩინარდა, ალბათ რომელიღაც სახლის უკანა ეზოში შეტე-

რა. მე დავუყვირე: „დენი! დენი! ფული დამიბრუნე! თუ ღმერთი გწამს, დამიბრუნე, დენი! სად მიგაქვს, მოწამლულია! მე მოვწამლე!“

სიცილი მომესმა. მისტერ ჰარტოვის სიცილი იყო.

— არა, მირჩვენია, ოზმა ვიყო, — ეს მარჯიმ თქვა.

ტრემლები ხელსახოცით მოვიწმინდე და ვთქვი.

— დაღევით დავლევ ამას, მაგრამ თვალის დასაბანად არ გამოდგება. წვაეს.

— როგორ დავწითლებია თვალუბი! — მითხრა მერიმ.

ალარ დავბრუნებულვარ მათთან, თუმცა ჩემი საყუთარი ხმა მესმოდა, ათას რამეს ვლახობდი და ვყვებოდი, მესმოდა როგორ მხიარულად იცინოდა ჩემი მერი, ამით მივხვდი, რომ ალბათ სასაცილო რამეებს ვყვებოდი, და მოხდენილადაც. მაგრამ დაბრუნებით ველარ დავუბრუნდი სუფრას. მე მგონი, მარჯი მიხვდა ამას. ფარული ინტერესით მიყურებდა, თითქოს მკითხებოდა რაღაცას. ჯანდაბას მისი თავი. ნამდვილი კუდიანია.

არ ვიცი რა ვკამეთ. ალბათ თევზი ვკამეთ, რადგან თეთრი ღვინო დამახსოვდა. ფანჯრის მინა პროპელერით ტრიალებდა. მერე კონიაიცი მახსოვს, ალბათ ყავა დავლიეთ... და ამით დამთავრდა ჩვენი სადილი.

გარეთ რომ გამოვედით, მერი და მისტერ ჰარტოვი დაწინაურდნენ, მარჯიმ მკითხა:

- სად იყავით?
- ვერ გავიგე, რას მკითხებებით?
- თქვენ ხომ სადღაც წახვედით. სუფრასთან იქვეით მხოლოდ და მეტი არაფერი.
- განვედ, კუდიანო!
- კარგი ჩემო ძვირფასო, — მითხრა მან.

შინისკენ რომ გავუხვიეთ, ვცდილობდი ხეთა ჩრდილებში შევლო. მერი

მკლავზე ჩამომეკიდა, ნაბიჯი ოდნავ არეული ჰქონდა.

— რა დრო გავატარეთ! — თქვა მან, — ასე ჩემს დღეში არ მისია მოგვება.

- კარგი დრო გავატარეთ.
- რა სტუმართმოყვარეა მარჯი! ალარ ვიცი, სამაგიერო რითი გადავუხადოთ.

— მართლაც კარგი ქალია.

— შენ, ითენ! ხუმარა რომ ხარ ეს კი ვიცი, მაგრამ დღეს სიცილით დავგვბოცე. მისტერ წითლა ბეიკერის ამბავს რომ მოყვები, მისტერ ჰარტოვმა თქვა, ლამის მუცელზე გავიფხრიწოო.

მაშ წითლა ბეიკერის ამბავსაც მოყვები? ნეტა რომელს? უამისობაც არ იქნებოდა. ო, დენი, დამიბრუნე ის ფული! თუ ღმერთი გწამს, დამიბრუნე!

— თეატრში ვერ იცინებ ამდენს — რომელი მსახიობი შეგედრება! — მითხრა მერიმ. კარებში რომ შევდიოდით, ისე მაგრად მივიკარი, რომ შეჰკივლა, — უი, მთვრალი ზარ, გენაცვალე. ნუ მატკინე! ბავშვებს ნუ გააღვიძებ, თუ ღმერთი გწამს.

გადაწყვეტილი მქონდა: მერი რომ დაიძინებს, შინიდან გამოვძვრები, დენისთან მივალ ქოხში, თუ არ დამიხვდა, დავძებნი, პოლიციასაც კი გამოვიყვანებთქი. მაგრამ არა. მე ხომ ვიცი, რომ დენი აქ ალარ იქნება. წავიდა დენი. ვიწვექი სიბნელეში და ჩემს დანამულ თვალეზში მოცურავე პაწაწინა წითელ და ყვითელ ლაქებსა ვკვრტდი. მე ხომ ვიცი, რა გავაკეთე, და დენიმაც გაიგო. კურდღლების დახოცვა გამახსენდა. იქნებ მხოლოდ პირველად იყოს ასე ძნელი. თვალი უნდა გაუსწორო. საქმესა და პოლიტიკაში კაცმა გზა უნდა გაიკაფოს და გაიკვლიოს, ხალხი გვერდზე მიყარ-მოყაროს, თორემ ისე სანუგეარ მწვერვალს ვერ მიადწევს. იქ რომ ავა, სვიანიც ვახდება და გულმოწყალეც. მაგრამ ჯერ ხომ უნდა ავიდეს.



პირველი ნომერი

რუსთველიანას ვიდეო

საქართველო საინფორმაციო ანგარიში
ახალი დასაბუთება

შესავალი

I. რუსთველის საკითხი. — II. იერუსალიმის ამოცანები. —
III. ორი ნოტიო იერუსალიმიდან. — IV. რას შეტყვევებს
იერუსალიმის მასალები. — V. გამოკვლევის საგანი.

I

რუსთველის საკითხი.

ჩვენს მონოგრაფიაში შოთა რუსთველის შესახებ, რომელიც რუსთველის საიუბილეოდ გამოქვეყნდა, ვწერდით, რომ არის ერთგვარი მსგავსება საშუალო საუკუნეთა უდიდესი პოეტური გენიის შოთა რუსთველის ბედსა და ახალი ეპოქის უდიდესი გენიოსის შექსპირის ბედს შორის.

შექსპირი თითქმის ჩვენი თანამედროვეა, მაგრამ მისი ვინაობის საკითხი მაინც სადაოდ არის ქცეული და დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იყო უკვდავი შემოქმედი ჰამლეტისა, — მსახიობი სტრატფორდიდან, რეტლენდი, ბეკონი, თუ კიდევ სხვა ვინმე. მკვლევართა შორის მეტი თანხმებაა, მაგალითად, უძველესი ხანის მეორეხარისხოვანი ანგლოსაქსონელი მწერლების შესახებ, ვიდრე ბრატანეთის უდიდეს გენიაზე შექსპირზე, რომლის ცხოვრება თითქმის ჩვენ დროს, უახლოეს საუკუნეებს, ბეჭდვითი სიტყვის ხანას ეკუთვნის.

ანალოგიურია რუსთველის ბედი.

შოთა რუსთველი თუმცა აღრინდელი მწერალია შექსპირთან შედარებით, მაგრამ რუსთველის ცხოვრება ეკუთვნის საქართველოს ძველი ისტორიის ყველაზე ბრწყინვალესა და ამასთან ყველაზე ცნობილს ხანას, მე-12—13 საუკუნეებს, ეპოქას, რომელიც საქართველოს ძველ ისტორიაში „ოქროს ხანის“ სახელწოდებით არის ცნობილი. მართალია, მე-12—13 საუკუნეთა შემდეგ საქართველომ რამდენჯერმე განიცადა პოლიტიკური კატასტროფა და ამის გამო ძველი საქართველოს კულტურული და სალიტერატურო მემკვიდრეობა ნაწილობრივ ფრაგმენტული სახით არის მოღწეული; მაგრამ მაინც ამ ეპოქაზე, მე-12—13 საუკუნეთა საქართველოზე, შედარებით მეტი ვიცით. მთელი რიგი ჩვენ დრომდე გადარჩენილი ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები გვაძ-

ლევს საშუალებას ახლო გავითვალისწინოთ მე-12—13 საუკუნეთა საქართველოს ისტორიული გარემო, აღვადგინოთ ეპოქის სურათი.

მაგრამ უდიდესი ადამიანი ამ ეპოქისა — შოთა რუსთველი — დღემდე ჩრდილში იყო დარჩენილი. ცნობები მის შესახებ ცოტა შესახულა; ანუ, უფრო სწორად, ცნობები თუმცაღა მოიპოვება, მაგრამ ეს ცნობები არ იყო სათანადოდ ამოცნობილი.

ისევე როგორც დასავლეთის ლიტერატურაში არსებობს „შექსპირის საკითხი“, ქართულ ლიტერატურაში არსებობდა და დღემდე არსებობს „რუსთველის საკითხი“. ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობა, და მასთან დაკავშირებით ზოგიერთი სხვა საკითხიც პოემის შესახებ, საკამათოდ იყო ქცეული.

ჩვენ შრომაში „რუსთველიანი“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა, ჩვენ შევეცადეთ ამოგვეხსნა რუსთველის ვინაობის საიდუმლოება.

რუსთველი აღმოჩენილ იქმნა მას შემდეგ, რაც ამოვშიფრეთ ცნობები, რომელიც დაკულია ერთს ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში („ქამთა-აღმწერელოპა“), რამაც მოგვცა დასაყრდენი შოთა რუსთველის პიროვნების ამოსაცნობად.

ცნობები ამ ძირითადი საისტორიო წყაროსი — „ქამთა-აღმწერელობისა“ (რომელიც მე-14 საუკუნის შუა წლებს ეკუთვნის), და ამის გვერდით ის ჩვენებანი, რომლებსაც იძლევა ვეფხისტყაოსნის პროლოგი და თვით პოემის ტექსტის რეალიები, აგრეთვე მთელი რიგი ფრაგმენტული ცნობები, რომლებიც შერჩენილა სხვადასხვა ძველ-ქართულ ძეგლებში, — ყველა ამ წყაროების ჩვენებანი ერთნაირი და ავსებენ ერთი-მეორეს; ანალიზი ამ წყაროებისა იძლევა საშუალებას ამოვიცნოთ პოეტის ვინაობა, — აღვადგინოთ მთავარ ხაზებში პოეტის ბიოგრაფია და გადავწყვიტოთ თვით შოთას პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები.

ვინ იყო შოთა რუსთველი?

„რუსთველიანაში“ დადგენილ ჩვენებათა თანახმად, შოთა რუსთველი არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12—13 საუკუნეთა შორის პერეთის ბაგრატიონი.

ბაგრატიონთა გვარეულობა, როგორც ცნობილია, რამდენიმე შტოდ განიყოფებოდა. ძირითადი შტო იყო ქართლ-მესხეთის ბაგრატიონნი; ბაგრატიონთა ამ ძირითადი შტოდან მომდინარეობდა გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს დინასტია.

ერთ-ერთი შტო ბაგრატიონთა გვარეულობისა იყვნენ პერეთის ბაგრატიონნი, ძველნი მფლობელნი პერეთის ქვეყნისა. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, პერეთის ბაგრატიონნი არიან, დავით აღმაშენებლის დროიდან მოკიდებული, ერისთავთ-ერისთავნი პერეთის მხარისა (1117 წლიდან); ხოლო თამარის ეპოქაში, 1192-3 წელს, პერეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში გადადის აგრეთვე პერეთის სანაპირო მხარის რუსთავის სამფლობელო.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ აგრეთვე შემდეგი. როგორც ცნობილია, ძველ-ქართულ ფეოდალურ გვარეულობათა შორის მიღებული იყო ეგრეთწოდებული საგვარეულო სახელები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ გვარში გვხვდება (ასეთი საგვარეულო სახელებია, მაგალითად, თორელ ერის-

თავთა გვარეულობაში — სახელი კახა, სამცხის ერისთავთა ციხისგვარეულობაში — სახელი ყვარყვარე, და ასევე მთელ რიგში გვარეულობათა შორის). ჰერეთის ბაგრატიონთა გვარში ასეთი საგვარეულო სახელია შოთა. სახელმა შოთა ფართო გავრცელება მიიღო საქართველოში ვეფხისტყაოსნის ავტორის შოთა რუსთველის შემდეგ, მისი პოემის ვეფხისტყაოსნის საქვეყნო პოპულარობის გამო. ხოლო ვეფხისტყაოსნის უწინარეს ხანაში სახელი შოთა ჩვენ გვხვდება ფეოდალურ გვარეულობათაგან მხოლოდ ჰერეთის ბაგრატიონთა გვარში. ასე, მე-12—13 საუკუნეებში ამ სახელს ატარებენ:

შოთა (I) ჰერეთის ბაგრატიონი, მთავარი ჰერეთისა მე-12 საუკუნის დასაწყისში (მოიხსენება 1117 წელს);

შოთა (II) ჰერეთის ბაგრატიონი, მონაწილე დემნას აჯანყებისა 1177 წელს;

შოთა (III) ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა, რომელიც, როგორც დადგენილი გვაქვს „რუსთველიანაში“, არის იგივე შოთა რუსთველი — ავტორი ვეფხისტყაოსნისა.

სახელწოდება „რუსთველი“ შოთას მიუძღვია რუსთავის სამფლობელოდან. აქ საჭიროა ვიცოდეთ ამასთან, რომ რუსთავის სამფლობელო XII—XIII საუკუნეებში ერთი იყო; ამრიგად, ამ ეპოქაში შეუძლებელია ყოფილიყო სხვა შოთა რუსთველი, გარდა ზემოთ-მოხსენებული ისტორიული პირისა—შოთა ჰერეთის ბაგრატიონისა, რომელიც ფლობდა რუსთავს XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე.

რომ შოთა რუსთველი, ავტორი ვეფხისტყაოსნისა, ეკუთვნოდა უმაღლეს არისტოკრატის, და, როგორც ირკვევა, თვით სამეფო გვარეულობის შტოს, ამას ეთანხმება ვეფხისტყაოსნის რეალები და პირველ რიგში ვეფხისტყაოსნის პროლოგი. ამ საგანზე დაწერილებით საუბარი გვაქვს „რუსთველიანაში“ (შეითხველმა მოიგონოს მაგალითისათვის პოემის შესავალის სტროფები, სადაც პოეტი მიმართავს თამარს, როგორც თანასწორი თანასწორს).

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ პოეტი შოთა რუსთველი არის ცნობილი ისტორიული პირი მე-12—13 საუკუნეთა — შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ახალი შექი მოეფინა თვით ვეფხისტყაოსნის ძირითად ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებს. ამან მოგვცა საშუალება ამოგვეცნო ისტორიული ფონი პოემისა, მისი ისტორიული ქარგა, ამოგვეშიფრა პოემაში წარმოდგენილი მთელი რიგი ისტორიული რემინისცენციები. კერძოდ პოემაში მოთხრობილი ისტორია ინდოეთის სამეფო გვარეულობის ორი შტოსა, რომელთაგან უფროსი შტოს წარმომადგენელი არის მეფეთ-მეფე ინდოეთისა, ხოლო იმავე სამეფო გვარეულობის მეორე, უმცროსი შტოს წარმომადგენელი არის მეფე ინდოეთის ერთი ნაწილისა, „მეშვიდე“ სამეფოსი, საესეებით იდენტირია საქართველოს სამეფო გვარეულობის ორი შტოს ისტორიასთან. აქ ჩვენ გვაქვს არა ზოგადი შეხვედრა ცალკეულ ხაზებში, არამედ სრული იდენტივობა ყველა დეტალში. — იხ. ამ საგანზე დაწერილებით „რუსთველიანაში“.

ასე, შეადარეთ:

1. „ინდოეთს შვიდსა სამეფოს ყოელი კაცი ხართ მცნობელი“ — მოგვითხრობს შოთა (იხ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 311). საქართველოს სახელმწიფოს მე-12—13 საუკუნეთა საისტორიო წყაროებში ეწოდება „შვიდსამეფოდ განწესებული“ (ისტორიულად მე-12—13 საუკუნეთა საქართვე-

ლოს დიდი სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა ქვეყნებს ნიკოფსეიდის დინასტიის ბანდამდე, შვიდი ძველი სამეფოს გაერთიანებას წარმოადგენდა). შიგლინიოთიქსა

2. ინდოეთის შემადგენელი „შვიდი სამეფო და“ ექვსი სამეფოს მფლობელი არის ფარსადანი, ზოლო მეშვიდე სამეფოს ფლობს სარიდანი, მამა ტარიელისა; ორივენი, როგორც მეფეთ-მეფე ინდოეთისა („ექვსი სამეფოს“ მფლობელი), ისე მეფე „მეშვიდე სამეფოსი“, ერთსა და იმავე გვარეულობას ეკუთვნიან. („თვით ჩემივე გვარი არსა“ — ამბობს სარიდანის მემკვიდრის ტარიელის შესახებ მეფეთ-მეფე ინდოეთისა ფარსადანი; იხ. ვეფხისტყაოსანი, სტროფი 318). — საესებით ასეთივე სურათი გვაქვს საქართველოში მე-12 საუკუნისათვის: „შვიდ სამეფოდ განწესებული“ საქართველო მე-12 საუკუნის დასაწყისში გაერთიანებულია ერთ სახელმწიფოდ სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფის მფლობელობის ქვეშ; ზოლო ერთი ნაწილი საქართველოსი, — უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართული სამეფო ჰერეთის მხარისა („მეშვიდე სამეფო“), — არაა გაერთიანებული სრულიად საქართველოს სახელმწიფოსთან. როგორც საქართველოს სახელმწიფოში, ისე მის ცალკე ნაწილში („მეშვიდე სამეფოში“) მეფობს ერთიდაიმავე ბაგრატიონთა გვარეულობის ორი შტო.

3. შემდგომი საბოლოო გაერთიანება ინდოეთის ნაწილისა („მეშვიდე სამეფოსი“) სრულიად ინდოეთის სახელმწიფოსთან ხდება ნებაყოფლობით. სარიდანი, მეფე ინდოეთის „მეშვიდე სამეფოსი“, აღიარებს სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის სიუზერენიტეტს; ასე მთავრდება, მშვიდობიანი გზით, გაერთიანება ინდოეთის ქვეყნებისა. — ასეთივე სურათი გვაქვს მე-12 საუკუნის საქართველოში. მე-12 საუკუნის 10-იან წლებში (1117 წელს) სრულიად საქართველოს სახელმწიფოს უერთდება უკანასკნელი დამოუკიდებელი ქართული სამეფო ჰერეთის მხარისა („მეშვიდე სამეფო“), რომლის უკანასკნელი მეფე იყო ასათ I გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონი (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ჰერეთის ამ უკანასკნელი მეფის თანამმართველი იყო მისი ძმა, რომელიც შოთას სახელს ატარებდა, — შოთა I გრიგოლის ძე).

4. მას შემდეგ, რაც ინდოეთის „მეშვიდე სამეფოს“ მფლობელმა სარიდანმა აღიარა სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის სიუზერენიტეტი, იგი ისევ რჩება მთავარ ხელისუფლად თავის ქვეყანაში. თუმცა სარიდანი აღარ არის ამის შემდეგ „კეისარი“ (სუვერენი ხელმწიფე), სხვა მხრივ იგი არის „პატრონი“ თავის ქვეყნისა, მხარის უზენაესი გამრიგე ხელისუფალის — ერისთავთ-ერისთავის უფლებებით: „სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა“ (იხ. სტროფი 316). — საესებით ანალოგიურია ჰერეთის ბაგრატიონთა მდგომარეობა ჰერეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ. ჰერეთის ბაგრატიონნი ისევ რჩებიან მთავარ ხელისუფლად ჰერეთის ქვეყანაში; და თუმცა ისინი აღარ არიან ამის შემდეგ „კეისარი“ (სუვერენი ხელმწიფე), სხვა მხრივ ისინი არიან „პატრონი“ თავისი ქვეყნისა, მხარის უზენაესი გამრიგე ხელისუფალის — ერისთავთ-ერისთავის უფლებებით.

5. ამას ერთვის აგრეთვე შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: გარდა იმისა, რომ „მეშვიდე სამეფოს“ ყოფილი მეფე სარიდანი დატოვებულ იქმნა მთავარ ხელისუფლად (ერისთავთ-ერისთავად) თავის ქვეყანაში, იგი ამავე დროს დანიშნულ იქმნა აგრეთვე ვაზირად სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფის კარზე; მას მიენიჭა ვაზირის, „ამირ ხარის“ თანამდებობა.

„ამირბარი“ (სიტყვა-სიტყვით „სახლთ-უზუცესი“) სამეფო „სახლის“ („კარის“) ვაზირი იყო (ამ სავაზირო თანამდებობის აღსანიშნავად ძველ საქართველოში სამი ტერმინი არსებულა, აღნიშნულ ხანაში უფრო გავრცელებული იყო ტერმინი „მანდატურთ-უზუცესი“, მაგ.

რამ ამის გვერდით მიღებული ყოფილა პარალელურად „ამირბარი“ და „სახლთ-
უხუცესი“. უფრო გვიან ხანაში ტერმინმა „სახლთ-უხუცესი“ შეცვალა ტერმინებმა
„მანდატურთ-უხუცესი“ და „ამირბარი“.

ასევე, აგრეთვე, ჰერეთის ბაგრატიონნი: გარდა იმისა, რომ ისინი არიან
მთავარი ხელისუფალნი (ერისთავთ-ერისთავნი) თავის ქვეყანაში, მათ უჭირავთ
ვაზირის თანამდებობა სრულიად საქართველოს მეფეთ-მეფის კარზე (ხან ვაზი-
რის „მანდატურთ-უხუცესისა“ ანუ „ამირბარისა“; ხან ვაზირის
„მეჭურჭლეთ-უხუცესისა“). „რუსთველიანაში“ ჩვენ დადგენილი
გვექონდა, რომ შოთას პაპამ, ასათ II გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონმა,
1192-3 წელს, რუსთავის სამფლობელოსთან ერთად, მიიღო აგრეთვე „სასთა-
ული“, დაინიშნა ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად. ხოლო ამჟამად
ირკვევა, რომ თვით შოთაც ვაზირი ყოფილა, მეჭურჭლეთ-უხუცესი;
მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

აქ საქირთა შევჩერდეთ აგრეთვე შოთა ჰერეთის ბაგრატიონის ცხოვრე-
ბის თარიღებზე. შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა
და რუსთავისა, როგორც ირკვევა წყაროებიდან, დაბადებულა 1166 წლის
ახლო, ხოლო გარდაცვლილა 1250 წლის ახლო, ღრმად მოხუცებული, 80 წელს
მიწვენილი. აქაც, ქრონოლოგიურის რკალით, ჩვენ გვაქვს დამთხვევა პოეტის
შოთა-რუსთველის ცხოვრების ხანასთან. შოთა რუსთველი თანამედროვე იყო
თამარისა (თამარი დაიბადა 1170 წლის ახლო; გამეფდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა,
1184 წელს; გარდაიცვალა 1212 წელს); პოეტს თამარის შემდეგ ხანაშიაც უც-
ხოვრია და ღრმა სიბერემდე მიუღწევია. რომ შოთამ დიდ სიბერემდე მიაღწია,
ამის შესახებ დაცულია პირდაპირი გადმოცემა ძველქართულ მწერლობაში,
ამაზე მოგვიხსობენ ალორძინების ხანის პოეტები სერაპიონ სოგრატი-ძე
კედელაური (მე-15 — 16 ს.) და თეიმურაზ I (მე-17 ს.). (აღსანიშნავია
აგრეთვე, რომ იერუსალიმურ ფრესკაზედაც, რომლის შესახებ ქვემოთ გვაქვს
საუბარი, რუსთველი ღრმად მოხუცებული არის წარმოდგენილი).

შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთა-
ვისა (რომელიც, როგორც ირკვევა, არის იგივე პოეტი შოთა რუსთველი),
საისტორიო წყაროების ჩვენების თანახმად, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვა-
წე ყოფილა, დიდად დამსახურებული სამშობლო ქვეყნის წინაშე. მე-13 საუკუ-
ნის 30-იან და 40-იან წლებში, საქართველოს ძნელბედობის ხანაში, როდესაც
საქართველო, მონგოლთა შემოსევის გამო, დიდი განსაცდელის წინაშე დადგა,
შოთა, სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად, ღირსეულად ხელმძღვანელობდა
საქვეყნო საქმეებს.

ასე, ძველი ქართველი ისტორიკოსი ყამთა-აღმწერელი გადმოგვცემს, რომ
მე-13 საუკუნის ოცდაათიანი წლების დასასრულს, როდესაც სახელმწიფო თათ-
ბირზე გადაწყდა ზავის ჩამოგდება მონგოლებთან, მოლაპარაკების საწარმოებ-
ლად გაგზავნილ იქმნენ ოთხი ქვეყნის მოთავე მთავრები, შოთა, და მასთან ერ-
თად სამი ვაზირი.

შემდეგ შოთამ და სხვა ქართველმა დიდებულებმა წაიყვანეს მონგოლთა
ურდოში საქართველოს მემკვიდრე უფლისწული დავით რუსუდანის ძე, რათა
გამოეთხოვათ მონგოლებისაგან დავითის საქართველოს მეფედ დამტკიცება.

შოთა, ცოტნე დადიანთან ერთად, არის მთავარ მონაწილეთა შორის დიდი
შეთქმულებისა, რომელიც მოაწყვეს ქართველმა პატრიოტებმა მონგოლთა წი-
ნააღმდეგ (კოხტის-თავის შეთქმულება), რაც შოთას მამულიშვილური თვედადუ-
ბისა და გმირობის შარავანდელით მოსახს.

„რუსთველიანა“, როგორც მოვიხსენიეთ, 1926 წელს გამოქვეყნდა 35 წლის შემდეგ, ჩვენ დიდის მღელვარებით ისევ ვიღებთ კალამს „რუსთველიანას“ ეპილოგის დასაწერად.

უკანასკნელ პერიოდში იერუსალიმიდან მიღებულ იქმნა დიდად მნიშვნელოვანი ახალი მასალები, რომელთაც თავის მხრივ აგრეთვე დაადასტურეს „რუსთველიანაში“ წარმოდგენილი დებულება, რომ პოეტი შოთა რუსთველი, ავტორი ვეფხისტყაოსნისა, არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12 — 13 საუკუნეთა შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა, იგივე რუსთველი.

აი ამ საგანზე გვექნება ჩვენ აქ საუბარი.

II

იერუსალიმის ორი ამოცანა

რუსთველოლოგიაში ბოლო დრომდე არსებობდა ორი გაუხსნელი ამოცანა. პირველი: გაურკვეველი იყო, თუ რას წარმოადგენდა იერუსალიმის ჭვარის ქართულ სავანეში დაცული შოთას ფრესკა, რომელსაც შოთა რუსთველისად მიიჩნევდნენ; გაურკვეველი იყო ამასთან ისიც, თუ როგორ იკითხებოდა წარწერა, რომელიც თან ახლდა ამ ფრესკას. (პროფ. ალ. ცაგარელის მიერ 1883 წელს გადმოღებული პირი ამ წარწერისა დიდ გაუგებრობას იწვევდა, და როგორც შემდეგ გამოირკვა — არ ყოფილა სწორად ამოხსნილი).

მეორე ამოცანა: გაურკვეველი იყო, თუ რა დროს ეკუთვნის მოსახსენებელი შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესისა, შეტანილი იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის სამონასტრო მატიანეში („ალაბთა“ წიგნში), არის თუ არა ეს შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი და შოთა რუსთველი ერთი და იგივე პირი.

ჩვენ აქ წინასწარ გავაცნობთ მკითხველს საკითხთა ისტორიას.

1

ადრინდელი ცნობები შოთას ფრესკისა და მასთან დართული წარწერის შესახებ.

პირველი ცნობა იერუსალიმის ჭვარის ქართულ სავანეში დაცული შოთას ფრესკის შესახებ ეკუთვნის მე-18 საუკუნის ცნობილ ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს, რომელმაც 1755 — 1759 წლებში მოიხილა და აღწერა ქართული კულტურის ძველი კერები საბერძნეთსა და პალესტინაში, და კერძოდ დაწვრილებით აგვიწერა ქართული სიძველენი იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანისა.

ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ წერს, რომ ოდეს „ჭვარის მონასტერი დაძველებულა“ — „გუმბათს ქვეითნი სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთველს, მეჭურჭლეთ-უხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“¹.

აღსანიშნავია, რომ ტიმოთე, კლერიკალურად განწყობილი მწერალი, უარყოფითად ეკიდება შოთას და აღნიშნავს, რომ შოთა იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბიღწება და

¹ იხ. ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსვლა, 1956 წელი (ელ. პეტრეველის რედაქტორობით), გვ. 80.

განრყვნა ქრისტიანობა“; თან უმატებს, რომ „უწინარეს ჩვენსა, უმეტესად საღმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“¹.

ტიმოთე გაბაშვილი, თავის შრომაში, გარდა ზემოთ-მოყვანილი ადგილისა, კიდევ ორჯერ მოიხსენებს შოთა რუსთველის ფრესკას; ერთ შემთხვევაში წერს: „მუნ (ჯვარის ტაძარში) ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ-უხუცესი“². მეორეხელ: „მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჭურჭლეთ-უხუცესი, ბოროტი მეღვჳსე“³.

ტიმოთე გაბაშვილის ამ ცნობათა გამო ჩვენ ჯერ შევჩერდებით ერთ საკითხზე.

ტიმოთე გაბაშვილი, როგორც ვხედავთ, მოიხსენებს შოთა რუსთველს როგორც მეჭურჭლეთ-უხუცესს. რაზედ ემყარება ტიმოთე გაბაშვილი, როდესაც იგი ითვლებს შოთა რუსთველსა და შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესს?

როგორც ცნობილია, ჯვარის ქართული სავანის სამონასტრო მატრიანეში („ალაბთა“ წიგნში) მოიხსენება შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი, მაგრამ მას არ ეწოდება რუსთველი. იგი აქ დასახელებულია მხოლოდ როგორც „შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი“, ზედწოდება რუსთველის დაურთველად.

ამავე დროს ჯვარის მონასტრის ფრესკაზე შოთას არ ეწოდება შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი, არამედ „შოთა“, „რუსთველი“.

არის კი ეს ორი შოთა ერთი და იგივე პირი? ეს საკითხი სადავოდ იქცა რუსთველოლოგიაში.

თუ კი ჩვენ გვჭონოდა ზუსტი ჩვენება იმის შესახებ — რა დროის მოღვაწე იყო შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესი, თუ გამოირკვეოდა, რომ იგი მე-12—13 საუკუნეთა მოღვაწეა, რომ ხსენება მის შესახებ შეტანილია სამონასტრო მატრიანეში („ალაბთა“ წიგნში) მე-12—13 საუკუნეთა ხელით, მაშინ საკითხის გადაჭრა გაადვილდებოდა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ თვით ხელნაწერი დედანი „ალაბთა“ წიგნისა, რომელიც იერუსალიმშია დაცული, არ აღმოჩნდა ხელმისაწვდომი მკვლევართათვის, მის შესახებ მხოლოდ ნ. მარის 1914 წლის გამოცემის მიხედვით მსჯელობდნენ; ხოლო ეს გამოცემა არ იძლევა ჩვენებას იმის შესახებ, თუ რა დროს არის ჩაწერილი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ ტექსტი ამ ისტორიულ დოკუმენტში. ამიტომაც საკითხი შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის ეპოქის შესახებ საცილობელი ვახდა.

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორც აკად. კორნელი კეკელიძე, „ალაბთა“ წიგნის ქრონოლოგიის საკითხთა გამო იმ აზრს გამოსთქვამდა, რომ ჯვარის მონასტრის ამ საისტორიო ძეგლში არ არის მოხსენებული არც ერთი მოღვაწე, რომელიც მე-13 საუკუნის მეორე ნახევარზე აღზინდელ დროს ეკუთვნოდეს (გარდა ნიკოლოზ გულაბერისძისა, რომლის ხსენებაც, კ. კეკელიძის აზრით, აგრეთვე გვიან არის ჩაწერილი „ალაბთა“ წიგნში). რაც შეეხება შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის მოსახსენებელს, იგი, კ. კეკელიძის დასკვნით, მე-14 საუკუნეზე აღზინდელ დროს არ ეკუთვნის⁴.

დაეჭვება იერუსალიმის ამ ამოცანის გამო ამაზე არ დასრულებულა. დაიბადა აზრი, რომ იერუსალიმის შოთა რუსთველის ფრესკა ლეგენდის საფუძველზეა დახატული და ამ ლეგენდის წარმოშობას ვითომც ხელი შეუწყო

¹ იქვე, გვ. 80.

² იქვე, გვ. 82.

³ იქვე, გვ. 123.

⁴ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 25, სქ. 1.

ჯვარის მონასტრის „ალაპთა“ წიგნში დაცულმა ცნობამ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ. გვიან ხანაში ვითომც ივარაუდეს, რომ ეს უცნობი შოთა მეჭურჭლეთუხუცესი (რომელიც კ. კეკელიძეს მე-14 საუკუნის მოღვაწედ მიაჩნია) თითქო არისო პოეტი შოთა რუსთველი; საუკუნეთა მანძილზე ეს ლეგენდა ვითომც განმტკიცდა და რომ ამ ლეგენდის მიხედვით მე-17 საუკუნეში, 1643 წელს, როდესაც ჯვარის მონასტრის მხატვრობა განაახლა ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა, ვითომც პირველად დახატეს შოთას სურათი ჯვარის მონასტერში.

ყოველივე ეს უნიადაგო ფანტაზია იყო, რასაკვირველია. სინამდვილეში, როგორც ეს შემდეგ ზუსტად იქნება შემოწმებული, შოთა მეჭურჭლეთუხუცესი არის იგივე შოთა რუსთველი, და იერუსალიმის ფრესკა ავთენტურია, იგი წარმოგვიდგენს ჩვენს დიადს პოეტს მოხუცების ეპოს.

მაგრამ განვავარძოთ ძიება.

ტიმოთე გაბაშვილის შემდეგ, მეორე ცნობა შოთას ფრესკის შესახებ ეკუთვნის ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, რომელმაც მოიხილა ჯვარის მონასტერი 1845 წელს.

იგი წერს:

„ეპოსა ყოფისა ჩვენისასა ქალაქსა იერუსალიმს, 1845 წელსა, მაისის 3—4-ს და შემდეგცა რაოდენგზისმე წავედით მოხილვად ჯვარის მონასტრისა...“; ნ. ჩუბინაშვილი აგვიწერს ჯვარის ეკლესიის მხატვრობას, და კერძოდ შოთას ფრესკის შესახებ (რომელიც დახატული ყოფილა ეკლესიის ერთ-ერთ სვეტზე, მაქსიმე აღმსარებელისა და იოვანე დამასკელის სურათებს შორის) იგი გადმოგვცემს:

„დახატულნი არიან: წმ. მაქსიმე და იოვანე დამასკელი; ამათ შუა მუხლზედ მდგომი მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა; თავზედ ხურავს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძალა შემოდებული; მწვანე კაბა, წითელი სარტყელი, და ზეიღამ ასხია ჯივრის ფერი ხირღა საერისკაცო, თეთრის სამხრითა; ამას აწერია: ამისსა დამხატავს შეუღდოს ღმერთმან ამინ. შოთა რუსთველი“.

წარწერის ტექსტი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ნ. ჩუბინაშვილს არა აქვს სწორად მოყვანილი; იმისათვის, რომ გაეაზრებია ბუნდოვანი ტექსტი, ნ. ჩუბინაშვილს გადაუსხამს სიტყვები. მაგრამ ამ საგანზე ქვემოთ.

ნ. ჩუბინაშვილის ცნობა შოთას ფრესკის შესახებ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივ, რომ აქ მოცემულია შოთას ჩაცმულობის აღწერილობა. შოთა წარმოდგენილი ყოფილა ფრესკაზე არა როგორც ბერი (როგორც ამას შემდეგ ზოგი ვარაუდობდა), არამედ როგორც ერისკაცი, დიდებულთა წრის მდიდრულ საერისკაცო სამოსელში.

მესამე ცნობა შოთას ფრესკისა და მასთან დართული წარწერის შესახებ ეკუთვნის პროფ. ალ. ცაგარელს, რომელმაც იმოგზაურა ქართული სიძველეების შესასწავლად პალესტინაში და სინას მთაზე 1883 წელს. თავის ცნობილ შრომაში „Памятники грузинской старины на св. Земле и на Синае“ ალ. ცაგარელი ასე აგვიწერს შოთას ფრესკას:

„Поэт стоит на коленях между св. мучеником Максимом и св.

Иоанном Дамаскиным, автором высокопоэтических духовных песнопений, руки приподняты вверх и лицо поэта обращено к Иоанну Дамаскину... Изображение это, правда, 1643 года, но весьма вероятно, что оно было и до 1643 года, так как монастырь был и до этого расписан. Поэт нарисован в одеянии грузинского вельможи средних веков, а не духовного лица, следовательно рассказ о том, что поэт постригся в монахи, не находит подтверждения¹.

შრომის ბოლოს დართულ თავში „Палестинские надписи“ ალ. ცაგარელს მოჰყავს ქართული ტექსტი წარწერისა, რომელიც თან ახლავს შოთას ფრესკას; იგი წერს:

„...Над изображением поэта XII века Руставели, церковно-строчными буквами читается надпись:

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთაველი“.

„Расписавшему сей (храм) Шоте да простит Бог (грехи), аминь. Руставели“².

წარწერის ტექსტი ვერც ალექსანდრე ცაგარელს ამოუხსნია სწორად. ალ. ცაგარელის გადმოცემაში უწესრიგოდ არის გაერთიანებული ორი სხვადასხვა ტექსტი ერთი გადამხული ტექსტის სახით.

თუ როგორია ნამდვილი სახე წარწერისა, ამის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი.

აქ კი აღვნიშნავთ, რომ ალ. ცაგარელის ამ შეცდომამ, შეიძლება ითქვას, საბედისწერო როლი ითამაშა რუსთველოლოგიაში; ალ. ცაგარელის არა სწორმა წაკითხვამ გააძლიერა უსაფუძვლო ეჭვი, რომ შოთა რუსთველისად მიჩნეული პორტრეტი შესაძლოა არც კი არისო რუსთველისა, არამედ სხვა ვინმე შოთასი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რუსთველთან, ვეფხის-ტყაოსნის ავტორთან.

ამ ეჭვის საფუძველი გახდა უცნაური სახე წარწერისა, წარმოადგენილი ალ. ცაგარელის მიერ. წარწერა, ალ. ცაგარელის გამოცემის თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, ვითომც ასე იკითხება:

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთველი“.

აქ გაუგებრობას იწვევდა და ეჭვს ბადებდა ის გარემოება, თუ რისთვის უნდა იყვეს დაცილებული სიტყვა „რუსთველი“ სიტყვას „შოთა“, რისთვის არის სიტყვა „რუსთველი“ წინადადების ბოლოს მიწერილი. ფრაზის ბუნებრივი წყობის თანახმად წინადადება, ცხადია, ასე უნდა ყოფილიყო დალაგებული:

„ამისა დამხატავსა შოთას რუსთველსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“ (და არა ამრიგად: „ამის დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთველი“).

აი ამ გარემოებამ, რომ სიტყვა „რუსთველი“ სრულიად უადგილოდ არის მიკერძებული წინადადების ბოლოს, გამოიწვია ეჭვი, რომ სიტყვა „რუსთველი“ შემდეგ უნდა იყვესო მიწერილი. ამის თანახმად, წარწერას თავდაპირველად ასეთი სახე უნდა ჰქონოდა: „ამის დამხატავსა შოთა(ს) შეუნდენს ღმერთმან, ამინ“, ე. ი. წარწერა ბუნებრივად სრულდებოდა სიტყვით „ამინ“ (როგორც ცნობილია, სიტყვა „ამინ“, მიღებული წესის თანახმად, ჩვეულებრივ აბოლოვებს წინადადებას). ხოლო შემდეგ, უფრო გვიან ხანაში, როდესაც დაბადებულა აზრი, რომ ეს უცნობი შოთა უნდა იყვესო რუსთველი, მისთვის ბოლოში

¹ იხ. ალ. ცაგარელი, Памятники грузинской старины, 1883, გვ. 94—95.

² ივე, გვ. 243.

(უადგილო ადგილას) განმარტების სახით ვითომც მიუწერიათ სიტყვა „სადაპე“ თველი“.

ამრიგად იერუსალიმის ეს პირველი ამოცანა, — შოთა რუსთველის პორტრეტის საკითხი, — წარწერის არასწორად ამოხსნის გამო, კიდევ უფრო ბურუსში გაეხვია.

2

**იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის
სამონასტრო მატრიანეები ანუ „ალაპა“ წიგნები.**

გადავიდეთ ამის შემდეგ იერუსალიმის მეორე ამოცანაზე, თუ რა დროს ეკუთვნის შოთას მოსახსენებელი, რომელიც ჩაწერილია იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის სამონასტრო მატრიანეებში, ეგრეთწოდებულ „სადაპე მატრიანეებში“.

1902 წელს, იერუსალიმში მოგზაურობის დროს, გამოჩენილმა მეცნიერმა ნიკო მარმა, ჭვარის სავანის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აღმოაჩინა ჭვარის სამონასტრო მატრიანეები („სადაპე მატრიანეები“), რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში უნახავს ქართველ მოგზაურს ტიმოთე გაბაშვილს (ამ საისტორიო წყაროდან ამოკრებილი ცნობები ტიმოთეს შეტანილი აქვს თავის „მიმოსვლაში“).

ნიკო მარმა მის მიერ აღმოჩენილი ტექსტები გამოაქვეყნა 1914 წელს წიგნში — „ალაპნი ჭვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა“.

რა წარმოშობისაა ეს „ალაპნი“.

მონასტრებში, როგორც ცნობილია, წესად იყო შემოღებული აღენიშნათ ხსოვნა იმ პირთა, რომელთაც დამსახურება მიუძღოდათ მონასტრის წინაშე (მონასტრის მაშენებელნი თუ განმარტებელნი, მეურვენი, შემომწირველნი და სხვანი). მიღებული იყო, რომ ამ პირთათვის ყოველწლიურად, გარკვეულ რიცხვში, გადაეხადათ წირვა-პანაშვიდი და მათ მოსახსენებლად მონასტრის ძმობისათვის და ღარიბთათვის გაემართათ „სიყვარულით“ მოსაგონარი „ალაპი“ (თვით სიტყვა ალაპი—*αλαπη*—სიყვარულს ნიშნავს).

მონასტრებს ჰქონდათ საგანგებო წიგნები, რომელშიაც კალენდარულის თანრიგით ჩაწერილი იყო, თუ რომელი რიცხვისათვის იყო დანიშნული ამა თუ იმ პირის მოსაგონარი დღე, ამასთან ზოგჯერ ისიც იყო აღნიშნული, თუ რა დამსახურებისათვის იყო დაწესებული ეს მოსაგონარი. ასეთ წიგნებს „სადაპე მატრიანეები“ ეწოდებოდა¹.

(აღნიშნეთ ამასთან, რომ გარდა „სადაპე მატრიანეებისა“ არსებობდა აგრეთვე სხვა სახის სამონასტრო და საეკლესიო „მატრიანეები“, — „სულთა მატრიანე“, სხვადასხვა სახის მოსახსენებელნი, მაგრამ ამაზე აქ აღარ ვჩერდებით; მათ შესახებ შემდეგ ვაქვეყნებ სუბარბი).

ნიკო მარის დასახელებულ შრომაში გამოქვეყნებულია „სადაპე მატრიანეების“ ორი ტექსტი:

1. „სადაპე მატრიანე“, — მთავარი წიგნი. მისი ტექსტი დაცულია იერუსალიმური სეინაქსარის ხელნაწერში № 24—25. ხელნაწერი წარმოადგენს თვით პირველდედანს. „ალაპების“ ეს ხელნაწერი, როგორც ეს შემდეგ იქნა გამორკვეული, გაუხსნიათ მე-13 საუკუნის დასაწყისში (პირველ ათეულში) და აქ შეჰქონ-

¹ იხ. „დაწერილი“ მეღმისედეკ ქართლის კათალიკოზ-პატრიარქისა 1029 წლისა (თ. გორდანი, ქრონიკები, II, გვ. 32—33).

დათ ალაპები ოთხ საუკუნე ნახევრის მანძილზე, მე-13 საუკუნის დასაწყისიდან მოკლებული ვიდრე მე-17 საუკუნის ნახევრამდე. სულ აქ შეტანილია მასალა მეტი ალაპი. ალაპებს წერდნენ ხელნაწერში მათი დადგენის დროსვე, და ამრიგად, თუნდაც არ ეცოდნენ ალაპში დასახელებული პირის ვინაობა, ჯერ მართო ხელის მიხედვით, პალეოგრაფიულის ნიშნებით, შესაძლო ხდება ზოგადად მაინც განვსაზღვროთ მისი ჩაწერის დრო.

2. მეორე დოკუმენტია — ალაპთა მოკლე ნუსხა. აქ წარმოდგენილია ალაპები ეგრეთწოდებული „მოძრავი კალენდარის“ ციკლისა (რომელიც მოიცავდა „დიდი მარხვის“, აღდგომის და მისი მომდევნო „მოძრავი“ დღესასწაულების წრეს). ეს მეორე ტექსტი, ალაპთა მოკლე ნუსხა, არ არის პირველდანი მატთანე (სადაც ალაპები იწერებოდა მათი დადგენის დროსვე), არამედ ეს მოკლე ნუსხა წარმოდგენს გვიანი დროის გამონაკრებს ალაპთა ძველი მატთანეებიდან, აქ სისტემაში მოუყვანიათ და ერთ სიაში გაუერთიანებიათ ძველ მატთანეებში წარმოდგენილი ალაპები მოძრავი კალენდარული ციკლისა. ეს მოკლე ნუსხა, როგორც ირკვევა ტექსტის ჩვენებათა მიხედვით, შეუდგენიათ მე-14 საუკუნეში.¹

მატთანეების ორივე ტექსტში შეტანილია ალაპები შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა.

იმ საკითხის გადასაჭრელად, რაც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩანაწერს პირველი ძირითადი წიგნისა, რომელიც პირველდანს წარმოდგენს, სადაც ალაპები ჩაწერილია იმ დროსვე, როდესაც იგი განუწყესებიათ.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს, თუ როგორია პალეოგრაფიული სახე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა. როგორც მოვიხსენეთ, დამწერლობა, მისი პალეოგრაფიული ნიშნები, იძლევა ხოლმე შესაძლებლობას ზოგადად მაინც განვსაზღვროთ დრო, რომელსაც ეყუთვნის ტექსტი.

სამწუხაროდ ნიკო მარი ამ საგანზე არაერთარ გარკვეულ ჩვენებას არ იძლევა. შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის ტექსტის შესახებ, რომელიც შეტანილია პირველ ძირითად წიგნში, ნ. მარი შემდეგს გადმოგვცემს:

„312. В понедельник св. Духа (ორშაბათს სულისა წმიდისა)—письмом древней части памятей, однако почерком менее архаичным, читается:

„ამასვე ორშაბათსა ალაპი შოთამსა მეჭურჭლეთუხუცესისა. ვინ შეცვალოს, შემცაცვალეზულ არს სჯულისაგან ქრისტიანეთამსა“.

როგორც ვხედავთ, ნ. მარის ეს ცნობა არაფრის შთქმელია. ნ. მარს არც ისა აქვს განმარტებული, თუ რა დროისაა „письмо древней части памятей“, და არც ის, თუ რა ნიშნების მიხედვით არის ამ ალაპის ტექსტის ხელი „менее архаичным“. (უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული პალეოგრაფია იმ დროს, როდესაც ნ. მარი წერდა, ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ დამუშავებული. ქართულ პალეოგრაფიას მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ივანე ჯავახიშვილმა

¹ თარღი ირკვევა შემდეგის მიხედვით: ა) მოკლე ნუსხაში, რომელიც თავისი სტრუქტურით ერთ მთლიან წარმოდგენს, — შეტანილია მოსახსენებელი მე-14 საუკუნის მოღვაწეთა; მასხალაზე იგი მე-14 საუკუნეზე ადრინდელი არაა. ბ) მოკლე ნუსხის ბოლოში მიწერილია დანართი (სხვა ტექსტი), რომელშიაც მოხსენებულია ჯვარის მამა პიმენ მანჯვერელ ყოფილი; ეს უკანასკნელი ჯვარის მამად იყო 1400 წლის ახლო დროიდან (მოიხსენება 1404—1407 წლის დოკუმენტში, იხ. თ. ყორღანი, ქრონიკები, II, გვ. 525). ამის მიხედვით ძირითადი ტექსტი მატთანისა მე-14 საუკუნეზე გვიანდელი არაა.



თავისი ფუძემდებლური შრომით „ქართული დამწერლობათ-მცოდნეობის ინსტიტუტი“ ანუ პალეოგრაფია“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა).

უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის ალაპს საერთოდ არ გამოუწვევია ნ. მარის ინტერესი. ნ. მარი, როგორც ჩანს, არ თვლიდა შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესს შოთა რუსთველად. ამით აიხსნება, რასაკვირველია, რომ ნ. მარს არ დაუწახავს საჭიროდ დაეხეჭა თავის წიგნში შოთას ალაპის ფოტო, და ეს მაშინ, როდესაც წიგნს დართული აქვს პალეოგრაფიული ტაბულები (15 სურათი), რომლებზედაც წარმოდგენილია ფოტო გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ტექსტებისა.

ამრიგად შოთას ალაპის საკითხი, ნ. მარის პუბლიკაციის შემდეგაც, ისევ ამოცანად დარჩა.

III

ორი ნობათი იერუსალიმიდან

ბოლო წლებში ჩვენ მივიღეთ ორი ნობათი, რომელთაც ახალი შექი მოჰფინეს შოთას ვინაობის საიდუმლოებას, ორი ძვირფასი საჩუქარი.

ჩვენ ყველას უდიდესი სიხარული მოგვანიჭა მეორე ნობათმა, ჭეშმარიტად დიდმა საჩუქარმა, — შოთა რუსთველის იერუსალიმური პორტრეტის მიღებამ.

რაც შეეხება პირველ ნობათს, იგი გარეგნულად არ იყო ისე ეფექტური, მაგრამ შოთას ვინაობის საიდუმლოს ამოსახსნელად მას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ეს პირველი საჩუქარი, რომელიც მერცხლის სახით წინ უსწრებდა მეორეს — შოთა რუსთველის ახალი პორტრეტის მოძიებას, იყო მიღება იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ალაპების წიგნის დოკუმენტური პირისა (მიკროფილმისა), წიგნისა, რომელშიაც შეტანილი მოსახსენებელი (ალაპი) შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესისა, რომელიც, როგორც საბოლოოდ დასტურდება, იგივე შოთა რუსთველია.

ჩვენ აქ ცალ-ცალკე შევჩერდებით ამ ორ საჩუქარზე.

ა.

**შოთა რუსთველის მოსახსენებელი (ალაპი)
დაცული იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის
სამონასტრო მატეანეში**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ რამდენიმე წლის წინათ მიიღო მიკროფილმები ძველ-ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც დაცულია იერუსალიმში, ბერძნული პატრიარქიის წიგნთსაცავში, და სინას მთაზე, ეკატერინეს მონასტრის წიგნთსაცავში.

იერუსალიმის და სინას მთის ძველ-ქართული ხელნაწერებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ორი წყება მასალებისა: პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩვენ, როგორც რუსთველოლოგს, გვინტერესებდა ჯვარის ქართული სავანის სამონასტრო მატეანე, რომელიც დაცულია იერუსალიმის ხელნაწერში № 24—25, და სადაც შეტანილია ალაპი შოთასი; ხოლო ამასთან ერთად ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ძველები ძველი ქართული პოეზიის — ჰიმნოგრაფიისა, რომლებიც დაცულია სინას მთის მე-10 საუკუნის

ხელნაწერებში (ამ ხელნაწერებში საგალობელი ჰიმნების ერთი წყვეტილი ნოტირებულია, აღბეჭდილია ძველ-ქართული მუსიკალური ნიშნებით) სხვა

ჩვენ სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მეცნიერებთა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექციამ შეგვიქმნა ყველა პირობა ამ მასალებზე მუშაობის დროს; ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მიკროფილმებიდან დამზადებული იქნებოდა ფოტოპირები, ჩვენ მოგვცა საშუალება გავცნობოდით ჩვენთვის საინტერესო მასალებს მიკროფილმების გამადიდებელი სპეციალური აპარატით. ხოლო ფოტოპირების გადაღების შემდეგ ჩვენს განკარგულებაში იყო მთელი მასალა.

როდესაც ვერანზე პირველად აისახა ტექსტი შოთას მოსახსენებლისა, — ეს იყო ხმა წარსულიდან, გამონათება წარსულისა. ჩვენს წინაშე იყო ჩანაწერი თვით შოთას ეპოქისა.

მოსახსენებელი შოთასი, ჩაწერილი იერუსალიმის ჯვარის სამონასტრო მატიანეში, შესრულებულია კლასიკური ძველ-ქართული ნუსხური დამწერლობით, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით მიეკუთვნება მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს.

ჩვენ მაშინვე გაუზიარეთ ჩვენი მოსაზრებანი შოთას მოსახსენებლის თარიღის შესახებ ჩვენს მეცნიერ მეგობარს სიმონ ყაუხჩიშვილს; მანაც აგრეთვე გაიზიარა ჩვენი დასკვნა, რომ წარწერა შოთა რუსთაველის ეპოქისაა.

ამის შემდეგ იერუსალიმის ჯვარის სამონასტრო მატიანეები იყო საგანი ჩვენი ხანგრძლივი გამოკვლევისა. როგორც ძირითად მატიანეში, ისე მატიანის შემოკლებულ ნუსხაში შეტანილი 300-ზე მეტი მოსახსენებლის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, დადასტურდა, რომ შოთას ალაპი შეტანილია მატიანეში 1250 წელზე ადრე. შოთას ალაპი განწესებული ყოფილა და ჩაწერილი მატიანეში უფრო ადრე, ვიდრე ალაპები შემდეგ ისტორიულ პირთა:

ვარდან დადიანისა (მსახურთ-უზუცეს ყოფილისა), რომლის ალაპი განწესებულია მისი ვაჟის გიორგი დადიანის მიერ 1250 წლის ახლო;

ყვარყვარე სამცხის სპასალარისა, რომელიც გარდაიცვალა 1245 წლის ახლო და რომლის ალაპი აგრეთვე 1250 წლის ახლოა განწესებული;

ცოტნე დადიანისა, რომლის ალაპი განწესებულია 1250-იან წლებში (1260 წლის ახლო).

შოთას ალაპი განწესებულია უფრო ადრე, ვიდრე ალაპები საქართველოს მეფეთა — დავით VI-ისა, რუსუდანის ძისა (1247—1293), და დავით VII-ისა, გიორგი-ლამას ძისა (1247—1270).

ისტორიული ძიების შედეგად შესაძლებელი გახდა ზუსტად განსაზღვრა, რომ შოთას ალაპი განწესებული ყოფილა და შეტანილი მატიანეში 1245—1250 წლებს შორის.

შოთა, თანამედროვე თამარისა, ამ დროს ღრმად მოხუცებული იქნებოდა; და მართლაც, იერუსალიმის ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია ღრმად მოხუცებული.

ყველა ამ საკითხებზე ჩვენ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ვინაიდან წარწერა იმ პორტრეტს ეხება, რომელსაც „რუსთველი“ იწვე-
რია, ამიტომ ეპი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ წარწერის შოთაში
სწორედ რუსთველზეა ლაპარაკი. სრულიად წარმოუდგენელია, რომ აქ ვინმე
სხვა შოთა იგულისხმებოდეს.

ამგვარად დღეს უკვე ეპიმიუტანელ ფაქტად უნდა იყვეს მიჩნეული, რომ-
ჯვარის მონასტრის სვეტზე მოთავსებული არის შოთა რუსთველის პორტრე-
ტი, რომელსაც აქვს ერთი მხრივ წარწერა „რუსთველი“, ხოლო მეორეს
მხრივ თან ახლავს ტექსტი: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდენეს ღმერთმან,
ამინ“.

■

ასეთია ცნობები, რომელსაც გადმოგვცემენ ექსპედიციის მონაწილენი
წარწერის ტექსტის გამო, და რაც დასტურდება შოთას ფრესკისა და მასთან
დართული წარწერების ფოტოპირების მიხედვით.

ამრიგად მოიხსნა ის გაუგებრობა, რომელსაც იწვევდა შოთა რუსთველის
პორტრეტთან დართული წარწერის არა სწორი გაშიფვრა, წარმოდგენილი
აღ. ცაგარელის მიერ.

ხოლო რა დროს ეკუთვნის იერუსალიმური შოთას პორტრეტი? ამის შე-
სახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. როგორც შემდეგ გამოირკვევა, იგი შეს-
რულებულია 1245—1250 წლებში. ხელოვნების ამ შედევრს, მე-13 საუკუნის
შემდეგ, ჯვარის მონასტრის მხატვრობის შემდგომი ხანის რესტავრაციის
დროს, ჩანს არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

IV

რას მატყველებს იერუსალიმის მასალები

იერუსალიმის მასალები ადასტურებენ შემდეგ ფაქტს: შოთა რუსთველი,
მოხუცების ემს, ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-
უხუცესი.

რასაკვირველია, არავითარ ეპეს არ იწვევს იდენტივობა ალაპებში მოხსენ-
ებული ვაზირის შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესისა და იერუსალიმის ფრესკაზე წარ-
მოდგენილი რუსთველისა.

მართლაც გავითვალისწინოთ შემდეგი:

1. ალაპებს განაწესებდნენ იმ პირთათვის, რომელთაც ღვაწლი მიუძღოდათ
მონასტრის წინაშე. ხოლო შოთას ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, რომ თვით
მისი სურათიც კი დაუხატავთ მონასტერში. ცხადია შოთასათვის უნდა განეწე-
სებინათ ალაპი. და შოთას ალაპი, როგორც ვხედავთ, მართლაც არის ჩაწერილი
ჯვარის მონასტრის საილაპე წიგნში.

2. ალაპში შოთა რუსთველი მოიხსენება როგორც ვაზირი მეჭურჭლეთ-
უხუცესი. ხოლო იერუსალიმის ფრესკაზე შოთა რუსთველი მართლაც გამოსა-
ხულია დიდებული ხელისუფალის, ვაზირის სახით.

3. თარიღი ერთია. შოთას ალაპი, როგორც გამოირკვეა, ხელის მიხედვით,
პალეოგრაფიული ნიშნებით, შოთა რუსთველის ეპოქისაა.

■

ამრიგად ირკვევა, რომ შოთა რუსთველი, მოხუცების ემს, ყოფილა სა-
ქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი.

ხოლო ამ ფაქტმა ერთხელ კიდევ სრულის უეჭველობით დაადასტურა
რუსთველიანაში წარმოდგენილი ამოხსნა შოთა რუსთველის ვინაობისა.

რუსთველიანაში ჩვენ დადგენილი გვექონდა, რომ შოთა რუსთველი არის

ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12—13 საუკუნეთა შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა.

მკითხველმა აქ ჭერ გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტები (რის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი):

1. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი მე-12—14 საუკუნეებში, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ვიწროდ შემოფარგლული წრიდან, სახელდობრ, დიდი საერისთავოების მეთაურთაგან, რომელნიც ერისთავთ-ერისთავებად იწოდებოდნენ. სულ მე-12—14 საუკუნეებში საქართველოს სახელმწიფო განიყოფებოდა 25 სამხარეო ერთეულად, დიდ საერისთავოდ, რომელთა მეთაურები ატარებდნენ ერისთავთ-ერისთავების ტიტულს და რომელთა წრიდან ინიშნებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი.


2. მე-12 საუკუნეში და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა დაკავშირებული იყო ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან. (ეს არის მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირი).

3. რუსთველიანაში ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ 1192/3 წელს ჰერეთის ბაგრატიონმა ასათ II გრიგოლის ძემ, რომელიც ჰერეთის ერისთავთ-ერისთავი იყო, შეიერთა მეორე დიდი საერისთავო, ჰერეთის რუსთავის მხარე; ასათ II-ემ, როგორც რუსთავის ერისთავთ-ერისთავმა, მიიღო ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა (რომელიც ამ დროს რუსთავის დიდ საერისთავოსთან იყო დაკავშირებული).

4. რუსთველიანაში ჩვენ დადგენილი გვაქვს გენეალოგიური შტო ჰერეთის ბაგრატიონთა:

გ რ ი გ ო ლ I

(დამოუკიდებელი მეფე აღმოსავლეთ ჰერეთისა მე-11—12 საუკუნეთა მიჯნაზე)



5. რუსთველიანაში, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ ასათ II-ემ (გრიგოლ II-ის ძემ), რუსთავის ერისთავთ-ერისთავობის მიღებასთან ერთად, მიიღო ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა; ამის შესახებ წყაროებში დაცულია პირდაპირი ჩვენება.

ასათ II-ის შემკვიდრის გრიგოლ III-ის შესახებ თუმცა არ შენახულა პირდაპირი მითითება, მაგრამ ზოგიერთ ირიბ ჩვენებათა მიხედვით, როგორც ეს აღნიშნული გვაქვს რუსთველიანაში, სავარაუდებელია, რომ ისიც ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი უნდა ყოფილიყო.

ხოლო იყო თუ არა შოთა III, ჰერეთის ბაგრატიონი, მეჭურჭლეთ-უხუცესი? ამის შესახებ მტკიცე ცნობები არ მოიპოვებოდა, ამის გამო ეს საკითხი რუსთველიანაში ღიად გექონდა დატოვებული. თუმცა კი სავარაუდებელი იყო, რომ შოთა III-ეს, როგორც რუსთავის ერისთავთ-ერისთავს, მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა უნდა სჭეროდა, რადგან, თამარის პირველი ისტორიკოსის („ისტორია-აზმათა“ ავტორის) ცნობის თანახმად ვაზირნი და სხვა უზენაესი ხელისუფალნი ინიშნებოდნენ „წესისაებრ სახლისა“, ამ ეპოქაში გარკვეული სავაზირო ერისთავთ-ერისთავთა გარკვეულ გვართან იყო დაკავშირებული.

ამეამად კი იერუსალიმური მასალებიდან ირკვევა, რომ შოთა რუსთველი ყოფილა ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი.

ამყარაა, იგი არის შოთა III ჰერეთის ბაგრატიონი:

ა) ორივეს ეწოდება შოთა და ორივე არის რუსთველი (შოთა III, ჰერეთის ბაგრატიონი, რუსთავის მფლობელი);

ბ) დრო ზუსტად ერთი და იგივეა.

გ) შოთა III, ჰერეთის ბაგრატიონი, როგორც მფლობელი რუსთავისა (რუსთველი) „წესისაებრ სახლისა“ უნდა ყოფილიყო ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი; ხოლო შოთა რუსთველის (პოეტის) შესახებ პირდაპირ აღნიშნულია, რომ იგი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი.

ამრიგად იერუსალიმის ახალი მასალები იძლევა საოცარ დამთხვევას რუსთველიანაში დადგენილ ფაქტებთან.

ამ ახალ მასალების მიხედვით დამატებით დასტურდება, რომ პოეტი შოთა რუსთველი, ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი, არის იგივე შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა. ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა დაკავშირებული იყო ჰერეთის რუსთავის სამფლობელოსთან და 1192/3 წლიდან იგი ჰერეთის ბაგრატიონთა გვარზე გადავიდა. ამრიგად შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა (რუსთველი), ყოფილა ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი „წესისაებრ სახლისა“.

გამოკვლევის საგანი

წინამდებარე გამოკვლევის საგანია მოვახდინოთ საბოლოო გენერალური შემოწმება შოთა რუსთველის ვინაობის პრობლემისა ყველა ასპექტში.

¹ იხ. ისტორია-აზმათა შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, (გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით) გვ. 32—34. შეადარეთ „ხელმწიფის კარის გარიგება“ (გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით) გვ. 19.



გამოკვლევის პირველ ნაწილში, — ისტორიულ მიმოხილვაში — ჩვენი განხილვის საგანი იქნება:

ა. ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია მე-12—14 საუკუნეებში და მისი ადმინისტრაციული დაყოფა სამხარეო ერთეულებად.

ბ. მთავარი ტერიტორიული ერთეულების — მხარეების — უმაღლესი ხელისუფალნი ერისთავთ-ერისთავნი;

გ. ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა — სავაზირო — მე-12—14 საუკუნეებში;

დ. შეჯამება ცნობათა შოთა რუსთველის ვინაობის საკითხის გამო.

გამოკვლევის მეორე ნაწილში ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის სამონასტრო მატრიანებს, აღაბთა წიგნებს;

მესამე ნაწილში განვიხილავთ იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის მხატვრობის ისტორიას და შოთა რუსთველის იერუსალიმის ფრესკის თარიღის საკითხს.

დასასრულს შევხვებით ერთ ძეგლს, მოღწეულს ჰერეთის ბაგრატიონთა სახლიდან, შოთა რუსთველის ოჯახიდან, რომელიც მე-13 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ი ს ო რ ი ი უ ლ ი მი მო ხ ი ლ ა

I. ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია XII—XIV საუკუნეებში და მისი ადმინისტრაციული დაყოფა სამხარეო ერთეულებად;

II. მთავარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების — მხარეების — უმაღლესი ხელისუფალნი ერისთავთ-ერისთავნი.

III. ძველი საქართველოს მთავრობა — სავაზირო — XII—XIV საუკუნეებში.

IV. შოთა რუსთველის ვინაობის პრობლემის ამოხსნა.



საქართველოს ისტორიის საკითხთა წრე, რომელთაც ვეხებით რუსთველიანას ეპილოგის პირველ ნაწილში (ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია, საზღვრები, ადმინისტრაციული დაყოფა, ხელისუფალნი, ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა — სავაზირო, ეპოქის იდეები, დოქტრინები...), მონოგრაფიულად განხილული გვაქვს წიგნში:

„საქართველო XII, XIII, XIV საუკუნეთა

(დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის ხანა)“.

ხოლო აქ ამ საკითხებს მოკლედ განვიხილავთ, რამდენადაც ამას უშუალო კავშირი აქვს შოთა რუსთველის ვინაობის დადგენის პრობლემასთან.

I

ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია XII—XIV საუკუნეებში და მისი ადმინისტრაციული დაყოფა სამხარეო ერთეულებად

იმისათვის, რათა სწორად გავერკვეთ საკითხებში, რომლებიც ჩვენ წინაშე შემდეგი გამოკვლევის მანძილზე წამოიჭრება, ჩვენ აქ პირველ რიგში მოგვიხდება შევეხთ საკითხებს ძველი საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიისა და საზღვრების შესახებ, და გავითვალისწინოთ, თუ როგორი იყო საქართველოს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

ძველი საქართველოს სახელმწიფო მე-12—14 საუკუნეებში (სახელმწიფოებრივ ერთეულს წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფო, „ყოველი საქართველო“ (სრულიად საქართველო), „შვიდ სამეფოდ განწესებული“¹, „ნიკოფსიით დარუხანდამდე“², მოიცავდა ამიერ-კავკასიას. მასში შედიოდა:

- a. საკუთრივ საქართველო;
- b. არარატის სომხეთი;
- c. შირვანი.

ამათგან ქრისტიანული ქვეყნები: საკუთრივ საქართველო, არარატის სომხეთი და ერთი მხარე შირვანისა — ყაბალა („ვიდრე მთამდე შამახიისა“³, რომელიც ქრისტიანი ალვანებით, უდებით იყო დასახლებული) შეადგენდა ერთს უნიტარულ სახელმწიფოს. რაც შეეხება შირვანს, იგი ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიურ სამეფოდ, რომლის სათავეში იდგა ადგილობრივი დინასტია — შარვანშა. (შირვანის სახელი შეტანილი იყო საქართველოს მეფეთ-მეფის ოფიციალურ ტიტულატურაში).

საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც ამიერკავკასიას მოიცავდა, მე-12—13 საუკუნეებში პოლიტიკურად დაკავშირებული იყო მთელი რაიონ მუზობელი ქვეყნები. ეს კავშირი სხვადასხვა სახისა იყო.

1. ერთი რიგი ქვეყნებისა ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატად, შეადგენდნენ საქართველოს სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებულ ერთს პოლიტიკურ გაერთიანებას. ეს ქვეყნები იყვნენ:

ა. ჩრდილო კავკასიაში:

1. დუნძეთი, დაღისტანის სამფლობელოებით;
2. დურძუქეთი (საჩჩნო);
3. ოვსეთი;
4. ქაშაგეთი (საჩერქეზო);

ბ. ანატოლიის სანაპიროზე:

5. ტრაპიზონის საციისრო;
6. კარანუქალაქის (არზრუმის) საამირო⁴.

ეს ქვეყნები ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ მფარველობის ქვეშ, და როგორც გადმოგვცემს მე-13 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიას გამოხატავს, ყველა ეს მოკავშირე ქვეყნები საქართველოს სახელმწიფოს მიერ იყვნენ „თავისუფლებითსა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“⁵.

¹ იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 5, 20, 25, 27 და სხვ., ლაშა-გიორგის დროინდელი მატანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

² იხ. თამარის მეორე ისტორია (ისტორია-აზმათა გავრძელება), ქართლის ცხოვრება, II, გვ. 94, 103; ეამთა-აღმწერელი, ქართლის-ცხოვრება, II, გვ. 168, 243, 293.

³ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339, ეამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207—208.

⁴ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147 (დურძუქეთა შესახებ იხ. თამარის მეორე ისტორია, „ისტორია-აზმათა“ გავრძელება, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 111.

ჩვენ საგანგებოდ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას თამარის ეპიკურისტის ისტორიკოსის ამ პოლიტიკურ ფორმულაზე, საიდანაც ჩვენ ვგებულობთ, თუ რა სიმაღლემდე ასულა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგია მე-12—13 საუკუნეებში, რუსთველის ეპოქაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დოქტრინის თანახმად — საქართველოს სახელმწიფო, მასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოში შემავალი ავტონომიური შირვანის სამეფო (მისი ორი ქვეყანა — შირვანი და დარუბანდი) და საქართველოს სახელმწიფოს ექვსი პროტექტორატი (ოთხი ჩრდილო კავკასიაში და ორი ანატოლიის სანაპიროზე, — ტრაპიზონის საკეისრო და კარნუ-ქალაქის საამირო) — წარმოადგენდა ერთს პოლიტიკურ თანამეგობრობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფომ მიანიჭა „თავისუფლებითი ცხოვრება“ და „მტერთაგან უზრუნველობა“.

მოგვყავს ისტორიკოსის ტექსტი:

„და წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, — სახლი შარვანშეთი და დარუბანდეღთა, დუნთა (დალისტანელთა),

[დურძუკთა] (ჩაჩანთა)

ოვსთა,

ქაშაგთა (ჩერქეზთა),

კარნუ-ქალაქელთა,

და ტრაპიზონელთა, —

რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ [საქართველოს მიერ] იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“².

2

II. საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნების მეორე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს სახელმწიფოს ვასალური მუსულმანური სამეფო-სამთავროები; ესენი იყვნენ.

ა. ამიერ-კავკასიაში:

1. ა რ ა ნ ის (განძის) სასულტნო³;

2. ნ ა ხ ჭ ე ვ ა ნ ის საამირო⁴;

ბ. ანატოლიის სანაპიროზე:

3. შ ა ჰ - ა რ მ ე ნ თ ა სასულტნო⁵;

4. ე ზ ი ნ კ ი ს (ერზინჯანის) საამირო⁶.

ამ ოთხი მუსულმანური ვასალური ქვეყნების პოლიტიკური სტატუსი შემდეგი იყო:

1. ეს ქვეყნები სცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ სიუზერენიტეტს.

¹ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

² იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

³ იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 62—75, შემატება გვ. 75—78; თამარის მეორე ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 99; ეამთა-ალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151, 152—154.

⁴ იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100; ეამთა-ალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

⁵ ლაშა-გიორგის დროინდელი მატთანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

⁶ ბასილი ეზოსმოდღარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 140; თამარის მეორე ისტორია ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100; ლაშა-გიორგის დროინდელი მატთანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.

2. ვალდებულნი იყვნენ არ დაემყარებიათ პოლიტიკური და სამხედრო კავშირი სხვა მუსულმანურ სახელმწიფოებთან, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ;

3. ამავე დროს საქართველო თავის მხრივ აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს (როგორც ეს აღნიშნული აქვს მე-13 საუკუნის ისტორიკოსს „ზავის სიმტიციცესა მათგან შეუცოდებლობასა შინა“, ე. ი. საქართველო აძლევდა ამ მუსულმანურ ქვეყნებს მუდმივი ზავის გარანტიას, რამდენადაც ისინი არ დაარღვევდნენ ვასალური ქვეყნების სტატუსით განსაზღვრულ ვალდებულებებს.

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ ვასალურ სახელმწიფოთა ამ მეორე ჯგუფს, გარდა ზემოთდასახელებული ოთხი ქვეყნისა, მე-13 საუკუნის დასაწყისში ეკუთვნოდა აგრეთვე კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო¹, მაგრამ 1210-იან წლებში კარნუ-ქალაქის მთავრობამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს წინაშე, რათა მათთვის მიენიჭებიათ სტატუსი პროტექტორატისა, ე. ი. პირველი ჯგუფის ქვეყნებისა, მოკავშირე ქვეყნისა. საქართველოს სახელმწიფომ დააკმაყოფილა თხოვნა, და როგორც აღნიშნულია მე-13 საუკუნის დასაწყისის ქართულ მატრიანეში, საქართველოს სახელმწიფომ „შემოიხუეწა კარნუ-ქალაქელი მოყურად და ერთგულად“². კარნუ-ქალაქს მოხსნეს ხაკი; ხოლო დაავალეს კარნუ-ქალაქს საპიროების დროს გამოეყვანა ჯარი, რომელიც ამიერიდან საქართველოს ლაშქარის ნაწილად ითვლებოდა³. ამასთან, რამდენადაც კარნუ-ქალაქის საამიროს მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანული იყო, საამიროს დროშაზე, მუსულმანური მთვარის გვერდით, გამოსახულ იქნა ქრისტიანული ჯვარი.

III. საქართველოს სახელმწიფოსთან დაკავშირებული ქვეყნების მესამე ჯგუფს შეადგენდა საქართველოს გავლენის სფერო ჩრდილო ირანში. მე-13 საუკუნის დასაწყისში, 1208/9 წელს, ჩრდილო ირანის არდაველის სულტნი საქართველოს საზღვრებში შემოჭრისა და ანისის აოხრების საპასუხოდ, 1210 წელს საქართველოს ჯარმა ილაშქრა ირანში ვიდრე ხორასანამდე (რომ-გურამდე) და გურჯანის ქვეყნამდე. ამ ლაშქრობის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში შევიდა ჩრდილო ირანის (შიდა ადარბადაგანის) სასულტნოები: მარანდისა, თავრიზისა, არდაველისა და შიანესი, რომელნიც ამ დროიდან საქართველოს „მოხარაჯე“ (მოხარე) ქვეყნებად ითვლებოდნენ. სამხრეთი საზღვარი საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოქცეული ამ სასულტნოებისა გასდევდა: სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე ქალაქ „მარალის“ თემის ჩრდილო მიჯნას; ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე - ირანის ერაყის ჩრდილო მიჯნებს.

ეს საზღვარი აღნიშნულია თამარის მესამე ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოძღვარის თხზულებაში. იგი წერს:

„საცნაურ არს — თამარ საქმეთაგან... ცნას შეძიებელმან საქმეთამან — (ირანის) ერაყამ“.

¹ იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მატრიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

² იხ. თამარის მეორე ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 100; ეპოთა-ალმწერელი ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

³ იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მატრიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370; ბასილი ეზოს მოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 147.

⁴ იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მატრიანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 370.

ღის ქვემოთ მისგან (თამარისგან) დაღებული ხარაჟა, და ბაღდადის კერძ შარტაქშდუჯაღა თვით იგი ხალიფა (მბრძანებელი მუსულმანთა) შეშინებული და შოაჟა*1.

როდესაც ჩვენ ქვემოთ საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებას განვიხილავთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო („ყოველი საქართველო“, „შვიდ სამეფოდ განწესებული“, „ნიკოფსიით დარუბანდამდის“) და აქ არ ვეხებით საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ სხვა სამეფო-სამთავროებს.

საქართველოს სახელმწიფო, გარდა შირვანის ავტონომიური სამეფოსი, განიყოფებოდა 25 მთავარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად, მხარეებად, რომელთაც საერისთავოები (დიდი საერისთავოები) ეწოდებოდა. ამათგან საკუთრივ საქართველო შეიცავდა 20 საერისთავოს, არარატის სომხეთი 5 საერისთავოს.

მოგვეყვას მათი სია.

**ქველი საქართველოს სახელმწიფოს
მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები:
მხარეთა საერისთავოები.**

A

საქართველოს საქართველოს საერისთავოები.

I პირეთა და კახეთები:

1. შერეთის საერისთავო.
(1-ა. შერეთის საერისთავოსთან დაკავშირებულია ყაბალას მხარე).
2. რუსთავის საერისთავო.
(1192/3 წლიდან გაერთიანდა შერეთის საერისთავოსთან).
3. კახეთის საერისთავო.
(2-ა. კახეთის საერისთავოსთან გაერთიანებული იყო დიდოეთი).

II ქართლები:

4. თბილისი (შეფის დომენი).
5. ქართლის საერისთავო.
6. ორბეთის საერისთავო.

III სამხრეთ ქართლები:

7. ლორეს სანაპირო საერისთავო (საამირსპასალარო).
8. კენის სანაპირო საერისთავო.
9. გავის სანაპირო საერისთავო.

IV. ზემო ქართლები (მისხეთის მხარეები):

10. თორი — ჭავჭავეთი (საუფლისწულო).
(თორ-ჭავჭავეთთან შემოერთებული იყო თემები ა. ზარიშტიანი და ბ. კარი (ცხროლის კანტონით). XIII საუკუნის დასასრულიდან კარი უერთდება სამცხის სასპასალაროს და შედის „სამცხის ხუთი თემის“ შედგენილობაში.

* იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 124; იხ. აგრეთვე, თამარის მეორე ისტორია (ისტორია-აზმთა გავრძელება), ქართლის ცხოვრება, II, გვ. 103—109; ლაშავიორის დროინდელი მატანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369, 370.

11. თმოგვის სანაპირო საერისთავო.
(დაარსდა 1191 წელს; გამოეყო თორ-ჯავახეთს).
12. სამცხის სასპასალარო.
თემები: ა. სამცხე; ბ. არტაანი; გ. კოლა (ხორტეანით); დ. კარნიფორი-ბასიანი. — (XIII საუკუნის დასასრულიდან შემოუერთდა მუხთე თემი: კარი).
13. ტაოს (შაუშეთ-კლარჯეთ-ტაოს) საერისთავო.
(XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაკავშირებულია სამცხის სასპასალაროსთან).
14. ჭანეთი (რიზეს მხარე — რკინის პალომდე)¹.

V. ლიხთ-იშირეთში:

14. ქუთაისი და სამოქალაქო (მეფის დომენი).
15. არგვეთის საერისთავო.
16. რაჭისა და თაყვერის საერისთავო.
17. სვანეთის საერისთავო².
18. გურია (საუფლისწულო)³.
19. ოდიშის საერისთავო.
20. ცხუმის საერისთავო.

B

არარატის სომხეთის საერისთავონი:

21. ანისის სახლი.
22. დვინის სახლი (1225 წლამდე).
23. ბიჭნისის სახლი (1225 წლამდე).
- 22-23. გაერთიანებული დვინის სახლი (1225 წლიდან)⁴.
24. სივნიეთი.
25. ხაჩინი (არწახი)⁴.

¹ ისტორია საქართველოს სახელმწიფოს ამ სანაპირო მხარისა — ჭანეთისა, XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკლებული, შემდეგია:

XI საუკუნის მეორე ნახევრიდან — XIII საუკუნის დასაწყისამდე ჭანეთი საქართველოს სახელმწიფოში შედის და ადმინისტრაციულად დაკავშირებულია ზემო ქართლთან (შაუშეთ-კლარჯეთ-ტაოს მხარესთან).

1204—1282 წლებში ჭანეთი არის საქართველოს სახელმწიფოს და ტრაპიზონის სამეფოს კონდომინიუმი.

1282 წელს შეერთებულ იქნა დისკლეთ საქართველოსთან.

1297 წელს ჭანეთი შეუერთდა მესხეთს (სამცხის სასპასალაროს) და მომდევნო საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე XV საუკუნის მეორე ნახევრამდე, 1463 წლამდე, მესხეთის ნაწილია.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან (1463 წლიდან) ვიდრე XVI საუკუნის ნახევრამდე (1547 წლამდე) ჭანეთი ზოგ პერიოდში მესხეთის სამთავროს (სამცხე-საათაბაგოს) ნაწილია (1502—1535 წლები), ზოგ პერიოდში გურიის სამთავროს (1463—1502, 1535—1547 წლები). — იხ. პ. ინგოროვაძე, გიორგი მერჩულე, გვ. 273—293.

² გურია (საუფლისწულო) და სვანეთი (საერისთავო) ცალკეულ პერიოდებში ადმინისტრაციულად დაკავშირებულნი არიან.

³ 1225 წლიდან დვინის სახლი და ბიჭნისის სახლი გაერთიანდა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად დვინის სახლის სახელწოდებით.

⁴ სივნიეთი და ხაჩინი დაკავშირებულნი იყვნენ დვინის სახლთან (საერისთავოთა ამ ჩგუფის სახელწოდება — დვინის კუსტი⁴).

C
შირვანი.

ავტონომიური სახეობა.

ჩვენ აქ არ ვეხებით შირვანის ადმინისტრაციულ დაყოფას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ შირვანი განიყოფებოდა ორ ქვეყანად:

26. საკუთრივ შირვანი.

27. დარუბანდი.

საზღვარი მათ შორის იყო სამური, რომელიც ძველ-ქართულ წყაროებში „თეთრი წყალის“ სახელწოდებით მოიხსენება.

(ისტორიულ წარსულში ეს ორი ქვეყანა ზოგჯერ ერთ სამეფოს წარმოადგენდა, ზოგჯერ ორად იყო გაყოფილი).

II

მთავარი ბარიტორიულ-ადმინისტრაციული
ერთეულეების (მხარეების) უმაღლესი ხელისუფალნი
«ერისთავთ-ერისთავნი» XII, XIII და XIV საუკუნეებში.

ზემოთ ჩამოთვლილი 24 მთავარი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების (მხარეების) სათავეში მე-12—14 საუკუნეთა მანძილზე იდგნენ ხელისუფალნი, რომელთაც ეწოდებოდათ «ერისთავთ-ერისთავნი».

ამ სამხარეო ერთეულთა ერისთავთ-ერისთავნი ინიშნებოდნენ ვიწროდ შემოფარგლული წრიდან, დიდი ფეოდალური გვარებიდან.

მოგვყავს სრული სია იმ გვარეულობათა, რომელთაგან ინიშნებოდნენ ერისთავთ-ერისთავნი მე-12, მე-13 და მე-14 საუკუნეთა მანძილზე:

A

საკუთრივ საქართველოს საერისთავონი.

I. ჰერეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

1. ჰერეთის ბაგრატიონნი (1117—1145 წ.).



2. კოლონკელისძენი (1145—1182 წ.).



(1). ჰერეთის ბაგრატიონნი (1163—1177 წ.).



(2). კოლონკელისძენი (1178—1191 წ.).



(1). ჰერეთის ბაგრატიონნი (1191—XIV საუკ.).

(ჰერეთის ბაგრატიონთა ორგზისი ჩამოშრობა და მათ ადგილას კოლონკელისძეთა გვარის დანიშვნა იმით იყო გამოწვეული, რომ ჰერეთის ბაგრატიონებმა ორგზის მიიღეს მონაწილეობა აჩანებებაში, 1145 და 1177 წლებში).

II. რუსთავის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

3. არიშიანნი (1105/15—1150/60-იანი წ.).



4. იობისძენი (არიშიანის მემკვიდრენი, „არიშიანის ადგილსა მსხდომნი“) 1150/60—1191 წ.



(1). ჰერეთის ბაგრატიონნი (1192/3—XIV ს.).

- III. ქახეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი: **ერისთავთ-ერისთავნი**
 5. პანკელნი XII ს. — 1255 წ.
 ↓
 6. უჯარმელნი (1255—XIII საუკ. ბოლო).
 ↓
 7. ბურსელნი (XIII—XIV ს.).
-
- IV. თბილისი (მეფის დომენი).
-
- V. ქართლის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:
 8. აბულეთისძენი (XII ს. — 1145 წლამდე; 1155/6 წ.).
 ↓
 9. ორბელიანნი (1145—1155 წ.; 1156—1177 წ.).
 ↓
 10. სურამელნი (1178—XIV ს.).
-
- VI. ორბეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:
 (9). ორბელიანნი (XII ს. — 1177 წ.).
 ↓
 (23). დადიანნი (1178—1191 წ.).
 ↓
 (9). ორბელიანნი (XIII—XIV ს.)¹.
-
- VII. ლორეს სანაპირო საერისთავო. (სამიროსპასალარო).
 ამიროსპასალარის განმგებლობაშია.
 ლორის მხარის ცალკეულ თემთა „მკვიდრნი“ (მემკვიდრე მდ-
 ბელნი) არიან:
 (9). ორბელიანნი (1177 წლამდე).
 ↓
 11. მხარგრძელნი (1180-იანი წლებიდან — XIV ს.).
-
- VIII. ქაენის სანაპირო საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:
 (9). ორბელიანნი (1177 წლამდე).
 ↓
 (23). დადიანნი (1178—1191 წ.).
 ↓
 11. მხარგრძელნი (1191 წ. — XIV ს.)¹.

¹ 1177 წლის შემდეგ (როდესაც ორბელიანებმა მონაწილეობა მიიღეს დემნას აჯანყებაში) ორბელიანთა სამფლობელონი ორბეთის საერისთავო და ქაენის საერისთავო გადაეცა საგანმგებო ოდიშის ერისთავთ-ერისთავებს და დადიანებს, რომელნიც განაგებენ ამ მხარეს 1191 წლამდე.

1191 წელს (ვარდან დადიანის მიზრობის გამო გიორგი ბოგოლიუბსკისადმი) ორბეთის და ქაენის საერისთავონი ჩამოერთვა დადიანებს. ორბეთის მხარე „სასეფოდ“ (სამეფოდ) დაიღვა, ხოლო ქაენის საერისთავო გადაეცა საგანმგებო მხარგრძელებს.

მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში ორბეთის საერისთავო გადასცეს ექსპრობიდან დაბრუნებულს ივანე ორბელიანს და მას შემდეგ ეს მხარე ორბელიანთა მფლობელობაშია XIII—XIV საუკუნეებში (გარდა სამშვილდის და დმანისის თემთა, რომლებიც „სასეფოდ“ დარჩა).

IX. გაგის სანაპირო საერისთავო.

დამოუკიდებელ სამხარეო ადმინისტრაციულ ერთეულად გაგის სანაპირო საერისთავო ჩამოყალიბდა 1191 წელს. ერისთავთ-ერისთავნი:

(11). მხარგრძელნი-გაგელნი¹.

X. თორი — ჭავახეთი. (საუფლისწულო). გამრიგე ხელისუფალნი— ერისთავთ-ერისთავნი:

12. თორელნი.

XI. თმოგვის სანაპირო საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

13. თმოგველნი (1191 წ. — XIV ს. პირველი ნახევარი).

XII. სამცხის სასპასალარო. ერისთავთ-ერისთავნი:

14. ჭაყელნი — ბოცოსძენი (XII ს. — 1191 წლამდე).

↓
15. ჭაყელნი — ციხისჭვარელნი (1191 წ. — XIV ს.).

XIII. ტაოს (ძაღმეთ-კლარჯეთ-ტაოთა) საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

16. ტაოსკარელნი (XII ს. — 1191 წლამდე).

↓
17. ასპანისძე-ფანასკერტელნი (1191 წ. — XIII ს.).

↓
18. ფანასკერტელნი (XIII—XIV ს.).

¹ 1191 წლამდე, ვიდრე ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელი სამხარეო ადმინისტრაციული ერთეული — გაგის სანაპირო საერისთავო, ცალკე თემები გაგის მხარისა შემდეგ გვარეულობათა გამეგობაში იყო:

IV-ა. გაგის თემი.

(3). არიშიანი (1123—1150/60 წ.).

↓
(22-ბ). ვარდანიძენი II (ვარდანიძე-გაგელნი) 1150/1160—1191 წ.

IX-ბ. ხუნანის თემი.

(9). ორბელიანი (1177 წლამდე).

↓
(მფლობელნი 1178 წლიდან — 1191 წლამდე უცნობია).

IX-გ. ქურდვაპრის თემი.

(9). ორბელიანი (1177 წლამდე).

↓
(11). მხარგრძელნი (1177 წ. — 1191 წ.).

IX-დ. ნორბერდის თემი.

კუარაყენი.

IX-ე. თავუშის თემი.

(მფლობელნი 1191 წლამდე უცნობია).

რაც შეეხება კაიწონის თემს, რომელიც 1177 წლამდე ორბელიანთა, ხოლო 1178—1191 წლებში მავა კაიწონელის მფლობელობაში იყო, იგი 1191 წლიდან შედრთდა კაენის სანაპირო საერისთავოს (VIII-ეს).

XIV. ქუთათისი და სამოქალაქო (მეფის ბელისუფალი) ერისთავთ-ერისთავნი:

19. საღირისძენი.

XV. არგვეთის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

20. ამანელიძენი.

XVI. რაჭისა და თაკვერის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

21. კახაბერისძენი.

XVII. სვანეთის საერისთავო. — XVIII. გურია (საუფლისწულო). — ერისთავთ-ერისთავნი:

22. ვარდანიძენი (სვანთ-ერისთავ/გურიელები).

XIX. ოდიშის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

23. დადიანნი.

XX. ცხუმის საერისთავო. ერისთავთ-ერისთავნი:

24. შარვაშიძენი (კაკასძენი).

B

არარაბის სომხეთის საერისთავონი.

XXI. ანისის სახლი. ერისთავთ-ერისთავნი:

(11). მხარგრძელები.

XXII. დვინის სახლი. (1225 წლამდე). ერისთავთ-ერისთავნი:

(12). თორელი (1204—1125 წ.).

XXIII. ბიჭნისის სახლი (1225 წლამდე). ერისთავთ-ერისთავნი:

(11). მხარგრძელები (1201—1225 წ.).

XXII—XXIII. გაერთიანებული დვინის სახლი (რომელშიაც შევიდა 1225 წლიდან დვინისა და ბიჭნისის სახლი). ერისთავთ-ერისთავნი:

(11). მხარგრძელები (1225—XIV ს.)¹.

XXIV. სივნიეთი. ერისთავთ-ერისთავნი:

25. ორბელიანნი სივნიეთისა.

¹ 1250 წლიდან, დვინელ მხარგრძელთა მამრობითი ხაზის შეწყვეტის შემდეგ, დვინის სახლის განმეგებელი არიან მათი მემკვიდრენი მღვდრობითი ხაზით.

X XV. ხ ა ჩ ი ნ ი (არწახი). ერისთავთ-ერისთავნი:

26. ხაჩინელნი¹.

ამრიგად გვარეულობათა წრე, რომელთაგან ინიშნებოდნენ დიდ საერისთავოთა (მხარის საერისთავოთა) ხელმძღვანელი ხელისუფალნი — „ერისთავთ-ერისთავნი“ ვიწროდ შემოფარგლული ყოფილა.

ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას სრულის სიზუსტით შევამოწმოთ, თუ ვინ იყო შოთა რუსთველი.

მაგრამ წინასწარ ჩვენ ჯერ მოგვიხდება განვიხილოთ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — ს ა ვ ა ზ ი რ ო ს — ისტორიასთან.

შოთა, როგორც გამოირკვა, სავაზიროს წევრი ყოფილა, ვაზირი მკუპრულეთ-უხუცესი.

III

ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა
სავაზირო

XII, XIII, XIV საუკუნეებში

საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — ს ა ვ ა ზ ი რ ო ს — ინსტიტუტი, როგორც იგი მოქმედებდა მე-12—14 საუკუნეებში, ჩამოყალიბდა მე-12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს.

სავაზიროს სათავეში იდგა თვით მეფე. იგი თავმჯდომარეობდა სავაზიროს სხდომებს. სახელმწიფო განკარგულებანი ქვეყნდებოდა მეფისა და ვაზირთა საერთო „ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ს“ სახით.

1. მწიგნობართ-უხუცესი — პირველი ვაზირი. — სავაზიროში პირველი ვაზირის პოსტი ეკვირა მწიგნობართ-უხუცესს. მწიგნობართ-უხუცესის ტიტულია: „ვ ა ზ ი რ თ ა ყ ო ვ ე ლ თ ა უ პ ი რ ვ ე ლ ე ს ი“². მასვე ეწოდება „მ ა მ ა მ ე ფ ე ს ა“. ასეთი მაღალი ტიტული „მამა მეფისა“ მაჩვენებელია, თუ რა დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული მწიგნობართ-უხუცესს, როგორც პრემიერ-მინისტრს. „კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ ჭყონდიდელი, „ვითა მამა არის მეფისა, აგრე ყველა საურაფი უმისოდ არ იქმნების“³.

გარდა პრემიერის მოვალეობისა, მწიგნობართ-უხუცესი ასრულებდა აგრეთვე იუსტიციის და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრისა და უზენაესი მსაჯულის მოვალეობებს. მას მიემართებოდა ეპითეტები: „მართლმსაჯული“, „ხელისმკუპრობელი უღონოთა“⁴. „კარის გარიგებაში“ აღნიშნულია: „ჭყონდიდელი ორშაბათს დღეს სააჯო კარსა შიგან დაჯდების..., მიმძღაგრებულთა განიკითხვას“. — „იურვის, რაც ვის უსამართლო ჰქირს“⁵.

¹ მითითება წყაროებზე გვარეულობათა შესახებ, რომელთაგან ინიშნებოდნენ ვაზირნი, იხ. ქვემოთ, თავი III-ა, საქართველოს სახელმწიფო მთავრობის ს ა ვ ა ზ ი რ ო ს პერსონალური შედგენილობა; დანართი: წყაროები(გვ. 159—164). იხ. აგრეთვე 141—143 (ერისთავთა სია 1184—1212 წლებისა და სიის განმარტება).

² იხ. ანდერძი ხელნაწერისა S-1274.

³ იხ. კარის გარიგება, გვ. 4.

⁴ იხ. ანდერძი ხელნაწერისა S-1274.

⁵ იხ. კარის გარიგება, გვ. 3.

მწიგნობართ-უხუცესი, როგორც წესი, ინიშნებოდა სასულიერო პირთაგან. ეს იმისათვის, რათა პირველი ვაზირი ფეოდალურ დაჯგუფებათა გარეშე მდგარიყო. მწიგნობართ-უხუცესად არჩეულს სასულიერო პირს ამავე დროს ნიშნავდნენ ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსის კათედრაზე¹.

სავაზიროში, გარდა მწიგნობართ-უხუცესისა, „ვაზირთა უპირველესისა“, შედიოდა რამდენიმე ვაზირი. მათი რიცხვი, სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა იყო.

მე-12 საუკუნეში, საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1191 წლამდე, სავაზიროში, გარდა მწიგნობართ-უხუცესისა, შედიოდა შვიდი წევრი. ესენი იყვნენ:

სამი ვაზირი (სრულის უფლებებით): 2. ამირსპასალარი; 3. მანდატურთ-უხუცესი; 4. მეჭურჭლეთ-უხუცესი;

ერთი უმცროსი ვაზირი (სათათბირო ხმით): 5. მსახურთ-უხუცესი;

სამი სპასპეტი (მხედართმთავარი) — უმცროს ვაზირთა უფლებებით: 6. ჩუხჩარხი; 7. მეჭინიბეთ-უხუცესი; 8. ამირახორი.

2. ამირსპასალარი — „სპასპეტთა უპირველესი“ („სპასალართა უხუცესი“) იყო სამხედრო მინისტრი და მთავარსარდალი. „ქარის გარიგება“-ში აღნიშნულია: „ლაშქრობა, და ლაშქრობის ვაზირობა, — ამირსპასალარის ხელთ არს, და ამის წინათ არავინ იტყვის“².

ამირსპასალარი ამავე დროს მონაწილეობდა ახლად შემოერთებული ქვეყნების ორგანიზაციის საქმეებსა და „სამამულო შეწყალების“, ლენის გაყვების საქმეებში. „ქარის გარიგება“-ში ნათქვამია:

„ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის და თავადი ლაშქართა; და უმისოდ ქვეყანა არ გაიციმის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალების“³.

3. მანდატურთ-უხუცესი — იყო შინაგან საქმეთა მინისტრი. იგი დიდად გავლენიანი ვაზირი იყო და თავისი რანგით ეთანასწორებოდა ამირსპასალარს.

მანდატურთ-უხუცესის სხვა პარალელური სახელწოდებანი არის: „ამირბარი“ (სე მოიხსენება იგი ვეფხის-ტყაოსანში) და „სახლთ-უხუცესი“. „ამირბარი“ (იმავე ტიპის ტერმინი, როგორც „ამირსპასალარი“) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „სახლის უფროსი“, „სახლის უხუცესი“, იგივე „სახლ-უხუცესი“ („სახლი აქ იგულისხმება სამეფო „ქარი“, პორტაგვიან ხანაში ამ ვაზირის სახელწოდებად სწორედ ეს უკანასკნელი ტერმინი დამკვიდრდა: „სახლთ-უხუცესი“).

ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობასთან ზოგჯერ შეთავსებული იყო ვაზირის ამირსპასალარის პოსტი. „ქარის გარიგება“-ში ნათქვამია: „ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის... და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა სწორი არის, და ესეც იქმნების, რომ ორივე ერთსა ჰქონდეს“⁴ (შეადარეთ ვეფხის-ტყაოსანში: „თვით ამირბარსა ინდოეთს აქვს ამირსპასალარობა“, სტროფი 316).

¹ იყო მხოლოდ ორი გამონაკლისი: ვაზირი სეიმონ გულაბერისძე, რომელსაც ეპირა მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობა 1118—1150 წლებში, პირველად იყო ზედოელ-ალავერდელ მთავარეპისკოპოსი (1118—1123/1130 წლებში) და შემდეგ დაინიშნა ჭყონდიდელად. — მეორე ვაზირი, იოვანე (ქობულისძე), რომელსაც ეპირა მწიგნობართ-უხუცესის თანამდებობა 1150—1177 წლებში, სასულიერო პირი (ბერი) იყო, ხოლო ჭყონდიდელად იგი წყაროებში არ მოიხსენება.

² იხ. ქარის გარიგება, გვ. 9.

³ იხ. იქვე, გვ. 19. იხ. აგრეთვე ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 127—128.

⁴ იხ. ქარის გარიგება, გვ. 19.

4. მეჭურჭლეთ-უხუცესი — ფინანსთა მინისტრი.

ძველს „ქარის გარიგება“-ში, რომელიც შოთას უპოქას, მე-13 საუკუნის პირველ ნახევარს ეუთვნოდა და რომლის ავტორი იყო თვით ვაზირი, მსახურთ-უხუცესი მ ა ნ ა ვ ე ლ ი (ციტატი მე-13 საუკუნის ამ ძველი „ქარის გარიგები-დან“ მოყვანილია მე-14 საუკუნის „ქარის გარიგების“ ტექსტში) — აღნიშნუ-ლია: „მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არს, საპატიო“¹.

მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის „ქარის გარიგება“-ში უფრო ვრცელი ცნობებია მეჭურჭლეთ-უხუცესის შესახებ; აქ ვკითხულობთ:

„დიდი არის მეჭურჭლეთ-უხუცესი; ათაბაგის დაწყებამდე მეოთხე ვაზირი არის. ძველნი ქალაქნი... საჭურჭლის ნაცვალი, მუქიფი, მუშრები, ქალაქის ამი-რანი, მეჭურჭლენი ქალაქისანი და თვით დარბაზს მყოფნი მეჭურჭლენი მისისა ხელისანი არიანი... და მსახურთ-უხუცესის სწორია, ვით ამირსპასალარისა და მანდატურთ-უხუცესისა“².

5. მსახურთ-უხუცესი — იყო სასახლის (მეფის სახლის) მინისტრი, მყოფდომი, განმგებელი მეფის სახლის საქმეთა (ამიტომაც, როგორც აღნიშ-ნავს მე-12 საუკუნის ისტორიკოსი — „ისტორია-აზმანთა“ ავტორი, მსახურთ-უხუცესობას ეწოდებოდა „ხ ე ლ ი შ ი ნ ა უ რ ი“, ამასთან „საპატიო“)³.

მსახურთ-უხუცესი პირველ პერიოდში, მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუ-ნის დასაწყისში, უმცროს ვაზირად ითვლებოდა, სავაზიროში იგი სათათბირო ხმით სარგებლობდა. ხოლო შემდეგ, როგორც ეს აღნიშნულია „ქარის გარიგე-ბა“-ში, მსახურთ-უხუცესს მიენიჭა სრულუფლებიანი ვაზირის რანგი. ამის შემდეგ მსახურთ-უხუცესი თავისი პატივით გაუთანასწორდა მეჭურჭლეთ-უხუ-ცესს⁴.

დანარჩენ სამ ვაზირს, რომლებიც უმცროს ვაზირთა უფლებებით სარგებ-ლობდნენ, ეწოდებოდა ს პ ა ს პ ე ტ ნ ი (იხ. ქვემოთ თამარის პირველი ისტორი-კოსის ტექსტი, გვ. 142—143).

სპასპეტნი იყვნენ:

6. ჩუხჩარხი,

7. მეჭინიბეთ-უხუცესი,

8. ამირაზორი.

ამათგან მეორე და მესამე სპასპეტნი — მეჭინიბეთ-უხუცესი და ა მ ი რ ა ზ ო რ ი იყვნენ მოადგილენი ამირსპასალარისა, სამხედრო მინისტრი-სა და მთავარსარდლისა („სპასპეტთა უპირველესისა“).

ხოლო პირველი სპასპეტი — „ჩუხჩარხი“ იყო პირადი სპასპეტი მე-ფისა. როგორც ცნობილია, საქართველოს ლაშქარი ოთხ ფრთად, ოთხ სადრო-შოდ განიყოფებოდა. მათ შორის ერთი იყო სადროშო მეფისა („მეფისა თანა მყოფნი“). სპასპეტი ჩუხჩარხი, როგორც ირკვევა, იყო მეფის მოადგილე სპას-

¹ იქვე, გვ. 19.

² იქვე, გვ. 8—9.

³ იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის უბოვრება, II, გვ. 59.

⁴ იხ. ქარის გარიგება, გვ. 19.

პეტი მეფის სადროშოსი. ამის გარდა, სპასპეტი ჩუხჩარხი, რუგორც უნდა გვევსა, სარდლობდა სამეფო კარის გვარდიას!

მოგვეყავს ამის შემდეგ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტი თამარის პირველი ისტორიიდან („ისტორია-აზმანი შარავანდედთანი“), რომელიც დაწერილია 1196 წელს (თამარის მეფობის მე-12 წელს). ამ ტექსტში ჩამოთვლილია, თუ ვინ იყვნენ დადგენილი სავაზიროს წევრებად თამარის მეფობის პირველ პერიოდში, აგრეთვე ვინ იყვნენ საქართველოს მთავარი აღმინისტრაციული ერთეულების — მხარეების ერისთავები (რომლებიც დიდი ერისთავების ანუ ერისთავთ-ერისთავების ტიტულს ატარებდნენ).

ეს დიდად მნიშვნელოვანი ტექსტი მე-12 საუკუნის დასასრულისა განმეორებულია აგრეთვე მეორე ძველქართულ ძეგლში, საქართველოს სახელმწიფოს „ქარის გარიგება“-ში.

აი ეს ტექსტი:

1 ვინაიდან საკითხი ამ პირველი სპასპეტის — ჩუხჩარხისა — შესწავლელია, იქ საჭიროა ზოგიერთი განმარტება.

სპასპეტის ჩუხჩარხის სრული ტიტული იყო: „ეზოთ-უხუცესი ჩუხჩარხი“ (იხ. „წესი და განგება“ მეფის კურთხევისა) ანუ „ეზოს ჩუხჩარხი“ (იხ. სიგელი გიორგი VII-ისა 1453 წლისა, თ. კორდანი, ქრონიკები, II, გვ. 267). „ეზო“, არქველ ქართულად სამეფოს კარს აღნიშნავდა და „ეზოთ-უხუცესი“ ცხადია ეწოდებოდა ამ სპასპეტს — როგორც სამეფო კარის გვარდიის სარდალს. (შეადარეთ სომეხლ საუკუნეთა ეს ტერმინი „ეზოთ-უხუცესი“ ანტიკური ხანის ქართულ ტერმინს „ეზოა-სმოძღუარი“, რა სახელითაც, როგორც ეს ირყევა მცხეთის ანტიკური ხანის ბერძნულ-არამეულ წარწერათა შეფარდებიდან V საუკუნის ძველქართულ ტექსტთან, იწოდებოდნენ ანტიკური ხანის იპრების მეფეების უძლიესი ზღვითუღანი).

მეფის კურთხევის „წესი და განგება“-ში ასეა აღწერილი საზვიმო კორტევი, როდესაც მეფე, საკურთხებლად განშაგებული, მიემართებოდა ვაზირთა და მთავართა თანხლებით ტაძრისაკენ:

მეფის კორტევის წინ უძლიდა ვაზირი მანდატურთ-უხუცესი, სამანდატურო ოქროს არგანით ხელში;

მარჯვენა მხარეს მეფეს მიჰყვებოდნენ ამირსპასალარი და მისნი მოადგილენი (ამირახორი და მქეჩინბეთ უხუცესი). „წესი და განგებაში“ ნათქვამია: „ამირსპასალარი მარჯვენით ჰყვებოდეს მეფესა და სამეფო ხმალი ორთავე ხელთა ეტვირთოს; აგრეთვე ამირახორი და მქეჩინბეთ-უხუცესი ამირსპასალარის კერპო ვიღოდეს“.

(მეფის ხმალს, რომელიც ორ ხელზე დასვენებული მიაქვს ამირსპასალარს, მეფის კურთხევის დროს—წელზე შემოარტყამენ მეფეს).

მეფეს უკან მიჰყვებოდა ჩუხჩარხი; „წესი და განგებაში“ მის შესახებ ნათქვამია: „ეზოთ-უხუცესსა და ჩუხჩარხსა, მებაგრეთ-უხუცესსა (მეფისასა), სამეფო ფარი და ლაბტი ჰქონდეს და ქარჭში, უკანა უდგეს მეფესა“;

ხოლო მეოთხე, მარცხენა მხარეს, მეფეს მიჰყვებოდნენ შვიგნობართ-უხუცესი და სხვა ვაზირნი.

ამრიგად, როგორც მეფის კურთხევის მოელს ცერემონიალში, ისე კერძოდ ამ შემთხვევაშიც, კორტევის თანრიგში, შეინიშნება გარკვეული წესი. აქ წარმოდგენილი არაა:

მეფეს წინ უძღვის, სამანდატურო ოქროს არგანით, მანდატურთ-უხუცესი, რომელიც განასახიერებს სახელმწიფოს შინაგან წესრიგს. ვაზირი, რომელსაც ემორჩილებიან მანდატური, წიყნის წესრიგის დამცველი;

მეორე მხარეს მეფეს მიჰყვება სამხედრო ვაზირი (ამირსპასალარი) და მისი ორი მოადგილე (ამირახორი და მებაგრეთ-უხუცესი);

მესამე მხარეს — მეფის პირადი სპასპეტი ჩუხჩარხი, მებაგრეთ-უხუცესი მეფისა; მეოთხე მხარეს — დანარჩენნი ვაზირნი, პირველი ვაზირის — შვიგნობართ-უხუცესის მოთავეობით.

1 ასევეა ამის მიხედვითაც, რომ სპასპეტი ჩუხჩარხი არ იყო ამირსპასალარის სახელის (როგორც ამირახორი და მქეჩინბეთ-უხუცესი), არამედ მეფის პირადი სპასპეტი.

ბრისტაშნი და ხოლისა მქონებელნი [ვაზირნი]
დიდისა თამარ მიწისა

რომელნიცა განაჩინა ერთნაზოობითა
შვიდთავე საფოთთა დიდებულთათა

პირველად გარდაცვლებასა [ქართლისა კათალი-
კოზისა, ქყონდიდელისა და შწიგნობართ-უხუცესის-
სა მიწაელ მირიანის ძისა], და გამორჩევასა ორთა —
ვაზირთა და სპასპეტთასა, — თანადგომითა და
ერთნებობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა-
თა, ბრძანა [მეფემან თამარ] დამტკიცებად:

[1. ვაზირთა უპირველენი]

[1] ქყონდიდელად და შწიგნობართ-უხუცესად და
ვაზირთა უპირველესად გარდადიოვე მამისა მათი-
სა ანტონი გლონისთავის ძე, კაცი
პრძენი და გონიერი, პატრონთათვის სვიანი და ერთ-
გული და შემეცნებული საურავთა.

[2. ვაზირი, სპასპეტო-
უპირველესი]

[2] და განაჩინა ამირსპასალარად სარგის
მხარგრძელი, კაცი გუარაიანი და აღზრდილი
ლაშქრობათა შინა და ქაბუკობათა, და უბოძა ლო-
რე სათავეადო და სამთავრო სომხითისა შინა.

[3—4 ვაზირნი]

[3] და განაჩინა და უბოძა ჭიბაბერსა მანდა-
ტურთ-უხუცესობა და მისცა არგანი ოქროსა ხელ-
თა მისთა.

[5. უმცროსი ვაზირი]

[4] და კუალად უბოძა მეკურკლეთ-უხუცესობა
დიდსა და გუარაიანსა კაცსა კახაბერს ვარ-
დანის ძესა.

[6. სპასპეტი]

[5] და მსახურთ-უხუცესობა — ვარდანს და-
დიანსა,

[6] და ჩუხჩარობა — მარუშინსა,
ვინაიცა მათ ორთავე მამანი მომხცოვნებულ იყ-
ვნეს, და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხნა სა-
სთაულითა.

[7—8 სპასპეტნი]

[7] [და უბოძა მეჩინიბეთ-უხუცესობა...]

[8] და უბოძა ამირახორობა გამარეკელსა
თორელსა, რომელიცა ამირსპასალარცა იქმნა
შემდგომად სარგის მხარგრძელისა.

და შთააცუეს ტანსა მათსა სკარამანგი, და დასუეს
სელეებითა ოქრო-ჭედილითა რომელიმე მარჯუ-
ნით მისსა [თამარისა], და რომელნიმე მარც-
ხენით.

და ერისთავნი მის ქამისანი ესენი იყვნეს:
[ლიხთ-იმერით:]

[1. გაერთიანებული
სვანეთი (საერისთავო)
და გურია (საუფლისწულო)]

[1] ბარამ ვარდანის ძე — სუნთა ერის-
თავად.

[2. რაჭა-თაყურის
საერისთავო]

[2] კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა და
თაყურის ერისთავად.

- [3. ცხუმის საერისთავო] [3] და ოთალო შარვაშენი ცხუმის ერისთავად.
- [4. არგუეთის საერისთავო] [4] [...] ამანელისძე — არგუეთის ერისთავად.
- [5. ოდიშის საერისთავო] [5] და ოდიშის ერისთავად — ბედიანი.
- ლიბთ-ამერით:
- [6. ქართლის საერისთავო] [6] ქართლის ერისთავად — რატი სურამელი.
- [7. კახეთის საერისთავო] [7] და კახეთის ერისთავად — ბაკურ-ყმაძი განისძე.
- [8. ჰერეთის საერისთავო] [8] და ჰერეთის ერისთავად — გრიგოლისძე ასათ, — რომელმან მისტაცა მძლავრობით და მორევით საღირს კოლონკელისძესა,
- [9. რუსთავის საერისთავო (არაშინისა ადგილი*)] [9] და მცირედ-ემ ქონებასა შინა იაჯა არიშინისა ადგილსა დაჯდომა, სასთაუღლითა, და ხელთ უდვა შევილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავობა.
- [10. სამცხის სასპასალარო] [10] და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი;
- [11. ტაოს საერისთავო] [11] (აკლია ცნობა ტაოს საერისთავოს შესახებ).

და სხუანი ხელისუფალნი, ტაძრისა და საყდრისა სამეფოსა წინაშე მდგომელნი, განაჩინეს წესისა აებრ სახლისა'.

ვიდრე განავარძობდეთ საუბარს სავაზიროს შესახებში საყოთებების გამო, აქ საჭიროა წარმოვადგინოთ ზოგიერთი განმარტება საერისთავოთა შესახებ.

საქართველო, როგორც აღნიშნული გვქონდა, განიცოფებოდა 20 მთავარ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად, დიდ საერისთავოებად (გარდა არაბატის სომხეთის ოთხი საერისთავოსი); ხოლო ზემოთ მოყვანილ ტექსტში, სიის მეორე ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია ხელისუფალნი, მეთაურნი საერისთავოებისა, დასახელებულია 10 ხელისუფალი.

დანარჩენ საერისთავოთა მეთაურნი ამ მეორე ნაწილში არაა ჩამოთვლილი შემდეგის გამო ორი ადმინისტრაციული ერთეული — ეს იყო მეფის დომენები (სახელდობრ: № 4 თბილისი; № 14 ქუთათისი და სამოქალაქო).

შესაშე ადმინისტრაციული ერთეული ეს არის ლორეს სანაპირო საერისთავო (№ 7), რომელიც იმყოფებოდა ამირსპასალარის განმგებლობაში, ხოლო ამირსპასალარი უკვე დასახელებული იყო სიის პირველ ნაწილში, ვაზირთა ჩამოთვლის დროს (იხ. სიაში მე-2, ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი, რომლის შესახებ იქვე საგანგებოდ აღნიშნულია, რომ მას უბოძეს ლორე, სათავადო ჯა სამთავრო).

მეოთხე და მეხუთე ადმინისტრაციული ერთეულებია ორბეთის საერისთავო (№ 6) და კაენის სანაპირო საერისთავო (№ 8), რომელნიც 1178 წელს ჩამოერთვა ორბელიანთა გვირგვინს (დემნის აჯანყებაში მონაწილეობის გამო); ეს ორი საერისთავო ამ დროს ვადეცეული იყო განმგებლობაში ვარდან დადიანისა, რომელიც უკვე დასახელებული იყო სიის პირველ ნაწილში, ვაზირთა ჩამოთვლის დროს, როგორც მსახურთ-უხუცესი (იხ. სიაში მე-5). ორამ მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი იყო განმგებელი ორბეთის და კაენის საერისთავოთა, ამის შესახებ საუბარია იმავე მატიანეში სხვა ადგილას.

შექვეს ადმინისტრაციული ერთეული თორი-ფავახეთი (№ 10), საუფლისწულო, აყო

* იხ. ისტორია-აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32—34. (შეად. კარის გაბიგება, გვ. 16).

* იხ. ისტორია-აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49.

განმგებლობაში გამარჯვებული თორელია, რომელიც მოხსენებელია იქვე სვეტიცხოველი ნაწილში, როგორც ვაზირი (იხ. სიაში მე-8).

მეშვიდე ერთეული გურია (№ 18), — საეფსოპოსო, დაკავშირებული იყო ადმინისტრაციულად სვანეთის საერისთავოსთან, მათ სათავეში იდგა ერთი გვარეულობა — ვარდანიძეები, სვანთ-ერისთავ/გურიალნი (1184—1190-იან წლებში, რა დროსაც ეტება სია, გამარჯვებული ამ ორი დაკავშირებული ერთეულისა იყო ბარამ ვარდანიძე, რომელიც ერისთავთა სიაში მოიხსენება პირველად).

მერვე ერთეული, ვაგის სანაპირო საერისთავო, ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული; იგი დაკავშირებული იყო სამირსპასალაროსთან და განიყოფებოდა ცალკე თემებად (იხ. ზევით, გვ. 134). ვაგის სანაპირო საერისთავო, როგორც ცალკე სამხარეო ერთეული (დიდი საერისთავო) ჩამოყალიბდა 1191 წელს.

მეცხრე ერთეული, თმოგვის სანაპირო საერისთავო (№ 12), აგრეთვე არ იყო ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად. „ისტორია-აზნათა“ ცნობის თანახმად თმოგვი გამოეყო თორი-ყავახეთის მხარეს და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ერთეულს (სანაპირო საერისთავოს) სახით 1191 წელს (თმოგვის პირველი ერისთავია განთქმული პოეტო თამარის ეპოქისა — სარგის თმოგველი).

დასასრულ დაგვიჩვენია აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფალთა ამ საპატიო სიიდან, რომელიც წარმოადგენილი აქვს ისტორიკოსს, ამოღებულია სახელი ერთი ერისთავისა, სახელმწიფოს დიდი მოღალატისა. ეს არის გუზან ტაოელი, შეეშეთ-კლარჯეთ-ტაოთა დიდი ერისთავი. გუზანის შესახებ მატიაწევი სხვა ადგილას დაუტოვია ცნობა, რომ იგი იყო „პატრონი შავშეთისა და კლარჯეთისა, რომელი ძველთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა ადგილსა შეეწყალა პატრონისა (მეფესა თამარს)“¹. გუზანი ქვეყნის უდიდეს ღალატში გაერია, იგი შეეცადა გადაეხია თურქებისათვის ტაოს უმნიშვნელოვანესი ციხეები (მემატიაწის სტრუქტურა, — გუზან, პირველითავე წარმწყმედელი თავისა, აქცა გამტანელი ტაოსკარისა, ვაშლოვანისა და სხუთთა ციხეთა, წაჰიღა ქვეყანისა შაპარმენისა“, რის შემდეგ ტაოში შეშოვიდა შაპარმენის დიდი ლაშქარი, „პატრონი ათორმეტისა დროისანი — ციხეთა შინა თურქთა შეეცნებულა“ — თურქები განდევნილ იქმნენ და ციხეები დაბრუნებულ იქმნა დიდი ბრძოლების შემდეგ, რომელიც გადამხდა სამცხე-ჯავახეთისა და ტაოს მხარეთა ლაშქარმა². ბუნებრივია ამის შემდეგ, რომ გუზანის სახელი ამოღდათ საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფალთა ამ საპატიო სიადან.

ამ საპატიო სიაში არ არის აგრეთვე სახელდებათ მოხსენებული მეორე პირიც, რუსთავის ერისთავთ-ერისთავი აბულსან იობის-შე („არიშინისა ადგილსა მჭლოში“), რომელიც იყო 1191 წლის ამბოხების მომწყობი და რომლის შესახებ მემატიაწევი სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ იგი იყო „საქუდიოთა ბარბაროზი და ქვეყნთა ტარტაროზი“³. ხელისუფალთა ამ საპატიო სიაში აბულსანის ურდო არის მინიშნებული (როგორც „არიშინისა ადგილსა მჭლოში“) და სახელდებათ მოხსენებულთა მისი შემკვიდრე ასათ ვრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა, რომელმაც შესცვალა აბულსანის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის პოსტზე („აჯა არიშინისა ადგილსა დაქლომა, სასათულოთა“).

დაეუბრუნდეთ ამის შემდეგ სავაზიროს შესახებ საკითხების განხილვას.

თამარის მეფობაში, 1191 წელს, სავაზიროს შედგენილობაში ცვლილება მოხდა. ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ სავაზიროში დატოვებულ იქნა მხოლოდ ხუთი წევრი, ე. ი. საკუთრივ ვაზირები: 1. მწიგნობართ-უხუცესი; 2. ამირსპასალარი; 3. მანდატურთ-უხუცესი; 4. მეჭურჭლეთ-უხუცესი; 5. მსახურთ-უხუცესი. რაც შეეხება სამ სპასპეტს (ჩუხჩარბი, მეჭინბეთ-უხუცესი და ამირახორი), მათი თანამდებობანი თუმცა დარჩა, მაგრამ ამის შემდეგ სავაზიროს წევრებად აღარ ითვლებიან. ეს ცვლილება, საფიქრებელია, შემდეგით იყო გამოწვეული: ჩანს საჭიროდ მიუჩნევიათ, რათა სამხედრო საქმეებში სრულ

¹ იხ. ისტორია-აზნათა შარვანდელთანი, ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 55.

² იხ. იქვე, 49.

³ იხ. იქვე, გვ. 55—56.

⁴ იხ. იქვე, გვ. 48.

ეთოპიაროვნული ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა ყოფილყო სამხედრო ვაზირისა და მთავარსარდალის ამირსპასალარისა.

ამ ცკლილების შემდეგ, სახელმწიფო განკარგულებანი გამოდიოდა მეფისა და ხუთი ვაზირის „ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ“.

მოგვყავს ერთი დოკუმენტის ტექსტი თამარის ეპოქისა, 1207—1212 წლებისა; ამ დროს თამარის თანამმართველად იყო, უკვე მეფედ კურთხეული, თამარის ვაჟი გიორგი-ლაშა.

დოკუმენტი წარწერილია ქვაზე, სტელაზე, რომელიც სამფლობელოს მიჯნაზე იყო დასმული, ქვაზე გამოსახულია „ხ ე ლ ი“, რაც „ხელ-მწიფის“, უფლებამოსილი პირის ბრძანების სიმბოლოა. ძველი „ხელი“ აღნიშნავს, რომ საზღვარი სამფლობელოსი, რომლის მიჯნაზე იგი დასმული, უცვლელია.

მოგვყავს ტექსტი ბრძანებისა, რომელიც წარწერილია „ხ ე ლ ი ს“ აღნიშნულ სტელაზე და რომელიც გაეცმულია მეფეების თამარის, გიორგი-ლაშას და ხუთი ვაზირის სახელით:

„სახელით(ა) ღმრთისა(ა)თა),
ბრძანებითა ღმრთის(ა) სწორთ(ა) თამარის(ა) და გიორგისით(ა),
კუონდიდელის (ა), ზაქარია, შალვა(ა), ოვხე-ყმა(ა), ივანესითა,
ჯულაბაძს მოქირვებითა, სანობაძს ძისა ინაძს კელითა,—
დაძსუა კელი ესე ღმრთის(ა) სწორთა მეფეთ-მეფის(ა) გიორგისი.

ბრძანების გამცემელნი არიან:

მეფეთ-მეფენი:

თ ა მ ა რ ი და გ ი ო რ გ ი - ლ ა შ ა ;

ვაზირნი:

- I. მწიგნობართ-უხუცესი: ანტონი გლონისთავისძე კ უ ო ნ დ ი დ ე ლ ი ;
- II. ამირსპასალარი: ზ ა ქ ა რ ი ა მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი ;
- III. მანდატურთ-უხუცესი: შ ა ლ ვ ა თ ო რ ე ლ ი - ა ხ ა ლ ც ი ხ ე ლ ი ;
- IV. შეპურტლეთ-უხუცესი: ო ვ ს ე - ყ მ ა [კახთ ერისთავი];
- V. მსახურთ-უხუცესი: ი ვ ა ნ ე მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი .

თამარის მეფობის მეორე პერიოდში, 1211 წელს, კიდევ ერთი ცვლილება მოხდა სავაზიროს შედგენილობაში: ამ წელს შემოღებულ იქმნა ახალი თანამდებობა ვაზირის — ა თ ა ბ ა გ ი ს ა .

ათაბაგი იყო სამეფო ტახტის შემკვიდრე უფლისწულის აღმზრდელი.

ათაბაგობა ჩვეულებრივ შეითავსებული იყო ვაზირის ამირსპასალარის თანამდებობასთან. როდესაც უფლისწულის სწავლის წლები დადგებოდა და ამირსპასალარი შეუდგებოდა უფლისწულის აღზრდა-განათლების საერთო ხელმძღვანელობას, მას მიენიჭებოდა ათაბაგის (ათაბაგ-ამირსპასალარის) სახელწოდება. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ათაბაგად ინიშნებოდა არა ამირსპასალარი, არამედ სხვა მთავარი¹, მას ენიჭებოდა ვაზირის ათაბაგის რანგი; გარდა იმისა, რომ იგი ხელმძღვანელობდა უფლისწულის სწავლა-აღზრდას, ათაბაგი (არა ამირსპასალარი) იყო სრულის უფლებით მოსილი ვაზირი, იგი ღებულობდა

¹ „ხელის“ სტელა ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

² როგორც, მაგალითად, სარგის I ციხისჯვარელ-ჩაყელი (1281—1284 წ.), ან ტარსაიკ ორბელიანი (1284—1289 წ.).

მონაწილეობას სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელობაში, როგორც წინამდებარე წლებში ვაზირისი. იგი, ასე ვთქვათ, უპირატესო მინისტრი იყო.

თავისი რანგით ათაბაგი მეორე ვაზირად ითვლებოდა (მწიგნობართ-უხუცესის შემდეგ და ამირსპასალარის წინ).

ასეთი იყო ის ცვლილებანი, რომელიც მოხდა სავაზიროში თამარის მეფობის დროს, 1191-სა და 1211 წლებში.

მას შემდეგ სავაზიროს შედგენილობა, მომდევნო ორი საუკუნის მანძილზე, მე-13—14 საუკუნეებში, აღარ შეცვლილა.

ამრიგად სავაზიროს შედგენილობამ მე-13 საუკუნის დასაწყისში შემდეგი სახე მიიღო:

1. მწიგნობართ-უხუცესი; 2. ათაბაგი; 3. ამირსპასალარი; 4. მანდატურთ-უხუცესი; 5. მეპურკლეთ-უხუცესი; 6. მსახურთ-უხუცესი.

არ იქნება ინტერესს მოკლებული გვაეცნოთ აქ მკითხველს აგრეთვე, თუ როგორ ტარდებოდა სავაზიროს სხდომები. ეს გვაეცნობს ეპოქის გარემოს, ასე ვთქვათ, გარეგან სტილს მუშაობისა.

ძველ-ქართულ ძეგლში, რომელსაც „ქარის გარიგება“ ეწოდება და რომელიც გიორგი ბრწყინვალის ხანას (მე-14 საუკუნის 30-იან—40-იან წლებს) ეკუთვნის, აღწერილია წესი და განგება სავაზიროს სხდომების ჩატარებისა. აქ ყველაფერი რეგლამენტირებული იყო.

„ქარის გარიგების“ ავტორი ასე იწყებს მოთხრობას:

„თუ ვაზირობა იყოს, — მოახსენონ ჳყონ დიდელსა, ათაბაგსა, ამირსპასალარსა, მანდატურთ-უხუცესსა, მსახურთ-უხუცესსა;

და ამირახორსა (— ამირსპასალარის ნაცვალსა), [საწოლის მწიგნობარსა (— მწიგნობართ-უხუცესის ნაცვალსა) და ამირეჯიბსა (— მანდატურთ-უხუცესის ნაცვალსა)].

დაჰფინოს ორზოვა ფარეშთ-უხუცესმა მომცრო და ზედ სასთაული დადვას, რათა დაჯდეს მეფე მას ზედა.

მოიღონ სუფრის ნოხი და მომრგვალებით დაჰფინონ პირისპირ.

თავსა სუფრის ნოხისასა სელნი (სავაზირო საჯდომნი) დადგან.

მსახურთ-უხუცესმან „ბრძანეთ“ თქვას. ჟალაბობა გაიყაროს“.

ამის შემდეგ აღწერილია ვაზირთა შემოსვლა და მისალმების ცერემონია. ვაზირნი (როგორც აღნიშნული აქვს თამარის პირველ ისტორიკოსსაც ზემოთ მოყვანილ ტექსტში), სხდებიან ოქროკედელ სავაზირო სელებზე, „რომელნიმე მარჯუენით მისსა [მეფისა], რომელნიმე მარცხენით“.

„ქარის გარიგების“ ავტორი ამის შემდეგ იძლევა მოკლე ცნობებს ვაზირთა „ხელისა“ და „პატივის“ შესახებ. ამ ნაწილს უკვე იცნობს მკითხველი, მაგრამ მოთხრობის მთლიანობისათვის მას გავიუმორებთ:

„ქარის გარიგების“ ავტორი აღნიშნავს, რომ პირველი ვაზირია მწიგნობართ-უხუცესი: „მწიგნობართ-უხუცესი ამამაა მეფისა“, — წერს იგი.

მეორე ვაზირი არის ათაბაგი. ქარის გარიგების სიტყვით „ათაბაგი ახალია: გასულა ათაბაგი დიდი და საპატიო“. ათაბაგს, როგორც ტახტის მემკვიდრე უფლისწულის აღმზრდელს, მიუყუთენება მწიგნობართ-უხუცესის სწორი პატივი.

შემდეგი ადგილი, რანგის მიხედვით, მიეკუთვნება ორ ვაზირს, — ამირსპასალარსა და მანდატურთ-უხუცესს. „კარის გარიგების“ ავტორი წერს: „ამირსპასალარი საპატიო ვაზირი არის და თავადი ლაშქართა და უმისოდ ქვეყანა არ გაიცემის, არცა ვინ სამამულოდ შეიწყალებს. და პატივი მისი და მანდატურთ-უხუცესისა ერთი არს“.

შემდეგი ადგილი უჭირავთ ორ ვაზირს, მეჭურჭლეთ-უხუცესსა და მსახურთ-უხუცესს; ავტორი მათ შესახებ გადმოგვცემს: „მეჭურჭლეთ-უხუცესი ძველი ვაზირი არს საპატიო (და ვინცა ამას იტყვის, — მსახურთ-უხუცესი მანაველი, რუსუდან მეფესა შეუყვანია სავაზიროსა). აწ მსახურთ-უხუცესი მეჭურჭლეთ-უხუცესის გვერდით ზის (ვაზირობის დროს)“.

სავაზიროს სხდომას, გარდა მეფისა და ექვსი ვაზირისა, ესწრებოდნენ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ვაზირთა სამი მოადგილე: ამირახორი (— მოადგილე ამირსპასალარისა), საწოლის მწიგნობარი (პირველი მწიგნობარი, მოადგილე მწიგნობართ-უხუცესისა) და ამირეჯიბი (მოადგილე მანდატურთ-უხუცესისა). მაგრამ ვაზირთა ეს მოადგილეები არ ღებულბენ მონაწილეობას ვაზირობაში და არც სხედან სავაზირო მაგიდასთან; ისინი დგანან ვაზირთა უკან, წინ უდგათ „ზე-სკამი“ (პიუპიტრი). ამირახორი, როდესაც შეეკოთხებოან, აწვდის ცნობებს სამხედრო საქმეებზე; პირველი მწიგნობარი იწერს დადგენილებებს. ხოლო ამირეჯიბი გადასცემს განკარგულებებს დარბაზს გარეთ, და შემოიყვანს დარბაზში, თუ რომელიმე ხელისუფალს დაიბარებენ. „კარის გარიგების“ ავტორი ვაზირთა ამ სამი მოადგილის შესახებ გადმოგვცემს: „ამირახორსა მათ (ვაზირთა) უკანით ვითა ზე-სკამი უდგს, და ვაზირობა ესმის, და იგი არას იტყვის, რასაც რა ჰკითხავენ; და რა ჰკითხონ, მაშინ-ღა პასუხს იტყვის.“

„მწიგნობარი ჰყონდიდლისაყენ დგას კედლის ძირსა, საწერელი აქვს თავისი [ზე-სკამსა ზედა].“

„ამირეჯიბი შუაზედ [დგას] და ხელთა არგანი აქვს (მანდატურთ-უხუცესისა).“

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ზომები იყო მიღებული სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვისათვის. როგორც მოხსენებული გვქონდა, ვერავინ, გარდა მეფისა, ექვსი ვაზირისა და ვაზირთა სამი მოადგილისა სავაზიროს სხდომას ვერ დაესწრებოდა.

დარბაზის გვერდით, სადაც მიმდინარეობდა სავაზიროს სხდომა, მდებარეობდა ოთახი, რომელსაც „სალარო“ ერქვა. აქ იდგა ორი მოადგილე მსახურთ-უხუცესისა, მესაწოლეთ-უხუცესი და მოლარეთ-უხუცესი; ისინი იცავდნენ დარბაზის შესასვლელს. არავის, გარდა ამ ორი ნდობით აღჭურვილი მოხელისა, არ ჰქონდა უფლება დარბაზის გვერდით მდებარე სალარო ოთახში ყოფილიყო სხდომის მიმდინარეობის დროს. ეს ორი მოხელე, სალაროზე გავლით, გაატარებდნენ დარბაზში უმაღლეს ხელისუფალთ, რომელთაც დაიბარებდნენ სავაზიროში დეალებათა მისაღებად, ან-და უცხოეთში სასწრაფოდ გასაგზავნ მოციქულებს. „კარის გარიგების“ ავტორი ამ წესების შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„მესაწოლეთ-უხუცესი (პირველი ნაცვალი მსახურთ-უხუცესისა) სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ;

„მეფის ზურგით მოლარეთ-უხუცესი (მეორე ნაცვალი მსახურთ-უხუცესისა) — სალაროს კართან შიგან დგას გამოსავალსა;

და მერმე ვინცა უნდათ:

მეაბჯრეთ-უხუცესსა (— ამირსპასალარის მეორე მოადგილესა),
 განმგეთ-უხუცესსა (— მსახურთ-უხუცესის მესამე მოადგილესა),
 საქურჭლის ნაცვალსა (— მეჭურჭლეთ-უხუცესის მოადგილესა),
 ზარდახნის მწიგნობარსა (— მწიგნობართ-უხუცესის მეორე მოადგილესა),
 და ვინც ხელისუფალნი სამოციქულოდ უნდათ,—
 შეასხმენ და გაგზავნიან.

ეგრეთვე მწიგნობარს ჭყონდიდელი გადასცემს, და ასწერენ, და იურვიან, რაც სასაურვო იყოს¹.

ის გარემოება, რომ ყველა უწყებიდან თითო-თითო მალალი რანგის ხელისუფალს იბარებდნენ, გვიჩვენებს, რომ განქარგულებანი ყოველი უწყების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცემოდა კუთვნილებისამებრ თავ-თავის უწყებას.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა სრული დაცვის მიზნით, დარბაზი, სავაზიროს სხდომის მიმდინარეობის დროს, გარედანაც იყო დაცული. „ქარის გარიგების“ ავტორი აღმომგვეცემს, რომ სხდომის დროს —

„ს ა წ ო ლ ი ს ა მ ე კ რ ე (ქარის მცველი), ქარს გარეთ არის, ზურგი შემოუქმევია კართ, ან გამოუხშავს, ხელთა არგანი აქვს, ქვე ზის, და ვისცა უბრძანებენ — შემოიყვანს“.

„მ ე რ ი გ ე (რიგის, წეს-რიგის დამცველი, მანდატურთ-უხუცესის მესამე მოადგილე) შორსა დგას, და მანდატურნი გარშემო დგანან; და ვისცა არ უბრძანებენ, არვის მოიყვანენ სიახლოვეს“.

III-ბ.

ძველი საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის —
 სავაზიროს — პერსონალური შედგენილობა

XII საუკუნის დასაწყისიდან — XIV საუკუნის დასასრულამდე

საქართველოს სავაზიროს ისტორიის ზოგად საკითხთა განხილვის შემდეგ ჩვენ გავცნობით, თუ როგორი იყო საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — ს ა ვ ა ზ ი რ ო ს — პერსონალური შედგენილობა მე-12 საუკუნის დასაწყისიდან მე-14 საუკუნის დასასრულამდე.

აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხი დღემდე არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჩვენ მოგვიხდა გადაგვესინჯა ქართული ისტორიის ყველა არსებული პირველწყაროები, კრიტიკულად შეგვესწავლა მთელი მასალა, რათა გავვერკვია პერსონალური შედგენილობა სავაზიროსი სხვადასხვა ხანაში, დაგვედგინა, პრეციზული ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა სინქრონიზმების გათვალისწინებით, თანამიმდევრობა და ქრონოლოგია.

ამჟამად მთლიანი სია ძველი საქართველოს მთავრობის — სავაზიროს — პერსონალური შედგენილობისა სამი საუკუნის მანძილზე, მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — მე-14 საუკუნის დასასრულამდე პირველად წარედგინება მკითხველს.

¹ „საწოლის-მეკრე“ (=ქარის მცველი) იხ. ვეფხისტყაოსანში, სტროფი 358 (გამოცემაში შეცდომით იბეჭდება: „საწოლს მეკრე...“). შეადარეთ სტროფი 391 („ქარის მცველი“).
² იხ. ქარის გარიგება, გვ. 18—20.

გათვალისწინება ამ მთლიანი სურათისა გვიქმნის მტკიცე საფუძველს განვიხილოთ და შევამოწმოთ შოთა რუსთაველის ენაობის პრობლემა ყველა ასპექტში.

სავაზიროს ისტორია მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — მე-14 საუკუნის დასასრულამდე, როგორც შემდეგ გამოირკვევა, ნაწილდება რვა ხანად:

I ხანა: 1100 — 1145 წ.

II ხანა: 1145 — 1177 წ.

III ხანა: 1178—1184/5 წ.

IV ხანა: 1184/5—1191 წ.

V ხანა: 1191 — 1225 წ.

VI ხანა: 1225 — 1259 წ.

VII ხანა: 1259 — 1329 წ.

VIII ხანა: 1329 — 1393 წ.

სავაზიროს პერსონალური შედგენილობა ამ ხანათა ქრონოლოგიური ფარგლების მიხედვით არის ნაჩვენები.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : შოთა რუსთაველი იხილეთ ვაზართა სიაში 46-ედ, გვ. 155).

* * *

ძველი საპართიზლოს სახელმწიფოს მთავრობა

ს ა ვ ა ზ ი რ ო

XII, XIII და XIV საუკუნეებში

I ხანა:

1110—1145 წლები.

დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე პერიოდი;
დიმიტრი I-ის მეფობის პირველი პერიოდი.

მეფენი: დავით IV აღმაშენებელი 1089—1125 წ.

დიმიტრი I 1125—1155 წ.

ვაზირნი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

1. გიორგი I დიდი

მწიგნობართ-უხუცესი, კუონდიდელი 1100—1118 წ.

2. სვიმეონ IV გულაბერისძე

ა. მწიგნობართ-უხუცესი 1118—1150 წ.

ბ. ბედიელ-ლავერდელი 1118—1120/30-იანი წ.

გ. კუონდიდელი 1120/30-იანი წ.—1142 წ.

დ. ქართლისა კათალიკოზი და კუონდიდელი 1142—1150 წ

II.

ამირსპასალარი:

3. აბულეთი

ა. ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1120-იანი წ.—1145 წ.

ბ. ამირსპასალარი 1125—1130 წ.

4. ივანე აბულეთისძე

ამირსპასალარი 1130—1145 წ.

III.

მანდატურთ-უხუცესი:

5. ახათ I (გრიგოლ I-ის ძე) პერეთის ბაგრატიონი
უკანასკნელი მეფე აღმოსავლეთ-პერეთისა (1117 წლამდე);
შეზღვევ ერისთავთ-ერისთავი პერეთისა, ვახირი.
'მანდატურთ-უხუცესი' 1117/20—1145 წ.

IV.

მეჭურჭლეთ-უხუცესი:

6. არიშიანი

ა. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის (არიშის) ერისთავი
1105/15—1150/60 წ.
ბ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1120/30—1150/60 წ.

V.

მსახურთ-უხუცესი:

დადიანნი.

7. კოსტანტინე დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1140/50-იანი წ.—1180/3 წ.

VI.

ჩუხჩარხი:

ვარდანისძენი.

8. [ვარდან] ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯიელი;
ჩუხჩარხი 1140/50-იანი წ.—1180/3 წ.

VII.

მეჯინიბეთ-უხუცესი: . . .

VIII.

ამირაზნორი: . . .

II ხანა:

1145—1177 წლები.

დიმიტრი I-ის მეფობის მეორე პერიოდი;
დავით V-ის მეფობა;
გიორგი III-ის მეფობის პირველი პერიოდი.

მეფენი: დიმიტრი I 1125—1155 წ.

დავით V 1155/1156 წ.

გიორგი III 1156—1184 წ.

ვაჭირნი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

(2). სვიმეონ IV გულაბერისძე

მწიგნობართ-უხუცესი 1118—1150 წ. (იხ. ხვეით 2).

9. იოვანე (ქობულისძე)

მწიგნობართ-უხუცესი 1150—1177 წ.

II.

ამირსპასალარი:

10. ივანე ორბელიანი

ა. ერისთავთ-ერისთავი, ორბუთისა და ლორეს მხარეთა
ერისთავი 1120-იანი წ.—1177 წ.

ბ. ამირსპასალარი 1145—1155 წ.; 1156—1177 წ.

11. თირქაშ ივანეს ძე აბულეთისძე

ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი;
ამირსპასალარი 1155/6 წ.

- III.
მანდატურთ-უხუცესი: 12. სუმბატ ორბელიანი
ა. ერისთავთ-ერისთავი, ორბეთის და ლორეს მხარეთა ერისთავი 1120-იანი წ.—1145 წ.
ბ. ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1145-1160-იანი წ.
გ. მანდატურთ-უხუცესი 1145—1163 წ.
13. გრიგოლ II (ასათ I-ის ძე) შერეთის ბაგრატიონი
ერისთავთ-ერისთავი, შერეთის ერისთავი, ვახიანი;
მანდატურთ-უხუცესი 1163—1177 წ.
- IV.
მეკურპლეთ-უხუცესი: (6). არიშიანი
ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი;
მეკურპლეთ-უხუცესი 1105/15—1150/60 წ.
14. ივანე ვარდანის ძე II (არიშიანისა შემკვიდრე)
ერისთავთ-ერისთავი;
მეკურპლეთ-უხუცესი 1150/60—1.77 წ.
- V.
მსახურთ-უხუცესი: (7). კონსტანტინე დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1140/50-იანი წ.—1180/3 წ.
- VI.
ჩუხჩარხი: (8). [ვარდან] ვარდანის ძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
ჩუხჩარხი 1140/50—1180/3 წ.
- VII.
მეჯინიბეთ-უხუცესი: 15. ქავთარ ივანეს ძე (აბულეთისძე)
მეჯინიბეთ-უხუცესი 1160-იანი წ.—1177 წ.
- VIII.
ამირახორი: 16. ლიპარიტ (სუმბატის ძე) ორბელიანი
ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1163—1177 წ.
ამირახორი 1150-იანი—1162 წ.
17. [კახა] თორელი
ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი;
ამირახორი 1162—1177 წ.¹

III ხანა:

1178—1184|5 წლები.

გიორგი III-ის მეფობის მეორე პერიოდი (1177—1184 წ.);
თამარის მეფობის დასაწყისი (პირველი წელი, 1184,5 წ.)

მეფობი: გიორგი III 1156—1184 წ.

თამარი ა. თანამეფე გიორგი III-ისა 1178—1184 წ.
ბ. მეფე 1184—1212 წ.

ვაზირნი:

- I.
მწიგნობართ-უხუცესი: 18. ანტონ გლონისთავისძე
მწიგნობართ-უხუცესი, კყონდიდელი
1178—1184|5 წ.; 1189|90—1210-იანი წ.

II - III.

ამირსპალარი,
მანდატურთ-უხუცესი:

IV.

მეჭურჭლეთ-უხუცესი:

V.

მსახურთ-უხუცესი:

VI.

ჩუხჩარხი:

VII.

მეჯინიბეთ-უხუცესი:

VIII.

ამირახორი:

19. ყუბასარი

ამირსპალარი და მანდატურთ-უხუცესი
1178—1184/5 წ.

20. ყუთლუ-არსლან ჯაყელი-კორიდელი

ჩრდილო კანეთის კორიდეთის თემის ერისთავთ-ერისთავი;
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1178—1184/5 წ.

(7). კონსტანტინე დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1140/1150—1180/3 წ.

21. აფრიდონი

მსახურთ-უხუცესი 1180/3—1184/5 წ.

(8). [ვარდან] ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
ჩუხჩარხი 1140/1250—1180/3 წ.

22. ვარდან (კონსტანტინეს ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
ჩუხჩარხი 1180/3—1184/5 წ.

23. კიაბერი

მერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ-ერისთავი;
მეჯინიბეთ-უხუცესი 1178—1184/5 წ.

24. ივანე 1178—1184/5 წ.

IV ხანა:

1184/5—1191 წლები.

თამარის მეფობის პირველი პერიოდი.

მეფე: თამარი 1184—1212 წ.

მეზღირანი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

25. მიქაელ III მირიანის ძე

მწიგნობართ-უხუცესი, ქართლისა კათალიკოზი
და ტფილისი 1184/5—1189/90 წ.

(18). ანტონ გლონისთავისძე

მწიგნობართ-უხუცესი, ტფილისი 1178—1184/5; 1189/90—1210-იანი წ.

II.

ამირსპალარი:

26. სარგის მხარგრძელი

ერისთავთ-ერისთავი ლორეს მხარისა;
ამირსპალარი 1184/5—1187 წ.

27. გამრეკელი I (კახას ძე) თორელი

ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი,
ა. ამირახორი 1184/5—1187 წ.
ბ. ამირსპალარი 1187—1191 წ.

(23). კიაბერი

მანდატურთ-უხუცესი და ამირსპალარი
1191 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III.

მანდატურთ-უხუცესი:

(23). კიაბერი

ჭერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ-ერისთავი;

ა. მანდატურთ-უხუცესი 1184/5—1205 წ.

ბ. მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი 1211 წ.

IV.

მეჭურჭლეთ-უხუცესი:

28. კახაბერ ვარდანისძე II (არმიშინისა შემეკვიდრე)

ერისთავთ-ერისთავი;

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1184/5—1190 წ.

29. აბულასან იოზის ძე (არმიშინისა შემეკვიდრე)

ა. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი 1178—1191 წ.

ბ. ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა 1184/5—1190 წ.

გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1190—1191 წ.

V.

მსახურთ-უხუცესი:

(22). ვარდან (კონსტანტინეს ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშისა და ქართლის სამხრეთ
თემთა ერისთავი;დასავლეთ-საქართველოს სადროშოს (სამხედრო ოქტის)
მხედართ-მთავარი;

მსახურთ-უხუცესი 1184/5—1191 წ.

VI.

ჩუხჩარხი:

30. მარუშიან ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;

ჩუხჩარხი 1184/5—1191 წ.

VII.

მეჯინიბეთ-უხუცესი:

VIII.

ამირახორი:

(27). გამრეკელი I (კახას ძე) თორელი

ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი;

ა. ამირახორი 1187—1191 წ.

ბ. ამირსპასალარი 1187—1191 წ.

V ხანა:

1191—1225 წლები.

თამარის მეფობის მეორე პერიოდი (1191—1212);

გიორგი-ლაშას მეფობა (1212—1222);

რუსუდანის მეფობის დასაწყისი (1222—1225).

მეფობი: თამარი 1184—1212 წ.

გიორგი IV ლაშა 1212—1222 წ.

რუსუდანი 1222—1242 წ.

პაპირნი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

31. დავით კუონდიდელი

მწიგნობართ-უხუცესი, კუონდიდელი,
1210-იანი—1220-იანი წ.

(18). ანტონ გლონისთავისძე

მწიგნობართ-უხუცესი, კუონდიდელი,
1178—1184/5 წ.; 1189/90—1210-იანი წ.

II—III.

ამირსპასალარი
(1191—1211)
ათაბაგ-
ამირსპასალარი
(1211—1227)

32. ზაქარია I მხარგრძელი
ა. ლორეს სანაპირო მხარის ერისთავთ-ერისთავი
1191—1211 წ.
ბ. ანისის მხარის ერისთავთ-ერისთავი
XII ს. ბოლო—1211 წ.
გ. ამირსპასალარი 1191—1211 წ.
დ. მანდატურთ-უხუცესი 1210—1211 წ.

33. ივანე I მხარგრძელი

- ა. კენის სანაპირო მხარის ერისთავთ-ერისთავი
1191—1227 წ.
ბ. ბიჯნისის მხარის ერისთავთ-ერისთავი 1201—1225 წ.
გ. დვინი-ბიჯნისის გაერთიანებულ მხარეთა ერისთავთ-
ერისთავი 1225—1227 წ.
დ. მსახურთ-უხუცესი 1191—1211 წ.
ე. ათაბაგ-ამირსპასალარი 1211—1227 წ.

IV.

მანდატურთ-უხუცესი:

(23). კიაზერი

- ა. მანდატურთ-უხუცესი 1184/5 - 1205 წ.
ბ. ამირსპასალარი 1191 წ.

34. შალვა თორელი-ახალციხელი

- ა. ერისთავთ-ერისთავი თორი-ჯავახეთისა
1190-იანი წ.—1225 წ.
ბ. ერისთავთ-ერისთავი დვინის მხარისა
1204—1225 წ.
გ. მეტურბლეთ-უხუცესი 1204/5 წ.
დ. მანდატურთ-უხუცესი 1205—1210 წ.

35. ბელიანი I დადიანი

- ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1210—1225 წ.

V.

მეტურბლეთ-უხუცესი:

36. ასათ II (გრიგოლ II-ის ძე) შერეთის ბაგრატიონი

- ა. აღმოსავლეთ შერეთის ერისთავი 1190 წლამდე;
ბ. ერისთავთ-ერისთავი, შერეთის ერისთავი 1190—1192 წ.
გ. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი და
მეტურბლეთ-უხუცესი 1192/3—1196/1200 წ.

37. გრიგოლ III (ასათ II-ის ძე) შერეთის ბაგრატიონი

- ა. ერისთავთ-ერისთავი, შერეთის ერისთავი 1192—1196 წ.
ბ. ერისთავთ-ერისთავი, შერეთის და რუსთავის ერისთავი,
გ. მეტურბლეთ-უხუცესი 1196/1200—1204 წ.

(34). შალვა თორელი-ახალციხელი

- მეტურბლეთ-უხუცესი 1204/5 წ.

38. ოვხე-ყმა [პანკელი]

- ერისთავთ-ერისთავი, კახეთის ერისთავი;
მეტურბლეთ-უხუცესი 1205—1212 წ.

39. ყვარყვარე-ივანე II ჯაყელი-ციხიხჯვარელი

- ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და სპასალარი
1191—1245 წ.
ბ. მეტურბლეთ-უხუცესი 1212—1245 წ.

VI.

მსახურთ-უხუცესი:

(33). ივანე I მხარგრძელი

მსახურთ-უხუცესი 1191—1211 წ.

4). ვარამ გაგელი მხარგრძელი

ერისთავთ-ერისთავი, გაგის მონაპირე ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1211—1250 წ.ერისთავთ-
ერისთავთ

VI ხანა:

1225—1259 წლები.

რუსუდანის, დავით VI-ის და დავით VII-ის მეფობა
(სამეფოს ორად განყოფამდე)

მეფობა: რუსუდანი 1222—1242 წ.

უმეფობა 1242—1247 წ.

მეფობა: დავით VI (რუსუდანის ძე) 1236; 1247—1293 წ.

დავით VII (გიორგი-ლაშას ძე) 1247—1270 წ.

პაპირნი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

41. არსენი III ბულმისიმიხძე

მწიგნობართ-უხუცესი 1230-იანი წ. —1248 წ.

ა. ჭყონდიდელი მწიგნობართ-უხუცესი 1230-იანი წ.—1242 წ.

ბ. ქართლისა კათალიკოზი, ჭყონდიდელი
და მწიგნობართ-უხუცესი 1242—1248 წ;
(+ 1250-იან წლებში).

42. ბასილი უჯარმელი

მწიგნობართ-უხუცესი 1248—1265 წ.

(ა. მწიგნობართ-უხუცესი, ჭყონდიდელი 1248—1255/60 წ.)

(ბ. მწიგნობართ-უხუცესი, შთაფარი [ერისთავთ - ერისთავი,
კახეთის ერისთავი] 1255/60—1265 წ.)

II—III.

ათაბაგი,
ამირსპასალარი:

(33). ივანე I მხარგრძელი

ათაბაგ-ამირსპასალარი 1212—1227 წ.

43. ავაგ (ივანე I-ის ძე) მხარგრძელი

დვინი-ბიჯნისის გავრთიანებულ მხარეთა ერისთავი;

ა. ამირსპასალარი 1227—1241 წ.

ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1241—1259 წ.

44. ზაქარია II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი

ამირსპასალარი (1241)/1259 - 1261 წ.

IV.

მანდატურთ-უხუცესი:

45. შანშე I (ზაქარია I-ის ძე) მხარგრძელი

ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;

მანდატურთ-უხუცესი 1225—1261 წ.

V.

მეტურბლეთ-უხუცესი:

(39). ყვარყვარე-ივანე II ჯაყელი ციხისჯვარელი

ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და სპასალარი
1191—1245 წ.

ბ. მეტურბლეთ-უხუცესი 1212—1245 წ.

46. შოთა III (გრიგოლ III-ის ძე) ჰერეთის მხარე-
ონი, რუსთველი 1166—1250 წ.
ა. ერისთავთ-ერისთავი, რუსთავის ერისთავი (რუსთველი)
1196/1200 წლების ახლო დროიდან.
ბ. ერისთავთ-ერისთავი, ჰერეთისა და რუსთავისა
1210/20-იანი წ.—1250 წ.
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1245—1250 წ.

47. გამრეკელი II თორელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი
1225—1257 წ.
ბ. მესხეთის მხარეთა საბრძოლველ (სამხედრო ოლქის) მხედართ-
მთავარი („დუმწის თავი“) 1242—1248 წ.
გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1250—1257 წ.

48. კახა II თორელი
ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯავახეთის ერისთავი;
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1257—1270 წ.

VI.
მსახურთ-უხუცესი:

- (40). ვარამ გაგელი მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი, გაგის მონაქ; რე ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1211—1250 წ.

49. მანაველი
ჰერეთის მხარის მანავის თემის ერისთავთ ერისთავი,
მსახურთ-უხუცესი (რუსუდანის მეფობის დროს).

50. გრიგოლ (სულას ძე) სურამელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ერისთავი 1225—1250 წ.
ბ. მსახურთ-უხუცესი 1250—1260-იანი წ.

VII ხ ა ნ ა :

1259—1329 წლები.

(სამეფოს განყოფის ხანა).

VII-ა.

ალექსანდრე სპარსელი

მეჭურჭლეთ-უხუცესი:

- დავით VI (გიორგი-ლაშას ძე)—1247—1270 წ.
დიმიტრი II თავდადებული 1271—1289 წ.
ვახტანგ II 1289—1292 წ.
დავით VIII 1292—1312 წ.
ვახტანგ III 1298—1309 წ.
გიორგი VI მცირე 1312—1314 წ.
გიორგი V ბრწყინვალე—1299; 1314—1346 წ.

პაწიკონი:

I.
მწიგნობართ-უხუცესი:

42. ბასილი უჯარმელი
მწიგნობართ-უხუცესი 1248—1265 წ.

II—III.
ათაბაგი.
ემირსპასალარი:

- (44). ზაქარია II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი
ამირსპასალარი 1241—1261 წ.

ერკონისული
წიგნი-იქცეა

51. საღუნ მანკაბერდელი
ა. ამირსპასალარი 1260-იანი წლები
ბ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1271 1281 წ.
52. სარგის I ჯაყელი-ციხისჯვარელი
ა. ერისთავთ-ერისთავი, სამცხის ერისთავი და სპასალარი
1245—1268 წ.
ბ. სამცხის შთავარი (სამცხის სპასალარი) 1268—1284 წ.
გ. მეტეურტლეთ-უხუცესი 1280—1284 წ.
დ. ათაბაგი 1281—1284 წ.
53. ტარსაიკი ორბელიანი
ერისთავთ-ერისთავი სიენიეთის მხარისა;
ათაბაგი 1284—1289 წ.
54. ხუტლუბულა საღუნის ძე
ამირსპასალარი 1281—1289 წ.
ათაბაგ-ამირსპასალარი 1289—1296 წ.
55. შანშე II (ივანე II-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
ა. მანდატურთ-უხუცესი 1290—1296 წ.
ბ. მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი
1296—1302 წ.
გ. ათაბაგ-ამირსპასალარი 1309—1320 წ.
56. ზაქარია III (შანშე II-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
ათაბაგ 'ამირსპასალარი' 1320—1330/35 წ.
- IV.
მანდატურთ-უხუცესი:
- (45). შანშე I (ზაქარია I-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
მანდატურთ-უხუცესი 1225—1261 წ.
57. ივანე II (შანშე I-ის ძე) მხარგრძელი
ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
მანდატურთ-უხუცესი 1261—1290 წ.
- (55). შანშე II (ივანე II-ის ძე) მხარგრძელი
ა. მანდატურთ-უხუცესი 1290—1296 წ.
მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი
1296—1302 წ.
58. ბეჟა I ჯაყელი-ციხისჯვარელი, კანონმდებელი
ა. სამცხის შთავარი 1284—1309 წ.
ბ. 'მეტეურტლეთ-უხუცესი' 1281—1302 წ.
გ. მანდატურთ-უხუცესი 1302—1309 წ.
59. სარგის II ჯაყელი-ციხისჯვარელი
ა. სამცხის შთავარი;
ბ. მანდატურთ-უხუცესი 1309—1334 წ.
- V.
მეტეურტლეთ-უხუცესი:
- (48). კახა II თორელი
ერისთავთ-ერისთავი, თორი-ჯაგბეთის ერისთავი;
მეტეურტლეთ-უხუცესი 1257—1270 წ.
- (52). სარგის I ჯაყელი-ციხისჯვარელი
სამცხის შთავარი;
ა. მეტეურტლეთ-უხუცესი 1270—1281 წ.
ბ. ათაბაგი 1281—1284 წ.

(68). ბეჟა I ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;
ა. მცქუტურტუტეთ-უხუცესი 1281—1302 წ.
ბ. მანდატურთ-უხუცესი 1302—1309 წ.

VI.

მსახურთ-უხუცესი:

(50). გრიგოლ (სულას ძე) სურამელი

ა. ერისთავთ-ერისთავი, კართლის ერისთავი 1225—1250 წ.
ბ. მსახურთ-უხუცესი 1250—1260-იანი წ.

60. ბეგა (გრიგოლის ძე) სურამელი

ა. ერისთავთ-ერისთავი, კართლის ერისთავი 1250—1293 წ.
ბ. მსახურთ-უხუცესი 1260-იანი—1280-იანი წ.

61. ჰამადა (ბეგას ძე) სურამელი

ერისთავთ-ერისთავი, კართლის ერისთავი;
მსახურთ-უხუცესი 1280/90-იან წ.—XIV ს. დასაწყისი.

VII-ბ.

დასავლეთი საქართველო

მიწები: დავით VI (რუსუდანის ძე) 1236; 1247—1293 წ.
კონსტანტინე I 1293—1327 წ.
მიქელ I 1327—1329 წ.

ვაზირნი:

I.

მწიგნობართ-უხუცესი:

II.

ამირსპასალარი:

62. კახაბერ II კახაბერის ძე

ა. ერისთავთ-ერისთავი, რაჭისა და თავერის ერისთავი;
ბ. ლიბთ-იმერეთის აღმოსავლეთი სადროშის (სამხედრო ოლქის) მხედართ-მთავარი („დუმნის თავი“) 1242—1248 წ.
გ. [ამირსპასალარი] 1259—1260-იანი წ.

. . . [ამანელის-ძენი (?) 1260-იანი წ.—XIV ს. დასაწყისი]

III.

მანდატურთ-უხუცესი:

63. ცოტნე დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
ა. ლიბთ-იმერეთის დასავლეთი სადროშის (სამხედრო ოლქის) მხედართ-მთავარი („დუმნის თავი“) 1242—1848 წ.
ბ. მანდატურთ-უხუცესი 1259—1260 წ.

64. ბედიანი II (ჯუანშერის ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1260—1290-იანი წ.

65. ხატიგ დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უხუცესი 1290 იანი—XIV ს. დასაწყისი.

66. ბეშქენ ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურიელი;
მანდატურთ-უხუცესი XIV ს. დასაწყისი—1329 წ.

IV.

მიტროპოლიტ-უბუცესი:

V.

მსახურთ-უბუცესი:

ვარდანისძენი.

67. არიშინიანი ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯიელი;
მსახურთ-უბუცესი 1270-იანი წ.—XIII ს. ბოლო

68. ივანე ვარდანისძე

ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯიელი;
მსახურთ-უბუცესი XIV ს. დასაწყისი—1350 წ.

VIII ხანა:

1329—1393 წლები

სამეფოს გაერთიანების ხანა

(გიორგი V ბრწყინვალის, დავით IX-ის და ბაგრატ V დიდის ზეგობა).

მეფენი: გიორგი V ბრწყინვალე 1299; 1314—1346 წ.

დავით IX 1346—1360 წ.

ბაგრატ V 1360—1393 წ.

ვაზირნი:

I.

მწიგნობართ-უბუცესი:

69. გიორგი II ჭყონდიდელი

მწიგნობართ-უბუცესი 1340/1360-იანი წ.

II—III.

ათაბაგი,

ამირსპასალარი:

(56). ზაქარია III (შანშე II-ის ძე) მხარგრძელი,

ერისთავთ-ერისთავი ანისის მხარისა;
ათაბაგ-ამირსპასალარი 1320—1330/35 წ.

70. ყვარყვარე II ჯაყელ-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;
ამირსპასალარი 1330/35—1361 წ.

71. შალვა ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;
ა. ათაბაგი და სამცხის სპასალარი 1330/5—
1361 წ.

ათაბაგ-ამირსპასალარი 1361—1370 წ.

72. აღბულა ჯაყელი-ციხისჯვარელი, კანონმდებელი,

სამცხის მთავარი;
ათაბაგ-ამირსპასალარი 1370—1391 წ.

73. ივანე II ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;
ათაბაგი-ამირსპასალარი 1391—1444 წ.

IV.

მანდატურთ-უბუცესი:

(59). ხარგის II ჯაყელი-ციხისჯვარელი

სამცხის მთავარი;
მანდატურთ-უბუცესი 1309—1334 წ.

74. [მაჩია დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უბუცესი (?) 1334—1345 წ.]

75. გიორგი (მაჩიას ძე) დადიანი

ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უბუცესი 1345—1370-იანი წ.

V.
მეჭურჭლეთ-უბუცესი:

76. ვამეუ (გიორგის ძე) დადიანი
ერისთავთ-ერისთავი, ოდიშის ერისთავი;
მანდატურთ-უბუცესი 1370-იანი წ.—1396 წ.

ფანასკერტელნი.

VI.
მანბერთ-უბუცესი:

77. ზაზა ფანასკერტელი
ერისთავთ-ერისთავი, შვეშეთ-კლარჯეთ-ტაოთა ერისთავი;
მეჭურჭლეთ-უბუცესი 1380/90 —1410-იანი წ.

(68). ივანე ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯილი;
მსახურთ-უბუცესი 1329—1350 წ.

78. სვიმონ ვარდანისძე
ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯილი.
მსახურთ-უბუცესი 1350—1370 წ.

დასრული

წყაროები,

რომელთა მიხედვით აღზგენილია სპეციალურ შედგენილთა
XII საუკუნის დასაწყისიდან—XIV საუკუნის დასასრულამდე.

ძველ-ქართული ისტორიკოსები:

1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ქართლის ცხოვრება, გამოცემული ს. უაუზნიშვილის რედაქტორობით, I, გვ. 318—364).
2. ისტორია-აზმანი შარაენდელთან (თამარის I ისტორია, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 1—75 (+75—78)).
3. თამარის II ისტორია (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 78—114).
4. ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი (თამარის III ისტორია ქართლის ცხოვრება, II, გვ. 115—150).
5. ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 365—371).
6. ეამთა-აღმწერელობა (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151—325).
7. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 326—442)

ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლები:

8. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის ცრებება (თ. ეორდანის გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 56—72).
9. ნიკოლოზ I გულაბერისძე, ქართლისა კათალიკოსო, საკითხავი სვეტის-ცხოველისა (ე. კარბელაშვილის გამოცემა, 1908 წ.).
10. ზელჭიფის კარის გარიგება (ეჭვიშივე თაფაიშვილის გამოცემა, 1920 წ.).
11. ბეჟა მანდატურთ-უბუცესი და აღბულა ათაბაგ-ამირსპანალარი, წიგნი სამართლისა (ი. დლიძის გამოცემა, წიგნში: ძველ-ქართული სამართალი, 1953 წ.).

სომეხთა ისტორიკოსები:

12. კირაკოს განძაკელი, სომეხთის ისტორია (თბილისის გამოცემა 1909 წლისა).
13. ვარდან აღმოსავლელი, მსოფლიო ისტორია (მოსკოვის გამოცემა 1861 წლისა მ. ემიხის რედაქტორობით).
14. სტეფანოს ორბელიანი, სივნიეთის ისტორია (მოსკოვის გამოცემა 1861 წლისა მ. ემიხის რედაქტორობით).

ბერძენი ისტორიკოსი:

15. მიქელ პენარტი, ტრაპეზუნტის მატიანე (ალ. ხახანაშვილის გამოცემა, 1905 წ., აღ. გამურელიძის გამოცემა, 1960 წ.).

აღმოსავლელი ისტორიკოსები:

16 იბნ ალ-ასირი (M. DeFrémery. *Fragm. de géogr. et d'historiens arabes et persans. Journal asiatique*, 1849).

17. შოამედ ენ ნუსევი. სულთან ჯალალ ედ-დინ მანკობერტის მატთანე (Public. de l'école des langues orient. vivantes, თ. ჰედას თარგმანი).

ძველ-ქართული სამონასტრო მატთანე (აღაბები):

18. ათონის ქართული საეპისკოპოსოს სამონასტრო მატთანე (ათონის ივერიის 1074 წლის ხელნაწერი, აღაბებით, 1901 წლის გამოცემა).

19. იერუსალიმის ჯვარის ქართული საეპისკოპოსოს სამონასტრო მატთანე (ნ. მარის გამოცემა, აღანი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმშია შინა, 1914 წ.).

20. სინას მთის ქართული საეპისკოპოსოს სულთა მატთანე (ივ. კეკელიძის გამოცემა, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., 241—251).

ძველ-ქართული სიგელ-გუჯრები:

21. ა. სიგელი დავით აღმაშენებლისა არიშანისადმი (იხე ცინცაძის გამოცემა, საქართველოს არქივი, II, 1927 წ., გვ. 14—16).

21. ბ. თინეანის სიგელი 1191 წლისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, I, გვ. 277—278; ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 21—23).

21. გ. შიო-მღვიმის სიგელი თამარ მეფისა 1201—1202 წლებისა (ს. კაკაბაძის გამოცემა, შიო-მღვიმის სამი სიგელი, 1912 წ.).

21. დ. არსენი შვიგნობართ-უხუცესე ჰეონდიდელს (შემდეგ ქართლისა კათალიკოსის) სიგელი აბულხატარისძეთადმი ბომბული (ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, 1925 წ., გვ. 131—133; დამატება-შესწორებანი იხე ცინცაძის, საქართველოს არქივი, II, 1927 წ., გვ. 25—27).

21. ე. შიო-მღვიმის სიგელი არსენი 111 ქართლის კათალიკოსისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 94—96; ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 50—51).

21. ვ. შიო-მღვიმის სიგელი გრიგოლ სურამელისა 1248 წლისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 97—102; ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 52—58).

21. ზ. შიო-მღვიმის სიგელი გრიგოლ სურამელისა 1250-იანი წლებისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 126—128; ისტ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 63—65).

21. ტ. სიგელი მიქაელ ქართლის კათალიკოსისა ვაჩე გვარამაძისადმი (ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, I, 1945 წ., გვ. 3—5).

21. თ. რკონის სიგელი კახა მეგრულეთ-უხუცესისა 1259 წლისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 132—145).

21. ი. ჩაფქვაძისძეთა სიგელი XIII საუკუნისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 148—149).

21. ია. ბექა მანდატერთ-უხუცესისა და კახა თორელის კეთილმოყვარობის წიგნი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, საქართველოს სიძველენი, II, 1909 წ., გვ. 7—8).

21. იბ. ბეგა სურამელის მსახურთ-უხუცესის სიგელი (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 168—169).

21. ივ. ბეგა სურამელის მეორე სიგელი (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 153—154).

21. იდ. სიგელი ნიკოლოზ ქართლისა კათალიკოსისა არეანზე საბაისძისადმი (ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, I, 1945 წ., გვ. 5—6).

21. იე. დავით-ნარინის მეუღლის დედოფლის თამარის სიგელნი (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 160—162).

21. ივ. დავით VIII-ის სიგელი 1297 წლისა (ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, 1924 წ., გვ. 141—143).

21. იზ. სიგელი ზაფხე დანიანისა XIV ს. დანაწყვისისა (პ. ინგოროვას გამოცემა, სეხეთის საისტორიო ძეგლები, 1941 წ., გვ. 113).

21. იტ. წიგნი ვაჩეძორის მონასტრის კრებულისა მეგრულეთ-უხუცესე ზაზა ფანასკერტელისათვის და მისი ძმის ციციასათვის დაწერილი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლიში 1907 წელს, გვ. 61—62).

21. ით. თაყა ფანასკერტელის სიგელი 1413—1419 წლებისა (თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 222—223).

21. კ. კონსტანტინე ბაგრატიონის (შემდეგ მეფის კონსტანტინე II-ის) სიგელი 1467 წლისა

(დ. გვრიტიშვილის გამოცემა, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობების ისტორიიდან, 1955 წ., გვ. 121—122).

21, კ. მცხეთის სიგელი 1468 წლისა (თ. ეორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 289).

21, კბ. მცხეთის სიგელი 1492 წლისა (თ. ეორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 310).

ძველ-ქართულ ხელნაწერებში დაცული ანდერძები და ზედწერილები (ავტორ-მთარგმნელთა), მოსახსენებელი, სხვადასხვა დოკუმენტები და ჩანაწერები:

22, ა. „წიგნი სააქიმოდ“-ს მთარგმნელის ანდერძი 1205—1210 წ., (იხ. „წიგნი სააქიმოდ“. ლ. კოტეტიშვილის გამოცემა, 1936 წ. გვ. 3).

22, ბ. კორინთის სახარებაში მოთავსებული აქტები და სხვა ჩანაწერები (ნ. შარის გამოცემა, Грузинские приписки греческого евангелия из Коринда, ИАН, 1911; პ. ინგოროსევა, გიორგი მერაბულე, გვ. 275—276).

22, გ. იერუსალიმური № 13 ხელნაწერის ანდერძი.

22, დ. მოსახსენებელი ქართლის კათალიკოზთა X საუკუნის დასასრულიდან XIII საუკუნის ნახევრამდე, დაცული შიო-შლივიერ ხელნაწერში H-1349 (თ. ეორდანიას გამოცემა, ქრონიკები, I, გვ. 70—81).

22, ე. არსენი III ბულაშინისძეს ქართლისა კათალიკოზის (ყოფილი ჭყონდიდელის) იხსენებთა ზედწერილები, ხელნაწერში A — 85.

22, ვ. იოანე ბაგრატიონის მოსახსენებელი (ციციშვილთა შესახებ) 1799 წლისა, ხელნაწერი S — 3729 (დ. გვრიტიშვილის გამოცემა, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 წ., გვ. 122—123).

ქართული ეპიგრაფიკა:

23, ა. უბისის წარწერა სვიმეონ ჭყონდიდელისა 1141 წლისა (შ. ამირანაშვილის გამოცემა, უბისი, 1930 წ., ტაბულა XVII).

23, ბ. წარწერები ჟუმათის ძეგლთა (ხატებისა), რომლებშიაც მოიხსენებია:

23, ბ-1: ვარდან ვარდანისძე [ჩუხჩარხი, შარუშაიანის შამა] (პირველი წარწერა წმინდა გიორგის ხატისა, დ. ბაქრაძის გამოცემა, Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, გვ. 261).

23, ბ-2: ბეშქენ ვარდანისძე [მანდატურთ-უხუცესი] (მეორე წარწერა წმინდა გიორგის ხატისა, დ. ბაქრაძის გამოცემა, იქვე, გვ. 261).

23, ბ-3: იგივე [ბეშქენ] ვარდანისძე მანდატურთ-უხუცესი და ივანე ვარდანისძე მსახურთ-უხუცესი (პირველი წარწერა გაბრიელ მთავარანგელოსის ხატისა, დ. ბაქრაძის გამოცემა, იქვე, გვ. 262—263).

23, ბ-4: ეამეყ დადიანი, მანდატურთ-უხუცესი (მეორე წარწერა გაბრიელ მთავარანგელოსის ხატისა, დ. ბაქრაძის გამოცემა, იქვე, გვ. 264).

23, გ. ვაჰანის წარწერა ანტონ ჭყონდიდელისა 1204 წლისა (ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, ენიშის მთაზე, ტ. V-VI, 1940 წ., გვ. 397).

23, დ. წარწერები სვანეთის ძეგლთა:

23, დ-1: წარწერები მეშურტლეო-უხუცესის ივანე ვარდანისძისა XII საუკუნისა წმინდა გიორგის ორ ხატზე, მესტიისა და ლაბუჭინისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში. 1910 წელს, გვ. 24—25, 22—23).

23, დ-2: წარწერა მიქაელ ქართლისა კათალიკოზისა XII საუკუნისა მაცხვარიანის ეკლესიის ოქროს პანაგიაზე (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გვ. 354).

23, ე. ქვემო-ჩინისის წარწერა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, АЭ , IV, გვ. 51—52).

23, ე-1: წარწერა თბილისის ღურჯი მონასტრისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, АЭ , IV, გვ. 148—152).

23, ე-2: წარწერა თბილისის ღურჯი მონასტრისეული ანდრია ხატისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, АЭ , II, გვ. 70).

23, ზ. წარწერები ლიხაურის ძეგლთა (ხატებისა), რომლებშიაც მოიხსენებია:

23, ზ-1: შარუშაიან ვარდანისძე (წარწერა იაკობის ხატზე, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი, 1907 წ., გვ. 26).

23, ზ-2: შალვა ათაბაგი და სამცხისა სპასალარი (წარწერა მაცხოვრის ხატზე, დ. ბაქრაძის გამოცემა, Археологические путешествия по Гурии и Аджаре, გვ. 110—111).

23, ე. განმანის წარწერები (ც. ცისკარაშვილის გამოცემა, ქაეახეთის ეპიგრაფიკა, 1959 წ., გვ. 96—101).

23, თ. წარწერა სტელია („ხელის“ ძვ. ხელის) თრიალეთიდან (გენოსიდან), რომელშიც მოიხსენიებიან: მეფე თამარ, თანამეფე გიორგი-ლამა და ხუთი ვაზირი (წარწერა, ჩვენს წინაქიბის მიხედვით, პირველად გამოქვეყნდა ვ. ბარდაველიძის და გ. ჩიტაიას ნაშრომში: ქართული ხალხური ორნამენტი, I, 1939 წ., გვ. 19).

23, ი. წარწერა წალენჯიხის ქვარკმის ხატზე — დადიანთა: მანდატურთ-უხუცეს ბუღიას I-ისა (XIII ს. დასაწყისი), გიორგისა, შერგილისა, და შერგილის შებენის ნათელისა (ც. თაყაიშვილის გამოცემა, ძველი საქართველო, III, 1913—1914, გვ. 227).

23, ია. ხობის წარწერები, რომლებშიც მოიხსენიებიან:

23, ია-1: შერგილ დადიანი, მეუღლე მისი ნათელ და ძე ცოტნე (წარწერა შატავის ოქროს ხატისა, რომელშიც იწინებოდა თამარ მეფის გულზე-საკიდი ქვარი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 153).

23, ია-2: ბუღიანი II დადიანი მანდატურთ-უხუცესი (ღვთისმშობლის ხატის წარწერა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 138—139).

23, ია-3: იგავე ბუღიანი II (შატავის ხატის წარწერა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 141).

23, ია-4: ვამეყ დადიანი მანდატურთ-უხუცესი (წარწერა ხობის ეკლესიის ეკლესიისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 133—134).

23, იბ. წარწერა მარტვილის ღვთისმშობლის ხატზე, რომელშიც მოიხსენიება დადიანი ბუღიანი II მანდატურთ-უხუცესი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 47).

23, იგ. ცაიშის ომლორის წარწერა დედოფლის ნათელისა, ვერაყეაზე ამირანპასალარის ასულისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, იქვე, გვ. 183).

23, იდ. ბუღიის წარწერა, რომელშიც მოიხსენიება გიორგი დადიანი მანდატურთ-უხუცესი.

23, იე. ქობერის წარწერები, 1292 და 1295 წლებისა (თ. გორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, გვ. 168).

23, ივ. ანის ხატის წარწერები, რომელშიც მოიხსენიებიან ბექა მანდატურთ-უხუცესი და მისი ძე სარგის მანდატურთ-უხუცესი (შ. ამირანაშვილის გამოცემა, ბექა ოპიზარი, 1937 წ., გვ. 9).

მხატვრობა (ფრესკები, მიწათურა), ქანდაკება, ზათი წარწერები:

24, ა. ფრესკა სუმბატ მანდატურთ-უხუცესისა (ბეთანია).

24, ბ. ფრესკა ანტონ კყონდიდელისა (ცინწყისი).

24, გ. ქანდაკება ზაქარია მხატვრებისა (არბი).

24, დ. ქანდაკება ივანე მხატვრებისა (არბი).

24, ე. შოთა რუსთაველის მიწათურა (ერისთავისი ზელაწერა).

24, ვ. შოთას ქანდაკება (საორბელოს ბარელიეფი).

24, ზ. შოთას ფრესკა (იერუსალიმის ქვარის მონასტერი).

24, ე. ზარზმის ფრესკები სამცხის მთავართა და სევიმონ გურიელის მხატვრობისა (სამცხეთის სასახლე).

24, თ. საფარის ფრესკები სამცხის მთავართა.

24, ი. ქულების ფრესკები სამცხის მთავართა.

24, ია. ზეტლ-ბულა საღუნის ძის ფრესკა.

24, იბ-1. სოფის ფრესკები შერგილ დადიანისა, დიოფანტ-დიოფან ნათელისა და ცოტნე დადიანისა.

24, იბ-2. ზოფის ფრესკა გიორგი დადიანისა მანდატურთ-უხუცესისა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში, ძველი საქართველო, III, 1913—1914 წ., გვ. 134—135).

24, ივ. წარწერა წალენჯიხის მხატვრობისა და ფრაგმენტი ვამეყ მანდატურთ-უხუცესის ფრესკისა (ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 211—214).

სომხური ეპიგრაფიკა:

25. წარწერები სამხრეთ-ქართლისა (საინისა, ახპატისა, ქობერისა) და არარატის სომხეთისა, რომლებშიც მოიხსენიებიან საქართველოს ვაზირნი: მხატვრები, ორბელი სიგნიფიკოსისა, საღუნე და ზეტლ-ბულა საღუნის ძე (იხ. კ. კოსტინიანცის გამოცემა „ვიშაიან ტარავირ“, სერიაში Bibliotheca Armeno-georgica, II, 1913).

ვაჭირთა შმსახეზი ცნობეზი

დავული საისტორიო წყაროებში

შენიშვნა: ყოველი ცალკეული წყარო მითითებული იმ ნომრით, რომლითაც იგი აღნიშნულია საისტორიო წყაროების ზემოთმოყვანილ სიაში (მაგალითად: 1 = დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი; 2 = ისტორია-აზმანი შარვანდელთანი, და ა. შ.).

1. გიორგი I ჭყონდიდელი: 1; 8.—
2. სვიმონ IV გულაბერისძე: 1; 23, ა; 18, № № 144, 105; 9.—
3. აბულეთი: 1; 13.—
4. ივანე აბულეთის ძე: 2; 5; 13; 14.—
5. ასათ I ჭერეთის ბაგრატიონი: 1; 10; ბ. ინგოროვეა, რუსთველიანა; საქართველო XII, XIII, XIV საუკუნეთა (დავით აღმაშენებლის, თამარის გიორგი ბრწყინვალის ხანა).
6. არიშანი: 1; 21, ა; 18, № № 54, 143.—
7. კონსტანტინე დადიანი: 2; 18, № 150.—
8. [ვარდან] ვარდანისძე: 2; 23, ბ-1.—
9. იოვანე ქობულისძე: 2; 18, № № 155, 39, 145, 165.—
10. ივანე ორბელიანი: 1; 2; 13; 14.—
11. თორქაშ აბულეთის-ძე: 2; 13.—
12. სუმბატ ორბელიანი: 2; 13; 14; 24, ა.—
13. გრიგოლ II ჭერეთის ბაგრატიონი: 2; (ბ. ინგოროვეა, რუსთველიანა; საქართველო XII, XIII, XIV საუკუნეთა).
14. ივანე ვარდანისძე: 23, დ-1.
15. ქეთარ ივანეს ძე (აბულეთის ძე): 2.—
16. ლიპარიტ ორბელიანი: 2; 6.—
17. [კახა] თორელი: 2; 14.
18. ანტონი გლონისთავისძე: 2; 4; 24, ბ; 21, გ; 21, დ; 23, გ; 23, თ.—
19. ყუბასარი: 2; 14.—
20. ყუთლუ-პარსლან ჭყელი-კორიდელი: 2; 22, ბ.—
21. ფრიდონი: 2; 23, ე.—
22. ვარდან დადიანი: 2; 3; 18, № 150; 19, XXVI, № 22.—
23. ჭიაბერი: 2; 3; 4; 21, ბ; 21, კბ.—
24. ივანე: 2.—
25. შიქელ III: 2; 4; 23, დ-2.—
26. სარგის მხარგრძელი: 2; 25.—
27. გამრტელი I თორელი: 2; 4; 14.—
28. კახაბერ ვარდანისძე: 2.—
29. აბულასან ობის-ძე: 2; 21, ე-1, ვ-2.—
30. მარეშიან ვარდანისძე: 2; 23, ზ-1.—
31. დავით ჭყონდიდელი: 22, გ.
32. ზაქარია I მხარგრძელი: 2; 3; 4; 5; 6; 12; 13; 14; 23, თ; 24, გ; 25.—
33. ივანე I მხარგრძელი: 2; 3; 4; 5; 6; 13; 14; 23, თ; 24, დ; 25.—
34. შალვა თორელი-აბალციხელი: 2; 3; 4; 5; 6; 12; 16; 17; 23, ც.—
35. ბედიანი I დადიანი: 23, ი.—
36. ასათ II ჭერეთის ბაგრატიონი: 2; 3; (ბ. ინგოროვეა, რუსთველიანა).
37. გრიგოლ II ჭერეთის ბაგრატიონი: 2; 3; (ბ. ინგოროვეა, რუსთველიანა).
38. ოცე-ყმა: 23, თ; 23, ე.—
39. ყვარყვარე-ივანე II ჭყელი-ციხისყვარელი: 2; 4; 6; 19, № 192, XXVII, № 41.—
40. ვარამ გაველი: 2; 5; 6; 12.—
41. არსენი III ბულაისიძისძე: 21, დ, ე; 3; 22, დ, ვ.—
42. ბასილი უჯარმელი: 6; 21, ც, დ.—
43. ავაგ მხარგრძელი: 6; 12; 21, ც, დ.—
44. ზაქარია II მხარგრძელი: 6; 12; 13.—
45. შანშე I მხარგრძელი: 3; 6; 12; 13; 21, ც, დ.—

46. შოთა III პეტრეს ბავრატონი, რუსთველი: 6; 4; 21, ბ; 19, № 312, XXV სტკ. № 50:
 24, ე, ვ, ზ. (პ. ინგოროყვა, რუსთველიანა).
 47. გამრეკელი II თორელი: 6; 21, ც, დ.—
 48. კახა II თორელი: 6; 21, თ.—
 49. მანაველი: 10.—
 50. გრიგოლ სურამელი: 21, ე, ზ, ც, თ.—
 51. სადუნ მანკაბერდელი: 6; 25.—
 52. საზგის—I ჯაყელი ციხისჯვარელი: 6; 12; 19; № 242; 244; ც, თ, ი; 21, დ.—
 53. ტარსაიქ ორბელიანი: 14; 25.—
 54. ზეტლუბულა სადუნის ძე: 6; 24, ია; 19, № 259.—
 55. შანუე II მხარგრძელი: 6; 10; 20, გვ. 242; 23, იე; 25; ეფხისტყაოსნის ჩაბართი
 (პ. ინგოროყვა, რუსთველიანა).
 56. ზაქარია III მხარგრძელი: 19, № 73; 25.—
 57. ივანე II მხარგრძელი: 6.—
 58. ბექა I ჯაყელი-ციხისჯვარელი: 6; 10; 24, ც, თ, ი; 23, იე; 19, № 242, 150, 305.
 4ა; 20, გვ. 246; 21, ია.—
 59. სარგის II ჯაყელი-ციხისჯვარელი: 6; 19, გვ. XVIII, Va, 23, იე; ც, თ, ი; 21, ია.—
 60. ბეგა სურამელი: 6; 21, ე, თ, იბ, ივ.—
 61. ჰამალა სურამელი: 6; 21, იე.—
 62. კახაბერ კახაბერისძე: 6.—
 მანელისძენი: 2; 21, იე.—
 63. ცოტნე დადიანი: 6; 19, № 243, გვ. XVIII, VIა; გვ. XXVI, № 18; 24, იბ-1; 23, ია-1.—
 64. ბედიანი II დადიანი: 6; 23, ია-1, 2, 3; 23, იბ.—
 65. ზაქიე დადიანი: 21, იზ.—
 66. ბეშქენ ვარდანისძე: 19, № № 58, 138; 23, ბ-2, 3.—
 67. არიშინი ვარდანისძე: 19, № 143.—
 68. ივანე ვარდანისძე: 23, ბ-3.—
 69. გიორგი II ჭუნდიდელი: 13, № № 93, 102, 292.—
 70. ყვარყვარე II ჯაყელი-ციხისჯვარელი: 24, ც, თ, ი; 23, იე; 21, ია; 19, № № 51, 26 9
 71. შალვა ჭაყელი-ციხისჯვარელი: 6; 23, ზ-2; 24, ი; 19, № 21.—
 72. აღბულა ჭაყელი-ციხის-ჯვარელი: 10; 15; 19, № 151.—
 73. ივანე II ჭაყელი-ციხისჯვარელი: 7; 23; 19, № № 221, 222; 20, გვ. 243.—
 74. [შამია დადიანი], ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 237—8.
 75. გიორგი დადიანი: 23, იდ; 24, იე.—
 76. ვამეყ დადიანი: 23, ია-4; 23, ბ-4; 24, იგ; 20, გვ. 243.—
 77. ზაზა (ზაქარია) ფანასკერტელი: 21, ივ. ით, კ; 22, ვ; 19, № 134, 136.—
 78. სვიმონ ვარდანისძე: 24, ც.—

(გაგრძელება იქნება)

საჩინო საიუვილი გიორგი ღეონიძის მოთხრობები

გიორგი ღეონიძის ცალკეული მოთხრობები, როცა ერთ კრებულად აიკინძა, უფრო აშკარა შეიქნა, რომ წიგნში ერთიანი პოეტური სურათია გადმოცემული. აქ მოთხრობილ ამბებს კომპოზიციურად ჰკრავს გმირი, რომელიც ავტორის პერსონიფიციკრებული სახეა. ჰაბუყი მეოცნებე პოეტი (ასეა იგი წარმოდგენილი მოთხრობებში) გატაცებით, დიდი სიყვარულით გვიამბობს თავის სოფლის ადამიანებზე, მის ახლობლებზე. ისეთივე ცეცხლით იწვის, როგორც ნიავივით მსუბუქი მარიტა, ან ნიშარტელის წყალზე შეყვარებული ფორე, რომელმაც უნიადაგო ოცნებას შეაღია თავისი ახალგაზრდობა. მოგონებების სახით ნაამბობი უეჭველად სხვაგვარ ინტიმს ჰბადებს. თუმცა ეს მოთხრობები ბევრად სცილდებიან ჩვეულებრივ მოგონებათა ვიწრო ჩარჩოებს.

წიგნის სათაური „ნატერის ხე“ კარგად გამოხატავს აქ მოთხრობილი ამბების შინაარსს. ყრმობის მოგონებები მარგალიტბივითაა ასხმული საოცნებო ნატერის ხეზე. სიჭაბუკეში განცდილს ვერ შეჰხვებია დროის მსახვრალი ხელი. პოეტის ნათელ მეხსიერებას ახალი სიცოცხლე მიუნიჭებია მათთვის. პატარაძეული — სამშობლო პოეტისა. ვარე კახეთის მშვენიერი კუთხე. ზოგს, მით უფრო ქალაქის მკვიდრს, იქნებ, არც უნახავს ივრის წნორები ან ნინოწმინდის პალატები, მაგრამ ისინი დიდიხანია ცნობილი გახდა თვითონ პოეტმა. პატარაძეულის დილა პირველად გიორგი

ღეონიძის ლექსებმა შემოიტანეს ჩვენს ცნობიერებაში:

პატარაძეულის ივნი...
დილა ბროლშენაციებ...
დილა ღმერთმოჩენებელი
შანიითი ჩამრჩა სოფნაში;
და ფიქრი მოყვრებული
პირველი სიტყვის პოვნაში.

გიორგი ღეონიძის ძალზე კოლორიტულ მოთხრობებს საინტერესო და მრავალფეროვანი გმირები ჰყავს. ვინ არიან ისინი? ჩვენი ქართული სოფლის უბრალო მკვიდრნი, ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც არცა აქვთ ასპარეზი დიდი შემართებებისათვის. ამაზე ავტორს აქვს თავისი კონცეფცია, რომელიც მხატვრულად ხორცშესხმულია თითქმის ყველა მოთხრობაში. მის მიერ წარმოსახული გმირები, ერთი შეხედვით, მართლაც, პატარა ადამიანები, დიდი შინაგანი ძლიერებით გვხიბლავენ, სისპეტაკით ბრწყინავენ, თითქოს ყოველ მათგანში თელემს ის დერიტა, რომელიც საჭირო შემთხვევაში ნამდვილ სახალხო გმირებად აქცევენ მათ.

ავტორი ზშირად გვიყვება თავის თანასოფლელთა გულღბრყვილობაზე, მიაშიტურ შეხედულებებზე, მაგრამ ისეთი რწმენით, ისე მოზომილად, რომ მკითხველი უნებურად თვითონაც იმსჯელება დიდი თანაგრძნობით. თბილი იუმორითაა გადმოცემული ერთ მოთხრობაში ბუნებულა დალაქის ამბავი, რომელმაც მარტოდმარტო გადაწყვიტა სა-მართლიანობის აღდგენა. მერე ვინ? თორმეტი შეილის მამამ, სიღარიბით

დაბეჩაებულმა ბუნულამ. ვერავინ რომ ვერ აიყოლია, მარტო წავიდა ხელმწიფესთან საჩიველად: ომი და სისხლისღვრა როგორ შეიძლება? აბა ვინ მიუშვებდა, ან როგორ მიაღწევდა ხელმწიფის კარამდე უბირი ბუნულა. გამასხარავებული და გაპანდურებული უბრუნდება ნირწამხდარი დალაქი თავის სოფელს: „იყო კაცი თავმოწონე და გარემოებამ ნაკაცარი გახადა: მერე რისთვის? — კაცობრიობის გულისათვისო“, — ღიმილიანი სინანულით დასძენს ავტორი.

კრებულში რამდენიმე მოთხრობა ამავე თემაზეა გაშლილი. მაგალითად, მიამიტსა და საქვეყნო საქმისათვის აჯანყებულ ბუნულას გარკვეული კუთხით ძალზე გვანან სხვა მოთხრობის გმირებიც: ფორე და ჩორეხი, რომელთა კეთილშობილური მიზნები თავიდანვე განწირულია. მათ არ უწყერიათ განხორციელება. ფორესა და ჩორეხსაც ცხოვრების ალლო პლატობდათ. ეს იყო მათი უბედურება. სოფლისთვის იღწვოდნენ და სოფელს კი არ ესმოდა მათი. ფორეს ამბავი კრებულში პოეტურად არის გადმოცემული. ძველი სოფლის სილატაკის მიზეზი აქ თითქოს სიმბოლიურადაა აღქმული. ფორე წმინდა გიორგივით ნანატრი გმირია, რომელმაც წყალი უნდა გადაუხსნას ხალხს. სოფელი კი არ იბრძვის, არამედ ცხოვრობს და სიჭიუტით პასუხობს ბუნების ასეთ რისხვას. კარგად მიგნებული დეტალით აცხოველებს ავტორი ამ სურათს: „ბავშვებს არასდროს არ ენახათ ჩანჩქერი, არც ჩაბრიალა, არც შადრევანი, არც უხვი წყლით გახურებული ბაღნარი, არც მტევნის ძუძუ. არც მზის ყანა ეპ, რა უსაწყურვილესი იყო სოფელი! ოჰ! რა ბრეს ადენდა ხორშაკი ქარი სოფელი მტვერში ეხვეოდა; რასაც დასთესდნენ ბოსტანში, თიბათვის დამდეგს აიფშრუტებოდა, მკათათვეში ამტვერდებოდა.

— რაღადა სთვის? — შევეკითხებოდით სოფლის დედაკაცებს.

— მამ რა ვქნათ, სოფელს ხომ არ გავაციებთ, სირცხველდა?

სიკაბუჯის ტრფილად გადაეცა ფორეს ნიშარქელის წყალი. მას უნდა გადაერჩინა უდაბნოდ ქცეული სოფელი, ნანატრ წალკოტად ექცია. უნიადაგო და აუხდენელი იყო მისი ოცნება. სილატაკით წელში გაწყვეტილ სოფელს არც სჯეროდა ფორეს გეგმისა და არც შეეძლო შორეული ნიშარქელის წყლის გადმოყვანა. სოფელმა ზურგი აქცია მეოცნებეს და იგი მარტო დარჩა. მოქმედებისა და ბრძოლისათვის დაბადებული ფორე უსარბილო კაცის ცეცხლით იწვის. დიდი სიყვარულით, თანაგრძნობით არის დახატული მოთხრობაში მარტოშენილი ფორე. იგი ოცნებით ცოცხლობს, სიზმრებში აღწევს თავის საწადელს. საგანგებოდ მინდა შევნიშნო, რომ მოთხრობის ერთერთი ძლიერი ადგილია ფორეს ზმანება, რომელშიც გმირის მისტიური ხილვაა გადმოცემული. ალბათ, ასევე წარმოდგინა უწყლო ქვეყნის მკვიდრს, ან უდაბნოში გადაკარგულ ბედუნს ალექსანდრე ქვეყანა.

სოფლის კოლორიტულ სურათებს აცხოველებს კიდევ ერთი სახე, რომელიც ფორესავით რწმენის კაცია. ეს არის ჩორეხი — თითქმის ფანატრიკოსი, გარდასული დროების მგზნებარე ტრფიალი. ფორე მომავალზე უნიადაგო ოცნებამ გადაიყოლა, ჩორეხი კი მხოლოდ წარსულის კაცია. გიორგი ლეონიძემ მოთხრობებში სხვა საინტერესო სახეებიც გავგავნო. ყველა ისინი საკუთარი ცხოვრებით, თავისებური ბუნებით გამოირჩევიან. ავტორს საღებავები არ დაუკლია მათთვის. სოფლის ბელადად მოვლინებული ციციკორე შეურყეველი ხასიათის კაცია. სოფლის მეტრე იაგორა სოფლიდან გაიქცა და სამუდამოდ დაკარგა ის ფესვი, რომელიც მშობლიურ მიწასთან აკავშირებდა. არაჩვეულებრივად კოლორიტულია ამბავი ორი მეზობლის ჩირიკისა და ჩიკოტელასი. რამდენი იუმორი, რამდენი

სითბოა, როცა ავტორი გვიამბობს მათ უცნაურ, უმიზნო აყალმაყალზე.

ცალკე მინდა აღვნიშნო მოთხრობა „სახელის მილოცვა“, რომელიც საინტერესო ნახტით გამოიჩნევა. მოთხრობის პირველი ნაწილი ძველი ისტორიული ქრონიკის ასოციაციას იწვევს. ენობრივი მასალაც სხვადასხვაგვარადაა შერჩეული. ავტორი ძველი მემკვიდრე-სავით სიტყვა-ძუნწია, ზოგად შტრიხებს იძლევა, მაგრამ ქრონიკა თანდათან ცოცხლდება, რეალური გმირები ავსებენ ასპარეზს. შალია ლასურაძე ძველ მეომართა ოჯახის შვილია, გვარის უკანასკნელი იმედი. ოსტატის ხელით არის დახატული დედა ჩახტაურა, უტეხი სულის ქართველი ქალი. იგი შალიას დავაყვაცების მოლოდინით ცოცხლობს. აპა საცაა ეს დღეც უნდა დადგეს, სოფელმა უნდა დალოცოს და „ქარფეხა“ ცხენს უნდა შემოახტეს შალია ლასურაძე.

გიორგი ლეონიძე არ გვიამბობს, არამედ პოეტურ სურათებად ალაგებს ცალკეულ ნახტებს შალიასა და მისი დედის სამწუხარო თავგადასავალიდან. მე მხოლოდ ერთ ადგილს მოვიტან მოთხრობიდან, რათა მკითხველისათვის ნათელი გახდეს, თუ როგორ აღწევს მხატვრულ ეფექტს მწერალი: „...პირველი მსოფლიო ომის დროა, დეიდა ჩახტაურა ზის მარტოდმარტო შემშალ, ძველებურ აივანზე. კერას არ აციებს... ზის და წინდას ქსოვს... სამი ვაჟიდან ვითომდა შემორჩენილი ერთადერთი ვაჟიშვილი შალიასათვის, რომელიც სულ ამას წინათ დაედუბა, მაგრამ ჩახტაურას არ სჯეროდა, ღრმად სწამს შვილის უკვდავება და ფოსტალიონს მკაცრი კილოთი ეტყვის:

— ენამც მოგტყდება, ენამცდარო! უკან წაიღე! ეს ქაღალდი იმასვე მიუტანე, ვინც გამოგატანა! შალია როდი მყავს მკვდარი! აღარ გაბედო ამის თქმა! — და ისევ განაგრძობს წინდის ქსოვას კიბის თავზე... წუთის შემდეგ, ჩახტაურა ისევ მრისხანე ხმას დააწევს

შარაზე მიმავალ, განცვიფრებულ კაცს გუნას: აღარ გაბედო მაგნიფიკენტი და ლაღლით აქ მოსვლა, თორემ ძაღლებს დავავალეჩინებ! სამახარობლოდ მოდი, სამახარობლოდ!“

უბრალო სასაუბრო კილოთი, გადმოცემულია ფსიქოლოგიურად ძლიერი და დამაჭერებელი სურათი. დედის გული ფანატიკურად ეურჩება მკაცრ სინამდვილეს, არ უნდა იწამოს უკანასკნელი იმედის ჩაქრობა. ფსიქოლოგიური სიმართლითაა გადაწყვეტილი გიორგი ლეონიძის მეორე საინტერესო მოთხრობა, რომელშიც გადმოცემულია მშვენიერი მარიტას და ჰაბუკი ნათელიძის უიღბლო სიყვარულის ამბავი. მარიტა სოფლის თვალთა, ანკარა წყაროსავით სუფთა და სპეტაკი. პოეტურად ამბულბული, რომანტიკული ხედვითაა შესრულებული მისი სახე, მსუბუქი, ჰეროვანი ტონებით. შინაგანი თრთოლვა და გამოუცნობი შიში ქვეტექსტად მიჰყვება მარიტას სახის განვითარებას. სად უნდა გაიხაროს ასეთმა ყვავილმა, როცა ირგვლივ უხეში და მკაცრი ანგარიშიანი ცხოვრება გაშფოთებული ფაქიზი, პოეტური ბუნების ადამიანები უხეში სინამდვილის მსხვერპლი ხდებიან. ეს თემა ძალზე ახლობელია გ. ლეონიძისათვის. იგი სხვა მოთხრობებშიც არის განვითარებული. ასეთია მარიტას ხედრიც. კორებს აყოლილმა სოფელმა მარიტას არ აბატია ლტოლვა ქეშმარიტი სიყვარულისაკენ. ხალხის დიდი სულიერი გარდატეხის ფსიქოლოგიურად მართალი სურათია დახატული, როცა მთელი სოფელი ეთხოვება მარიტას ცხედარს. აქ კი საბოლოოდ იმარჯვებს მარიტა... „და სამარის პირად, როცა დადგა უკანასკნელი წუთები გამოთხოვებისა და მიწის მიყრისა, იმ წამს, კუბოსთან მიჭრილმა მარიტას შეურაცხყოფელმა ხალხმა, ახლა შეშინებულმა, უეცრივ უკან დაიხია, კინაღამ ერთმანეთი გადათელეს და გათქერეს... რადგან ერთი მუჭა მიწის მიყრა ვერაფერ

გაუბედა ამ ღვთიურ სილამაზეს. ვერა-
ვინ... ვერავინ“...

მე მინდა კიდევ დაეუბრუნდე მოთხ-
რობას „სახელის მილოცვა“. ამ მოთხ-
რობას ავტორი ამთავრებს სახალხო
დღესასწაულის აღწერით. გიორგი ლეო-
ნიძე ქართული სოფლის, ჩვენი ეთნოგ-
რაფიის, ფოლკლორის შესანიშნავი
მცოდნეა. ეს ცოდნა საოცრად ამდიდ-
რებს მის მოთხრობებს და ბევრად
უფრო ფართო განზოგადოების საშუა-
ლებას იძლევა. თავისთავად საინტერე-
სო ეთნოგრაფიულ ჩანახატებში, მხატვ-
რის ფუნჯით გაცოცხლებული სახეები
მოქმედებენ. ლეონიძის ზოგ მოთხრო-
ბას ემჩნევა ავტორის გატაცება ეთნოგ-
რაფიული აღწერებით, მაგრამ ჩემი
აზრით, მეტწილად იგი ზიანს არ აყე-
ნებს მხატვრულ ქსოვილს, პირიქით,
უფრო დამაჯერებელსა და ცხოვრები-
ყელს ხდის მწერლის ნაამბობს. ამ
მოთხრობაშიც თითქოს ეთნოგრაფიუ-
ლი სურათია გადმოცემული: მთელა
სოფელი გამოსულა სასაფლაოზე, ხალ-
ხი ერთმანეთს ულოცავს „სახელის
დღეს“. სოფლელები დასტირიან მიცვა-
ლებულებს, ჩვენ ძველებს, ვისაც სა-
ხელი რამ დაუტოვებია თავისი ვაჟა-
ცობით. თუ ზევით მოთხრობაში მემა-
ტიანის ძუნწი, ლაკონური ენით მიდიო-
და თხრობა, აქ პოეტი მდიდარი, ხალ-
ხური ენით მეტყველებს. სახალხო და-
ტირება პოეზიის სიმალღემდეა აყვანი-
ლი.

„ხავსი და მობიბინე ბალახი ჰფარავს
გმირთა საფლავებს...“

ირგვლივ ფრთაგაშლილი გაზაფხული
ფრიალებს...

— სახელი მომილოცნია, შვილო! —
ყუჩად დასტიროდა შოსანი დედაბერი
ჯაფარაული საფლავს და დედაკაცები
ხელ ზუზუნს აყოლებდნენ:

— განა შინ მოკვდი, ომის კარს
მოკვდი! ხელთ ხმალი გეჭირა!

ხალხი მოვიდა, ღვთისოს ჩოქით სა-
ხელი მიულოცა.

— ჰაი, შე უდროოდ გათავებულს,

შე გამარჯვებულს, მადლობელი ვარ
შენი სახელისა ჩასძახოდა პაპი ქლიშე-
რი მწყემს გაგნიას, — სვეტი ნათლისა
დაგადგეს!“

ასეთი მხატვრული სურათითაა შემ-
ზადებული მგლოვიარე დედა ჩახტაუ-
რას შემოყვანა. მისი ხმაც ერთიან ნაკა-
დად ერწყმის სახალხო მწუხარებას. ნუ-
გეშად ჩაესმის ჩახტაურას, რომ მისი
შალიაც სახალხო გმირად შეურაცხიათ.
ლეკსებიც გამოუთქვამთ: „შალიას სიკვ-
დილისთვისა მალა ღმერთს მოსწყდა
წელია მთვარემ ჩაიცვა შავები, ვარსკე-
ლავთ არ ედო ფერია!“ ასეთ დროს
ზღვასავით დიდი და წყნარი სახალხო
მწუხარება. თითქოს საღდაც ჰქრება
ჩემი და შენი. მომწვენებული, დაწყნა-
რებული სახით ბრუნდება უკან დედა
ჩახტაურა. სხვისთვისაც ჰყოფნის ღიმი-
ლიანი სიტყვა: „რა სახელიანი შვილი
მყავდა! დაბე სოფელმა სახელი მიუ-
ლოცა! თქვენც კარგები დაიზარდნით,
ტყემლის ბოყვებო! — მიმართავდა იგი
გზად შემოხვედრილ ბაღლებს, მომა-
ვალ ვაჟაკებს.“

ეს მოთხრობა საინტერესოა მწერლის
ოსტატობის თვალსაზრისითაც, კარგად
ამხელს მასალისადმი ავტორის დამოკი-
დებულებას. მახვილი პოეტური „სმე-
ნა“ ზუსტად ირჩევს შესაფერის მხატვ-
რულ ქსოვილს. ზევითაც აღვნიშნე,
რომ ამ მოთხრობაში ორი ფენა, ორი
ნაკადია შემოჭრილი. პირველი ნაწილი
უფრო ფრაგმენტულია და გადმოცემუ-
ლია ლასურაძეთა ძველი გვირის ამო-
წყვეტის ამბები. იგი ძველი ქრონიკების
ლაპიდარული სტილით არის დამუშა-
ვებული. მოთხრობის ზემოაღნიშნული
ფინალი ჰკრავს ამ ფრაგმენტულობას.
ეს არის თითქმის ნატურალისტური სი-
ზუსტით აღწერილი სცენა სახალხო
გლოვისა, რომელსაც თავის ხმას უერ-
თებს შალიას დედა, მწუხარე ჩახტაუ-
რა. მწერლის ენა აქ წყალზე მდინა-
რესავით მოედინება, ხალხური თქმები,
იდიომები, ერთმანეთს ენაცვლებიან.

ქარბი საღებავები კოლორიტის სასიამოვნო განცდას გვანიჭებენ.

ასეთივე მხატვრულ ხერხითაა შესრულებული მოთხრობა „ღვინჯუა“, რომელიც პირველად სხვა სათაურით გამოაქვეყნა ავტორმა „დაუღველი სადღეგრძელო“. თხრობის ხალხური ნაკადი, ქარბი კოლორიტი, ძარღვიანი დედა-ქართული აქ კახეთის შემოდგომასავით მსუყე და მათრობელაა. მოთხრობის დედაბოძია განთქმული თამადა „ღვინჯუა“, რომელიც გუთნის დედის პატიოსნებით ასრულებს გლეხური სუფრის მეთაურობასაც. სულ უბრალო ამბავზეა აგებული მოთხრობა. თამაღობის რიგი და წესი წმინდა ზიარებასავით სწამდა ღვინჯუს. ისე არ ადგებოდა სუფრიდან, რომ ტრადიციული „საყოვლადწმინდაო“ არ დაეღია — ვინც ბუდე ქართველია, უმსაღღგრძელოდ არ უნდა ადგეს სუფრიდან! ჩვენი ქვეყნის პატივია! რა ნება გვაქვს მამა-პაპური ანდერძი გავტეხოთ? მართო შეიღებსა და შეიღვიღებს კი არა, ბოლო ქართველებსაც უნდა გადავცეთო!“

ერთხელ ლამის უღალატა თამაღობის წესს. ერთმა ყიამყარლმა თანამოსუფრემ უსანდისო სიტყვა ესროლა და განაწყენებული ღვინჯუა „საყოვლადწმინდაოს“ დაუღველად ადგა სუფრიდან. ეს მიამიტური, გლეხური გულუბრყვილობაზე დამყარებული კოლიზია ავტორს ისეთი რწმენით, შეფარული ჰუმორით, მახვილად შერჩეული დეტალებით აქვს განვითარებული, რომ მკითხველი მთელი გულით განიცდის ღვინჯუს „გასაკირს“. არაფერი მოულოდნელი აღარ არის იმაში, რომ საშინელ ქარბუქში მოხვედრილი ღვინჯუა უკან მიბრუნდება და წმინდად შეასრულებს თამაღობის წესსა და რიგს — „საყოვლადწმინდაოს“ სადღეგრძელოს არ მოაკლებს ნათლიმამის ოჯახს.

პლასტიკური ხატვის მადლი, სიტყვაქმნაღობა და უღვეელი საღებავები გიორგი ლეონიძის ტალანტის ორგანუ-

ლი თვისებებია. ამ თვალსაზრისით, მისი მოთხრობებიც შესაფერისი მხატვრულ სიმაღლეზე დგანან. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი ამავე მოთხრობიდან. მამა-პაპური ქართული ლბინია გაჩაღებული ნათლიმამა თაყას გლეხურ დარბაზში. გულმართალი, ჯანსაღი, შრომაში გაკაცებული გლეხები შემოსხდომიან ნათლიის სუფრას და თავიდანვე სიტყბო, გულითადობა გამეფდა. ხელმოსაქიდი, როგორც იტყვიან „ხორკლიანია“ ავტორისეული თხრობა და იგი ატყვევებს მკითხველის თვალსა და გულს.

პლასტიკური სურათები ხალხური ჰუმორითაა შეზავებული. სუფრას შემოსხდომიან სხედასხვა ბუნების, ხასიათისა, მეტსახელებით „შემკული“ თანასოფლელები. ავტორს თითო შტრიხი ყველასათვის ჰყოფნის. არ შეიძლება გულით არ გაგვიცინოს, როცა ავტორი მსუნაგ თლოშიარს ახასიათებს, ღორის ლურთები რომ ეღანდებოდა ნიდაგან კი „ტყავის ფეშტამალაფარებული ეღამი კალატოზი ყიქალა, სულ მთერალი, კედელს რომ ამოიყვანდა, უეცრივ ზემოდან ჩამოსძახებდა: „მეცითო!“ და მართლაც ნავაღახევი კედელი ან პირდაპირ წამოვიღოდა, ან გვერდზე გაღმოინგრეოდა. სოფელი მაინც მადლიერი იყო ყიქალასი: — სხვა არც მად სიკეთეს გვიზამდაო“.

მოთხრობებში ახლებურად გამობრწყინდა გ. ლეონიძის პოეტური ენის შესაძლებლობები. მითიური ფარხადივით ეაკაცურად ებრძვის პოეტი სიტყვის უზარმაზარ მთას, რომ ჯერ ხელუხლებელი ზოდები გაღმოანგრეოს. გვაგრძნობინოს ქართული სიტყვის პირველყოფილი მშვენიერება. მე ვერ დავასახელებ ახალ ქართულ პროზაში სხვა ისეთ ნაწარმოებს, საღაც სიტყვის ასეთი დიდი მოსავალი იღგეს. აქ შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა, თუ როგორ უშურველად აფრქვევს პოეტი ქართული სიტყვის მარგალიტებს. იგი უზვია და მისი სიტყვა, ერთი შეხედ-

ვით, შერჩევის გარეშე მოედინება, მაგრამ წუთიცი და თქვენივის ნათელი ხდება, რომ ეს სიტყვები აქ ზუსტად თავ-თავის ადგილას სხედან, უკვე ახალი სიცოცხლით სუნთქავენ. თანამედროვე პროზაში ვთქვათ ისეთ შედარებით გაცვეთილ ხერხს, როგორცაა გმირის დახასიათება ეპიტეტებით, პოეტი ისე გაბედულად, მოჭარბებული რაოდენობით იყენებს, რომ მხოლოდ დიდი ოსტატობა შევლის საქმეს. მარტა — მწყაზარი, მოციმციმე ტრედონა, წყნარი, როგორც მაისის თეთრი წვიმა, ქალი, მტევანით შემკობილი, ჩაქდმით მოსიარულე, ნაზი, როგორც ნაივი ვერხვში შეხიზნული და ა. შ. თითოეული სიტყვა ამავე დროს თავისი მშვენიერებით ბრწყინავს და ამიტომ სრულიად იკარგება ფერების სიჭარბის გრძნობა.

გ. ლეონიძის მოთხრობებში სიმძიმის ცენტრი პოეტურ სიტყვაზეა გადატანილი. სიუჟეტი, კოლიზიები უკანა პლანზეა, ზოგ მოთხრობაში არც არის ცდა სიუჟეტის გასაშლელად. მაგრამ პოეტურ სიტყვას აქ ერწყმის მეორე მხატვრული ფენომენი, რომლითაც ბრწყინავს გ. ლეონიძის პროზა. ეს არის მხატვრის უტყუარი თვალი, ხასიათების საოცარი გრძნობა. გ. ლეონიძემ ქართველ მკითხველს გააცნო სახეების მრავალფეროვანი სამყარო. მონუმენტური სახეები, ეროვნული სულის ძიება ამ მოთხრობებს დიდ ზემოქმედებით ძალას ანიჭებენ.

როგორც ზევეითაც აღვნიშნე, გ. ლეონიძის მოთხრობების გარეგნული ფორ-

მა ძალიან ჰგავს მოგონებებს, ზოგ შემთხვევაში შეინიშნება კიდევ დოკუმენტური პროზის ელემენტები, თუმცა უფრო ხშირად ავტორი თავს ალწევს ამგვარ ცდუნებას. მისი თხრობის სფეროში არ შემოდის ყოფითი დეტალები წვრილმანი, კონკრეტული შინაარსის მქონე ამბები. მწერალი ძალზე დატვირთულია ყრმობის შთაბეჭდილებებით და ზოგჯერ ნაჩქარევად ცდილა ჯერ კიდევ მხატვრულად მოუშწიფებელი მასალის გამოტანას. მაგალითად დაუმთავრებელი და ესკიზური მონახაზის შთაბეჭდილებას ტოვებს კრებულში მოთავსებული რამდენიმე მოთხრობა („ორი შემოხედვა“, „მოხუცი გუთნისდების სიკვდილი“). მთელი მოთხრობაა მიძღვნილი ისეთი სახისადმი, რომელიც თავისთავად ძალზე კოლორიტულია და დამშვენებდა რომელიმე მოთხრობის ცალკეულ ეპიზოდს, მაგრამ ცალკე აღებული ვერ უძლებს მხატვრულ დატვირთვას. ამის გამო თხრობა ჭიანჭურდება და მხატვრული ეფექტიც ნაკლებია. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ჭამპურა“. ან მეორე მოთხრობა „თალხია“. ჩემი აზრით, ავტორი ზოგჯერ ზედმეტად ერევა მხატვრულ თხრობაში, ეს კი უეჭველად იწვევს სტილის „ამოვარდნას“, ავტორი თვითონ არის ამ მოთხრობების პერსონაჟი და იგი მხატვრული ფუნქციის გარეშე არ უნდა დარჩეს (გვ. 245, 201).

თანამედროვე ქართულ პროზაში გ. ლეონიძის მოთხრობების კრებული საინტერესო მოვლენაა, იგი ბრწყინავს ქართული სახეებით, მადლიანი ქართული სიტყვით დამშვენებული.

ზაზა თითიაშვილი

მუხრან მაჭავარიანის ახალი ღმსკები

მთავარი, რითაც მ. მაჭავარიანმა მკითხველი საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა, მისი ინტონაცია იყო, — ლალი, მყორული, ხშირად არაჩვეულებრივი და ცოტა არ იყოს, ექსტრავაგანტური.

მ. მაჭავარიანის ლექსის ძირითადი თვისებები დღესაც იგივეა, რაც ამ ათი-ოდე წლის წინ, თუმცა შეინიშნება ერთი ახალი მოვლენაც, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია; — პოეტის ხმაში თანდათან მეტი სიმშვიდე იჭრება. როდესაც მის უკანასკნელ ხანში დაწერილ ლექსებს ვკითხულობთ, თითქოს გვესაუბრება კაცი, რომელსაც მაღალი რეგისტრის ხმა აქვს, მაგრამ ცდილობს ილაპარაკოს, რაც შეიძლება, ხმადაბლა, ჩუმად.

მ. მაჭავარიანის ახალი ლექსების კრებული, საინტერესო და ზოგიერთ შემთხვევაში საკამათოცაა. მთლიანად წიგნზე შეიძლება ითქვას, რომ ავტორი არ ღალატობს თავის საკუთარ და, საერთოდ, ყველა ჭეშმარიტი პოეტის მოწოდებას — იყოს თვითმყოფადი და დამოუკიდებელი.

მხატვრის თვალს, შემოქმედის დამოკიდებულება საგნისა თუ მოვლენისადმი ყოველთვის იყო და რჩება პოეტის ძალისა და სიახლის მთავარ განმსაზღვრელად.

მ. მაჭავარიანი საგანს თავისებურად აღიქვამს:

სრულიად ჩანსალი,
განხორციელებულ ნებარებად,
შევუძრებ აუვაიებულ ტყეშალს
და... ისე, ისე ვერტყვი,
თითქოს საავადმყოფოს ფანჯრიდან
ავადმყოფის თვალებით ვხედავდე.

პოეტმა იცის, რომ სხვადასხვა სულიერ განწყობილებების დროს ერთი და იგივე საგანი სრულიად განსხვავებულ ემოციებს იწვევს ადამიანში. და სწორედ იმიტომ, რომ თავისი წუთიერი განწყობილება ხელუხლებლად მიიტანოს მკითხველამდე, გადმოგვცემს იმ შინაგან სულიერ მოძრაობას, რომლის მიზეზით თუ მეშვეობით აყვავებული ტყეშალი მან დაინახა ისე, როგორც დაინახავდა რომელიმე ავადმყოფი საავადმყოფოს ფანჯრიდან.

საგნის დანახვის ასეთი პერსპექტივა ორგანულია მ. მაჭავარიანისთვის. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მარტო პერსპექტივა კი არა, სახის აგების, სახის გამოძერწვის თავისებური ხერხიც არის, — ისე ვთქვათ, — ლოგიკური ხერხი, — აი ეს მოცემული სახე ამიტომ და ამიტომ არის ასეთი, — ამბობს თითქოს პოეტი.

ასევე თვითმყოფადი და მხოლოდ მ. მაჭავარიანისათვის დამახასიათებელია სახის ან საგნის გადმოცემის მეთოდი, ხან რთული, ხან მარტივი, მაგრამ ძირითადად და აუცილებლად — უშუალო.

საერთოდ, უშუალოა მ. მაჭავარიანის ლექსების ერთ-ერთი კარგი თვისება. მაგრამ მთავარი, რაც მ. მაჭავარიანს სხვებზე განსხვავებებს, მაინც ის არის, რომ მას შეუძლია არამარტო კონკრეტული სახე მიიტანოს მკითხველამდე ძალდატანების გარეშე, არამედ უშუალო და ბუნებრივი ელფერი მისცეს, ერთის შეხედვით, მოულოდნელ საგანსა თუ მოვლენას.

პოეტი ეძებს მოვლენებს, რომლებიც ჯერ არ გამხდარა საგანი პოეზიისა,

და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცდილობს იყოს, რაც შეიძლება თვითმყოფი, მკვეთრად ინდივიდუალური. იგი ხშირად ახერხებს ამას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც უკიდურესობამდე მიდის და კარგავს ზომიერების გრძნობას. მაგალითად, ლექსში „მე შევეუდექი ოქროყანის მღვმარე ქუჩას“ თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი სწორედ ამ „წესმა და რიგმა“ არ დააკმაყოფილა (ყველასათვის ხელმისაწვდომად წარმოიდგინა იგი), და საინტერესო პოეტურ განწყობილებაში შეიტანა უაღრესად პროზაული დისონანსი.

ჩემი აზრით, ასეთ ძიებათა შედეგი უნდა იყოს მ. მაჭავარიანის ლექსების ორი ახალი ციკლიც „ჩვენებურები“ და „დილოგები წვიმაში“. მართალია, ერთშიც და მეორეშიც არის სტრიქონები, არის მთელი რიგი ლექსები პოეტური ხელით შესრულებული, მაგრამ მთლიანობაში ისინი სცილდებიან პოეზიის სფეროს.

მთავარი ნაკლი ზემოხსენებული ციკლებისა მათ აღწერითს ხასიათშია, (რასაც თანამედროვე კარგი პოეზია ეხოდენ გაურბის). არის მეორე მოვლენაც, რომელიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს. „ჩვენებურებში“ და „დილოგებში“ მ. მაჭავარიანი მიმართავს ენობრივ ნატურალიზმს, რომელსაც ვულგარიზმამდე დაყავს ხსენებული ნაწარმოებები. მაინც საოცარია, რისთვის იხმარა პოეტმა ასე ქარბად და რატომ წამოსწია წინა პლანზე ასეთი სიტყვები და შორისდებულები: ყველაყა, რაეარია, თვარა, იფ, იმე, აბა და სხვა, რაც თავისთავად გააუტემურებდა თვით საუკეთესო ლექსების ემოციურ აღქმასაც კი...

ავიღოთ თუნდაც ერთი ცალკეული დასრულებული ნაწარმოები, რას აქლევს მკითხველს, ან საერთოდ, რა დანიშნულება აქვს ამგვარ ლექსს:

გარეთ ხმაურობს წვიმა...
 ოთახს ანათებს ღამმა...
 — ბეტრუა გახსოვს?
 — იმე!

— რა ბიჭი იყო!..
 — აბა!

მარცხენული
 გიგლიორთქვა

როგორც აღვნიშნეთ, ამ ციკლის ლექსების უმრავლესობა ასეთ ფორმებზე და ენობრივ ქსოვილზეა აგებული, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. ერთი კი აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, — ამგვარი ექსპერიმენტები უკანდახვევია, როგორც მ. მაჭავარიანისთვის კერძოდ, ისე ქართული პოეზიისთვის საერთოდ, რადგან ჩვენი მკითხველის გემოვნებას, სხვები რომ არ დავასახელო, გალაკტიონის ლირიკა ზრდიდა და ხვეწავდა, და ასეთი ნაწარმოებები უკვე ვეღარაფერს ეუბნებიან მის სულსა და გულს.

მ. მაჭავარიანის პოეზიაში მკითხველს ყოველთვის ზიბლავდა ის ამაღლებული ტონი და დარბაისლური, მსუბუქი იუმორითა, ზომიერი ლირიზმით გაყდენილი ფრაზა, რომელიც ასე უხვად ახასიათებდა და ახასიათებს ამ საინტერესო პოეტის ბევრ კარგ ნაწარმოებს, დაწყებული „საბა ორბელიანით“ და დამთავრებული ლექსებით „უნდა იცოდე“, „დილაა“, „ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე“ და სხვა.

რამდენი სიტბო, ადამიანური განცდა და სურვილია თუნდაც ამ პატარა უსათურო ლექსში:

დილა...
 სველა ბაღი,
 სველა ბელტები ნელღ...
 დილა... სველი დილა.
 შემომდის თვლებიდან სხეულში ყოველივე...
 ეივსები დედამიწით,
 წვლიანი ფოთლებით...
 მწყურია.
 მკერდიდან იშვუვლოს სიტყვა
 და
 თბილი,
 თბილი
 მსუნთქავი სიტყვა
 სოველ ბელტებში ენებიანად მიმოიღვაროს...
 ო...
 ეს იქნება უაღრესი სამოვნება,
 ეს ნაკადულის ნეტარებას აღმატება...

ეს ლექსი და ზემოთგანხილულ ციკლებში გაერთიანებული ლექსები შესრულების მანერით, ენით, მხატვრულ-

ბით, და, საერთოდ, პოეტური ხარისხით ერთნაირი როდია, მაგრამ ჩვენმა კრიტიკამ სწორედ ასეთ ნაწარმოებებში უნდა დაინახოს ნამდვილი მუხრან მაკავარიანი, მისი განვითარების პერსპექტივა.

• • •

პოეტის თემატიკა ფართოა და მრავალფეროვანი. ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო მოვლენა და სულიერი მოძრაობაც კი საკმარისია მ. მაკავარიანისათვის ლექსის შექმნის საბაზად, საინტერესო და თავისებურია ამ მხრივ მისი ბოლოდროინდელი, ანუ ვთქვათ, „წერილი“ ლექსები, რომლებშიც ნატიფი, სათუთი განწყობილებებია გადმოცემული.

პლუხანოვის და რუსთველის შემდეგ, მკვეთრად შემიცვლის ხოლმე ხასიათს ერთი ყრუ ქერა, სადაც ტრამვანს გაუქმებული ხაზია.

მ. მაკავარიანს რამდენიმე კარგი ლექსი შეუქმნია ანალოგიური ხასიათისა: „აბალახებდა მოხუცი ძროხას“, „ეს ორი დღეა“, „სახლიდან გარეთ გამოველ“...

მ. მაკავარიანის პოეზია — ახალგაზრდული დუდილის, მოძრაობის, ძალის პოეზიაა. მის სიამაყეს მყარი ძირები აქვს, ამას თვით ავტორიც მიუთითებს საკმაოდ ნათლად ლექსში „ანდუყაფარო, ლიპარიტო“, რომელიც მიმართება საქართველოსადმი, მისი ღირსეული შეილებსადმი. ლექსი მთავრდება შთაბეჭქდავი სტრიქონებით:

ვერ დამადუმონ,
ვერ დამალონ,
თუნდა ჩამქოლონ...

ვერ შეაჩერებს ვერაფერი სიტყვას

გაზედულს —

ფრთები მასხია თქვენგნით...
შოლოდ თქვენგნით რამეთუ.

საერთოდ მამულის სიყვარული, მამულის განცდა ერთერთი მთავარი თემაა მ. მაკავარიანის შემოქმედებისა.

• • •

ამ წერილში არ განვიხილავს პოეტის მრავალი ნაწარმოები, რომლებიც ად-

რეა შექმნილი და თუმცა უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენს, მთლიანად ნული ნაწილია მისი შემოქმედებისა. ამ ლექსების უმრავლესობა მეტნაკლებად შეფასებულია კრიტიკის მიერ და, რაც მთავარია, მკითხველის მიერ. აქ ამ ლექსებზე აღარ შევჩერდები, მაგრამ არ შემიძლია გვერდი აუღარო მ. მაკავარიანის პოეზიის ერთ მხარეს, კერძოდ, პოეტის იმ ლექსებს, რომლებიც ქალისადმი მიძღვნილი და თავისებურ, საყურადღებო ნაწარმოებებად მიმაჩნია.

ძნელია მისცე ამ ლექსებს ტრადიციული განსაზღვრება — „სატრფილოლირიკა“, რადგან აქ გვხვდება ის ელემენტები, რომლებიც უხვად ახასიათებდა ჯა ზოგჯერ დღესაც ახასიათებს ლირიკის ამ სფეროს. მ. მაკავარიანი არ არის თავდადებულად მისული სიყვარულის პოეტი, არც ქალის გარეგნული სილამაზით აღტაცებული მეხოტბე. ჩვენ არ ვიცით, ბედნიერია მისი სიყვარული, თუ — ერთმხრივი ტრაგიკული, — ეს ყველაფერი ლექსების მიღმა რჩება... ნათელია მხოლოდ ერთი მომენტი — მ. მაკავარიანს უყვარს, — უყვარს მაღალ, ადამიანური სიყვარულით და ამ სიყვარულით არის ბედნიერი, და მან იცის მისი ფასი თუ მაღლი:

შენ რომ ქუნაში ვაი გხვდებო
ყოველდღე თითქმის,
ხან მოწყენილი,
ხან მზიარული...
ვაი სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი,
მზიმე ნაბოიო მოსიარულე,
ის როცა ფიქრობს, —
შენ ხარ ხოლმე იმისი ფიქრო.

სიყვარულისადმი, საყვარელი ქალისადმი მიძღვნილი ლექსები გამოირჩევა თავშეკავებით, ტაქტისა და ზომიერების ფაქიზი გრძნობით და სწორედ ამაში მათი თავისებურება.

• • •

ვახტანგ მეფის ლეგენდარული და მიწშიდველი სახე ნაკლებადაა დამუშა-

გებული ჩვენს მხატვრულ მწერლობაში, ამრიგად, მ. მაჭავარიანს თითქმის ყამირ ნიადაგზე უზღებოდა მუშაობა.

„ვახტანგს“ ავტორი პოემას უწოდებს. ზოგიერთებმა ეკვი გამოთქვეს და ამტყიცებდნენ, რომ ეს ნაწარმოები არ არის პოემა და, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ლექსების ციკლად ჩაითვალოს, რომელშიც ყოველი ლექსი ერთ მთავარ პიროვნებასთან არის დაკავშირებული და ასე თუ ისე იძლევა ერთი განსაზღვრული ეპოქის მხატვრულ სურათს.

პოემა თბილისის საძირკვლის ჩაყრას შეეხება, ოღონდ მ. მაჭავარიანი გვერდს უხვევს ტრადიციულ ლეგენდას და სრულიად ახალ სიტუაციაში წარმოსახავს ვახტანგის ნადირობას, თბილი წყლების აღმოჩენის ამბავს და, საერთოდ, ლეგენდის ახალ ვერსიას იძლევა. რადგან სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნოთ, რომ მ. მაჭავარიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა — ყოველივე მზამზარეულის უარყოფა, — მას ყოველთვის თავისი სათქმელი აქვს, — შეიძლება ზოგჯერ საკამათო, მაგრამ რაც მთავარია, — თავისი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ როდესაც მწერალი ისტორიულ თემას ამუშავებს, იგი მხოლოდ ფაქტურას იღებს ისტორიიდან, ხოლო მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური ტენდენციებით იგი გამოხატავს იმ საზოგადოების მოთხოვნილებებსა და სულსკვეთებას.

რომელსაც თვითონ ეკუთვნის „ვახტანგი“ ამ მხრივაც საგულდობრად.

გარდა იმისა, რომ ავტორი მხატვრულად აცოცხლებს საქართველოს შესანიშნავ წარსულს, თავისი სულსკვეთებით ნაწარმოები აქტუალურია, მიუხედავად თემის ისტორიულობისა. მ. მაჭავარიანს კიდევ ერთი მიზანიც ამოძრავებდა „ვახტანგის“ შექმნისას, მიზანი, — ეჩვენებინა დღევანდელი ქართველი ახალგაზრდებისათვის, თუ რანი იყვნენ მისი წინაპრები და რა უნდა იყო შენ, რომ მათი ღირსეული მემკვიდრე გერქვას. პოემაში არის ზოგიერთი ბუნდოვანება, ყველა ნაწილი ერთნაირი მხატვრული დონით არაა დაწერილი და ნაწარმოების კომპოზიციაც თავისებური, მაგრამ სადაოა.

აღნიშვნის ღირსია პოემის რიტმიც, მოქნილი, დახვეწილი, მუდმივ ცვალებადი, რაც ნაწარმოებს გარკვეულ მრავალფეროვნებას მატებს, აადვილებს მის ემოციურ აღქმას. საერთოდ, მ. მაჭავარიანის ლექსებში რიტმი ყოველთვის ხელშესახები და გამოკვეთილია, ამიტომ არის, რომ მისი ლექსებს უმრავლესობა ადვილად ამახსოვრდება მკითხველს.

მ. მაჭავარიანს დიდი სამწერლო გზა აქვს წინ, იგი უნდა განთავისუფლდეს ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის მის შემოქმედებითი ზრდასა და წინსვლას. ჩვენ გვჯერა, რომ პოეტი მომავალში უფრო ახალ და ახალ გამარჯვებებს მიაღწევს.

თანმოე კახიავა

სპარსული პროზის ღიღოსტატი

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში აღინიშნა სპარსული მხატვრული პროზის უბადლო ოსტატის სადუე ჰედაიათის დაბადების სამოცი წლისთავი.

შეტად მრავალფეროვანია სადუე ჰედაიათის შემოქმედება და მოღუვაწობა. იგი იყო ბრწყინვალე ნოველისტი, თვალსაჩინო ფოლკლორისტი და ეთნოგრაფიულ მასალათა შემკრები, დაკვირვებული მკვლევარი, დრამატურგი, მთარგმნელი; მის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტური წერილი, სათეატრო რეცენზია და მიმოხილვა.

სადუე ჰედაიათი არა მხოლოდ დიდი მწერალი და გამოჩენილი სწავლული იყო, არამედ მუსიკისა და მხატვრობის შესანიშნავი მკოდნე და მოტრფიალუც. თავის ქვეყნის კულტურის ისტორიაში სადუე ჰედაიათი უმთავრესად შევიდა, როგორც თანამედროვე სპარსული პროზის ფუძემდებელი და აღიარებული ოსტატი. მისი შემოქმედების მთავარი ჟანრი ნოველა იყო, რომელიც მწერალმა განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.

სადუე ჰედაიათის შემოქმედება ცნობილი და პოპულარულია, როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მას მრავალი თაყვანისმცემელი და მიმდევარი ჰყავს. სადუე ჰედაიათის ნაწარმოებები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, ჩეხურ, პოლონურ, თურქულ, რუსულ, ქართულ, უზბეკურ და სომხურ ენებზე.

სადუე ჰედაიათი დაიბადა 1903 წლის 17 თებერვალს თეირანში არისტოკრატულ ოჯახში. მომავალი მწერლის

პაპა იყო ცნობილი სპარსელი პოეტი და განმანათლებელი რეზა ყული ხან ჰედაიათი, რომელიც სპარსული განმარტებითი ლექსიკონისა და სპარსული პოეზიის რამდენიმე ანთოლოგიის ავტორია. ბავშვობა და ყრმობა სადუე ჰედაიათმა მშობლიურ ქალაქში გაატარა. იგი სწავლობდა თეირანის ფრანგულ კოლეჯში „სენ ლუი“, რომელიც დაამთავრა 1925 წელს. ამავე წელს სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილ იქნა ბელგიაში სამოქალაქო ინჟინერთა უმაღლეს სასწავლებელში. ბელგიაში ყოფნისას ს. ჰედაიათმა დაწერა თავისი პირველი მოთხრობა „სიკვდილი“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა. ამის შემდეგ სადუე ჰედაიათი, როგორც სახელმწიფო სტიპენდიანტი, არქიტექტურის შესასწავლად პარიზში გაგზავნეს. სადუე ჰედაიათი ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში ტექნიკურ მეცნიერებათა საფუძვლებს ეუფლებოდა, მაგრამ მისი ნამდვილი მოწოდება მწერლობა იყო. იგი თანდათან დარწმუნდა ამაში და მთლიანად მიეცა მხატვრული ლიტერატურის, ხელოვნების და ენათმეცნიერების შესწავლას. ს. ჰედაიათმა განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა ენების შესწავლაში. იგი ფლობდა ფრანგულ, არაბულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. იგი ჩეხოვის ერთერთი პირველი მთარგმნელია სპარსულ ენაზე, ხოლო ფრანგულიდან ს. ჰედაიათი არა მარტო თარგმნიდა, არამედ ამ ენაზე მას დაწერილი აქვს როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ასევე გამოკვლევებიც. საფრანგეთში ყოფნისას ს. ჰე-

დაიათი დიდ ინტერესს ამჟღავნებდა ძველი ენებისადმი, კერძოდ, სანსკრიტის, ფალაურის და ავესტის ენისადმი.

საფრანგეთში ყოფნისას იგი წერს ღრმა პატრიოტულ პიესას „სასანიდელი ქალიშვილი ფარვინი“. ამ სამ მოქმედებიან ისტორიულ დრამაში ასახულია სპარსელების ბრძოლა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. უცხოეთშივე შექმნა ს. ჰედაიათმა თავისი პირველი ნოველები. 1930 წელს ს. ჰედაიათი დაბრუნდა ირანში. სამშობლოში ჩამოსვლისას ს. ჰედაიათი იძულებული იყო დაეწყო სამსახური. იგი მუშაობას იწყებს ირანის ნაციონალურ ბანკში, შემდეგ ვაჭრობის სამმართველოში, საგარეო საქმეთა სამინისტროში. ს. ჰედაიათს თავისი არისტოკრატიული წარმომობისა და გავლენიანი ნათესაეების გამო შეეძლო სრულიად უზრუნველყოფილიყო, ცხოვრებაში ყველა გზა ჰქონოდა გახსნილი. მიუხედავად ამისა, იგი მცირედით, მაგრამ თავისი შრომის ნაამაგდართ კმაყოფილდებოდა. მწერალს სიცოცხლის ბოლომდე უხდებოდა მუშაობა უმნიშვნელო ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, რათა თავი ერჩინა.

ოცდაათიანი წლების დასაწყისში თეირანში შეიქმნა ლიტერატურული წრე, რომელიც თავდაპირველად ოთხი კაცისაგან შესდგებოდა. ამის გამო მახ მიიღო სახელწოდება „რაბე“ (ოთხეული). ეს წრე თანდათან გაფართოვდა. მასში გაერთიანებული იყვნენ არა მხოლოდ ლიტერატორები, არამედ ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლებიც. ამ წრის სხდომაზე ეწყობოდა დისკუტები, საუბარი იყო ლიტერატურისა და ხელოვნების საჭირობოროტო საკითხებზე.

ლიტერატურულმა გაერთიანებამ „რაბე“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ირანის კულტურულ ცხოვრებაში. მასში გაერთიანებულნი იყვნენ ირანის პროგრესული ინტელიგენციის საუკეთესო ძალები.

ოცდაათიანი წლები ირანულმა ხალხისათვის ძნელ-ბედობის ხანა იყო. ამ დროს ირანში რეზა შაჰის სისხლიანი დიქტატურა, სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი მძვინვარებდა. პროგრესული და მოწინავე აზრის გამოვლინება უწყალოდ იდევნებოდა. თვით სიტყვა „დემოკრატია“, — როგორც ნათქვამია ირანის სახალხო პარტიის პროგრამაში, — რეზა ხანის დროს ეკუთვნოდა იმ სიტყვათა რიცხვს, რომლებიც ამოღებული იყო ხმარებიდან. იგი წარმოადგენდა საზიფათოს და აუტანელს რეზა ხანისა და მისი დამქაშების სმენისათვის.¹ ასეთ მძიმე პირობებში მოუხდა ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყება სამშობლოში დაბრუნებულ სადევ ჰედაიათს. თავის შესანიშნავ ნოველებში მან გაბედულად აიმაღლა ხმა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. სწორედ ამ წლებში ირანელი მკითხველის თაოზე გაჩნდნენ სადევ ჰედაიათის ნოველების კრებულები: „ცოცხლად დამარხული“, „სამი წვეთი სისხლი“, „ჩრდილ-ნათელი“, პამფლეტების კრებული „მატონი ვალ-ვალი“ და სხვა. კლასიკური სპარსული ლიტერატურისა და ფრანგული ბურჟუაზიული ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე აღზრდილმა სადევ ჰედაიათმა რთული, შემოქმედებითი ძიებებით აღსავსე გზა განელო.

მშობლიური ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების დაცემულობამ და მძიმე საზოგადოებრივმა პირობებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ირანელი მწერლის ლიტერატურულ პრაქტიკაში, მისი შემოქმედების პირველი პერიოდის მხატვრულ ქმნილებებში.

სადევ ჰედაიათის ადრეული ნოველები „ცოცხლად დამარხული“, „მანეკნი ვიტრინაში“, „ცეცხლის თაყვანისმცემელი“, „სამი წვეთი სისხლი“ უიმედო-

¹ აჰმად ყასემი. რას ამბობს და რა სურს ირანის სახალხო პარტიას. ფირანი, 1946, გვ. 31.

ბისა და სასოწარკვეთილების სულისკვეთებითაა დაწერილი, მათ ფრანგული იმპრესიონიზმის ზეგავლენის ბეჭედი აზის. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოთხრობა „ბრმა ბუ“. მკითხველს ანცვიფრებს ამ ნაწარმოების გმირის, მხატვრის, შინაგანი სულიერი სამყაროს აღწერა. „ბრმა ბუ“ დაწერილია დეკადენტურ-მისტიკური განწყობილებებით, მაგრამ თუ ამ მოთხრობის ზოგიერთ პასაჟს ჩამოვაცილით ნისლოვან ფარდას, დავინახავთ მწერლის თანადროული ირანის სულისშემზუთავი ცხოვრების გამოხატულებას.

ამავე პერიოდში სადეკადენტო ქმნის ბრწყინვალე რეალისტურ ნაწარმოებებს: „ალავე ხანუმ“, „ლალე“, „ძმავაი აქოლი“, „აბჯი ხანუმ“, „ქალი, რომელმაც ქმარი დაჰკარგა“, „ლეშის მკამელი“, რომელთაც მას თანამედროვე საპრესულ ლიტერატურაში საპატიო ადგილი დაუმკვიდრეს.

ამ ნოველებში მწერალი გაბედულად ააშკარავებს მისი თანადროული ირანის სინამდვილის მანკიერ მხარეებს. ამ ნოველების გმირები ირანის უბრალო ადამიანები არიან და სადეკადენტო მათი ფსიქოლოგიური სამყაროს საუკეთესო მცოდნედ და შთაგონებულ მხატვრად გვევლინება. ირანელ ჰუმანისტს სადეკადენტო მკითხველი მიჰყავს დასკვნამდე, რომ ამ ადამიანებსაც აქვთ უფლება ცხოვრების სიხარულზე, სიყვარულზე, და ყოველივე იმაზე, რაც ხალისის ჰმატებს ადამიანს და მეტ შინაარსს აძლევს ცხოვრებას.

1936 წელს სადეკადენტო აისრულა თავისი მრავალი წლის ნატვრა და ინდოეთს გაემგზავრა. ამ მოგზაურობისათვის, რომელიც მეცნიერულ მიზნებს ისახავდა, მწერალი იძულებული იყო გაეყიდა თავისი ქონება, უმთავრესად წიგნები. ინდოეთში მან ერთი წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში იგი გულმოდგინედ სწავლობდა სასანიდების ეპოქის ლიტერატურულ ძეგლებს და ფალაურ ენას. სამშობლოში

დაბრუნებულ მწერალს ეუფრუ მიძივე ვითარება დახვდა. 1938 წელს [თეირანში] შედგა „ორმოცდაცამეტის“ სასამართლო პროცესი¹, ასამართლებდნენ ირანის დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომელთა შორის იყვნენ ს. ჰედაიათის მეგობრები. დიდი საშიშროების მიუხედავად სადეკადენტო ყოველმხრივ ცდილობდა როგორმე დახმარებოდა მათ. ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ რეზა შაჰის დიქტატორული რეჟიმის დამხობამდე მწერალმა ვერ შესძლო ვერც ერთი მხატვრული ნაწარმოების გამოქვეყნება და იძულებული იყო შემოფარგლულიყო მხოლოდ მეცნიერულ-თარგმნითი მოღვაწეობით. მას ამ დროს მეტად გამოადგა საფრანგეთსა და ინდოეთში მიღებული დიდი ფილოლოგიური ცოდნა. იგი ზედიზედ აქვეყნებს მთელ რიგ გამოკვლევებსა და თარგმანებს ფალაური ენიდან. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სადეკადენტო მწერ 1939 წელს გამოქვეყნებული შუასაუკუნეების საპრესული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლის „არდაშირ პაჰაიანის საქმეთა წიგნის“ კრიტიკული გამოცემა.

სადეკადენტო თარგმანებს ფალაური ენიდან მალალ შეფასებას აძლევს ამ ენის თვალსაჩინო სპეციალისტი თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი ფურე დაუდი.² ფალაური და ავესტური ტექსტების თარგმანისას სადეკადენტო ურთავდა მათ მეცნიერულ აპარატს, რომლის შედგენისას ითვალისწინებდა თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს.

1938-1941 წლებში სადეკადენტო მუშაობს ირანის მუსიკალურ სამმართველოში და თანამშრომლობს „მუსიკალურ ჟურნალში“, რომლის ფურცლებზეც გამოაქვეყნა საინტერესო სტატიე-

¹ ბოზორგ ალავი, ფანჯაო სე ნაფარ, თეირანი, 1942.

² ჟურნალი „სოხანი“, 1945 წ. № 6.

ბი ასადი ტუსის, ნიზამის, ჩაიკოვსკის, სპარსული სიმღერების და ანდაზების შესახებ, აგრეთვე რამდენიმე სპარსული ხალხური ზღაპარი.

სადეუ ჰედაიათის ლიტერატურულ-კრიტიკული ალლო და დიდი ფილოლოგიური მომზადება კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაში გამოსკვივის მის წიგნში „ხაიამის სიმღერები“. ომარ ხაიამის რომაეების ამ გამოცემას სადეუ ჰედაიათმა წაუძღვარა დიდი შესავალი წერილი სადაც საუბარია ხაიამის შემოქმედების მხატვრულ თავისებურებებზე, ენაზე, სტილზე, პოეტის ათეისტურ შეხედულებებზე, მის სექსუალურზე. უნდა აღინიშნოს, რომ ს. ჰედაიათს ინტერესი ომარ ხაიამისადმი ადრევე დაეძადა და შემოთდისახელებული კრებულის გამოსვლამდე ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1924 წელს, ჰედაიათმა გამოსცა წიგნი „ბრძენი ომარ ხაიამის რომაეები“.

ფაზრ ად დინ გორგანის პოემის „ვისრამიანის“ ლიტერატურულ ანალიზს მიუძღვნა სადეუ ჰედაიათის სტატია „რამდენიმე სიტყვა ვისრამიანის შესახებ“.

თანამედროვე ირანელ მწერლებს შორის სადეუ ჰედაიათს ვერაფერს ვაუწყებს მეტოქეობას სპარსული ხალხური შემოქმედების ცოდნასა და დაფასებაში. მრავალმხრივია სადეუ ჰედაიათის შემოქმედების კავშირი ხალხურ სიტყვიერებასთან. იგი არის არა მარტო სპარსული ნაციონალური ფოლკლორის თავიანთმცემელი და მწერალი შემოქმედი, რომელმაც მრავალი მხატვრული ნაწარმოები შექმნა ფოლკლორზე დაყრდნობით, არამედ მისი შემკრებიცა და მკვლევარიც.

სადეუ ჰედაიათმა თეირანში გამოსცა ხალხური ლექსების, სიმღერებისა და გამოცანების კრებული, რომლის წინასიტყვაობაში გამოთქმულია ავტორის მოსაზრებანი ხალხური სიტყვიერების შესახებ, რომლითაც ს. ჰედაიათი ამკლავებს, მშობლიური ქვეყნის ფოლკ-

ლორის ღრმა ცოდნას და დიდ სიყვარულს მისდამი. იგი წერს ფოლკლორის მეცნიერულ ღირებულებაზე, მის დამოკიდებულებაზე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებთან, მის უდიდეს ისტორიულ კულტურულ და ესთეტიკურ მნიშვნელობაზე. ჰედაიათი აღნიშნავს, რომ არსებობს კავშირი ხალხური შემოქმედების ნაწარმოებებსა და ირანის უძველესი ლიტერატურის ძეგლებს შორის, რომ ხალხს შემოუნახავს ირანული ლექსთაწყობის ისლამის წინანდელი ფორმები.

სადეუ ჰედაიათის წიგნში „ნეირან-გისტანი“ (სასწაულთა ქვეყანა) მოცემულია ძვირფასი მასალები ირანელთა უძველესი გადმოცემებისა და ლეგენდების შესახებ. ავტორის თქმით, ამ წიგნს ასეთი სათაური მან მისცა სასანიანთა ეპოქის რელიგიური წიგნის სახელწოდების მიხედვით, რომელშიც მოცემული იყო სხვადასხვა ლოცვები და თილისმით შეკერის წესები.

ამ წიგნში შესანიშნავად, ყველა დეტალის ზუსტი დაცვითაა აღწერილი საქორწინო, სამლოცოვარო და სხვა ცერემონიალები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ირანის ეთნოგრაფიასა და ხელოვნების შესახებ სადეუ ჰედაიათის ნაშრომებიდან უნდა აღინიშნოს: „სასანიანთა ეპოქის ხელოვნება მედლებზე“, „ირანის უძველესი ქალაქები“, „ისპაჰანი — მსოფლიოს ნახევარი“ და სხვა.

მეორე მსოფლიო ომის დროს სადეუ ჰედაიათი უყოყმანოდ ჩადგა პროგრესულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რიგებში, რომლებიც ცდილობდნენ დაეცვათ მსოფლიო კულტურა ფაშისმის ხელყოფისაგან. მსოფლიოს თავისუფალ ხალხთა მიმართ ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ძალად სადეუ ჰედაიათს მიიჩნდა საბჭოთა კავშირი და მისი ძღვევამოსილი შეიარაღებული ძალები. სადეუ ჰედაიათის ამ დროის განწყობილებას კარგად ახასიათებს მისი

მეგობარი, მშვიდობის პრემიის ლაურეატი მწერალი ბოზორგ ალავი: „უნდა გენახათ ჰედაიათი საბჭოთა კავშირისა და მოკავშირეების ფაშისტურ გერმანიასთან ომის დღეებში; იგი გულისძვრითა და მღელვარებით უგდებდა ყურს რადიოგადაცემებს კაცობრიობის მტერთან წითელი არმიის ბრძოლის შესახებ. წითელი არმიის ყოველი გამარჯვება და წარმატება მას თავისუფლების, საყოველთაო კეთილდღეობის, მეცნიერებისა და ცოდნის გამარჯვებად მიაჩნდა.“¹

სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა მთელი მსოფლიო თვალყურს ადევნებდა ლეგენდარულ ბრძოლებს ვოლგასთან სადღეუ ჰედაიათი ქმნის ალეგორიულ ზღაპარს „უკვდავების წყალი“, რომელშიც გამოიხატა მწერლის ოპტიმისტური განწყობილება, მისი ღრმა რწმენა ფაშიზმზე მსოფლიოს პროგრესული ძალების გამარჯვების შესახებ. ამ ნაწარმოების გმირია ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლი უშიშარი აჰმადაქი, რომელსაც მარადი გაზაფხულის ქვეყნიდან (იგულისხმება საბჭოთა ქვეყანა) მოაქვს უკვდავების წყალი და მხსნელად ევლინება ხალხს.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდს ემთხვევა სადღეუ ჰედაიათის შემოქმედების ახალი ეტაპი. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ, ირანის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ სტიმული მისცა სადღეუ ჰედაიათის შთაგონებას. მასზე ზეგავლენა მოახდინა მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო ისტორიულმა გამარჯვებამ, მისმა პროგრესულმა და განმათავისუფლებელმა მისწრაფებებმა.

ირანელი დემოკრატი მწერლის, სადღეუ ჰედაიათის შემოქმედება ივსება ახალი იდეური შინაარსით. იგი როგორც მხატვარი და მოაზროვნე უფრო აქტიურად ხდება დემოკრატიული პროგრესული იდეების მქადაგებელი. ამ პერიოდის თავის რეალისტურ ნა-

წარმოებებში, იგი სვამს მწვავე მსოფლიო ციკლურ და პოლიტიკურ ბრძოლებს. მწერალი ააშკარავებს ფაშისტურ იდეოლოგიის ყბადაღებულ ხასიათს („ბუჩქის ქვეშ“), იბრძვის კოლონიალიზმის მტაცებლური ბუნების წინააღმდეგ („ანტიქრისტეს სახედარი“, „მარგალიტის ზარბაზანი“).

ფართოვდება მწერლის სოციალური ინტერესების რეალი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სადღეუ ჰედაიათი ერთ-ერთი პირველია სპარსულ ლიტერატურაში, რომელიც გამოეხმაურა ირანელი მუშის საკითხს. („ხეალ“).

სადღეუ ჰედაიათის ამ პერიოდის შემოქმედებაში ფართო ადგილს პოულობს მისი თანადროულ ირანის ბურჟუაზიული საზოგადოების მხილება („ქერეჯელი დონჟუანი“, „პატრიოტი“, „ბრწყინვალეობა“, „ჰაჯი ალა“).

აღნიშნულ პერიოდში სადღეუ ჰედაიათი არა მარტო ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწევა, არამედ აქტიურად ჩაბმულია საზოგადოებრივ მუშაობაში.

1941 წლიდან სადღეუ ჰედაიათი მუშაობს სახვითი ზელოვნების ინსტიტუტსა და თეირანის უნივერსიტეტში. საბჭოთა კავშირთან ირანის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შექმნას ჰედაიათი გულითადად გამოეხმაურა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო. იგი იყო ამ საზოგადოების ორგანოს ყურნალ „ახალი მოამბეს“ რედაქციის წევრი და მის ფურცლებზე ზშირად ათავსებდა თავის ნაწარმოებებსა და თარგმანებს. ამასთანავე ჰედაიათი თანამშრომლობდა პროგრესულ ლიტერატურულ ყურნალში „სოხან“, რომელშიც გამოაქვეყნა საყურადღებო სტატია „ფალაური დამწერლობა და ფონეტიკური ანბანი“, რომელშიც ასაბუთებს ლათინური გრაფიკის საფუძველზე ახალი სპარსული ანბანის შექმნის აუცილებლობას. ამასთანავე ავტორი ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის

¹ ყურნალი „ფეიაჰ ნოუ“, 1945, № 12.

შეა აზიის რესპუბლიკებსა და აზერბაიჯანში ჩატარებულ დამწერლობის რეფორმის გამოცდილებასზე.

1944 წელს სადღეუ პედაიათი თეირანის უნივერსიტეტის რექტორთან ერთად მოწვეულ იქნა საბჭოთა კავშირში შეა აზიის უნივერსიტეტის იუბილეზე. აღმოსავლური ფილოლოგიით გატაცებული მკვლევარი სადღეუ პედაიათი მეცნიერული ინტერესით დაეწაფა ტაშენტის წიგნსაცავთა უმდიდრეს ხელნაწერებს და დაძაბული მუშაობა ჩაატარა მათ შესასწავლად.

1946 წელს შედგა ირანის მწერალთა პირველი კონგრესი, რომელიც ჩატარდა ლიტერატურის ხალხურობისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ. კონგრესმა მოუწოდა ირანელ მწერლებს უფრო გაეშალათ კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობა ირანსა და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის, უფრო სრულყოფილი გაეზადათ თავისი ლიტერატურული ოსტატობა, ღრმად შეესწავლათ ცხოვრება, თავის ნაწარმოებებში ებრძოლათ მშობლიური ერის ჭეშმარიტი ინტერესებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიის იდეებისათვის¹. იმავე წელს პარიზში გამოვიდა პედაიათის პიესა „თქმულება სამყაროს წარმოშობის შესახებ“. ამ ანტირელიგიურ ნაწარმოებში გროტესკულადაა აღწერილი სამოთხე და მისი მკვიდრნი, ჩვენი პირველი წინაპრები. 1947—1948 წლებში გამეფებულმა რეჟიმამ, დემოკრატიული სამოთხეობის განადგურებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება დასტოვა პედაიათზე; როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი იგი გულს სიღრმემდე იყო აღელვებული მისი სამშობლოს შინაურ საქმეებში იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჩარევით. „პე-

დაიათში მუდამ იბრძოდა, როგორც ძალა: სიცოცხლე და სიკვდილი. ბრძოლა თავის ქვეყანაში აღმავლობას ხედავდა, იგი აღტაცებაში მოდიოდა, ფრთები ესხმოდა, ხოლო როდესაც რეჟიმის იმარჯვებდა და ცხოვრება დუნდებოდა, ისიც სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა“².

დიდი ირანელი მწერალი ამ დროსაც არ ჩამოშორებია თავისი ქვეყნის ინტერესებისა და საკაცობრიო პროგრესული იდეალებისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციას. ისეთი ჰუმანისტი, როგორც პედაიათი იყო, არ შეიძლება არ გამოხმაურებოდა მსოფლიო მშვიდობისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

1949 წელს სადღეუ პედაიათს იწვევენ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესზე. გამოჩენილი ირანელი მწერალი ფრედერიკ ეოლიო კიურის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ამ მოწვევას შემდეგი სიტყვებით პასუხობდა:

„იმპერიალისტებმა ჩვენი ქვეყანა დიდ საპყრობილედ გადააქციეს. სიმათლის ლაპარაკი და ფიქრიც კი დანაშაულად ითვლება. მივესალმები მშვიდობისათვის ბრძოლის იდეას“².

ირანის იმდროის ხელისუფლებმა ყოველგვარი დაბრკოლება შეუქმნეს სადღეუ პედაიათს, რომ მშვიდობის მომხრეთა კონგრესს არ დასწრებოდა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული დეპეშებით მან მინც შესძლო ყველასათვის გასაგონად თავისი ხმა შეეერთებინა მსოფლიო მშვიდობის მებრძოლთათვის.

სამშობლოში შექმნილ მძიმე ვითარების გამო 1950 წლის 5 დეკემბერს სადღეუ პედაიათი პარიზს გაემგზავრა და იქ 1951 წლის გაზაფხულზე პერ ლაშეზის მიწამ სამუდამოდ მიიბარა თანამედროვე ირანის უდიდესი მწერალი.

¹ ბოზორგ ალავი, „სადღეუ პედაიათი“, ეურნალი „ფრამე ნოუ“, 1951, № 1.

² ვახუთი „დანეშუე“, 1951, აპრილი.

¹ ირანის მწერალთა პირველი კონგრესის მასალები, თეირანი, 1946.



მხარალი, მიი, აღამიანი

ხშირად ხდება, წიკითხათ ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებს, სადაც აღწერილია ბრძოლები, ან უცქერით კინოსტრატის და თეიმფრინაეების, ტანეების გრუბუნისაგან, ბომბების აფეთქებისაგან ველშეწუხებული გამოხვალთ დარბაზიდან და არ გრჩებათ არაფერი, ვარდა იმისა რაც წიკითხვამდე ან ნახვამდე იყოლით. ეს ხდება იმიტომ, რომ ასეთ ნაწარმოებში არ სჩანს აღამიანი, რომელმაც ვანიცადა ომის საინენლებანი, ბატალერ სცენებზე აღწერაში კი ეყარება ის, რაც არის მთავარი ზელოვნებისათვის — აღამიანი.

ომის თემაზე დაწერილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის პატარა მოთხრობა «ცაბუნია».

ცაბუნია „ომიანას“ თამაშითა და უიერით შეეგება ომს, მისთვის ჯობის ცხენი და ყაერის ხმალი იყო ბრძოლის იარაღი. მაგრამ მის განვითარებას მაინც დალი დასევა ომმა. როდესაც მამები ჯარში მიდიან ბავშვებს ჰგონიათ, რომ ისინი საღამოთი ისევ მობრუნდებიან შინ. როდესაც მამები აღარ მობრუნდნენ, დედების თვალზე ცრემლი შეამჩნიეს და მათ ხშირად ესმით სიტყვები „ტყვედ ჩავარდნილა“, „მოუქლავთ“, „უცალოდ დაკარგულა“ და სხვა. ამგვარი, ყველაფერი ეს, სხვა გაჭირვებასთან ერთად, რომელსაც ცხინი გამოივლიან, სულიერად მოქმედობს მათზე.

ცაბუნისა მამა, პატარა უნა, იმიტომ იპარავს სადგერში ვაშლის ჩირს, რომ შინა და წაქის ფაფა ენატრება. ცაბუნია იმეტომ იცეპს მამის ძველ კალოშებს, რომ ფეხშიშველია და ჩასაცმელი არა აქვს. დედას დამხმარე არ ჰყავდა, ცაბუნია ოჯახის დედაც იყო და მამაც, მაგრამ ვერ შესძლო შორეულა ამდელ საქმეებს და ფეხი მოიტემა. იქ კი ქართველი კაცის ნაფებტრეზია კავკასიიდან ბერლინამდე, მისი სისხლით შეღებულია დნებრი და დუნაი, ვოლგა და ოდერი. ძნელია პატარა მოთხრობაში გამოკვეთო საზე, „ცაბუნისა“ ავტორი კი აღწევს ამას სრულყოფილად, მოქმედ პირთა სულიერი

სამუაროს ღრმა ცოდნით. ავტორი ახერხებს დასრულებული საზე მისცეს პოსპიტლის დარაჟს, მოხუც კაცს. სათხოვნელად მოსულ ცაბუნისა, მოხუცა ჯერ აღერსიანად დატეჟსავს, იმისათვის, რომ მამს დაქრილ „ამხანაგს“ გვარი არ ჰყოთა და შემდეგ მისი „ხელიკიტლეკია“ ბაბუნზე ჩამოუღებებს ლაპარაკს, მაგრამ არა იმიტომ, რომ დასცილოს, არამედ დაამშვიდოს, მამაზე ჯაფრი შეუშხუბუტოს. მოხუცს აციენებს პაქულია აბულაძის მოგონება, მაგრამ ის თერზე ამ სოცელსა და საუბარში მის წინ მღვარ პატარა გოგონაზე ფეჭობს და უცებ ეტვეის მას „— რა ექნა ახლა? რომ არ ვიციოთ, ის კაცი რომელ პალატაში დააწვიენეს“ ცაბუნია სთხოვს შეუშვას, იგი თვითონ მონახავს, მაგრამ მოხუცი უარს ეუბნება.

როდესაც არჩილ მესხს უჭირს ცაბუნისა წინაშე სიცრუის თქმა ის დღიხანს ახვეეს პაპიროსს და თან სიტყვებს ეძებს. მართალია ნაწარმოებს „ცაბუნია“ ჰქვია, მაგრამ მთავარია მაინც არჩილ მესხი. ცაბუნისათან ურთიერთობაში გამოკვეთილია არჩილის საზე. ის, რომ ცაბუნია იცეპს მამის ძველ კალოშებს, რომ ყოველთვის, როცა ჩამოდებდა ეშელონი დაქრილებით, ცაბუნია გარბის მამის ამბის გასაგებად, ყველაფერი ეს ცხოვრებისეულია. როგორც კი ვინმე ჯარიდან ჩამოსულს დაინახავდა, ან გაიგებდა მეზობელ რაიონში ჩამოსულაო ვილაც ფრონტელა, მაშინათვე გაიქცეოდა ამბის გასაგებად: „ეგებ ჩემი ვაჟის რაზე იცისო“, „ეგებ მამას წააწედაო საღმე“ — და სხვა. მაგრამ ეს მხოლოდ აღწერაა ფაქტისა. ნაწარმოები იწყება მაშინ, როცა არჩილმა „იღრტა“ ცაბუნისა წინაშე, ამ „სიცრუით“ იწყება მწერლისური გამოგონება და მხატვრული სიმართლე. ზენ არაფერა ვიციოთ არჩილ მესხის ოჯახური მღგომარეობის შესახებ. ეგებ მანაც დასტოვა სახლში პატარა ცაბუნია და ამ თვალცრემლიანი გოგონას დანახვამ თავისი ცაბუნია მოაღონა. ეინ იცის ეგებ მისი გოგონაც ამ ცაბუნისავეით დაბრბოდა, როცა ჩამოღებებოდა ეშელონი დაქ-

რილი მებრძოლებით და თვალკრემლიანი მამის ამბავს ეკითხებოდა შათ. მაგრამ ამას მწიგნულობა არა აქვს, მთავარი ისაა რომ არჩილი დიდი სულის ადამიანია, რომელსაც ცაბუნისა ტყვილი საყუთარ ტყვილად მიაჩნია. სხვისი ტყვილის საყუთარ ტყვილად მიჩნევა კი არის ნამდვილი ადამიანობა, ადამიანის სრულყოფილის უდიდესი გამოხატვა.

და სწორედ ეს სრულყოფილი ნაწარმოებში და ხატული შესანიშნავად. ომი და ვაჭირებება აშორებს ადამიანებს და ამ დაშორებაში ახლოვებს კიდევაც შათ. განსაკუთრებით ასეთთან, როგორც არჩილ მესხია. არჩილმა არ იცის კანაა ცაბუნია და მისი მამა, მან სახელიც არ იცის „ხელკიტლეია“ აბელაძის, მაგრამ ისინი ახლოს არიან მის სულთან, რადგან ის ადამიანია, ამ სიტყვის ქვეშაობით გაგებით.

ვლადიმერ ზამბახიძემ ამ პატარა მოთხრობას მიუძღვნა შესანიშნავი, ვრცელი წერილი, რომელშიაც იგი სწერს: „ვევლა ფრანტელს ჭრილობა და ოჯახის დარდი აწუხებდა ალბათ იმ დროს, მაგრამ, ცაბუნისა მწუხარებით გულდამწვარი, ისინი თავის ბედს იეიწყებდნენ და იმას განიცდიდნენ მწარედ, რომ ამ საყოფად ვოგონას ვერაფრით ვერ ანუგეშებდნენ. ეს უმკველად დიდი ზნეობრივი მნიშვნელობის ფაქტია: მწერალი ამით დამაყრებლად გვესურათ. ეს ადამიანის ეგოცენტრულ ინსტინქტებზე ქვეშაობითი კაცობრივობის გამარჯვებას... იმ დევითს შესაბამისად, რომ კაცი სიეთეს უნდა სხაიოდეს, უპირველეს ყოვლისა, თვით სიეთის სივერდით“. განა მართლა ადამიანს სხვისი მწუხარების ხილვა ავიწყებს საყუთარ მწუხარებას? პირიქით, სხვისი მწუხარების ხილვა კი არ ავიწყებს საყუთარ მწუხარებას, არამედ უფრო აძლიერებს მას. ცაბუნისა დანახვა წითლარბიულებს კი არ ავიწყებს საყუთარ ოჯახსა და შეილებს, არამედ მოაგონებს შათ საყუთარ ცაბუნებს.

როდესაც არჩილმა ცაბუნისა უთხრა „მერე რა ვაჭირებს, პატარა ქალო! მამაშენი ყარგად არის. წამოსვლის დღეს ვნახე და თქვენთან დამაბარა, ჩემი დარდი ნუ გეკნებათო, შე არაფერი მიჭირსო...“ გაბარებული აბელაძის ადგილიდან მოწყდა და ისე ვაჭიკო უჩინაყენ, რომ სახელიც არ უკითხავს, მამას „ამხანაგისათვის“. რა თქმა უნდა ამის მიზეზი სიხარულია, მაგრამ გარდა ამისა აქ არის ქვეყნობიერად იმის შიში, რომ სხვათა არ იყოდეს არჩილის ვინაობა, თო-

რემ შეიძლება მასთან მოსტყა ამ სხვისა უთხრას არჩილმა სინამდვილე: „ვიტყუე იმიტომ, რომ ბავშვი შეშვეცოდაო“. მესხის ვინაობა დაფარული უნდა იყოს თვით ცაბუნისათვისაც, რომ მისმა „სიტყვებში“, არ დაჰყარავს „სიმათილე“. კიდევ ერთი დეტალი. როდესაც ცაბუნია შევარდება პალატაში მესხთან: — „მოცანი, ბიძია! მე ვალოკო აბელაძის გოგო ვარ.“ შეიძლება აეტორი შეგნებულაყო კითხვაზე — „მოცანი, ბიძია?“ და არ ეთქვა ცაბუნისა „მე ვალოკო აბელაძის გოგო ვარო“. მაგრამ აქ არის სწორედ შიში იმ სიტყვის წინაშე, რომელიც არჩილმა მოიგონა: ვინ იცის რამდენი ცაბუნია შემოდის და გელოხება მას მამის ამბავს და თვის ჭრილობებით შეწუხებულს კიდევაც გაღაგიწყდა, ვის რა უთხრა. ეს შიში ქვეშეცნულად, სადაც, ვადადის ცაბუნიაში. ცაბუნისა ეშინია მისმა „მხსნელმა“ არ უთხრას „ვერა ბიძია, ვერ გეცანიო“, და ამით არ ჩაუჭირს იმედის ნაპერწკალი, ამიტომ თქმით: „მე ვალოკო აბელაძის გოგო ვარ“, აიძულებს არჩილ მესხს გააგრძელოს ეს სასიამოვნო „სიტყვე“.

ამ დეტალებზე იმიტომ შევიჩრდიტო, რომ აქ ჩანს კოდნა ადამიანის სულისა, წვდომა მის ზეუღელში, კოდნა ნამდვილი განცდისა. ამ ცოდნის შედეგია, ალბათ, ნაწარმოების ასეთი დახვეწილობა. ვინ იცის რამდენხანს ატარა ამ მოთხრობის იდეა მწერალმა, ეგებ ომის დროს დაეხდა ის და მამის უნდოდა დაეწერა, ან ომმა გამარჯვებისათვის მიეძღვნა, მაგრამ დიდხანს ნაღიქრის მხოლოდ წლებში მერე შეასაზოკიც.

დღეს ცაბუნია „ლამაზი და მზიარული ქალო დაღვა“, იგი უკვე დედაა პატარა ცაბუნისა. მას ახსოვს თავისი თავი, მამის კალოშებითა და ხის ქოშებით რომ დადიოდა, ამიტომ ეშინია მის შეილაც არ მოუხდეს მეუღლის კალოშებით სირბილი ეშელონებში დაჭირალების ხანახნაქად. ეს ახსოვს ჩვენს თაობას, ამიტომ ის „სიამოვნებით“ წაიკითხავს კ. ლორთქიფანიძის „ცაბუნისა“, სადაც რამდენიმე გვერდზე ასე ყარგადაა დახატული შათი ბავშვობა და ომში დასაბინებელი შათი „მამების“ ნამდვილი სახე.

ომზე სწერდნენ მეტყობამეტე საუთარის გვიანტები. სწერდნენ და სწერენ ზვენი დროის შესანიშნავი მწერლებიც. კ. ლორთქიფანიძემ შესძლო რამდენიმე გვერდიან მოთხრობაში ჩაეტია და მოეტია ომისაგან ტრაგიკურებულ ადამიანის ნამდვილი სახე.

აპოლონ შორღანიძე



„მ თ კ ი თ ხ ვ ა მ დ ე“*

მიხეილ ქვლივიძის შემოქმედებით ბიოგრაფია თითქმის ორ ათეულ წელს ითვლის. აქედან დროის მნიშვნელოვანი ნაწილი პოეტის რუსეთში ყოფნის პერიოდს ემთხვევა, რის გამოც ქართულ ამბებთან ერთად, ზოგი რამ რუსული სანამდვილიდანაც აისახა მის შემოქმედებაში. ეს თქმის ლექსებზე: „ხანი“, ჩრდილოეთის ბაღადა“, „ლევიათანი“, „პუშკინი“, „თბილისის გახსენება“, „სურათი“ და „ელეგია“.

ამდენი ნაწარმოების ერთად დასახელება არა მარტო თემატურის, არამედ მათი მხატვრული ღირსებითაც აიხსნება, მაგრამ უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა, რომ ზოგიერთ მათგანში „სვედლიანი მოტივების“ გაუმართლებელი ტენდენციაც არ შეინიშნებოდა. საქართველოს ხილვას მონატრებული პოეტის ფრაზა: „როდემდე ვიყო, მთებო, ამნაირ გასაჭირში“ — ნამდვილად ახადამაჩერებელია, რადგან ის სულაერი ტყავილები, რაც ჩვენს შორეულ წინაპრებს აწუხებდათ ჩრდილოეთში ყოფნის დროს, ყოველად შეუძლებელია დამახასიათებელი იყოს თანამედროვე პოეტისათვის.

მ. ქვლივიძე არ არის ეპიტეტებსა და მეტაფორებზე მონადირე პოეტი. იგი უმთავრესად ნიუანსებზე, ქვეტექსტებსა და სასაუბრო ინტონაციებზე დამყარებული შემოქმედელია, რაც ძალზე ნათლად იგრძნობა მის ექსანსიულ კრებულში „მოკითხვამდე“. წიგნი ამავე სახელწოდებას ლირიკული ნაწარმოებით იხსნება:

მე „მოკითხვამდე“ დეარქვი ამ წიგნს,
ამ მცირე ნაერებს ახლის და ძველის...
მე შეედაარე ეს წიგნი წეროლს,
რომელიც თავის მომკითხველს ელის...
ო, მომკითხველო, სად ხარ? ვინა ხარ?
შენ გეღის ჩემი წერილი — წიგნი.
გახსენი ოღონდ და დაინახე:
შენია იგი!...

ავტორი არც წიგნის ბოლოში იგეჟვებს მკითხველს. მაგრამ ერთი კია, წიგნის ბედობა-ლა მანინ ნაწარმოებთა ავტარგანობით განსახლებება ყოველთვის.

მე ვწერ, მკითხველო, შენი იმედით!
როგორც რადისტო, დაჟეებს ვტეხავ
და გაწველი ნიშნებს... შენ უნდა მიხედო
რისი თქმაც მსურდა... შენ უნდა თვითონ
წარმოშვა ლექსი, — მშობელი შენ ხარ!..

ამ პოეტურ დეკლარაციაში უდავოდ არის ცხოვრებისეული სიმართლე, რადგან შემოქმედისა და მკითხველის შვიდრო კონტაქტი მართლაცდა ხშირად ცხოვრებასთან სიახლოვეს ნიშნავს... კარგია, როცა პოეტი სიტყვაჟაჟნწია და მკითხველს აძლევს საშუალებას, მანაც გამოლომით ასიც შეიჭრას ემოციათა საშუაროში.

ლექსში — „ლამეა, რეკავს ტელეფონი ჟელის გაღაღმა“ მიხეილ ქვლივიძე თითქმის სულ არ მიმართავს მხატვრულ საშუალებებს, მაგრამ ნიშნაში მოხვედრილი ჩვეულებრივი სიტყვაჟათა და შესანიშნავი კომპოზიციით საქმარო შინაგან დანაშაჟას აღწევს. აჟ იგი მკითხველს ძალდატანებით არაფერს ახვევს თავზე. პირაჟოთ, ფართო გააჟანს აძლევს, რათა მან საკეთარი დაჟკენა გამოიტანოს და უფრო მეტი ესთეტიკური სიაჟოვნება მიიღოს.

— გარეთ კოკისპირული წვიმაა. ეილაც გაჟწირებული დარბოს ქუჩებში, ავტომატური ტანუფონის ხან ერთ ჩიხურში შეგარდება, ხან მეორეში, ექმებს ჩიხებში ხერდა ფულს... დაჟწიებით, გაჟმავებით წყარალებს ტელეფონი: წყარალებს; მაგრამ ბინაში, სადაც იგი დგას, ვინაჟღელი ხანია, არაჟენ ცხოვრობს... ნამდვილად ადამიანურია ეს ლექსი, თუმცა ამ ნაწარმოებს პოეტური ჩანაფიქრის კონკრეტრიაჟია რომ ჰქონოდა, უფრო ღრმა შთაბეჟდილებას მოახდენდა ჩვენზე.

ამ ბოლო დროს გახშირდა ურითომ ლექსებუს წყარა. ასეთი კი საარტეჟწილი კრებულშიც არა ერთი და ორი გეხედება. აჟ მახსენდება გიორგე შატბერაჟიგლის ერთი ნაწყვეტი პოეშიდან — „ზაფხულის ღამის ქრონიკა“, სადაც ავტორი ამბობს:

„თუ რითმა ლექსის ბორკილი არი,
რად გეეხარება ბორკილის მსხერეჟა“.

მიხეილ ქვლივიძე ხშირად ამსხერავს ამ „ბორკილს“ თავის ლექსებში, მაგრამ სწორედ ეს „ხშირად“ არ არის მოსაწონი, რადგან რაო-ეს ყოველთვის ბორკილი როდია, იგი საიმედო ლაჟამიცაა ხოლმე. ულაგამოდ კ.ზოგეჟერ კეჟარანი ბედაურეც ლობე-ყორებს ედება... მეიარჟოლდი თავის დღეურში აღნიშნავს, რომ ზელოვნებაში აო არსებობს კანონი, რომლის დარღვეჟაც არ შეიძლებოდეს მშვენიერების გულისთვისო. ჰო-და, ლექსებშიც მაშინ უნდა ირღვეოდეს ტრადიციული კანონი, როდესაც მშვენიერებას კი არ ვჟარგავთ, პირაჟით — ვპოულობთ.

1. ნაცნობები ვართ: ზედა საართულში რედაქციაა ვაზეთის, ხშირად

*მიხეილ ქვლივიძე, „მოკითხვამდე“, საბჭოთა საქართველო, 1962 წ.

მომავს აქ ჩემი ნაყოფილარი,
რომელსაც ზოგჯერ ბეჭდავენ კიდეც.
(„დედა და შვილი“)

2. ბაქანზე სიციხის იღმური იღვა,
ლუდის ჯიხურთან ბრბო ყუანებდა
და ეხვეოდნენ მწვანე ბუხებია
ასფალტზე დაღვრილ ლუდის გუბეებს.
(„მე განგებ, განგებ გამოვალ ვარეთ“)

ცხადია, ამ სტრიქონებს რითმებიც არსებობს
ვერსიურს შემატებდნენ, მაგრამ მტკიუოდენ
ლახათ შაინც მისცემდნენ. ვფიქრობთ, ეს
ცდუნებანი შემთხვევითი ხასიათისანი არიან
წვლითის შემოქმედებითს პრაქტიკაში, რადგან
მათ გვერდით ჩვენ ვხვდებით თეთრი ლექსების
საღკეთესო ნიმუშებსაც: პირველ რიგში დავასა-
ხელებთ „უშბას“.

თოვლია ყველგან და ნაპრალებს
შინური ხახა სავსეა თოვლით,
და რომ არ იყოს ეს თოვლი, ალბათ,
ვერ ატანდნენ სიჩუმეს ქვეები
და შეშლავლებდნენ ცას ნაპრალები —
დემილის შიშით ზარდაცემდნენ.

აქ ჩვენ ურთიმობა სრულიადაც არ გვეჩო-
თარება, რადგან „უშბასში“ იმხელა რომანტიკა,
ცხოვრებისეული სიშარბლე, დრამატიკაში და
თავისთავადი სილამაზეა, რომ ვარეგნული აშუბ-
ბი უცანა პლანზე დგება. თოვლისა და ყინულის
შემზარავ სამეფოში თითქმის ძებნაკიდეც არაა.
სოფლს არ გუვლია, მაგრამ ვარსკვლავთა შექ-
ზე თანდათან შესამჩნევი ხდება თოვლზე სა-
კენკეთით დაყრილი მგზავრის ნაფეხურები,
რომლის არც დასაწყისი ჩანს და არც დასას-
რული. ამავე სურათს ზედავს შორს, ძალა-
ნ შორს, ვიღაც ძილში მყოფი ქალიც. გვერდით
ითხმის წეეს მისი ქმარი, რომელიც სრულგებოთ
არ ჰგავს თოვლიან მწვერვალებისაყენ მიმავალ
კაცს, რომელიც გვირულ ცხოვრებაზე ვრთბე-
ლაც არ დაფიქრებულა. პოეტის თქმით, მძინა-
რე ქალის სულიც უშბას თოვლივით სპეტაკი
და ხელხუნებია, მისი სიზმარი არის ნათელი,
ვით მისივე სიყვარული უშბაზე მტკიცე ნაპი-
ყებათ მიმავალი კაცისადმი.

შინაგანი დინამიკით, მხატვრული გამოშსა-
ველობითა და კეთილშობილური პოეტური ჩა-
ნადიქრით განხილულ ნაწარმოებს არ ჩამოე-
ვარდებიან აგრეთვე „მამის ვოდება“, „როცა
სახლთან გავდივარ ვარეთ“, „განა ბუბრი“,
„ტოე“, „ღრუბლებს ვარეკავს ქარი მეცხვარე“,
„სოფლისაყენ“, „ის თვალეში ატარებდა ავ-
ღარს“, „მეშანქანე“, „საგარეუბნი მატარებელ-“

ში“ „სიკედლი საპერობილეა, მწვერვალს ვლ-
მოჩენა“, „ვენახში“, „მე და შენი“, „ხდება“, „ზა-
ბოლოცისადმი მიძღვნილი ლექსი „მამა“, „მე
ვერ, მკითხველო, შენი იმედით“ და სხვა... მე
ამ ჩამოთვლილ ლექსებიდან აღარც კი მახსოვს
რომელია რითმისანი და რომელია ურითმო, ისე-
თი საინტერესოდ არის დაწერილი თვითთელი
შათგანი. სომერსეტ მოემი ამბობს ერთგან: ხე-
ლოვნებაში მხატვრის პიროვნება ყველაზე სა-
ინტერესო, და თუ იგი ორიგინალურია, მე მზად
ვარ, მას ათასი შეცდომა ვეპატიო.

სიკედლი საპერობილეა, სადაც
სამუდამო პატარობაში იმყოფებიან
მახლობელთა ჩვეთა სულები.

ძილი — ამ ციხის დერეფანია.
და მე
ყოველ ღამით
შედივარათ ამ დარეფანში
ხანმოკლე პავსანზე შენთან, დედა...

მტკარ მოცულობის ამ ნაწარმოებში ძალიან
დიდი გრძნობა და აზრი არის ჩატველი. დერე-
ბის ასეთი სიძუნწით, სიტყვების ასეთი მოშლი-
ნეობით აზრისა და გრძნობის ასეთი პარაზონი-
ლი ერთიანობით სხვაგან თუ არა, ყოველშეშახ-
ვევაში, ჩვენში ბევრს ვერ გავიხსენებ დედის
თემაზე დაწერილ სხვა ნაწარმოებს... აქვე მი-
და შევებო კიდეც ერთ უსათატრო ლექსს:

მიწას „სამშობლო“ ჰქვია,
თუ მისთვის გიყვმს გულა,
თვალის ჩანით თელი
და მიგანია წმინდად,
მაგრამ ყველაზე უფრო
ეს მიწა მაშინ ვიღირს,
როცა გიყვით ჰყვირი:
„შინ
დაბრუნება
მინდა!...“

ნაბევილად კარგია ეს ღირიყელი ნამლევა
მას სტრიქონებსა თუ ძარღვებში ცხელი სისხლი
ტრიალებს. ამგვარი ლექსის ავტორს არ გაუ-
ქირდება დასახელებულ ნაყოფანებათა და-
ლევა მით უმეტეს, რომ ის ახლა შინ არის
ფეხი მშობლიერ მიწაზე უდგას და ქართული
ენის სტიქიაშიც უფრო ღრმად, უფრო საფუძე-
ლიანად შეუძლია შეიკრას...

ჩიღის „ლეოპარდი“

ვიქტორ სტაფორდ ჩიღის მოთხრობამ „ლეოპარდი“ მრავალი ქვეყნის შეთხვევითა ყურადღება მიიპყრო. ეს პატარა მოთხრობა რამდენჯერმე გამოიცა ინგლისსა და ამერიკაში, თთარგმნა რუსულად; ამ მოთხრობის გამოსვლას ევროპის მრავალი ლიტერატურული ორგანო გამოეხებურა. ჩიღის „ლეოპარდი“ როდეს გვაწვდის დიდ ფაქტობრივ სიუჟეტს ან ნატურალისტურ სიხეტეს აფრიკის ენინიაზე, სადაც მიმდინარეობს მოთხრობის მოქმედება. ვიქტორ ჩიღი იმპაიკელია და აფრიკაში თავის დღემს არ ყოფილა. აფრიკის სიერტე, ნატურა, კენის აქანებულ მუე-მუეს სმბავთა ჩვენება რიღს მხოლოდ იმისთვის სპირდებია, რომ ამ მასალით გვაზიაროს მძინენებარე რასობრივი სიძულელიის საშინელების, დანაშაულისა და სასყელის და ეროვნული ვანცდებნის ტკივილებს. ასე რომ, მართალია, მოთხრობის ფაბულა ჩიღს არ აუღია თავისი საშინობლის ცხოვრებობად, მაგრამ ზნეობრივ საკითხთა, დიდი ეროვნული სატკივარის მზატვრულ სამყაროში განსჯათ რიღი თავისი ვრის, და არა მარტო თავისი ვრის, სულიერ ტკივილებს ეხმარებია. „ლეოპარდის“ თარგმანის ბოლოსიტყვაობაში რიღს თვარაძე კარგად შეინშნება, რომ „დაბნინის უსაზღვრო სიყვარული და ზიღი ყოველგვარი ჩაგვრის, განსაკუთრებით ეროვნულ ჩაგვრის მიმართ უფლებას გვაძლევს იგი (რიღი) ჩვენს თანამოზიარედ მივიჩნიოთ“.

„ლეოპარდში“ ყურადღებამ აუყრია ეროვნული სატკივარის გადკვანდა დანაშაულისა და სასყელის ზნეობრივ საკითხებთან. მოთხრობის მთავარი გმირი ზანგი ნებუ თითქმის ველურია, მაგრამ ველურობის გარეგნულ ნიშანთა მიღმა საოცარი კეთილშობილება ამალება, ინგლისელ პლანტატორთან ნაშაბურალი, იგი მუე-მუეს რაზმს მიმხრობია; მისი ვრთადერთი სიხარული თეთრკანიანის „გალამაზება“ — თეთრკანიანის სიყვარულია. ჟუნგლებში ნებუ წააწყდება და ჰკლავს თეთრკანიანს; ესა ინგლისელი პლანტატორი გიბსონი, რომელთანაც ერთ დროს ნებუ მსახურობდა, როცა იგი გიბსონის ცოლმა აუღუნა, და რადგან ჰქვს მეტისი ბავშვი ეყოლა, გიბსონმა მოკლა ცოლი. ახლა ტყეში გიბსონს უნდა უყვებოთ იგი წინ მიღწეული ეს ბავშვი მოკლას; სწორედ ამ დროს წააწყდება მას ნებუ, ჰკლავს მას და თვითონ კი დაბრუნება გარემოებათა ახლო „შეშთხვევათი“ დამთხვევარამდენადმე ვნებს მოთხრობის სიუჟეტურ დამაქვრებლობას, — მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს მოთხრობის სულისკვეთებას. დაჭრილი ნებუ გზას მიიკვლევს ჟუნგლებში და თან ზურგით მიჰყავს კოლი ბავშვი — თავისი შვილი. მთა კვალს კი ლეოპარდი ადევნებია. ჩიღის მთელ

მოთხრობამ მეტი ფონიით ვაძლევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონტრასტული ტროპი: ლეოპარდი — ადამიანი; ანალოგიური ხასიათისაა ტროპი ადამიანი — თოლია ბელგეტრ ფილში — „თოლიები ნავსადგურში ყვდებან“. ნებუ ძველი აფრიკის სულის ადამიანია. ამ კეთილშობილი ადამიანისათვის წმიდათაწმიდა კიკის ტომის წესია: თუ ვინმე შეურაცხავს, მოვალე ხარ მას სასაელოდ ყველაზე ძვირფასი რამ შესწირო, განილო ტანჯვა. ამიტომ ამბობს ნებუ: „განა საზღაური აუცილებელია? — შეეკითხა დამილოს ბელადი. — კი, საზღაური აუცილებელია... მე უნდა ვცლო. მე უნდა მივეზლო დანაშაულებელს...“. იტანჯვა — უთხრა თავისთავს ზანგმა, — იწვალე, არაფერს გავნებს ტანჯვა...“, „აკრძალული გზა იყო ის ქაღი და ამ გზას დაადგა ნებუ...“. ესაა დანაშაულისა და სასყელის თავისებური მაღალი გაგება; ნებუს მიანია, რომ თეთრკანიანი გიბსონის ცოლთან დაახლოვებით მან შეურაცხყო ინგლისელი, და ამიტომ თავს მოვალედ თვლის გიბსონის მოდმას, თეთრკანიანებს შესწიროს ყველაზე ძვირფასი, იტანჯოს. გიბსონის წრეში აღზრდილი მეტისი ბავშვი დასცინის ნებუს შეკანიანობის გამო და უმტკივნეულესს ჰკრილობას (ბავშვი გვიან ზეადება რომ ნებუ მაშამისა), მაგრამ ნებუ სტოიკური სულიერი წყობის ადამიანია და მაღალი მონის ეროვნული რჩება: იგი ითმენს ტკივილებსა და იტანჯება. და მხოლოდ გამოქვამულში ზეადება ნებუ, რომ თეთრკანიანთა დანაშაული და ცოდვა ზანგთა წინაშე ახლოღურია, უსაზღვრო და მიმკვიდრინებელი, ხოლო ნებუს დანაშაული და ცოდვა შესანდობელია. ჩიღის მოთხრობის დრამატურში ხშირად მაღლდება ტრაგიკულ პათოსამდე, თეთრისა და შავის და ნახევრადშავის შერჩევების ტრაგიკული აუცილებლობის აზრამდე.

დრამატულად დამაბულია „ლეოპარდის“ ლირიკული კილო. იგი ახლებურად აქვრებს დიდ ზნეობრივ საკითხებს. თუმცა მოთხრობა არსებითად ნებუს ამბებს გვამცნობს, მაინც საგრძობი ხდება ის აზრი, რომ ადამიანი არა მარტოდენ თავისი პირადი ცხოვრებით, როგორც ცალკეული პიროვნება, არამედ, შეგნებულად თუ შეუგნებულად, იგი ცხოვრობს დიდი ეროვნულის, თავისი ერისა და მიწის აწმყოთი და წარსულით. ამიტომ მიღის ხშირად ამ მოთხრობის პოეტურობა, როგორც სამართლიანად წერს რ. თვარაძე, „მითოსის სამანებამდე“. ის ჩახუთული გარემო, სადაც გადამთიღლთა მოძალეობით გამწყურალი ნებუ დაეხებება, მწკავე ეღერას ანიჭებს სიტყვებს: „ხარც ერთ ტომს აღარ მოეძევება მიწა. ჩემს ხალხს აღარა აქვს მიწა“. და ხშირი ლოც-

ვა: „ყოვლადმღიერო, გრძელი დანები მოგვეცე ნვეს!“ არა მალაღმარდოვნება, — მას მოთბრობის მხატვრული ლოგია მოითხოვს. შემთხვევითი არაა, რომ „ლეოპარდი“ მიწა უკავშარდება ადამიანს და ადამიანი მიწას; ეს თავს იხვეს საბუთა ქსოვილში: „ნებუს ღრმად ეძინა. ეძინა მსგავსად მისი მიწისა, მსგავსად ჟერაც დაუბრებელი და გაუძარცვაი ტყეებისა და მდინარეებისა... მისი ძილი მისივე ქვეყნის რიტმს იყო შეწყობილი“.

რეალიზმის ერთგულება რიდს საშუალებას აძლევს თავი დააღწიოს სუსტ, ე. ი. დრამატრისმს მოკლებულ ლირიზმს. როცა, ეოქვათ, ნებუს „შინაგან მონოლოგი“ გვესმის: „მისი მკერდი თოვლიანი მწვერვალები იყო... კენიის მთაზე დევს ზღუნზებელი თოვლი, მზოლოდ მზის სხივებს აქვთ უფლება მისი მიადრსებოსა...“, ასეთი თითქმისდა მეტისმეტი პოეტური პასაჟები, ლოგიკურ გამართლებას და უფლებამოსილებას პოელობს, რადგან ნებუს თვალთ დანახულ რეალობაში ადამიანი და ბუნება ერთია, — მისთვის მიწა საყვარელი ქალა და ნანატრი წვიმა ქალის აღერსია.

ე. ს. რიდის „ლეოპარდის“ თხრობა, აზრის წარმართვის გზა ხშირად ჰგავს სტიენზეკის „მარგალიტის“ თხრობას. ჩვენი აზრით, ეს ცნობიერი შემოქმედებითი გავლენაა. საქმე მართო ის ეო არაა, რომ სტიენზეკის მრავალ ნაწარმოებმა და რიდის „ლეოპარდი“ უბრალოდ გამაზვიებულა ქალაქური ცივილიზაციისაგან ნაყლებად ზელზებებულ გარემოსა და ადამიანებისადმი; ორსავე შემთხვევაში არაფერი გვაქვს საერთო XIX საუკუნის ხალხოსნერი თუ მოხალხოსნერი ტიპის მწერლობასთან, ანდა პატრიარქალური სოფლის იდილიის უმანკოების მოსარჩლე მწერლობასთან. სტიენზეკის „მარგალიტი“ არასოდეს სყოდავს რაიმე მალაღმარდოვნებით. და უფრო მეტადაა დატვირთული აზრით, ეუდრე რიდის — „ლეოპარდი“. მაგრამ მაინც აშკა

რა უნდა იყოს, რომ ორივე „ქვეყნულს“ და მახასიათებელი ისეთი ზეგნულსწრეყო ტოგორიცაა თხრობის რიტმულობა, გამეორებანი, რეალობაზე მალა დადგომა და, შეიძლება ასე ითქვას, სინამდვილის რეალიზტიკი რიტმიანი ტიპები; უთუოდ ამასაც გულისხმობს რ. თვარაძე, როცა აღნიშნავს, რომ „რიდის სტილი (ფართო გაგებით) რალაციარად ეხამება ჩვენი თხთმეტსაუკუნეოვანი პაროზიტრადიციებს“.

ოროდე სიტყვა „ლეოპარდის“ ქართულ თარგმანზე, როგორც ბოლოსიტყვაობაში მთარგმნელი აღნიშნავს, იგი გადმოღებულია არა დედნიდან არამედ რუსული თარგმანიდან, — ამიტომ აქ არ იქნება მთლად ლოგიკური თარგმანისა და დედნის შესატყვისობის ძიება, ისევე როგორც აქ უდავლო იქნებოდა იმზეუ კამოთ, შეიძლება თუ არა შესრულდეს სრულყოფილ თარგმანი ისეთი თარგმანიდან, რომელიც დედნიდან თითქმის ადეკვატურობას იხეშებს. ასეა თუ ისე, ის მაინც უნდა აღინიშნოს, თუ როგორია, რამდენად წმინდაა ის ქართული, ის ენობრივი საქცევები, რომლითაც რეზო თვარაძეს „ლეოპარდი“ ქართულად გადმოქულია. ამ მხრივ, ე. ი. ქართულობის თვალსაზრისით, რიდის მოთხრობის ქართული თარგმანის ენა მალალ დონეზე დგას. აქ არსად არ იჩნეს თავს ის მანკიერი მოვლენა, როცა ქართული წინადადებაში ორიგინლის სინტაქსის ზეგავლენითა აღბეჭდილი; არსად არაა ის მეორე უქიდერესობა, როცა ივიწყებენ, რომ მწერლობას ენა ლიტერატურული ენაა, ე. ი. არაა ხალხური მეტყველების დრამოლოგიის, სინტაქსის და ინტონაციის ბრმა ერთგულება.

უთუოდ კარგია, რომ ქართულად ითარგმნა რიდის „ლეოპარდი“, რომლის მხატვრული სამყარო დიდ ზნეობრივ საკითხებს წარმოგვისახავს.

ირაკლი კანოშვილი.

პირველი მონობრავია რაფიელ პერისტაჰეა *

დღეს უკეი არ იწვევს დავს, რომ რაფიელ ერისთავი თავისი მხატვრული შემოქმედებით, პებლიცისტიკით, მეცნიერული გამოკვლეებით და მრავალმხრივი პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობით ქართველი ხალხის ეროვნულ-გამანათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა, რომელიც

მთელი ორმოცი წლის მანძილზე მხარში ედგა ამ მოძრაობის ბელადებს — ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს.

მისმა ლიტერატურულ - საზოგადოებრივ მოღვაწეობამ, რომელიც იმთავითვე დემოკრტიული ტენდენციებით იყო აღბეჭდილი, განიცადა რა ახალი თაობის იდეური ზემოქმედება, საყოველთაო-სახალხო აღიარებას მიადწია გასული საუკუნის 70-80-იან წლებში.

* შოთა ვაშაუაძე, „რადიელ ერისთავი“, „სახპოთა საქართველო“, თბილისი, 1962 წ.

ფართო მეთხველ მასებში რაფიელი ელ-რესად პოპულარული ვახდა, უწინარეს ყოვლისა, თავის პოეზიით — მშრომელი გლეხობის ყოფაცხოვრების, ჰირ-ვარამის, შეგენებისა და სულისკეთების გამოხატალები ლექსებით. მათვე ხანებში და უფრო ადრეც რაფიელი იკოტევისსა უწარაღებებს იქვედა, აგრეთვე, გლეხობისა და აზნაურობის, წერილი ხელოსანობის ყოფის ამსახველი მოთხრობებით, დრამატული ნაწარმოებებით, ნარკვევებით, მახვილი პუბლიცისტური სტატიებით, ეთნოგრაფიული გამოკვლევებით და სხვა...

როგორც მხატვარი, რაფიელი არის უნივერსალური, ფართო დიაპაზონის შემოქმედი: ამასთან მონოლითური პიროვნება, რომლის ნაწარმოებები, იქნება ეს ლირიული ლექსი, მოთხრობა, პიესა, ნარკვევი თუ მეცნიერული ნაშრომი, ორ ძირითად მიზანს ისახავს — შეუძლებელდეს მძიმე ტვირთი გლეხობას, შეიქმნას მშრომელი კაცისათვის ცხოვრების ადამიანური პირობები, ერთის მხრივ; ვადვილდეს ქართველობაში ეროვნული თვითშეგნება, აღორჩინდეს ეროვნული კულტურა, ჩადგეს ქართველი ერი თანამედროვე ცივილიზებულ ხალხთა რიგებში — მეორე მხრივ. ამ ორი ამოცანის გადამწყვეტას ემსახურება მისი კალამი, როგორც მხატვრისა და პუბლიცისტისა, შეცნეარისა და მკვლევარისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაფიელ ერისთავის „სამშობლო ზევსურისა“ იქცა ქართული ხალხის ეროვნულ-გამანათიანებელ მოძრაობის დიდებულ პიონად, რომელიც თავისი შთამავრებელი ძალითა და პოეტური მგზნებარებით უტოლდება ბარათაშვილის, ავაკის, ილიას და ვაჟას პატრიოტული ლირიკის საუფეთესო ნიმუშებს.

ასანინშენავია, რომ რ. ერისთავის პირველ ნაბიჯებს ლიტერატურულ სარბიელზე თანავრჩნობით და სიმპათიით გამოვხდურია ნ. ჩერნიშევსკი „სოცრემენკო“. რაფიელის პოეზიას მალე შეფასებას აღევდნენ ქართული ლიტერატურის კორიფეები — ილია, ავაგი, ვაჟა და სხვ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ იშვიათად თუ შევხვდებით ისეთ თვალსაჩინო მწერარს—ლიტერატურის მკვლევარს, რომელსაც არ გამოეთქვას თავისი დადებითი აზრი რ. ერისთავის მრავალფეროვანი ლიტერატურული, პუბლიცისტური და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. იმდროინდელი ქართული პერიოდიკა საესვა რაფიელისადმი მიძღვნილი წერილებით. იმის გამო, რომ ეს წერილები გაფანტულია ბიბლიოგრაფიული ინიციატივად ქცეულ ყურნალ-გაზეთებში, დღემდე მიუწვდომელი არჩება მკითხველისათვის.

ძნელად ასახსნელი ფაქტია ის, რომ უკანასკნელ დრომდე რაფიელ ერისთავზე, რომელიც

იმდენად სახელმძიმევილი მწერელი გამოდგა ვე ვახლდათ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება გავლენით, ჩვენმა დიდმა პედაგოგმა იაკობ გიგებაშვილმა საფუძვლით დამსახურებულ უბრწყინვალეს თანაუარსკვლავედში — ილიას, ავაკისა და ვაჟას პლეადში შეიყვანა, დღემდე არ აჩხუბობდა ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა. ამიტომ ყოველმხრივ მისამაღმებელი ასეთი შრომის დაწერისა და გამოცემის ფაქტი, ახალგაზრდა მკვლევარის შოთა ენაშემების მონოგრაფია უთუოდ რამდენადმე მაინც ავსებს ხარვეზს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, როგორც პირველ ელას, ამ მონოგრაფიას არ შეიძლება არ ჰქონდეს ესა თუ ის ნაწილი. მაგრამ ვერ ვთქვით რამდენიმე სიტყვა მას უფრო ველ ღირსებაზე. უწინარეს ყოვლისა, დასაფასებელია ის, რომ შ. ენაშემების მონოგრაფია თავს უყრის დიდძალ ფაქტობრივ მასალას, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ჩვეულ ერისთავის ცხოვრების პერიპეტეიებზე და შემოქმედებით ევოლუციის ყოველ ეტაპზე ამ ფაქტება და დოკუმენტებს შორის არის ისეთი, რომელიც უცნობია არა მარტო მასობრივი მეთხველისათვის, არამედ ლიტერატურის მკვლევართათვის.

მონოგრაფიაში მოტანილი და გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მეთხველის თვალწინ დგას ღრმა შინაარსიანი ცხოვრების მჭონე დაუცხრობელი შემოქმედი, მშობელი ერის განათავიანებლებისა და კეთილდღეობისათვის თავდადებულ მოამავე, პოეტი ლირიკოსი, ნიჭიერი პრიზიკოსი, დიდად ნაყოფიერი დრამატურგი, რომლის პიესებშიც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ასაზრდოვება ქართული თეატრის რეპერტუარს; მახვილი პუბლიცისტი, რომელიც დაუყოვნებლოვ ემსახურება ერის პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხებს; მეცნიერი, რომელსაც შეაქვს გარკვეული წვლილი ეთნოგრაფიულ კვლევებში; ლექსიკოლოგიაში, ტერმინოლოგიის დამუშავებაში; ფართო გაქანების მოღვაწე, რომელიც უაღრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობს კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობაში, ისეთი იმპორტუტების მოწყობასა და წარმართვით, როგორიც იყო ქართულთა შორის წერათვის გამავრცელებელი საზოგადოება, თეატრი, ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმი, სკოლები, ბიბლიოთეკები და ა. შ.

მონოგრაფიაში ხაზგასმით არის აღნიშნული, ცხოვრების თუ რა ღრმა ცოდნა, რა დიდი გამოცდილება შესძინა რ. ერისთავს, რა მტკიცე საფუძველი შეუქმნა მის მხატვრულ შემოქმედებას იმ ვაგებობებში, რომ ოლიციალური სამსახურის გამო მას ცხოვრება და შემოაბა უხდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რომ მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა თითქმის ყველა სოციალური ფენის წარმო-

მაღვლებთან, ჭარბული ელტერის თითქმის ყველა მოღვაწესთან. აი, აქედან არის რ. ერისთავის პოეზიის მოტივების მრავალფეროვნება, მისივე მოთხრობების, მხატვრული ნარკვევების, დრამატიულ ნაწარმოებთა პერსონაჟების სიმრავლე და სტუდასტუბობა, მთელი მისი მხატვრული შემოქმედების ცხოვრებისეული სიმაართე და მხატვრული დამაჯერებლობა.

ჩვენი დროის მკითხველი რ. ერისთავს იცნობს უმთავრესად როგორც ხალხური-გლეხური პოეზიის ფუძემდებელს, როგორც სოფლის უფა-ცხოვრების გამომხატველი ლექსებისა და მოთხრობების, როგორც პატრიოტული ლირიკის ნიმუშების ავტორს, მაგრამ არ იცნობს მას, როგორც პროზაიკოსს და კომედიოგრაფს. გამოკვლევის ავტორი მოკლედ მოგვითხრობს რა ამ ეპოქის ნაწარმოებთა შინაარსს, წარმოგიდგენს რ. ერისთავს, როგორც ეპროზორივად და თემატიურად მრავალმხრივ მხატვარ შემოქმედს, და აღძრავს მკითხველში გარკვეულ ინტერესს რაფიელის ბელეტრისტული და დრამატული ნაწარმოებისადმი.

დასაფასებელია ისიც, რომ ავტორი რაფიელის შემოქმედებას განიხილავს არა იზოლირებულად, ერთიანი ლიტერატურული პროცესისაგან არა გამოთიშულად. არამედ ამ უკანასკნელთან მჭიდრო ორგანულ კავშირში. ავტორის შეკლებისდაკვირად აღგვეჩინა და დასასათუთებელი აქვს იმდროინდელი ლიტერატურული გარემო, ნახევრები და დასაბუთებული აქვს არა მარტო ის, თუ რა იდეურ-მხატვრულ ზეგავლენას ახდენდნენ რაფიელზე მისი დიდი თანამედროვენი, არამედ ისიც, თუ რა გავლენას განიცდიდნენ რაფიელის მხრივ მისი თანამედროვე პატარა თუ დიდი შემოქმედნი. არა მარტო მისი პოეტებისათვის — ძმები რაზიკაშვილებისათვის, თვით დიდი ილიასათვის მიუცა რაფიელს ბიძგა, შეექმნა ისეთი შედეგები, როგორც არის პოემა, „რამდენიმე ეპიზოდი ვანაღის ცხოვრებიდან“. თავდაზნაურობის ქონებრივი და ზნეობრივი დანაშაულის თემაზე რაფიელ ერისთავისგან დაწერილი მთელი წყება მოთხრობებისა, როგორც მკვლევარი შენიშნავს, არის ამავე მოტივებზე არაზაინის, ვიორჯი წერეთლის, დ. კლდიაშვილის და სხვების მიერ შექმნილი პროზაული ნაწარმოების წინამორბედი.

როგორც გამოკვლევის ავტორი არა ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არ გამოთქმულა იმის, ერთი მეორის საპირისპირო აზრი, რაფიელის შემოქმედების იდეურობასა და პროგრესულობაზე. ერთსულგვარება ამ საქაობზე დიარღვა ხვეწი საუკუნის დამდეგს. რ. ერისთავის შემოქმედებისადმი უპაყობითი, ნიპილისტური

დამოკიდებულების დანერგვის უპაყობითი ცვაკეთუნის პატრიეუმელ იპოლიტე ვანახაგასს, რომელიც 1913 წლის ეტრნალ „განათლების“ ნომერის ნომერში წერდა, თითქოს რაფიელ ერისთავი ყოფილიყო „უბრალო მოშიარე, სიყვარულზე მომდგრალი, ზვეწეა-კიციის, ტლაშა-ტლშის მოტრფიალე, უღმარდელი ცხოვრების მაღმერთებელი... „საშობლო ზვეწერი-სა“ კი პროვინციელის სიმღერააო“.

რამელმა ვულგარიზატორებმა გააღრმავეს რა ეს მდღარი თვალზარისი, რაფიელი გონებრივად და ზნეობრივად გადაკვირებელი თაყადაზნაურობის ფსიქოლოგიის გამომხატველ შემოქმედად გამოაცხადეს. რამელი შეცოდებანი ვანელი ეტანი და უკვე დაფიყვებული ამბავა, მაგრამ ვასაოცარი ის არის, რომ ამ ვულგარიზატორულ დებულებას, როგორც მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს, დღესაც იცავს და ავითარებს ახლახან გამოცემულ შრომაში („ახალი ჭართული ლიტერატურა“, 1962 წ.) პატრიეუმელი მიხეილ ზანდუელი. ასეთი დასკვნებისათვის მას საკმაო საბუთად მიანიჩა ის, რომ რ. ერისთავი არის სიყვარულზე, ღონიზე, ღვირიზე დაწერილი რამდენიმე ლექსის ავტორი, თითქოსდა სიყვარულის გრძობა და ღზინი უცხო იყოს არათავადაზნაურელი, არაპრივილეგებული წრის აღაშიინებისათვის, თითქოს ერთიც და მეორეც (სიყვარული, ღზინი) იყოს მზილოდ და მზილოდ არისტოკრატის სულთერა ცხოვრებლა და ყოფის დამასახათებელი. მონოგრაფიის ავტორი აღვილად ამათილებს ამ აზრს და სრული დამაჯერებლობით ასაბუთებს ამ ვულგარიზატორული შეხედულების უსაფუძვლობას.

ამრიგად, გამოკვლევის ავტორი, რაფიელის ლატერატურული მემკვიდრეობის განიხილისა და შეფასებისას, სწორი იდეოლოგიური პოზიციებზე დგას, და ამ მხრივ მასთან სადავო და საკამათო არაფერია, მაგრამ მონოგრაფიას აქვს ერთი დიდი, არსებითი ნაკლი: იგი ვაუმართავი ერთი არის დაწერილი და მასში არც თუ ისე იწყიათა სტანდარტულ-მანალური ფორმულები, რომლებსაც უკვე დაკარგული აქვთ ზემოქმედებისა და დაწმუნების ძალა, ზოლო აღავალავ მონოგრაფიაში ვხვდებით საჩიოთრო, უხეზულ წინადადებებს ურთიერთთან შეუსაბამოდ შერწყმულ-შეკავშირებული სიტყვებით. თუ რამდენად დადევრად ეტაღება ავტორის ფრანის ენობრივ და სტილისტურ გამართვის, მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს... „ამ დროს მასში, როგორც შემოქმედში, პოეტნიკალურად გროვდება ცხოვრების ცოდნა-გამოცილება“ (გვ. 44); „ამ ფაქტმა ვანაზღვრა რ. ერისთავის ესოდენ საინტერესო ნაწარმოების მივიწყება“ (გვ. 48)“. დიდი მუშაობა ჩაუტარებია მწერალს განათლების, სიხვედრა დატაცების აღმოფხვრის და სოფლის კეთილმოწყობის საქმეში



გვ. 52)“. „სამშობლოს ხეცურისა“ პოეზია-
რობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ამ ლექსის სა-
ხელმა „დაფარა“ თვითონ რაფ. ერისთავი“
(გვ. 79). „რაფიელი მართებულად აღნიშნავდა
ნიკოლოზ პართავისლის ნოვატორობის შესა-
ხებე ქართული ლექსის განვითარების საქმეში“.
(გვ. 82). „80-იან წლებში რაფ. ერისთავი სა-
ხელმწიფო სამსახურში არ მუშაობდა“ (გვ. 99).
„ე. წ. „პატიოსანი ვაჭრობით“ რაფ. ერისთავმა
სახელი გაითქვა საკუთარი მამულის კარგი დეი-
ნობით, რომელსაც სანახევროდ ნიხიად აძლევ-
და. სინდისიან აღებ-მიცემობაში რაფიელის სა-
ვაჭრო ხარჯები შემოსავალზე დიდი იყო“ (გვ.
101). „ივერიის“ გარშემო შემოყრებულ ქართველ
მოღვაწეთა ჩვეუფ... ილია ჭავჭავაძის მეთაურობ-
ბით, მთავრობის საიდუმლო მეთაურობაში
იმყოფებოდნენ“ (გვ. 102). „დიდი ილია უდიდესი
მნიშვნელობის ფაქტად თვლიდა რაფ. ერისთავის
იუბილეს ჩატარებას... ილია ხაზს უსვამდა ამ
გარემოებას, რომ ეს იუბილე ჩატარდა არა მარ-
ტო შერლის დამსახურების აღსანიშნავად...
რაფიელ ერისთავის ლიტერატურული და საზო-
გადოებრივი ცხოვრების 50 წლის იუბილეს ჩა-
ტარება დიდი მოვლენა იყო ქართველი ხალხის
ცხოვრებაში“ (გვ. 111)*.

„ილია, აკაკი და რაფ. ერისთავის სხვა თანამე-
დროვე რეალისტი მწერლები, როცა რაფ. ერის-
თავის შემოქმედებას განიხილავდნენ, ძირითად

მარცვლად მის პოეზიაში მიაჩნდნენ მშრომელი
ხალხის ზედ-აღმაღლე ზრუნვა (422) [შეატბ
განურჩეველი ტრფობის მომხრე კი არ არის,
იგი ახალგაზრდობას სიყვარულში ზომიერბი-
საკენ მოუწოდებს“ (124 გვ.). „ლექსი „მთხო-
ნელი მსაყულისადმი“ რაფ. ერისთავმა ისეთ
რთულ პერიოდში დაწერა, როცა ბატონყმობა,
როგორც მომავლადი ფორმაცია, თავის აგონიის
შეგრძნებაში უფრო სასტიკი იყო“, (გვ. 126).
„ეროვნული ძალადობის ამ მახინჯი სინამდვი-
ლის მართებული დახატვის შემდეგ პოეტი ანდა-
ზისათვის დამახასიათებელ ოვად ჩამოფარებუ-
ლი ფორმით გამოხატავს ბრძოლისა და პრო-
ტესტის შემდეგ საკუთარ აზრებს“ (გვ. 134)
და ა. შ.

მკითხველი ამ მაგალითებში ადვილად შეამჩ-
ნევს არა მარტო სტილისტურ სიმრთლეს, არა-
მედ გრამატიკულ შედარებებსაც კი.

რამდენად მოიგებდა ეს უდავოდ შინაარსიანი
მონოგრაფია, რამდენად უფრო გაამართლებდა
ის თავის დანიშნულებას, რომ აეტორო მეტი ყუ-
რადღებთ და დაეკირკებთ მოკიდებოდა თავის
ნაწარმოების ენობრივ-სტილისტურ გამართვას.
არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ენის სიწმინდე
და სტილის დახვეწილობა ყოველი ევანის გამარ-
ჯების ერთერთი მთავარი პირობაა, რა ეანრსაც
არ უნდა ეკუთვნოდეს იგი.

მიხილლ ბანიშვილი

შრომა და ლექსი *

შრომელი ხალხის პოეტური სულის სიმდიდ-
რისა და დახვეწილობის დასადასტურებლად
მარტოოდენ ქართული შრომის სიმღერები გა-
მოდგებოდა. ვერ დაუთმანებებთ მოსაზრებას,
თითქოს შრომის სიმღერის ძირითადი ფუნქცია
რიტმის მოძებნა და სხეულის მოძრაობის საშუ-
შაო პროცესთან შეგუება იყოს. ამგვარი ფუნქ-
ცია, მართლაც ჰქონდა ბუნების სტიქიაში მომ-
წვედველ პირველყოფილ შრომელთა საქმიან-
ობისას უაზრო ამოძაბილებს. ტონირიტმის მო-
ძებნა, მართლაც, ააფილებს ღობიურ შრომას,
მაგრამ უაზრო ამოძაბილებს არ გააჩნია ესთე-
ტიკური ფუნქცია. როდესაც შრომის პროცეს-
ების მრავალფეროვან სახეებთან დაკავშირებულ
მდიდარ პოეზიას ვაფასებთ, დაუშვებლად მი-
გვაჩნია მათი ფუნქციის დაფანა ტონირიტმის მო-
ძებნაში. შრომის სიმღერები დახვეწილი ლექ-
სებია, მაჩვენებელი ხალხის ამაღლებული, პოე-
ტური, სახეობრივი აზროვნებისა. ვინც გადა-

ათვლიერებს თამარ ოქროშიძის წიგნს „შრო-
მის სიმღერები“, იგი უშუალოდ იგრძნობს, რომ
მართალი მხატვრული სიტყვის სათავე შრომა-
შია.

შრომის გააღვილებისათვის ბრძოლაში იბრ-
მედდებოდა მართალი მხატვრული სიტყვა, იქ-
მნებოდა დიდი პოეზია, რომელსაც ხში-
რად თან სდევდა სევდა წარსულში შრომელ-
თა მძიმე ყოფაზე, მაგრამ იგი ამავე დროს
დარდს უქარებდა ამ ყოფაში ჩაეარდნილთ.
ძველი შრომის სიმღერის ძირითადი ფუნქციას და
არსს ბრწყინვალედ ახასიათებს ურმელის გამო
ილია ჭავჭავაძის ნათქვამი სტრიქონები:

ლულუნი იგი ჩამარჩნია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰქერს

დახატურლს

უკუ-ჰყრის კადეც ვით ღრუბელს ქარი.

შემკვნიბითსა და ისტორიულ მნიშვნელობას-
თან ერთად შრომის სიმღერებს დიდი მხატვრუ-
ლი ღირებულება აქვთ. თამარ ოქროშიძის მი-
ერ საენის ღრმა ცოდნითა და ფაქიზი ლიტე-
რატურული გემოვნებით შედგენილი ეს მშვენი.

* შრომის სიმღერები. ტექსტი გამოსაცემად
მოამზადა, წინახიტყვაობა და ლექსიკონი დაურ-
თო თამარ ოქროშიძემ, საბჭოთა მწერალი, 1982.



ეტი კრებული შეიცავს ქართული შრომის სიმღერების ყველა სახეს. ეს წიგნი თითქოს მატრიანა ქართული ხალხის მრავალფეროვანი შრომითი საქმიანობისა. კრებულში თავმოყრილია ლექსები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იმღერებოდა ქართლ-კახეთის მზიან ზურგსა თუ სახნავ-სათეს ველებზე. მთიანეთის ყინულოვან ქიუხებს შორის — ალპურ სამოყრებზე, მარადმწვანე შავი ზღვის სანაპიროზე და ვუღვან, სადაც კი ტრიალებდა ქართული კაცის მაღლიანი მარჯენა. წიგნში წარმოდგენილი გეტონერი, ნადერი, სამკალი, კალთერი, მთიბლური, საყენახო, ურბული, მეტივერა, საფიქრო და წყლის მოსატანი სიმღერები ქართული ყოფის დიდი პოეზიაა. ისინი წარმოადგენენ მძიმე ჯაფარში. ამიტომაც ასე უშუალოდ გვაზიარებენ ქართული კაცის სულის ნაწილს, გვაგრძობინებენ მისი მართალი გულის ძვარას.

მიწათმოქმედება ქართველი ხალხის უძველესი საქმიანობაა. მძიმე შრომას ახლდა ის მშვენიერი საშურნეო ლექს-სიმღერები, რომელნიც უკვდავ მხატვრულ ძეგლებად დამკვიდრდნენ ერთნელ პოეზიაში. ხენა-თესვაში პირველობას იმედობდა ქართველი კაცი. ლეგენდის მიხედვით, თითქოს პირველად ქართველმა შექმნა ვუთანი ციდან ჩამოვარდნილი სურათის მიხედვით, შემდეგ კი — მისი გაცეოთხა სხეულებსაც ასწავლა: გუთნური სიმღერების მთელი ციკლია შექმნილი სამეშაო იარაღისადმი მშრომელთა სიყვარულზე. მძიმე ჯაფარში მღეროდა მშრომელი, მღეროდა და ხალხს იმატებდა. თან სიყვარულით მიმართავდა მარჩენალ საქონელს:

ვახწი, ხარო, კი ხარო,
გამახარო, ვაიხარო!

ანი:

გადი-გამოდი, თაფლავ,
მზე ამოვიდა, დობობ.

ჩეკლისტერი, თემატკერად მრავალფეროვანი და ქემმარიტად მხატვრულია გუთნური სიმღერები.

ქართველ კაცს აფაქიზებდა სიყვარულის გრძნობა და ამან თავი იჩინა უშუალო, ხალხსთან გუთნურ სიმღერებშიც, როგორც, მაგალითად:

მომეწყინა მებრეობა,
ლაღვა შავი ხარებისა,
არ მომწყინდა შენი ზევენა,
კოცნა შავი თვალებისა.

კულტურითი შრომისადმი ხალხის დიდი მისწრაფების მანიფესტებელია წიგნში წარმოდგენილი ნადური ანუ თონური სიმღერები. ამავე პრინციპით არის წარმოდგენილი წიგნში სამკალი სიმღერებიც. ეს განყოფილება ნამგლეტრის ციკლის ლექსებით იხსნება. გამასპინძლებზე სიტყვის გადაყრა, საბუშარი და სატრფიალო

მოტივები მტ მიმზიდველობას აძლევენ სამკალი სიმღერებს. მსგავსად სხვა სიმღერების სიმღერებისა, სამკალიც გამოხატავს ხალხის დიდ შრომისმოყვარეობას.

დამახასიათებელია ამ მხრივ ისეთი ლექსები, როგორცაა:

ბიჭებო, ვარჯელებო,
ხმა თქვენი ჩამოდიოდა,
თქვენი ნამგლების წყაროა
წვალგამა გამოდიოდა...

სამკალი სიმღერებში არის აგრეთვე ორპირული სიმღერა — გაშიარება.

წიგნის შემდგენლის დამახატრებად უნდა ჩაუთვალოს მოპოვება — ჩაწყრა და არქივებიდან, პერიოდული გამოცემებისა თუ ცალკე წიგნებიდან ამოყრფა ნაკლებ ცნობილი კალთერი სიმღერებისა. კალთერ სიმღერებშიც იგრძნობა მშრომელთა ქანსალი სული, ჰიარში გაუტბელობა და სიციხლის არჩვეულებრივი სიყვარული.

კარგად არის კრებულსათვის შერჩეული და დალაგებული, წარმომოხიტი მტრად არქაული, მთიბლური სიმღერები. ადრე ცნობილი ზევსურული და ფშერი ტექსტების გვარდით წარმოდგენილია ელენე ვიარსალასა და სხვების მიერ რაკში მოპოვებული მასალებიც. ეს მასალები დადასტურება იმისა, რომ ზევსურეთში შემონახული ტრადიცია მთიბლურისა, მისი გუნეტკერი კეშირი სამგლეოვარი პოეზიასთან ზოგად ქართული მოვეუნა. წიგნის ამ განყოფილებაში წარმოდგენილი ნიმუშები ხალხური პოეზიისა ბევრ საინტერესო თეორიულ საკითხს აღბრუნებს.

პირველად არის სისტემაში მოყვანილი და თანმიმდევრულად წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა ეტოხეში შექმნილი საყენახო სიმღერები. ბარჯაზე, თონსა და ვაზის შესხვლაზე, ყურმნის კრეფსა და დაწურვაზე, ჭევერის რეცხვასა და ღვინის დამზადებაზე შექმნილი ლექსები მეტყველებენ, რომ ვაზი უძველესი ეტლტერაა საქართველოში. ამ ლექსებისათვის, ისე როგორც სხვებისათვის, დამახასიათებელია ნათელი იპტიმიზმი, იუმორი, სატრფიალო მოტივები, მაგრამ არაიშვიათად გვხვდება სევდიანი სტრიკონებიც. ზოგი ლექსი გვაყენებს საქართველოს ისტორიულ ბედს. ამ მხრივ საგულისხმოა აქარული სიმღერა, სადაც იმის ვლების ჩივილი ოსმალთა ბატონობაზე.

კარგადაა შერჩეული ურბული სიმღერები. უირი გზები მძიმე იყო მეურმისათვის. ამ საუფუძველზეა შექმნილი სევდიანი ლექსები, რომლებიც ასევე სევდიანი ჰანგიო სრულდება.

მეტრის სახეფათო ყოფს ძველ დროში გვაცნობს ტექსტით:

ჰამო, ხარებო, გამიწი,
არ გადამჩებო კლდეზღა,

არ ამტკიცოთ ცოლ-შვილ,
გლოვად არ დასხათ ზემზედა.

კრებულში შეტანილი მეტრიული სიმღერები ღრმა სოციალური შინაარსის შემცველია.

ქალთა პოეზია წიგნში წარმოდგენილია შესანიშნავი საფეიქრო სიმღერებით. ნატურალური ნეურნეობის საფუძველზე შექმნილ ამ სიმღერებში მიმზიდველი უშუალოდ აისახა ქართველი ქალის შრომითი საქმიანობა, მისი მძიმე ყოფა და უღვლებობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი ქალი მაინც ინარჩუნებდა ჯანსაღ სულისკვეთებას, ამაღლებულ და სპეტაკ გრძნობას. თემატიკური სიმდიდრითა და ფორმის მიმზიდველი მრავალფეროვნებით შრომის სიმღერებში საფეიქროს ერთი პირველი ადგილი უკავია.

ამ განყოფილებაში ზოგი ახალმოთხულებული ლექსიცაა შეტანილი. გამსაკეთრებით გამოირჩევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ექსტრადოცენტრის დირექტორის ანა ოჩიაურის ჩანაწერები.

საფეიქრო სიმღერებში ხშირია სატრფიალო მოტივები. მთლიანად სატრფიალო ლირიკის ნიმუშია კრებულში შეტანილი მშვენიერი საფეიქრო „ერთე, ერთე ფარტენაო, ჩახევე ტარზედაო“. ხშირად საფეიქრო სიმღერების ტექსტები მიჯვანიწნებს მათი შესრულების პანტს, როგორც მაგალითად, საფეიქროს დასაწყისი:

ჩაირამა შემოვამხოთ,
ჩაირამა ბებიაო,...

საფეიქრო სიმღერები განსაკუთრებით რიტმილია. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ:

მაქო, მაქო, ჩემო მაქო,
მე ჩა გყო, სხვამ არ გაქო,
მაგრამ შენი სიყვარვე
შენვე გაგაქ-გამოგაქო.

ძველ საფეიქრო სიმღერებში ვხვდებით მაქამის ერთგვარ სათავეს. მაქამის ბრწყინაულ ნიმუშია კრებულში წარმოდგენილი გავრცელებული ლექსი „საფეიქრო“.

წყლის მოსატან სიმღერებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კრებულში შეტანილი ლექსები „აი, თინანო, თინანო“, კეკე მიღამს წყალზედაქა „თებრონე მიღის წყალზედა“ და სხვ.

ქართული შრომის სიმღერების კრებულს უძღვის თამარ ოქროშიძის წინასიტყვაობა, სადაც მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად არის დახასიათებული ქართული შრომის სიმღერების ძირითადი სახეები, მათი ღრმა სოციალური შინაარსი, საზოგადოებრივი ფუნქცია და მხატვრულ-თემატიკური მრავალფეროვნება. კრებულს ერთვის ეუთხური სიტყვების ახსნა.

დასაინათა, რომ წიგნში არ არის წარმოდგენილი ცნობები ტექსტების წყაროებზე, არ არის აღნიშნული მათი მოქმედებისა და ჩამწერის ვინაობა, ჩაწერის დრო და ადგილი. ეს გარემოება ართულებს კრებულში წარმოდგენილი მდიდარი და საინტერესო მასალების სპეციფიკის კოლექტიური ბუნების კვლევის საკითხს.

თამარ ოქროშიძეს ეეთენის პირველი ცდა ქართული შრომის სიმღერების ძირითადი სახეების სისტემაში მოყვანისა, ცალკე წიგნად გამოცემისა და მეცნიერულად შესწავლისა, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა მისი ვინაობა საბატულო ფურცელზე ყოფილიყო აღნიშნული.

საკანცხლოდ უნდა მოვიხსენიოთ თენგიზ მირზაშვილის ნამუშევარი. მხატვრობა ამშვენებს ამ მდიდარი შინაარსის წიგნს. წიგნი პირველი შეხედვისთანავე გვაგრძნობინებს მხატვრის მიერ საქართველოს ბუნებისა და შრომის სიმღერების სახეების ღრმა გაგებას და ოსტატურად წარმოსახვას.

თამარ ოქროშიძის წიგნი „შრომის სიმღერები“ ნათლად გვიჩვენებს შრომისა და ლექსის კავშირს, გვიჩვენებს სიმღერის დიდ როლს შრომაში და იმას, რომ ლექსი ამშვენებდა შრომას, შრომა კი ამდიდრებდა ლექსის შინაარსსა და ფორმას.

პროფ. მ. სიხარულიძე

ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბავთა მწერალი“

- ქართული მოთხრობა — სარედაქციო კოლეგია: კონ. ლორთქიფანიძე, გ. ნატროშვილი, ბ. ელეტი, გვ. 602, ფასი 2 მან. 52 კაპ.
- რევან მარგინი — ისევ ახალი. რედ. ირ. აბაშიძე. გვ. 210, ფასი 42 კაპ.
- ქეთევან ქუჩუკაშვილი — ყუვილები მდინარეზე. რედ. მ. ლებანიძე. გვ. 196, ფასი 21 კაპ.
- არჩილ სულაკაური — ზევით და ქვევით. რედ. რ. თვარაძე. გვ. 186, ფასი 19 კაპ.
- გაბრიელ ჭაბუშანიური — შალაი მთვარე. რედ. რ. მარგინი. გვ. 78, ფასი 11 კაპ.
- ქეთევან ელისაბედაშვილი — მოთხრობები. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 201, ფასი 31 კაპ.
- ქაბუა ამირეჯიბი — გზა. რედ. ბ. ელენტი. გვ. 146, ფასი 18 კაპ.
- ოთარ მამფორია — ცისარტყელა ჩანჩქერებში. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 92, ფასი 14 კაპ.
- თამაზ კილაძე — მზის საათი. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 88, ფასი 10 კაპ.
- ნოდარ გურგენიძე — მიწა და ვარსკვლავები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 62, ფასი 11 კაპ.
- შოთა აკობია — გზებს და შეხვედრებს. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 72, ფასი 11 კაპ.
- ვახტანგ ძნელაძე — სიყვარული შეძახის. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 72, ფასი 10 კაპ.
- სამუელ მოძღვრეშვილი — შოდის უკვდავება. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 70, ფასი 10 კაპ.
- ანზორ აბულაშვილი, ბონდო ალაიძე, ლადო ირემაშვილი, ტაგუ მებურიშვილი — ლექსები. რედ. ი. ნონეშვილი. გვ. 106, ფასი 17 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“

- მარჩან — მზიური ქვეყნის ბავშვები. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 198, ფასი 70 კაპ.
- ანდრო ლომიძე — ელდარის მზე. რედ. ა. ლენინაშვილი. გვ. 88, ფასი 14 კაპ.
- თინა დონეაშვილი — ჩემი მეგობარი. რედ. ე. უბილაძე. გვ. 131, ფასი 35 კაპ.
- მაყვალა მრეველიშვილი — დიმიტარი. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 166, ფასი 35 კაპ.
- შოთა ძიძიგური — აკაი შინიძე. რედ. ს. ელენტი. გვ. 92, ფასი 22 კაპ.
- მამია დუღუნაძე — გიგო გაბაშვილი. რედ. ს. ცაიშვილი. გვ. 234, ფასი 1 მან; 40 კაპ.
- სარგის ცაიშვილი — ბესიკი. რედ. შ. დარჩხელიძე. გვ. 79, ფასი 18 კაპ.
- შოთა ნინიაიძე — ცა ქელდა, მიწა ქალმნად. რედ. რ. ორგონიძე. გვ. 103, ფასი 11 კაპ.
- კ. დომბროვსკი — ყურადღება... გაძაღბა იწყება! თარგ. შ. დარჩხელიძე. რედ. მ. ჭავჭავაძე. გვ. 160, ფასი 41 კაპ.
- მადლო კომუნისტური შრომისა — (ნარკვევების კრებულ) რედ. ნ. დარჩხია. გვ. 102, ფასი 13 კაპ.
- გიორგი ლაბაძე — მალალო ცა. რედ. ი. ვარდოსანიძე. გვ. 58, ფასი 9 კაპ.
- ქუჩუბე გარბაშვილი — ცუელია. თარგ. თეოდო სახოკიასი. რედ. ლ. გეგელია. გვ. 246, ფასი 80 კაპ.
- ელაღის მუზა — (ბერძენი პოეტები) თარგ. რომან მიმინოშვილისა. რედ. ს. ყუბჩიშვილი. გვ. 334, ფასი 1 მან.
- ლილია ნეკრასოვა — დაბადების დღე. თარგ. ლიანა მაქარაშვილისა. რედ. მ. ქარჩია. გვ. 178, ფასი 40 კაპ.

6 7/123

ՅՆՆՈ 80 ՎՅՅ.

ՀԱՅԿԱՅԻՆ
ԵՐԿՐԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“